



ეროვნული
საბაზისო კვლევა
ბიზნესი და
ადამიანის
უფლებების
შესახებ

საქართველო 2017



საბაზისო კვლევა მომზადდა 2017 წელს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს, არასამთავრობო ორგანიზაცია სიდას და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ, დანიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის მხარდაჭერით.

კვლევა განხორციელდა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის ფარგლებში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.



სამთავრობო საზოგადოების განვითარებისა და მთავრობის ჩართულობის პროექტი
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY FOR SUSTAINABILITY (ACCESS)



2017

შესავალი

2011 წელს, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ (UNHRC) 2011 წლის 16 ივნისის 17/4 რეზოლუციით მხარი ერთხმად დაუჭირა გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ (UNGPs). გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ (UNGP) წარმოადგენს მექანიზმს, რომელიც პასუხისმგებლობას აკისრებს სახელმწიფოებს, რათა თავიდან აიცილონ და აღმოფხვრან ბიზნესის მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევები. სახელმძღვანელო შეიცავს 31 პრინციპს, რომლებიც ქმნიან დაცვის, პატივისცემისა და სამართლებრივი დაცვის ჩარჩოს და აღიარებენ:

ა) სახელმწიფოს არსებულ ვალდებულებებს, ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტალური თავისუფლების პატივისცემის, დაცვისა და შესრულების თვალსაზრისით, რაც ასევე გულისხმობს მესამე პირების მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევისგან დაცვას, მათ შორის, ბიზნესისგან;

ბ) ბიზნესის როლს, რათა შესაბამისობაში იყოს ყველა მოქმედ კანონმდებლობასთან და პატივი სცეს ადამიანის უფლებებს, რომელიც მოიცავს "ზიანის არ მიყენების" კონცეფციას;

გ) უზრუნველყოს, რომ უფლებები და ვალდებულებები დაკავშირებული იყოს მსხვერპლთათვის შესაბამისი ეფექტური სასამართლო და არასასამართლო დაცვის მექანიზმების არსებობასთან;

გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ (UNGP) ფართოდ იქნა აღიარებული საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, მათ შორის, ევროკავშირის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და მსოფლიო ბანკის მიერ, როგორც ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სფეროში მოქმედი მთავარი ინსტრუმენტი. აღნიშნული პრინციპები აღიარებულ იქნა ბიზნესის მხრიდანაც, მათ შორის, რამდენიმე უკვე დაიწყო მუშაობა მისი პრაქტიკაში დანერგვის მიმართულებით.

დაინტერესებული მხარეები, მათ შორის, ინვესტორები აქტიურად მოითხოვენ ბიზნესის მხრიდან ადამიანის უფლებების პატივისცემასა და დარღვევების შემთხვევაში შესაბამის რეაგირებას. ბიზნესის მხრიდან გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების იმპლემენტაციისათვის არსებითია სამართლებრივი კვლევის (due diligence) განხორციელება. სამართლებრივი კვლევა (due diligence) უნდა მოიცავდეს ადამიანის უფლებებზე არსებული და პოტენციური ზეგავლენის შეფასებას, მიღებული დასკვნების გათვალისწინებასა და შესაბამის მოქმედებას, ზეგავლენის შესამცირებლად გადადგმულ ნაბიჯებზე დაკვირვებასა და კომუნიკაციას ზეგავლენის შესამცირებლად გამოყენებულ

ზომებთან დაკავშირებით. აღნიშნული ეხმარება ბიზნესს შესაბამისი რეაგირება მოახდინოს, როგორც ადამიანის უფლებების, ასევე ეკონომიკურ და რეპუტაციასთან დაკავშირებულ რისკებზე, რომლებიც შეიძლება გამოწვეულ იქნეს ბიზნესის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევაში.

2014 წლის ივნისში, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მოუწოდა ყველა მის წევრ ქვეყანას, ეროვნული სამოქმედო გეგმების განვითარებისკენ, რათა მათი ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით ხელი შეუწყონ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების (UNGP) განხორციელებას. რეკომენდაციაში, რომელიც გამოქვეყნდა 2016 წლის მარტში, ევროპის საბჭომ კვლავ მოუწოდა წევრ სახელწმიფოებს რათა განავითარონ ეროვნული სამოქმედო გეგმები ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ. გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სამუშაო ჯგუფი შეიქმნა გაეროს ადამიანს უფლებათა საბჭოს მიერ 2011 წელს და მოუწოდა ყველა სახელმწიფოს განავითარონ, დაამტკიცონ და განაახლონ ეროვნული სამოქმედო გეგმა, რადგანაც აღნიშნული წარმოადგენს მათ ვალდებულებას ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპებიდან გამომდინარე. ასევე სახელწმიფოების დასახმარებლად, სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავების სახელმძღვანელო.

2017 წლის ნოემბრის მონაცემებით, იმ 19 ქვეყანას შორის, რომლებმაც მიიღეს ეროვნული სამოქმედო გეგმები ბიზნესისა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით (NAP) 14 ქვეყანა ევროპის კავშირის წევრია.¹

საუკეთესო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ეროვნული სამოქმედო გეგმის განვითარებამდე მნიშვნელოვანია მოხდეს ეროვნული საბაზისო შეფასების (NBA) ჩატარება. ეროვნული საბაზისო შეფასების ჩატარება წარმოაჩენს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების პრინციპების განხორციელების არსებული დონის შეფასებას. იგი წარმოადგენს სამართლებრივი და პოლიტიკის ხარვეზების ანალიზს და განსაზღვრავს ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებების საკითხებს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების ეროვნულ კონტექსტში. ის ხელს უწყობს განსახორციელებელი ქმედებების ფორმულირებასა და პრიორიტეტულობის დადგენას. ეროვნული საბაზისო შეფასების ჩატარება ასევე იძლევა ბიზნესისა და ადამიანის უფლებების საკითხებზე სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების შორის თანამშრომლობის შესაძლებლობასა და ეროვნული საბაზისო შეფასების ფარგლებში შემუშავებული კონკრეტული ქმედებების მიმართ გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას.

ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმით (2016-2017), საქართველოს მთავრობამ აიღო პასუხისმგებლობა ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის 2018-2020 წლებში შემუშავებასთან დაკავშირებით. მათ შორის, ეროვნული საბაზისო შეფასებისა და სამოქმედო გეგმის შექმნასთან

¹ European countries with published NAPs on business and human rights include: the United Kingdom, Denmark, Netherlands, France, Italy, Germany, Sweden, Finland, Lithuania, Poland, Belgium, Spain, Czech Republic, and Ireland

დაკავშირებით. მთავრობამ ასევე აიღო ვალდებულება უზრუნველყოს ცნობიერების ამაღლება კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობისა და ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ. ასევე, უზრუნველყოს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებაში. ამ გეგმის შემუშავების პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს.

ეროვნული საბაზისო შეფასების პროცესი

წინამდებარე ეროვნული საბაზისო შეფასების ჩატარების მიზნით, 2017 წლის დასაწყისში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს ინიციატივით 2017 წლის დასაწყისში შეიქმნა არაფორმალური საკოორდინაციო ჯგუფი. საკოორდინაციო ჯგუფის შემადგენლობაში სამდივნოს წარმომადგენლებთან ერთად შედიოდნენ საქართველოს სახალხო დამცველის ოფისისა და არასამთავრობო ორგანიზაცია სამოქალაქო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლები.

2017 წლის თებერვლის თვეში განისაზღვრა ყველა შესაბამის უწყების წარმომადგენელი უფლებამოსილი პირი, ვინც ჩართული იქნება შეფასების ჩატარებაში, კერძოდ, შემდეგი უწყებებიდან: საქართველოს პარლამენტი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო და ბიზნეს ომბუდსმენის აპარატი.

უწყებებიდან განსაზღვრული უფლებამოსილი პირებისათვის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნომ, სახალხო დამცველის ოფისსა და არასამთავრობო ორგანიზაცია სამოქალაქო განვითარების სააგენტოსთან ერთად ჩაატარა ტრენინგი ბიზნესისა და ადამიანის უფლებების თემაზე. ტრენინგის ჩასატარებლად მოწვეული იყვნენ დანიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის ექსპერტები. ტრენინგის ჩატარება მხარდაჭერილი იყო აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის ფარგლებში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და დანიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის მიერ.

გარდა აღნიშნულისა, საკოორდინაციო ჯგუფის წევრებმა სამუშაო შეხვედრა ჩაატარეს დანიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის ექსპერტებთან, რაც მიზნად ისახავდა საბაზისო შეფასების ჩატარების მეთოდოლოგიასა და კონცეფციაზე შეთანხმებას, ისევე, როგორც შეფასების ჩატარებისათვის შიდა სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

მას შემდეგ, რაც საკოორდინაციო ჯგუფის მიერ შემუშავებულ იქნა საბაზისო შეფასების პირველადი ვერსია, დაიგეგმა საჯარო კონსულტაციები სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფთან. ჯამში თბილისში ჩატარდა სამი განცალკევებული შეხვედრა საჯარო უწყებების წარმომადგენლებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ბიზნესის წარმომადგენლებთან. ასევე, ერთი შეხვედრა დაიგეგმა აჭარის რეგიონში საჯარო უწყებების წარმომადგენლებთან. თითოეული შეხვედრის მონაწილეებს დაეგზავნა შეფასების არსებული სამუშაო ვარიანტი და მიეცათ შესაძლებლობა, წერილობით წარმოედგინათ შენიშვნები და კომენტარები.

საჯარო კონსულტაციების შედეგად მიღებული კომენტარების ასახვის შემდგომ, საკოორდინაციო ჯგუფმა, პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, 2017 წლის 4 დეკემბერს ყველა დაინტერესებული პირისათვის ჩაატარა კვლევის პრეზენტაცია.

კვლევის მიმდინარეობისას გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდები:

- საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროების გამოყენება ადამიანის უფლებებისა და ბიზნესთან დაკავშირებული კანონებისა და პოლიტიკის იდენტიფიცირებისათვის;
- ხარვეზების ანალიზი;
- მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევების ანალიზი ბიზნესთან დაკავშირებული პრაქტიკის იდენტიფიცირებისათვის;
- ინტერვიუები და საჯარო კონსულტაციები ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან.

კვლევის მიმდინარეობაში ტექნიკურ მხარდაჭერას გასწევდა დანიის ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტი.

ეროვნული საბაზისო შეფასების მიზნები

ეროვნული საქმიანობის გეგმის მიზნები შეთანხმებული იყო სახალხო დამცველთან, სიდასა და მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოსთან.

ეროვნული საბაზისო შეფასების ამოცანებია:

- საქართველოში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული რისკებისა და ზემოქმედების საშუალებების იდენტიფიცირება და დოკუმენტირება;
- კანონმდებლობაში, პოლიტიკის დოკუმენტებში, ინსტიტუციებში, საჯარო და კერძო სექტორში არსებული რელევანტური რისკების ანალიზი, ხარვეზების დადგენა და შეფასება;
- მთავრობის მხრიდან ისეთი პლატფორმის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი ღონისძიებების იდენტიფიცირებას, რომლებიც მიმართული იქნება მთავრობის, ბიზნესისა და სხვა მონაწილეების მხრიდან რისკების თავიდან აცილების, შემცირებისა და გამოსწორებისაკენ;

- უფლების მქონე სუბიექტებისა და დაინტერესებული მხარეების უფლებების დაცვა და მათი შესაძლებლობების განვითარება ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ;

მეთოდოლოგია

ეროვნული საბაზისო შეფასება განხორციელდა ბიზნესისა და ადამიანის უფლებების ეროვნული სამოქმედო გეგმის სახელმძღვანელოსა და მისი მოდელის გამოყენებით, რომელიც შეიმუშავეს დანიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტმა (DIHR) და საერთაშორისო კორპორატიული ანგარიშვალდებულების მრგვალმა მაგიდამ (ICAR).² ეროვნული საბაზისო შეფასების სტრუქტურა შედგება ცხრილებისაგან და მოიცავს ყველა გაეროს სახელმძღვანელო პრინციპს. სტრუქტურული, პროცესისა და შედეგების ინდიკატორები შემოთავაზებულია რათა მოიცვას პრინციპების ფართო სპექტრი. ეროვნული საბაზისო შეფასება ასევე შეიცავს სტრუქტურის, პროცესისა და შედეგებს ისეთივე მეთოდოლოგიას, როგორც შემუშავებულ იქნა გაეროს ადამიანის უფლებათა კომისრის მიერ, რათა შეაფასოს სახელწმიფოების მიერ გადადგმული ნაბიჯები თავიანთი ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით.

² <https://www.humanrights.dk/business/tools/national-action-plans-business-human-rights>

კომპონენტი I

სახელმძღვანელო პრინციპი 1

სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ თავიანთი ტერიტორიის და/ან იურისდიქციის ფარგლებში მესამე პირთა, მათ შორის საწარმოების მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევისგან დაცვა. ეს მოითხოვს შესაბამისი ზომების მიღებას ამგვარი დარღვევის პრევენციის, გამოძიების, დასჯისა და გამოსწორებისთვის - ეფექტური პოლიტიკის, კანონმდებლობის, რეგულაციებისა და სამართლებრივი პროცესის გზით.

კომენტარი სახელმძღვანელო პრინციპზე 1

ვალდებულებები, რომელსაც სახელმწიფოს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი აკისრებს, მოითხოვს სახელმწიფოების მხრიდან თავიანთი ტერიტორიის და/ან იურისდიქციის ფარგლებში ადამიანის უფლებების დაცვას, პატივისცემას და აღსრულებას. ეს მოიცავს, მესამე პირთა, მათ შორის საწარმოების მხრიდან, ადამიანის უფლებების დარღვევისგან დაცვის ვალდებულებას.

სახელმწიფოს მიერ დაცვის ვალდებულება არის ქცევის ნორმა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოები თავისთავად არ არიან პასუხისმგებელნი ადამიანის უფლებების დარღვევაზე კერძო პირების მხრიდან. თუმცა, სახელმწიფოებმა შეიძლება დაარღვიონ ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებები იმ შემთხვევაში, თუ ასეთი დარღვევა მათ შეეცდებოდა ან როდესაც ისინი არ იღებენ შესაბამის ზომებს, კერძო პირების მხრიდან დარღვევის პრევენციის, გამოძიების, დასჯისა და გამოსწორებისათვის. მართალია, სახელმწიფოებს ზოგადად აქვთ მიიღონ დისკრეციული გადაწყვეტილება მაგრამ შემდეგი საფეხურების შესაბამისად: თუმცა მათ უნდა გაითვალისწინონ დასაშვები პრევენციული და გამოსასწორებელი ზომების სრული სპექტრი, მათ შორის პოლიტიკა, კანონმდებლობა, რეგულაციები და სასამართლოს გადაწყვეტილება. სახელმწიფოებს აქვთ ასევე ვალდებულება დაიცვან და უზრუნველყონ კანონის უზენაესობა, მათ შორის, კანონის წინაშე თანასწორობის, მისი გამოყენებისას სამართლიანობის დაცვით და შესაბამისი ანგარიშვალდებულების, სამართლებრივი სიზუსტის და პროცედურული და სამართლებრივი გამჭვირვალობის უზრუნველყოფით.

1.1. საერთაშორისო და რეგიონული სამართლებრივი ინსტრუმენტები

მოაწერა მთავრობამ ხელი საერთაშორისო და რეგიონულ სამართლებრივი ინსტრუმენტებს და მოახდინა მათი რატიფიცირება?

| ინდიკატორები | მიმოხილვითი შეკითხვები |
|---|---|
| <p>ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები</p> | <p><u>მოაწერა მთავრობამ ხელი და მოახდინა ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების რატიფიკაცია, როგორცაა ICERD, ICCPR, ICESCR, CEDAW, CAT, CRC, ICMW, CPED, CRPD, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითადი კონვენციები და შესაბამისი ოქმები?</u></p> <p>ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები</p> <p>საქართველოს ხელმოწერილი და რატიფიცირებული აქვს შემდეგი ძირითადი საერთაშორისო ადამიანის უფლებების სამართლებრივი ინსტრუმენტები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი (რატიფიცირებულია 1994 წელს); 2. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმი (რატიფიცირებულია 1994 წელს); 3. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლების საერთაშორისო პაქტის სიკვდილით დასჯის გაუქმებისადმი მიმართული მეორე ფაკულტატური ოქმი (რატიფიცირებულია 1999 წელს); 4. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი (რატიფიცირებულია 1994 წელს); 5. კორუფციის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია (რატიფიცირებულია 2008 წელს); 6. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ საერთაშორისო კონვენცია (რატიფიცირებულია 1994 წელს); 7. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმი (რატიფიცირებულია 2005 წელს); 8. საერთაშორისო კონვენცია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (რატიფიცირებულია 1999 წელს); 9. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (რატიფიცირებულია 2013 წელს); |

| | |
|--|---|
| | <ol style="list-style-type: none"> 10. კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ (რატიფიცირებულია 1994 წელს); 11. ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ (რატიფიცირებულია 2002 წელს); 12. ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ (რატიფიცირებულია 2002 წელს); 13. ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყონებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ კონვენცია (რატიფიცირებულია 2002 წელს); 14. ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია (რატიფიცირებულია 1994 წელს); 15. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი (რატიფიცირებულია 2002 წელს); 16. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ (რატიფიცირებულია 2006 წელს); 17. ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციის ოქმი - ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და სასჯელთა დადგენის შესახებ (რატიფიცირებულია 2006 წელს); 18. ტრანსნაციონალურ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაერო-ს კონვენციის ოქმი - სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საშუალებებით მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის აღკვეთის შესახებ (რატიფიცირებულია 2006 წელს); 19. კონვენცია გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ (რატიფიცირებულია 1993 წელს); 20. გარემოს დაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენცია (რატიფიცირებულია 2000 წელს); 21. ადამიანის უფლებებისა და ბიო-მედიცინის შესახებ კონვენცია (რატიფიცირებულია 2000 წელს); |
|--|---|

| | |
|--|--|
| | <p>22. გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციის კიოტოს ოქმი (რატიფიცირებულია 1999 წელს);</p> <p>23. კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ (რატიფიცირებულია 2005 წელს);</p> <p>საქართველოს მიერ რატიფიცირებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები:</p> <p>ფუნდამენტალური კონვენციები</p> <ol style="list-style-type: none"> 1. იძულებითი შრომის შესახებ კონვენცია (რატიფიცირებულია 1993 წელს); 2. გაერთიანების თავისუფლებისა და ორგანიზების უფლების დაცვის შესახებ კონვენცია (რატიფიცირებულია 1999 წელს); 3. ორგანიზებისა და კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების უფლების შესახებ კონვენცია (რატიფიცირებულია 1993 წელს); 4. თანაბარი ანაზღაურების შესახებ კონვენცია (რატიფიცირებულია 1993 წელს); 5. იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ კონვენცია (რატიფიცირებულია 1996 წელს); 6. დისკრიმინაციის (დასაქმება და საქმიანობა) შესახებ კონვენცია (რატიფიცირებულია 1993 წელს); 7. მინიმალური ასაკი შესახებ კონვენცია (რატიფიცირებულია 1996 წელს); 8. ბავშვთა შრომის ყველაზე ცუდი ფორმების შესახებ კონვენცია (რატიფიცირებულია 1999 წელს); <p>მმართველობის კონვენცია</p> <ol style="list-style-type: none"> 1. დასაქმების პოლიტიკის კონვენცია (რატიფიცირებულია 1993); <p>ტექნიკური კონვენციები</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ანაზღაურებადი შვებულების კონვენცია (რატიფიცირებულია 1993 წელს); 2. დასაქმების სამსახურის შესახებ კონვენცია (რატიფიცირებულია 2002 წელს); 3. სოციალური პოლიტიკის (ძირითადი მიზნები და სტანდარტები) კონვენცია (რატიფიცირებულია 1997 წელს); |
|--|--|

4. ადამიანური რესურსების განვითარების კონვენცია (რატიფიცირებულია 1993 წელს);
5. შრომითი ურთიერთობების (საჯარო სამსახურის) კონვენცია (რატიფიცირებულია 2003 წელს);
6. მეზღვაურთა კეთილდღეობის კონვენცია (რატიფიცირებულია 2004 წელს);
7. კერძო დასაქმების სააგენტოების კონვენცია (რატიფიცირებულია 2002 წელს);
8. მეზღვაურთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების კონვენცია (რატიფიცირებულია 2015 წელს);³

დეტალური ინფორმაცია საქართველოს მიერ რატიფიცირებული სხვა საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სამართლებრივი ინსტრუმენტების შესახებ ხელმისაწვდომია სქოლიოში მითითებულ მისამართზე.⁴

ხარვეზები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელმოწერილი და რატიფიცირებული აქვს ძირითადი საერთაშორისო ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტები, მათ შორის, სახელშეკრულებო ორგანოებით განსაზღვრული ინდივიდუალური გასაჩივრებისა და მოკვლევის/გამოძიების მექანიზმები, საქართველოს დღემდე არ მოუხდენია რამდენიმე მნიშვნელოვანი კონვენციის ხელმოწერა და რატიფიკაცია. კერძოდ კი, იძულებით გაუჩინარებული ყველა პირის დაცვის კონვენცია და ყველა მიგრანტი მუშაკის და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის საერთაშორისო კონვენცია. გარდა ამისა, საქართველო არ მიერთებია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის დამატებით ოქმებს.⁵

³შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, საქართველოს მიერ რატიფიცირებული კონვენციები, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:11200:0::NO::P11200_COUNTRY_ID:102639 [ბოლოს ნანახია: 08.06.2017].

⁴ საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული კონვენციები, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.parliament.ge/ge/kanonmdbloba/international-acts/parlamentis-mier-ratificirebuli-saertashoriso-konvenciebi-543> [ბოლოს ნანახია: 10.06.2017].

⁵გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, რატიფიკაციის შესახებ ინფორმაცია, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://indicators.ohchr.org/> [ბოლოს ნანახია: 10.06.2017].

| | |
|---|--|
| | <p>მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რატიფიცირებული აქვს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 17 კონვენცია, მათ შორის, ყველა ფუნდამენტალური კონვენცია (1 მმართველობის კონვენცია და 8 ტექნიკური კონვენცია⁶), რატიფიკაციის მიღმა დარჩენილია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის არაერთი ინსტრუმენტი. საქართველო არ არის მიერთებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტებს როგორცაა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის N81 და N129 კონვენციები შრომის ინსპექციის თაობაზე, რომელიც სახელწმიფოს შესაბამისი ეფექტური კონტროლის მექანიზმის შექმნას ავალდებულებს. აგრეთვე N155 კონვენციას პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის თაობაზე და N C176 კონვენციას მადარობში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის შესახებ. აღნიშნული კონვენციები პირდაპირ შეეხება შრომის პირობებსა და სტანდარტებს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის ეფექტურ მექანიზმებსა და მოდელებს, რომელთაც საქართველო სავალდებულოდ არ აღიარებს.</p> |
| <p>ადამიანის უფლებების რეგიონული სამართლებრივი ინსტრუმენტები</p> | <p><u>მოაწერა მთავრობამ ხელი და მოახდინა ადამიანის უფლებების რეგიონული სამართლებრივი ინსტრუმენტების რატიფიკაცია, როგორცაა, ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული (ბანჯულის) ქარტია; ადამიანის უფლებების ამერიკული კონვენცია; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია, და ნებისმიერი შესაბამისი ოქმი?</u></p> <p>ადამიანის უფლებების რეგიონული სამართლებრივი ინსტრუმენტები</p> <p>საქართველო მიერთებულია რამდენიმე მნიშვნელოვან რეგიონალურ ინსტრუმენტს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით. ამ კუთხით აღსანიშნავია:</p> |

⁶შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, რატიფიკაციის შესახებ ინფორმაცია: ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:11200:0::NO::P11200_COUNTRY_ID:102639 [ბოლოს ნანახია: 03.07.2017].

| | |
|--|---|
| | <ul style="list-style-type: none"> • ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (რატიფიცირებულია 1999 წელს); • ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი (რატიფიცირებულია 2002 წელს); • ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი N6 - სიკვდილის დასჯის გაუქმება (რატიფიცირებულია 2000 წელს); • ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი N7 (რატიფიცირებულია 2000 წელს); • ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი N8 (რატიფიცირებულია 1999 წელს); • ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი N14 (რატიფიცირებულია 2009 წელს); • წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენცია (რატიფიცირებულია 2000 წელს); • წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენციის N1 დამატებითი ოქმი (რატიფიცირებულია 2000 წელს); • წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენციის N2 დამატებითი ოქმი (რატიფიცირებულია 2000 წელს); • ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ (რატიფიცირებულია 2005 წელს); • ევროპული სოციალური ქარტია (რატიფიცირებულია 2005 წელს); |
|--|---|

- სისხლის სამართლის კონვენცია კორუფციის შესახებ (რატიფიცირებულია 2008 წელს);
- სამოქალაქო სამართლის კონვენცია კორუფციის შესახებ (რატიფიცირებულია 2003 წელს);
- ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ევროპის საბჭოს კონვენცია (რატიფიცირებულია 2007 წელს);
- ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ (რატიფიცირებულია 2014 წელს);
- ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (რატიფიცირებულია 2017 წელს);

დეტალური ინფორმაცია საქართველოს მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა სხვა რეგიონული სამართლებრივი ინსტრუმენტების შესახებ იხილეთ სქოლიოში მითითებულ მისამართზე.⁷

ხარვეზები

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასა და წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენციასთან მიმართებაში, საქართველოს გაკეთებული აქვს დათქმები. კონკრეტულად კი, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე საქართველოს ხელისუფლება არ იღებს ვალდებულებებს კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების აღნიშნულ ტერიტორიაზე დაცვასთან დაკავშირებით. ასევე, საქართველოს ხელისუფლება არ იღებს პასუხიმგებლობას კონვენციებისა და დამატებითი

⁷ევროპის საბჭო, ხელშეკრულების სია კონკრეტული სახელმწიფოსთვის, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.coe.int/en/web/conventions/search-on-states/> [ბოლოს ნანახია: 02.07.2017].

| | |
|--|---|
| | <p>ოქმების იმ დარღვევებზე, რომლებიც განხორციელებულია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის თვითაღიარებული ძალების მხრიდან მანამ სანამ არ აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.</p> <p>საქართველო იტოვებს უფლებას არ მოახდინოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 30-ე მუხლის მეორე პუნქტის იმპლემენტაცია. აღნიშნული მუხლი გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას ადეკვატური სახელმწიფო კომპენსაცია გადასცეს მათ, ვინც მიიღო სხეულის სერიოზული დაზიანება ან შეერყა ჯანმრთელობა, იმ დონეზე, რომ მიყენებული ზიანი ვერ იფარება სხვა წყაროებით, როგორც, მაგალითად, დამნაშავეს მიერ, დაზღვევით ან სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სამედიცინო და სოციალური დახმარებით. ეს ხელს არ უშლის მხარეებს (სახელმწიფოს) მოითხოვონ გაწეული ხარჯების კომპენსაცია რეგრესის წესით დამნაშავესგან, იმდენად რამდენადაც ეს რისკის ქვეშ არ აყენებს მსხვერპლის უსაფრთხოებას.⁸</p> <p>აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გააკეთა სპეციალური დათქმა ევროპულ სოციალურ ქარტიასთან მიმართებაში. კონკრეტულად კი, საქართველო იღებს ვალდებულებას მხოლოდ იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლებზეც უშუალოდ აქვს მითითებული დათქმაში.⁹ აღნიშნული დათქმით, საქართველო არ მიერთებია სოციალური ქარტიის ისეთ მნიშვნელოვან მუხლებს, როგორიცაა ევროპის სოციალური ქარტიის მე-3 მუხლი (უსაფრთხო და ჰიგიენური სამუშაო პირობებით სარგებლობის უფლება), მე-9 მუხლი (პროფესიული ორიენტაციის უფლება), 21-ე მუხლი (ინფორმაციითა და კონსულტაციებით სარგებლობის უფლება), 22-ე მუხლი (სამუშაო პირობებისა და სამუშაო გარემოს შექმნასა და გაუმჯობესებაში მონაწილეობის მიღების უფლება).</p> <p><i>ინიციატივა</i></p> |
|--|---|

⁸ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხლი 30-ე, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.coe.int/en/web/conventions/search-on-states/-/conventions/treaty/210> [ბოლოს ნანახია: 10.07.2017].

⁹სრული სია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.coe.int/en/web/conventions/> [ბოლოს ნანახია: 10.07.2017].

| | |
|--|---|
| | <p>შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან გამართული კონსულტაციების ფარგლებში ცნობილი გახდა, რომ სახელმწიფო მუშაობს ევროპული სოციალური ქარტიის მე-3 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-4 პუნქტებისა და მე-9 მუხლის რატიფიცირების პროცედურებთან დაკავშირებით.</p> |
| <p>ადამიანის უფლებების სხვა სამართლებრივი ინსტრუმენტები</p> | <p><u>არსებობს ადამიანის უფლებების ნებისმიერი სხვა სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელსაც ხელი მოაწერა მთავრობამ და მოახდინა მისი რატიფიკაცია?</u></p> <ul style="list-style-type: none"> • ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის (ხელმოწერილია 2014 წელს, ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისს); • საქართველოს 1991 წელს რატიფიცირებული აქვს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის კონფერენციის დასკვნითი ოქმი;¹⁰ • საქართველოს 1991 წელს რატიფიცირებული აქვს უშიშროებისა და თანამშრომლობის ვენის კონფერენციის შემაჯამებელი დოკუმენტი;¹¹ • კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) წესდება (რატიფიცირებულია 1999 წელს); |
| <p>1.2. „რბილი სამართლის“ საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტები</p> <p>მოაწერა ხელი მთავრობამ „რბილი სამართლის“ საერთაშორისო და რეგიონულ ინსტრუმენტებს?</p> | |

¹⁰ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითი (ჰელსინკის ოქმი), ჰელსინკი, 1975, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.osce.org/helsinki-final-act?download=true> [ბოლოს ნანახია: 10.07.2017].

¹¹ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითი (ვენის ოქმი), ვენა 1989, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.osce.org/mc/40881?download=true> [ბოლოს ნანახია: 10.07.2017].

| ინდიკატორები | მიმოხილვითი შეკითხვები |
|--|--|
| <p>ადამიანის უფლებების შესახებ „რბილი სამართლის“ ინსტრუმენტები</p> <p>საერთაშორისო</p> | <p><u>მოაწერა ხელი მთავრობამ ადამიანის უფლებების შესახებ „რბილი სამართლის“ საერთაშორისო ინსტრუმენტებს, როგორცაა UDHR, გაეროს (UN) სხვა დეკლარაციები და/ან რეზოლუციები და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სამმხრივი დეკლარაცია?</u></p> <p>საქართველოს მიერ რატიფიცირებული ან აღიარებული ადამიანის უფლებების შესახებ „რბილი სამართლის“ საერთაშორისო ინსტრუმენტები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაცია (რატიფიცირებულია 1991 წელს); 2. ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის შესახებ გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული N50/155 რეზოლუცია (რატიფიცირებულია 2000 წელს); 3. საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის არსებული ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში (ვაჭრობა და მდგრადი განვითარება, მუხლი 227), დეკლარირებულია, რომ ევროპის კავშირი და საქართველო აღიარებენ 1992 წლის „განაწესს 21-ე საუკუნისათვის გარემოსა და განვითარება“-ზე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 1998 წლის დეკლარაციას შრომის ძირითადი პრინციპებისა და უფლებების შესახებ, 2002 წლის იოჰანესბურგის მდგრადი განვითარების გეგმას, 2006 წლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მინისტრიალის დეკლარაციას სრული და ნაყოფიერი დასაქმებისა და ღირსეული შრომის უზრუნველსაყოფად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 2008 წლის დეკლარაციას სოციალური თანასწორობა სამართლიანი გლობალიზაციის შესახებ. 4. ეუთოს დეკლარაცია გამწვანების გაზრდის შესახებ (რატიფიცირებულია 2009 წელს) 5. გაეროს სახელმწიფოებო ორგანოების ფარგლებში სახელმწიფოს მიერ წარდგენილი ანგარიში, მისი განხილვის პროცედურები და რეკომენდაციები; ამ კუთხით აღსანიშნავია, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის შესრულების შესახებ საქართველოს მთავრობის მე-4 პერიოდული მოხსენების განხილვის შედეგად საქართველოს მთავრობისადმი გაცემული დასკვნითი შენიშვნები; აღსანიშნავია, რომ დოკუმენტი ბავშვთა |

| | |
|---|--|
| | <p>უფლებებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს ისეთი საკითხის განხილვას, როგორცაა ეკონომიკური ექსპლუატაცია, მათ შორის, ბავშვთა შრომა.</p> <p>კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს საქართველოს მთავრობას, რომ მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა ბავშვთა შრომის ყველა ფორმის აკრძალვისათვის, მათ შორის, არაფორმალურ სექტორში. ამავე დროს, მოუწოდებს საქართველოს მთავრობას აღადგინოს შრომის ინსპექცია და გააძლიეროს ბავშვთა შრომის მონიტორინგი კანონმდებლობის შესაბამისად;¹²</p> <p>6. უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები;¹³</p> <p>7. გაეროს გლობალური შეთანხმება;</p> <p>8. სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტების სახელმძღვანელო (ISO 26000);</p> <p>საქართველოს უზენაესი სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში შრომის დავებთან დაკავშირებით აქტიურად იყენებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის საზედამხედველო ორგანოს ექსპერტთა კომიტეტის კომენტარებს, გადაწყვეტილებებსა და საერთაშორისო შრომით რეკომენდაციებს, რომელთაც, სარეკომენდაციო ხასიათი აქვთ, მაგრამ განმარტავენ კონვენციის ტექსტსა და რეგულირების მასშტაბებს.¹⁴</p> |
| <p>ადამიანის უფლებების შესახებ „რბილი სამართლის“ რეგიონული ინსტრუმენტები</p> | <p><u>მოაწერა ხელი მთავრობამ ადამიანის უფლებების შესახებ „რბილი სამართლის“ რეგიონულ ინსტრუმენტებს, როგორცაა ამერიკის დეკლარაცია ადამიანის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის (ASEAN) დეკლარაცია ადამიანის უფლებების შესახებ?</u></p> |

¹² გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტი (CRC), დასკვნა საქართველოს მეოთხე პერიოდულ ანგარიშზე, 2017 წლის 9 მარტი, CRC/C/GEO/CO/4, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.refworld.org/docid/58e7716b4.html> [ბოლოს ნანახია: 10.07.2017].

¹³ უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა, საქართველოსათვის გაცემული რეკომენდაციების განხორციელების შუალედური შეფასება, რეკომენდაცია 16, 25, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <https://www.upr-info.org/followup/assessments/session23/georgia/MIA-Georgia.pdf> [ბოლოს ნანახია: 10.07.2017].

¹⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, შრომითი დავების კრებული, 2016 წელი.

| | |
|--|--|
| | <p>საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის ზედამხედველობის მიზნით რეგიონალურ დონეზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს ევროპის საბჭოს მონიტორინგის მექანიზმები, რომლებიც თავიანთი მანდატის ფარგლებში გამოსცემენ ანგარიშებს, მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს.¹⁵</p> <p>აღნიშნულ მექანიზმებს მიეკუთვნება:</p> <ul style="list-style-type: none"> • ადამიანის უფლებათა კომისრის რეკომენდაცია საცხოვრისის უფლების განხორციელების შესახებ;¹⁶ • რეკომენდაციები ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, თომას ჰამარბერგი, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი;¹⁷ • ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, წლიური ანგარიშები;¹⁸ • ევროპის სოციალური უფლებების კომიტეტი; სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის საქმის წარმოების შესახებ დაიჯესტი;¹⁹ |
|--|--|

¹⁵ ევროპის საბჭო, ანგარიშები საქართველოს შესახებ ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.coe.int/ka/web/tbilisi/reports-on-georgial> [ბოლოს ნანახია: 10.07.2017].

¹⁶ The Council of Europe, The Commissioner - CommDH(2009)5 / 30 June 2009, Recommendation of the Commissioner for Human Rights on the implementation of the right to housing, available at the following address: <https://rm.coe.int/16806da713> [last visited: 15.11.2017].

¹⁷ The Council of Europe, Recommendation on systematic work for implementing human rights at the national level, by Thomas Hammarberg, Council of Europe Commissioner for Human Rights, available at the following address: <https://rm.coe.int/16806da952> [last visited 15.11.2017].

¹⁸ The Council of Europe, European Commission against Racism and Intolerance (ECRI), ANNUAL REPORTS ON ECRI'S ACTIVITIES, Available at: https://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/activities/Annual_Reports/Annual%20report%202016.pdf [last visited: 15.11.2017].

¹⁹ The Council of Europe, The European Social Rights Committee, Digest of the case law of The european committee of social rights, Available at: <https://rm.coe.int/168049159f> [last visited:15.11.2017].

| | |
|---|---|
| | <ul style="list-style-type: none"> • მოქმედება ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ (GRETA); ზოგადი ანგარიშები; ანგარიში საქართველოს შესახებ; კვლევები;²⁰ • სახელმწიფოების ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ (GRECO), მე -16 ზოგადი საქმიანობის ანგარიში (2015 წელი);²¹ <p>ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტი (MONEYVAL), ყოველწლიური ანგარიშები, 2007 და 2012 წლის ანგარიშები საქართველოზე;²²</p> |
| <p>ადამიანის უფლებების შესახებ სხვა „რბილი სამართლის“ ინსტრუმენტები</p> | <p><u>არსებობს ადამიანის უფლებების „რბილი სამართლის“ სხვა ინსტრუმენტები, რომელსაც ხელი მოაწერა მთავრობამ?</u></p> <p>მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ არის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყანა, ის აღიარებს ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ რიგ ინსტრუმენტებს და ჩართულია OECD-ის სხვადასხვა აქტივობაში. მათ შორის, საქართველო მონაწილეობს OECD ევრაზიის კონკურენტუნარიანობის პროგრამაში, რომელიც ეხმარება რეგიონის ქვეყნებს, რათა გააფართოვონ მათი ეკონომიკური და დასაქმების პოტენციალი რეგიონში კონკურენტუნარიანობის გაზრდით, ინვესტიციების მოზიდვითა და საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებით.²³ საქართველო აგრეთვე მონაწილეობს OECD-ის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ანტი-კორუფციულ კავშირში, რომელიც წარმოადგენს რეგიონალურ ფორუმს კარგი პრაქტიკის გაზიარებისათვის. საქართველო გაწევრიანებულია გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამის სამუშაო ჯგუფში (EAP სამუშაო ჯგუფი), რომელიც მიზნად ისახავს გარემოსდაცვით საკითხებში საბჭოთა მძიმე მემკვიდრეობის განვითარებაში დახმარებას. დამატებით, OECD-ისა და ევროკავშირის ერთობლივი ინიციატივით საქართველოში ხორციელდება მმართველობისა და მენეჯმენტის გაუმჯობესების</p> |

²⁰ The Council of Europe, Action against Trafficking in Human Beings (GRETA, Available at: <https://www.coe.int/en/web/anti-human-trafficking> [15.11.2017].

²¹ The Council of Europe, Group of States against Corruption (GRECO), Available at: <https://www.coe.int/en/web/greco> [last visited: 15.11.2017].

²² The Council of Europe, Committee on Combating Money Laundering and Terrorism Financing (MONEYVAL), Available at: <http://www.fatf-gafi.org/> [last visited: 15.11.2017].

²³ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო), პასუხისმგებლანი ბიზნესი საქართველოში, 2016 წლის ანგარიში.

| | |
|--|--|
| | <p>პროგრამა (SIGMA), რომელიც ეხმარება საქართველოს საჯარო მმართველობის სისტემებისა და ადმინისტრაციის გაძლიერებაში. საქართველო მონაწილეობს OECD-ის კომიტეტში ფისკალურ საქმეებზე ბაზისური ეროზია და მოგების გაზიარების პროექტი.</p> <p>საქართველო აგრეთვე მონაწილეობს რეგიონალურ ფორუმში, რომელიც მიმართულია კორუფციის საწინააღმდეგო აქტივობების წასახალისებლად, ინფორმაციის გასაზიარებლად და საუკეთესო პრაქტიკის შესაქმნელად. ექსპერტული გადასინჯვა და რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგი წარმოადგენს აღნიშნული პლატფორმის მნიშვნელოვან ნაწილს. მეოთხე რაუნდის მონიტორინგმა, რომელიც 2016 წელს გაიმართა აჩვენა მნიშვნელოვანი პროგრესი საქართველოში კორუფციის დონის შემცირებასთან დაკავშირებით.</p> <p>საქართველო არ ყოფილა მონაწილე ბიზნესისა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ისეთი საერთაშორისო დოკუმენტების, როგორცაა გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპები, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) გაიდლაინები მულტინაციონალური საწარმოებისათვის. მიუხედავად ამისა, საქართველო ევროპის კავშირთან დადებული ასოცირების შეთანხმების ფარგლებში (მუხლი 252) იღებს ვალდებულებას ხელი შეუწყოს კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას, მათ შორის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის OECD მულტინაციოლანური საწარმოების გაიდლაინების პრინციპების გამოყენებას.</p> |
|--|--|

1.3. გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესის და ადამიანების უფლებების შესახებ.
 აქტიურად ასრულებს სახელმწიფო გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებს (UNGPs)?

| ინდიკატორები | მიმოხილვითი შეკითხვები |
|---|--|
| ოფიციალური განცხადება მხარდაჭერის შესახებ | გააკეთა სახელმწიფომ ოფიციალური განცხადება გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების (UNGPs) მხარდაჭერის შესახებ? |

აღსანიშნავია, რომ საქართველო არ ყოფილა მონაწილე ბიზნესისა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ისეთი საერთაშორისო დოკუმენტების, როგორცაა გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპები, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) გაიდლაინები მულტინაციონალური საწარმოებისათვის. მიუხედავად ამისა, საქართველო ევროპის კავშირთან დადებული ასოცირების შეთანხმების ფარგლებში (მუხლი 252) იღებს ვალდებულებას ხელი შეუწყოს კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას, მათ შორის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის OECD მულტინაციონალური საწარმოების გაიდლაინების პრინციპების გამოყენებას.

სახელმწიფოს მიერ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების (UNGPs) მხარდაჭერად უნდა ჩაითვალოს საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის (2016-2017) წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში ბიზნესისა და ადამიანის უფლებების საკითხების შეტანა.²⁴ აღნიშნული გეგმა მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორცაა: სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლება, ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ ეროვნული საბაზისო კვლევის ჩატარება და 2018-2020 წლებისათვის ბიზნესისა და ადამიანის უფლებების ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის შემუშავება, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო ხშირად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა ფორუმში, რომელიც ეძღვნება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და პასუხისმგებლიანი ბიზნესის საკითხებს. ამ კუთხით აღსანიშნავია, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ ორგანიზებულ მაღალი დონის მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრა პასუხისმგებლიან ბიზნეს ქცევაზე (RBC) პოლიტიკის განმსაზღვრელებისათვის და OECD ფორუმი პასუხისმგებლიან ბიზნეს ქცევაზე. ზემოთაღნიშნულ ფორუმებზე საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნომ მონაწილეებს გააცნო საქართველოს

²⁴ საქართველოს მთავრობის დადგენილება №338 2016 წლის 21 ივლისი ქ. თბილისი საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) დამტკიცების შესახებ, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3350412> [ბოლოს ნანახია: 05.07.2017].

| | |
|---|--|
| | <p>მიერ ბიზნესისა და ადამიანის უფლებების მიმართულებით დაწყებული სამუშაოების შესახებ და მხარდაჭერა სთხოვა OECD-სა და გაეროს ამ პროცესში.</p> <p><i>ბიზნესისა და ადამიანის უფლებების საკითხებში ეროვნული საბაზისო კვლევა</i></p> <p>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს ინიციატივით შეიქმნა საკოორდინაციო ჯგუფი, რომლის მიზანს წარმოადგენს ეროვნული საბაზისო კვლევის ჩატარება ბიზნესი და ადამიანის უფლებების მიმართულებით. საკოორდინაციო ჯგუფის შემადგენლობაში სამდივნოს წარმომადგენლებთან ერთად შედიან საქართველოს სახალხო დამცველის ოფისისა და არასამთავრობო ორგანიზაცია სამოქალაქო განვითარების სააგენტოს (სიდა) წარმომადგენლები.²⁵</p> |
| <p>განმახორციელებელი სტრუქტურები</p> | <p><u>შექმნა სახელმწიფომ შესაბამისი სტრუქტურები, რომელიც უზრუნველყოფს გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების (UNGPs) განხორციელებას, მაგალითად, (1) ისეთი ორგანოს შექმნით ან განსაზღვრით, რომელსაც ევალება ზომების მიღება ან (2) შიდა რესურსების გამოყოფის გზით?</u></p> <p>საქართველოს არ შეუქმნია შესაბამისი სპეციალური სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფენ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების (UNGPs) განხორციელებას.</p> |
| <p>კვალიფიკაციის ამაღლება</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ ზომები, სახელმწიფო მოხელეებისა და მოქალაქეებისთვის, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების (UNGPs) შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და მათი ცოდნის ამაღლების მიზნით, მაგალითად სემინარების, კონფერენციების ან სხვა ღონისძიებების მეშვეობით?</u></p> <p>2016 წლის განმავლობაში სახელმწიფომ მიიღო შემდეგი ზომები, UNGP-ს შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით:</p> <p>(ა) ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნომ, სახალხო დამცველის ოფისსა და არასამთავრობო ორგანიზაცია სიდასთან ერთად სახელმწიფო უწყებებიდან</p> |

²⁵ ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) შესრულების შუალედური ანგარიში, 2017 წელი.

განსაზღვრული უფლებამოსილი პირებისათვის ჩაატარა ტრენინგი ბიზნესისა და ადამიანის უფლებების თემაზე. ტრენინგის ჩასატარებლად მოწვეული იყვნენ დანიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის ექსპერტები. ტრენინგი მხარდაჭერილი იყო აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის ფარგლებში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და დანიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის მიერ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საკოორდინაციო ჯგუფის წევრებმა დანიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის ექსპერტებთან ერთად ჩაატარეს სამუშაო შეხვედრა, , რაც მიზნად ისახავდა საბაზისო კვლევის განხორციელების მეთოდოლოგიასა და კონცეფციაზე შეთანხმებას.

(ბ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და სამოქალაქო განვითარების სააგენტოს ორგანიზებით 2016 წლის 22-23 აპრილს გაიმართა კონფერენცია თემაზე „საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება“.

კონფერენციის ფარგლებში პრეზენტაციები ჩაატარეს და დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს გაეროს გლობალური შეთანხმების სათაო ოფისის წარმომადგენელმა, აღნიშნული ინიციატივის ევროპის ადგილობრივი ქსელების წარმომადგენლებმა, საქართველოს მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოების და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებმა.

(გ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს სამოქალაქო განვითარების სააგენტოს (სიდა), კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კლუბისა და გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის პარტნიორობით 2016 წლის 8 ივლისს სასტუმრო “თბილისი რუმსში” ჩატარდა კონფერენცია “კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დღის წესრიგი საქართველოში”. ღონისძიება გაიმართა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კლუბის მიერ ორგანიზებული კორპორაციული პასუხისმგებლობის კვირეულის ფარგლებში.

შეხვედრაზე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, საქართველოს მთავრობისა და თავად ბიზნესის წარმომადგენლებმა ისაუბრეს საქართველოში

| | |
|--|---|
| | <p>დღესდღეობით არსებულ ვითარებაზე კორპორაციული პასუხისმგებლობის მიმართულებით, გამოწვევებსა და სამომავლო გეგმებზე. სპიკერებმა განიხილეს კორპორაციული პასუხისმგებლობის განვითარების მნიშვნელობა საქართველოში როგორც საზოგადოების გაძლიერების პერსპექტივიდან ასევე ბიზნესის განვითარების თვალსაზრისიდან. სპიკერების მოხსენებების პარალელურად გაიმართა საინტერესო დისკუსია.²⁶</p> <p>(დ) 2016 წლის 31 ოქტომბერიდან 1 ნოემბერის ჩათვლით საქართველოს სახალხო დამცველის, დანიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ერთობლივი ორგანიზებით თბილისში, საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა თემაზე - „ბიზნესი და ადამიანის უფლებები: გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში“.</p> <p>კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის წევრები, თემაზე მომუშავე მოწვეული საერთაშორისო ექსპერტები, საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების და მსხვილი ბიზნესკომპანიების ხელმძღვანელები, სამოქალაქო საზოგადოების, პროფკავშირებისა და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების წარმომადგენლები.²⁷</p> <p><i>ხარვეზები:</i></p> <p>აღსანიშნავია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან არ გაცემულა რაიმე სახის რეკომენდაცია უმაღლესი სასწავლებლებისათვის ბიზნესისა და ადამიანის უფლებების საკითხების, როგორც არჩევითი ან სავალდებულო კურსის თავიანთ ფაკულტეტებზე დანერგვის შესახებ.</p> <p>ქვეყანაში არ არის შემუშავებული ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სწავლებასთან დაკავშირებული ოფიციალური სასწავლო პროგრამა, რომელიც ხელმისაწვდომი</p> |
|--|---|

²⁶ ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) შესრულების შუალედური ანგარიში, 2017 წელი.

²⁷ ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) შესრულების შუალედური ანგარიში, 2017 წელი.

| | |
|--|---|
| | <p>იქნებოდა საჯარო მოხელეებისა და სახელმწიფო მფლობელობაში არსებული საწარმოს თანამშრომლებისათვის.</p> |
| <p>ინფორმაცია</p> | <p><u>გაავრცელა სახელმწიფომ ინფორმაცია გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების (UNGPs) შესახებ მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით, შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტების ან სხვა მასალების მეშვეობით?</u></p> <p>საქართველოს არ შეუმუშავებია გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებთან (UNGPs) დაკავშირებით რაიმე სახის შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტი ან მასალა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს მხრიდან ხშირად ხდება ადამიანის უფლებების საკითხებთან მიმართებაში მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება. საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნომ რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა სატელევიზო გადაცემაში, სადაც საუბარი იყო კორპორაციულ სოციალური პასუხისმგებლობასა და პასუხისმგებლიანი ბიზნესის პრინციპებზე.²⁸</p> <p>აქვე, აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის მთავრობას არ აქვს შემუშავებული შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტი.</p> |
| <p>სხვა ზომები UNGP-ის განხორციელებისთვის</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ სხვა ზომები, ქვეყნის ფარგლებში გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების (UNGPs) განსახორციელებლად?</u></p> <p>2016 წლის 29 ივლისს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დასაქმების თემაზე. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ შემდეგი უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის</p> |

²⁸ ვიდეო იხილეთ შემდეგ ლინკზე: https://www.facebook.com/OlgaBabluaniShow/videos/1881661992115671/?hc_ref=ARS1vNeoxMS5xsok9CQL-wUDIE_1--1LdkXEcUzjLYmJ2d-ulundZ3hW4PxaGLKkNg

| | |
|--|---|
| | <p>სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა) და ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში. შეხვედრის მიზანი იყო კონკრეტულ სამოქმედო გეგმაზე შეთანხმება რომელიც ხელს შეუწყობს შშმ პირების დასაქმებას ბიზნეს სექტორის მიერ. აღნიშნული ინიციატივა ხორციელდება მთავრობის, სამოქალაქო სექტორისა და ბიზნეს სექტორის თანამშრომლობით.²⁹</p> |
|--|---|

1.4. სხვა რელევანტური სტანდარტები და ინიციატივები

მონაწილეობს და უჭერს მხარს სახელმწიფო სხვა სტანდარტებს და ინიციატივებს ბიზნესთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით?

| ინდიკატორები | მიმოხილვითი შეკითხვები |
|---------------------------|---|
| <p>სტანდარტები</p> | <p><u>უჭერს სახელმწიფო მხარს სხვა სტანდარტებს ბიზნესი და ადამიანების უფლებებთან დაკავშირებით, როგორცაა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქმიანობის სტანდარტები, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო საწარმოებისთვის და გაეროს გლობალური შეთანხმება?</u></p> <p>საქართველოს კანონმდებლობა არ აკეთებს მითითებას ბიზნესისა და ადამიანის უფლებების ურთიერთობის საკითხზე რომელიმე სხვა სტანდარტის თუ ინიციატივის განხორციელებისათვის, თუმცა ცალკეული პოლიტიკური დოკუმენტები, სამოქმედო გეგმები, სტრატეგიები შეიცავს გარკვეულ დათქმებს.</p> <p>აღსანიშნავია, რომ 2014 წლის ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის³⁰ ითვალისწინებს ბიზნესისა და</p> |

²⁹ ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) შესრულების შუალედური ანგარიში, 2017 წელი.

³⁰ ასოცირების შეთანხმების სრული ქართული ტექსტი ხელმისაწვდომია აქ:

ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ცალკეული სტანდარტების დანერგვის ვალდებულებას, რაც ხაზს უსვამს საქართველოს მთავრობის ნებას, ხელი შეუწყოს აღნიშნული მიმართულების წახალისებას საქართველოში. ასოცირების შეთანხმების რამდენიმე დებულება, მათ შორის, ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშეწყობის, აგრეთვე, დასაქმების, სოციალური პოლიტიკის და თანაბარი შესაძლებლობების შესახებ დებულებები მიუთითებს სახელმწიფოს ვალდებულებაზე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის წახალისებასთან დაკავშირებით (მუხლები 231, 239, 348, 349), რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ბიზნესის მიერ ადამიანის უფლებათა პატივისცემის წახალისება. ამ კონტექსტში კი საქართველომ უნდა გაიზიაროს საუკეთესო გამოცდილება და სტანდარტები (მუხლები 231, 239, 352), განსაკუთრებით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სახელმძღვანელო საერთაშორისო საწარმოებისათვის (მუხლები 231, 352). ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშეწყობის დებულებები კონკრეტულ ვალდებულებებს აწესებენ გარემოს დაცვის სფეროში, რომლებიც შესაბამის ვადებში უნდა შესრულდეს, მათ შორის არის კერძო სექტორისათვის კონკრეტული გარემოსდაცვითი რეგულირებების შემოღება, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

სახელმწიფო ასოცირების ხელშეკრულებით იღებს ვალდებულებას, გააძლიეროს ვაჭრობის როლი მდგრადი განვითარების მისაღწევად, მათ შორის ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით მიმართულებებში (მუხლი 231, იხილეთ აგრეთვე მუხლები 227-230).

აღსანიშნავია, რომ ასოცირების შეთანხმების მუხლი 348, რომელიც კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე შრომის უფლებების ჭრილში საუბრობს, ასოცირების შეთანხმების შესრულების 2015 წლის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში არის ასახული, თუმცა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით სახელმწიფოს არც აქტივობებში და არც „იმპლემენტაციის გრაფაში“ არაფერი უწერია.

საქართველოს მთავრობის „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2016-2020 წლების სტრატეგიის“ ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ბიზნესის

<http://www.mfa.gov.ge/ევროპული-და-ევრო-ატლანტიკური-ინტეგრაცია/Association-Agreement.aspx> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 24 მარტს].

| | |
|--|--|
| | <p>პასუხისმგებლიანი ქცევის (Responsible Business Conduct) პოპულარიზაცია, რათა კერძო სექტორში ამაღლდეს ცოდნა ამ მიმართულებით OECD-სთან თანამშრომლობით. ამასთან, პასუხისმგებლიანი ბიზნეს ქცევის დანერგვის ხელშეწყობა და OECD-ს სახელმძღვანელოს³¹ პოპულარიზაცია, როგორც ზემოთ აღინიშნა, წამოადგენს ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთ მოთხოვნას (AA, მუხლი 352).³²</p> <p>როგორც უკვე ითქვა, ასოცირების შეთანხმება მოუწოდებს საქართველოს მთავრობას პასუხისმგებლიანი ბიზნესი გარდა OECD სახელმძღვანელოსა, წახალისოს საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ევროკომისია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო ინსტრუმენტებად შემდეგ სტანდარტებს მიიჩნევს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სახელმძღვანელო საერთაშორისო საწარმოებისათვის (OECD Guidelines for Multinational Enterprises) • გაეროს გლობალური შეთანხმების 10 პრინციპი (10 principles of the UN Global Compact) • გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო პრინციპები (UN Guiding Principles on Business and Human Rights) • საერთაშორისო საწარმოებისა და სოციალური პოლიტიკის პრინციპების საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის სამმხრივი დეკლარაცია (ILO Tri-partite Declaration of Principles on Multinational Enterprises and Social Policy) • ISO 26000 სოციალურ პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო სტანდარტები - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ISO 26000 Guidance Standard on Social Responsibility) |
|--|--|

³¹ OECD სახელმძღვანელო არის სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტი, რომლითაც სახელმწიფოები მიმართავენ მულტინაციონალურ საწარმოებს, დაიცვან საერთაშორისო სტანდარტები და პასუხისმგებლობით წარმართონ ბიზნესი. სახელმძღვანელოს ტექსტი ინგლისურად ხელმისაწვდომია აქ: <http://www.oecd.org/daf/inv/mne/48004323.pdf> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 24 ივნისს].

³² საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის დადგენილება №100 „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2016-2020 წლებისთვის და საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3206386> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 24 ივნისს].

| | |
|---------------------|---|
| | <p>შესაბამისად, ასოცირების შეთანხმების გათვალისწინებით ჩამოთვლილი სტანდარტებისადმი სწრაფვა, საქართველოს მთავრობის მიერ აღებულ ვალდებულებას წარმოადგენს.</p> |
| <p>ინიციატივები</p> | <p><u>იღებს მთავრობა მონაწილეობას ინიციატივებში, მრავალმხრივი ჩართულობით ან სხვაგვარად, ბიზნესის და ადამიანების უფლებების შესახებ, როგორცაა გლობალური ქსელის ინიციატივა (GNI), უსაფრთხოების კერძო კომპანიების ასოციაციის ქცევის საერთაშორისო კოდექსი (ICoCA), და უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების ნებაყოფლობითი პრინციპები (VPs)?</u></p> <p>გლობალური ქსელის ინიციატივა წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლის მიზნებიცაა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დაცული იყოს გამოხატვის თავისუფლება და კონფიდენციალობა ინტერნეტში. ორგანიზაციის წევრები არიან კერძო კომპანიათა გაერთიანებები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ინვესტორები და მეცნიერები³³. საქართველოს მთავრობა აღნიშნული ორგანიზაციის მუშაობაში მონაწილეობას არ იღებს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ამავე საკითხებთან დაკავშირებით შექმნილი ონლაინ თავისუფლების კოალიცია, რომელიც აერთიანებს 30 სახელმწიფოს მთავრობას ინტერნეტ თავისუფლების გაუმჯობესების მიზნით. საქართველო წარმოადგენს აღნიშნული კოალიციის წევრს და იღებს მონაწილეობას მის მუშაობაში. კოალიციის მეხუთე ყოველწლიური კონფერენცია ჩატარდა მონღოლეთში ქალაქ ულანბატარში. კონფერენციის თემა იყო „ინტერნეტის პოლიტიკის შემუშავება - ინტერნეტ თავისუფლების შესახებ საუკეთესო პრაქტიკები“. აღნიშნული კონფერენციის ერთ-ერთი სამუშაო პანელი იყო „კანონის უზენაესობა და ინტერნეტი: პრაქტიკული ნაბიჯები ინტერნეტში ადამიანის უფლებების დაცვისთვის“, რომლის ერთ-ერთი მომხსენებელი იყო საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს წარმომადგენელი.</p> |

³³ <https://www.globalnetworkinitiative.org/>

| | |
|--|---|
| | <p>რაც შეეხება უსაფრთხოების კერძო კომპანიების ასოციაციის ქცევის საერთაშორისო კოდექსს³⁴ და უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების ნებაყოფლობით პრინციპებს³⁵ მთავრობა არ მონაწილეობს აღნიშნულ ინიციატივებში. ამასთან, საქართველოს მთავრობა არ ფლობს კონსოლიდირებულ ინფორმაციას, თუ რამდენად მონაწილეობს ქართული კომპანიები აღნიშნულ ორგანიზაციებში, და არც შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებაა განსაზღვრული მოცემული ინფორმაციის შეგროვებისათვის.</p> |
|--|---|

1.5. ეროვნული კანონმდებლობა და რეგულაციები
 ითვალისწინებს ქვეყნის სამართლის სისტემა ბიზნესთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების დარღვევებისგან დაცვას?

| | |
|--------------|------------------------|
| ინდიკატორები | მიმოხილვითი შეკითხვები |
|--------------|------------------------|

| | |
|-------------|---|
| კონსტიტუცია | <p><u>შეიცავს კონსტიტუცია ფორმულირებას ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ?</u></p> <p>1995 წელს მიღებული საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი მთლიანად ადამიანის უფლებათა დაცვის ნორმებს მოიცავს და აქვეა გათვალისწინებული სახელმწიფოს ცალკეული ვალდებულებები მათი უზრუნველყოფის მისაღწევად. კონსტიტუციიდან გამომდინარე სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება უზრუნველყოს ადამიანის უფლებების დაცვა სხვა კერძო პირებისაგან, მათ შორის, ბიზნესისაგან, თუმცა ეს არ გულისხმობს ბიზნეს სუბიექტების ვალდებულებას, რაიმე აქტიური ქმედება განახორციელონ ადამიანის უფლებათა დასაცავად.</p> <p>გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის თანახმად, „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“. ხოლო კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით, „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის</p> |
|-------------|---|

³⁴ https://icoca.ch/en/the_icoc
³⁵ <http://www.voluntaryprinciples.org/>

| | |
|--|---|
| | <p>საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.“</p> <p>ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ECHR), ისევე, როგორც საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR)³⁶, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (ICESCR)³⁷ და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა ხელმომწერია საქართველო, ქვეყნის შიდა კანონმდებლობაზე მაღლა დგას.</p> <p>როგორც აღინიშნა, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით - ასოცირების შეთანხმებით აღებული აქვს ვალდებულება წახალისოს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა. ეს პროცესი უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს, მათ შორის, ისეთებს, რომელთა ხელმომწერია საქართველო (ICCPR, ICESCR და ა.შ.). გარდა ამისა, ასოცირების შეთანხმებას საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით შიდა კანონმდებლობაზე უპირატესი იურიდიული ძალა აქვს და საქართველოს ხელისუფლებამ ეფექტურად უნდა შეასრულოს აღებული ვალდებულებები. ხაზი უნდა გაესვას, რომ ასოცირების შეთანხმებით აქცენტი გაკეთებულია OECD სახელმძღვანელო პრინციპებზე.</p> <p>ინიციატივა</p> <p>საქართველოს პარლამენტის ორი სესიის მიერ მიღებულია საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტი (გამოქვეყნებული არ არის 2017 წლის 28 სექტემბრის მდგომარეობით), რომელიც გარკვეულ საკითხებს ძირეულად ცვლის.³⁸</p> |
|--|---|

³⁶ ოფიციალური ქართული ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 24 ივნისს].

³⁷ ოფიციალური ქართული ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1483577> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 24 ივნისს].

³⁸ კონსტიტუციური კანონის პროექტი ხელმისაწვდომია აქ: <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/152668?> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წის 16 ივლისს].

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ახალ რედაქციაში შენარჩუნებულია ზემოთ აღწერილი მე-7 მუხლის ტექსტი, რომელიც მე-4 მუხლში („სამართლებრივი სახელმწიფო“ მეორე პუნქტის სახით იქნება წარმოდგენილი, ხოლო ზემოთ აღწერილი მე-6 მუხლის მეორე პუნქტი, მე-7 მუხლის მე-5 პუნქტში იქნება ასახული.

კონსტიტუციაში ჩნდება „სოციალური სახელმწიფოს“ (მუხლი 5) და „ეკონომიკური თავისუფლების“ (მუხლი 6) მუხლები. პირველი აცხადებს, რომ საქართველო სოციალური სახელმწიფოა და ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებისათვის. აგრეთვე, ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე და ხელს უწყობს მოქალაქეს დასაქმებაში. სახელმწიფო ასევე ზრუნავს ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე.

ეკონომიკური თავისუფლება კი აღიარებული და უზრუნველყოფილია, სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა საკითხებს, კვლავ არ არის მოცემული ბიზნესის ვალდებულებები ადამიანის უფლებების პატივისცემის შესახებ. ცალკეული უფლებების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულია ისეთი საკითხები, როგორცაა მოწყვლადი ჯგუფების განსაკუთრებული დაცვა („სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის“ - მუხლი 11.4), ჯანმრთელობის უფლების დასაცავად საჭირო მექანიზმები („სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას, სამედიცინო მომსახურების ხარისხს, ფარმაცევტულ წარმოებას და ფარმაცევტული საშუალებების მიმოქცევას” - მუხლი 28.2). თუმცა არსებითი ცვლილება ბიზნესის მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არ ხორციელდება.

| | |
|--------------------------------|---|
| <p>შრომის სამართალი</p> | <p><u>მიიღო მთავრობამ შრომის კანონმდებლობა და რეგულაციები, დასაქმებულთა უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად?</u></p> <p>შრომის კოდექსი</p> <p>2013 წელს საქართველოს შრომის კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებები შევიდა, რის შედეგადაც იგი უფრო მეტად დაუახლოვდა შრომის საერთაშორისო სტანდარტებს და დასაქმებულთა უფლებრივი მდგომარეობაც გაუმჯობესდა. ამ ცვლილებების შედეგად აიკრძალა დისკრიმინაცია წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში; მნიშვნელოვნად შეიზღუდა ზეპირი და მოკლე ვადიანი ხელშეკრულებების დადება; დაკონკრეტდა შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები, რომლის შეცვლაც დამსაქმებელს არ შეუძლია ცალმხრივად; განისაზღვრა, რომ ბათილია ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების ის პირობა რომელიც ეწინააღმდეგება შრომით კოდექსს ან კოლექტიურ შეთანხმებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულება აუმჯობესებს დასაქმებულის მდგომარეობას; დაკონკრეტდა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლები და დადგინდა დასაქმებულის ვალდებულება წინასწარ გააფრთხილოს დასაქმებული შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ; შემოვიდა მედიაციის ინსტიტუტი კოლექტიურ შრომით დავებზე; კოდექსს დაემატა ცალკე თავები გაერთიანების თავისუფლება (თავი IX¹) და სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია (თავი XIII).</p> <p>შრომის კოდექსის მუხლი 2.3 კრძალავს დისკრიმინაციას შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში და განსაზღვრავს დისკრიმინაციის საფუძვლებს: აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო.</p> |
|--------------------------------|---|

| | |
|--|--|
| | <p>შრომის კოდექსი ასევე ადგენს დისკრიმინაციის განმარტებას: დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირი ან არაპირდაპირი შევიწროება რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისათვის ისეთი პირობების შექმნას რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით (მუხლი 2.4).</p> <p>იმ შემთხვევაში თუ შრომითი ურთიერთობა შეწყდა დასაქმებულთა გაერთიანებაში წევრობის ან ასეთი გაერთიანების შექმნის გამო ან სხვა რომელიმე დისკრიმინაციის საფუძვლით და დავა გაგრძელდა სასამართლოში, მტკიცების ტვირთი ეკისრება დამსაქმებელს თუ დასაქმებული მიუთითებს გარემოებებზე, რომელიც ქმნის გონივრული ვარაუდის საფუძველს, რომ იგი იყო დისკრიმინაციის მსხვერპლი (მუხლი 40²).</p> <p>შრომის კოდექსით დაცულია გაერთიანების თავისუფლება. დამსაქმებელს და დასაქმებულს აქვთ უფლება წინასწარი შეთანხმების გარეშე შექმნან გაერთიანება ან შეუერთდნენ უკვე არსებულს. გაერთიანებებს უფლება ეძლევათ შეიმუშაონ საკუთარი წესდება, შექმნან მართველი ორგანოები, აირჩიონ წარმომადგენლები და წარმართონ საკუთარი საქმიანობა. კანონი პირდაპირ კრძალავს დისკრიმინაციას გაერთიანებაში წევრობის ან საქმიანობის გამო (მუხლი 40¹, 40²).</p> <p>არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით პრაქტიკაში გაერთიანების თავისუფლება ხშირად ვერ რეალიზდება ეფექტურად; ორგანიზაციების ნაწილში საერთოდ არ არის პროფესიული გაერთიანებები. ხოლო იქ სადაც მსგავსი გაერთიანებები არსებობს, დამსაქმებელი ხშირად ქმნის ეგრეთ წოდებულ „ყვითელ პროფკავშირებს“ და ცდილობს დასაქმებულების გადაბირებას.³⁹ აღნიშნული საკითხი მოხვდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშშიც, სადაც აღნიშნულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ კანონით დაცულია გაერთიანების უფლება, ხარვეზები მაინც რჩება: შრომის კოდექსი კრძალავს</p> |
|--|--|

³⁹ სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, შრომის ინსპექტირების მექანიზმის შეფასება და დასაქმებულთა შრომითი უფლებების მდგომარეობა საქართველოში, შრომითი ურთიერთობები და პირობები მძიმე, მსუბუქ მრეწველობაში, ტრანსპორტისა და მომსახურების სფეროში; შრომის ინსპექტირების მექანიზმის მანდატისა და საქმიანობის შეფასება, თბილისი, 2017, გვ. 84-98.

| | |
|--|---|
| | <p>დისკრიმინაციას გაერთიანების წევრობის გამო, თუმცა არ ავალდებულებს დამსაქმებელს სამსახურში აღადგინოს დისკრიმინაციის გამო გათავისუფლებული თანამშრომელი. დამსაქმებელი ამ შემთხვევაში რჩება სასჯელის გარეშე და გათავისუფლებულ თანამშრომელს უწევს სასამართლოში ხანგრძლივი დავა. სახელმწიფო დეპარტამენტი ხაზს უსვამს ეფექტური შრომითი ინსპექციის საჭიროებას რათა უკეთესად იქნეს დაცული შრომითი უფლებები.⁴⁰</p> <p>გაფიცვის უფლება გარანტირებულია შრომის კოდექსით და განმარტებულია როგორც დასაქმებულის ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე. კანონმდებლობა პირდაპირ განმარტავს, რომ გაფიცვა არ უნდა გახდეს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი (მუხლი 46).</p> <p>გაფიცვის შეჩერება ან გადადება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს ნებართვით 30 დღის ვადით და მხოლოდ იმ შემთხვევებში თუ საფრთხე ემუქრება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას ან მესამე პირის საკუთრებას, აგრეთვე საციცოცხლო მნიშვნელობის სამსახურის საქმიანობას. საომარი მდგომარეობის დროს ასევე შეიძლება შეიზღუდოს გაფიცვა საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით და საქართველოს პრემიერ მინისტრის კონტრასიგნაციით. უშუალოდ სამუშაო პროცესის დროს გაფიცვა ეკრძალებათ იმ დასაქმებულებს რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან ან თუ ტექნოლოგიური ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია ამ საქმიანობის შეჩერება. ასეთ შემთხვევაში გაფიცვა სასამართლოს შეუძლია გამოაცხადოს უკანონოდ (მუხლი 49-52).</p> <p>გაფიცვის შეჩერება ან გადადება მესამე პირის საკუთრებისათვის საფრთხის შექმნის მოტივით პრობლემურია პროფესიული კავშირების გაერთიანებისთვის, რადგან ნებისმიერი გაფიცვა გავლენას ახდენს არა მხოლოდ თვითონ დამსაქმებელის არამედ მისი ბიზნეს პარტნიორების ინტერესებზეც, რომელიც შრომით დავებში მესამე პირად</p> |
|--|---|

⁴⁰ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველო 2016 ადამიანის უფლებათა ანგარიში, გვ. 45-46.

| | |
|--|--|
| | <p>შეიძლება იქნეს მიჩნეული. ამ მოტივით დამსაქმებელს უფლება ეძლევა ნებისმიერი გაფიცვის შეჩერება ან გადადება მოსთხოვოს სასამართლოს.⁴¹</p> <p>საგულისხმოა, რომ გაფიცვის დროს დამსაქმებელი არ არის ვალდებული მისცეს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება (მუხლი 49.9).</p> <p>შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 6 დეკემბრის №01-43/ნ ბრძანებით დამტკიცდა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საქმიანობების ნუსხა, რაც უკავშირდება გარკვეული კატეგორიის დასაქმებულთათვის გაფიცვის უფლების ჩამორთმევას. აღნიშნული ნუსხა საკმაოდ ფართოა და მოიცავს შემდეგს: ა) მუშაობა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურში; ბ) მუშაობა სტაციონარულ დაწესებულებებში ან/და ამბულატორიული დაწესებულების გადაუდებელი დახმარების სამსახურებში; გ) მუშაობა ელექტროენერჯის წარმოების, განაწილების, გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის სფეროში; დ) მუშაობა წყალმომარაგებისა და წყალარინების სფეროში; ე) მუშაობა სატელეფონო კავშირგაბმულობის სფეროში; ვ) მუშაობა საავიაციო, სარკინიგზო, საზღვაო და სახმელეთო მიმოსვლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში, ზ) მუშაობა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფის სამსახურებში, მათ შორის: ზ.ა) მუშაობა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მისი სისტემის დაწესებულებებში; ზ.ბ) მუშაობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მისი სისტემის დაწესებულებებში; ზ. გ) მუშაობა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და მისი სისტემის დაწესებულებებში; თ) მუშაობა სასამართლო ორგანოებში; ი) მუშაობა დასუფთავების მუნიციპალურ სამსახურებში; კ) მუშაობა სახანძრო უსაფრთხოების და სამაშველო სამსახურებში; ლ) მუშაობა ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების და განაწილების სფეროში; მ) მუშაობა ნავთობისა და გაზის მოპოვების, მომზადების, ნავთობის გადამუშავების და გაზის დამუშავების სფეროებში. ბრძანების მიხედვით ყველა ამ სამსახურებში დასაქმებულ ადამიანს აეკრძალა გაფიცვაში მონაწილეობა.</p> |
|--|--|

⁴¹ პროფესიული კავშირების გაერთიანება, *საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისობა შრომის საერთაშორისო სტანდარტებთან*, 2017, გვ. 6.

| | |
|--|--|
| | <p>ამას გარდა, პროკურატურის თანამშრომლებს ასევე ეკრძალებათ გაფიცვაში მონაწილეობის მიღება 2008 წლის 21 ოქტომბრის კანონის „პროკურატურის შესახებ“ 31-ე მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით.</p> <p>გაერთიანებული პროფკავშირების აზრით აღნიშნული სია არის საკმაოდ ფართო და მოიცავს ისეთ სამსახურებსაც, სადაც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაფიცვის აკრძალვა მიზანშეწონილი არ არის (მაგ. დასუფთავების სამსახური, ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების და განაწილების სამსახური, ნავთობისა და გაზის მოპოვების სამსახური).⁴²</p> <p>შრომის კოდექსი ავალდებულებს შრომით ურთიერთობებში მონაწილეებს, რომ შრომითი ხელშეკრულება დადონ წერილობითი ფორმით თუ შრომითი ურთიერთობა სამ თვეზე მეტ ხანს გრძელდება (მუხლი 6.1¹). ამის მიუხედავად, არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ან საერთოდ არ იდება შრომითი ხელშეკრულება ან დასაქმებულებმა არ იციან ამის შესახებ.⁴³</p> <p>შრომის კოდექსის მიხედვით 1 წელზე ნაკლები ვადით კონტრაქტი დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის შეიძლება გაფორმდეს მხოლოდ „ობიექტური გარემოებების“ არსებობისას (მუხლი 6.12 (ე)). ამავე კოდექსის მიხედვით შრომითი ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს „ობიექტური გარემოებების“ არსებობისას (მუხლი 37.1 (ო)). საგულისხმოა, რომ კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ დამსაქმებელს არ აქვს ვალდებულება დაასაბუთოს კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი. ტერმინი „ობიექტური გარემოება“ თავის მხრივ ფართო ინტერპრეტაციას ექვემდებარება. ასეთ პირობებში დასაქმებულს უჭირს შრომით უფლებებზე საუბარი, რადგან ემინია სამსახურის დაკარგვის. ასევე ხშირია დასაქმება არაფორმალური ეკონომიკის პირობებში, სადაც საერთოდ არ ფორმდება შრომითი ხელშეკრულება და სადაც შრომის პირობები ძალიან</p> |
|--|--|

⁴² პროფესიული კავშირების გაერთიანება, *საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისობა შრომის საერთაშორისო სტანდარტებთან*, 2017, გვ. 3.

⁴³ სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, *შრომის ინსპექტირების მექანიზმის შეფასება და დასაქმებულთა შრომითი უფლებების მდგომარეობა საქართველოში, შრომითი ურთიერთობები და პირობები მძიმე, მსუბუქ მრეწველობაში, ტრანსპორტისა და მომსახურების სფეროში; შრომის ინსპექტირების მექანიზმის მანდატისა და საქმიანობის შეფასება*, თბილისი, 2017, გვ. 28–29.

| | |
|--|--|
| | <p>მძიმეა. ესეთი შემთხვევები ხშირია ქუჩაში მომუშავე გამყიდველებთან და არარეგულირებად ბაზრობებზე.⁴⁴</p> <p>შრომის კოდექსის მიხედვით სამუშაო დროის ხანგრძლივობა კვირაში 40 საათს არ უნდა აღემატებოდეს; ხოლო სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოში, სადაც წარმოების/შრომითი პროცესი ითვალისწინებს 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს – კვირაში 48 საათს (მუხლი 14.1). პროფესიული კავშირების მოსაზრებით აღნიშნული რეგულირება დისკრიმინაციულია, რადგან უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოში დასაქმებულებს.⁴⁵ ამასთან პრობლემურია ზეგანაკვეთური ანაზღაურების დათვლის წესიც, ვინაიდან კანონმდებლობა არ განსაზღვრავს შაბათს და კვირას დასვენების დღეებად, სრულიად შესაძლებელია, რომ დასაქმებულმა კვირაში შვიდი დღე იმუშაოს მაგრამ არ გადააჭარბოს 40 ან 48 საათს და შესაბამისად ვერ მიიღოს დამატებითი ანაზღაურება.⁴⁶ ზეგანაკვეთური ანაზღაურებასთან დაკავშირებით კრიტიკა გამოთქვა ევროსაბჭოს სოციალური უფლებების ევროპულმა კომიტეტმაც, რომელმაც დაადგინა, რომ საქართველო არ არის შესაბამისობაში ქარტიის 2.2 მუხლის მოთხოვნებთან ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა არ ადგენს, რომ დასვენების დღეებში შესრულებული სამუშაო უნდა ანაზღაურდეს.⁴⁷</p> <p>რაც შეეხება გათავისუფლების წესს, შრომის კოდექსი ამომწურავად განსაზღვრავს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებს (მუხლი 37.1). 38.1 მუხლის მიხედვით დამსაქმებელი ვალდებულია არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით და გადაუხადოს მას კომპენსაცია არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს წესი არ მოქმედებს 37-ე მუხლით ნახსენებ ყველა საფუძველთან მიმართებაში, არამედ მხოლოდ 37.1.ა,ვ,კ და ო ქვეპუნქტებთან (ა) <i>ეკონომიკური</i></p> |
|--|--|

⁴⁴ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველო 2016 ადამიანის უფლებათა ანგარიში, გვ. 50.

⁴⁵ პროფესიული კავშირების გაერთიანება, *საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისობა შრომის საერთაშორისო სტანდარტებთან*, 2017, გვ. 4-5.

⁴⁶ სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, *შრომის ინსპექტირების მექანიზმის შეფასება და დასაქმებულთა შრომითი უფლებების მდგომარეობა საქართველოში, შრომითი ურთიერთობები და პირობები მძიმე, მსუბუქ მრეწველობაში, ტრანსპორტისა და მომსახურების სფეროში; შრომის ინსპექტირების მექანიზმის მანდატისა და საქმიანობის შეფასება*, თბილისი, 2017, გვ. 57.

⁴⁷ Activity Report 2016, European Committee of Social Rights, p.128. available at: <http://www.coe.int/en/web/turin-european-social-charter/activity-reports>

| | |
|--|---|
| | <p>გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას; ვ) დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან; ი) თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ხანგრძლივი შრომისუუნარობა – თუკი შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 60 კალენდარულ დღეს, ამასთანავე, დასაქმებულს გამოყენებული აქვს ამ კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული შევბუღება; ო) სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას) მიმართებაში.</p> <p>შრომის კოდექსი განსაზღვრავს მედიაციის წესს. კოლექტიური დავის შემთხვევაში დასაქმებულ და დამსაქმებელ ჯგუფს შორის შეიძლება გაიმართოს პირდაპირი მოლაპარაკება ან დაინიშნოს მედიატორი ერთ–ერთი მხარის მიერ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისთვის შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის გაგზავნის შემთხვევაში. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის შემთხვევაში მინისტრს უფლება აქვს დანიშნოს მედიატორი იმ შემთხვევაშიც თუ მხარეებმა ეს არ მოითხოვეს. საგულისხმოა, რომ მინისტრი უფლებამოსილია შეწყვიტოს შემათანხმებელი პროცედურები ერთპიროვნულად, დავაში მონაწილე სოციალური პარტნიორების აზრის გათვალისწინების გარეშე. პროფკავშირების აზრით, იმის გათვალისწინებით, რომ 21 დღიანი შემათანხმებელი პროცედურები სავალდებულო ეტაპია გაფიცვის უფლების მოსაპოვებლად (48¹ მუხლის მე-3 პუნქტი და 49-ე მუხლის მე-3 პუნქტი) მინისტრის მიერ აღნიშნული პროცედურების 21 დღეზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში შესაძლოა შეფერხდეს გაფიცვის უფლების რეალიზება.⁴⁸</p> <p>ბავშვები</p> <p>ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან. გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც არსებობს კანონიერი წარმომადგენლის ან მეურვეობის ორგანოს თანხმობა და როდესაც ზიანი არ ადგება ბავშვის ზნეობრივ,</p> |
|--|---|

⁴⁸ პროფესიული კავშირების გაერთიანება, საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისობა შრომის საერთაშორისო სტანდარტებთან, 2017, გვ. 6.

ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას, კერძოდ, ის ახერხებს სავალდებულო დაწყებითი და საბაზისო განათლების მიღებას (მუხლი 4).

შრომის კოდექსი შეზღუდვებს აწესებს ღამის საათებში ბავშვთა შრომასთან დაკავშირებით. კერძოდ, აკრძალულია ღამის სამუშაოზე (22 საათიდან 6 საათამდე) არასრულწლოვანის დასაქმება (მუხლი 18). არასრულწლოვანთა სამუშაო დრო განსხვავდება სრულწლოვანთა სამუშაო დროისგან. 14–16 წლის არასრულწლოვანის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს. ხოლო 16–18 წლის არასრულწლოვანის სამუშაო დრო არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 36 საათს (მუხლი 14). შრომის კოდექსი არ ადგენს ზეგანაკვეთური სამუშაოს ზედა ზღვარს არც ბავშვებისთვის და არც სრულწლოვანებისთვის.

ქალები

კანონმდებლობა იცავს ორსულ ქალებს და მეძუძურ დედებს მძიმე სამუშაოსგან. დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს ორსული ქალის დაცვა ისეთი სამუშაოსგან რომელიც საფრთხეს უქმნის მის ან მისი ნაყოფის კეთილდღეობას (შრომის კოდექსი, მუხლი 35.7). ორსული და მეძუძური ქალი ასევე დაცულია ღამის სამუშაოსგან (მუხლი 18) და ზეგანაკვეთური დატვირთვისგან (შრომის კოდექსი, მუხლი 17.2).

2017 წელს საქართველოს მთავრობამ მოახდინა ევროპის საბჭოს ქალებზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირება, რაც ითვალისწინებს მთელ რიგ საკანონმდებლო ცვლილებებს, მათ შორის საჯარო სამსახურის შესახებ კანონში და შრომის კოდექსში, კერძოდ, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსებისას თუ დასაქმებული პირი ვერ ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობას (წელიწადში არაუმეტეს 30 კალენდარული დღისა) უჩერდება სამსახურებრივი უფლებამოსილება. შეტყობინების ვალდებულება ასეთ შემთხვევაში ეკისრება მომსახურების გამწევს. ასეთი ტიპის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერებისას მოხელეს არ ეძლევა სამსახურებრივი სარგო ან კომპენსაცია.

ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება „ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების წესის“ დამტკიცების თაობაზე, რომელიც მამებისთვის შვებულების ანაზღაურების შესაძლებლობას მხოლოდ დედის გარდაცვალების შემთხვევაში ითვალისწინებს,⁴⁹ წინააღმდეგობაში მოდის კანონთან.⁵⁰ აუცილებელია სახელმწიფომ მიიღოს ეფექტიანი ზომები, რათა ბავშვის მოვლის გამო შვებულებით მამებმაც ისარგებლონ.⁵¹

2006 წლიდან მოყოლებული, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო შეიმუშავებს და ამტკიცებს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ სამოქმედო გეგმას. აღნიშნული გეგმის მიზანია ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის პოლიტიკის განვითარება, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენცია, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, თანამშრომლობა და შიდა კოორდინაცია.⁵²

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

შრომის კოდექსი კრძალავს შშმ პირის დასაქმებას ზეგანაკვეთურ სამუშაოზე (მუხლი 17.2) და ასევე ღამის სამუშაოზე (მუხლი 18) შშმ პირის თანხმობის გარეშე.

საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ განსაზღვრავს შშმ პირების შრომით უფლებებსაც, კერძოდ, შშმ პირებს თავიანთი შემოქმედებითი და საწარმო შესაძლებლობების რეალიზაციის მიზნით უფლება აქვთ

⁴⁹ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N231/ნ, მუხ. 10, პუნ. 6.

⁵⁰ მუხლი 27, საქართველოს შრომის კოდექსი; მუხ. 41¹, საჯარო სამსახურის შესახებ კანონი.

⁵¹ საქართველოს სახალხო დამცველი, ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული თანასწორობა, გვ. 14.

⁵² ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2017–2018 წლების სამოქმედო გეგმა, დამტკიცებულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ, 15 დეკემბერი 2016, ხელმისაწვდომია:

<http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/334>

იმუშაონ შრომის ჩვეულებრივი პირობების საწარმოში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში საკუთრებისა და მეურნეობის ფორმის მიუხედავად. კანონი კრძალავს შშმ პირის გათავისუფლებას ან სხვა სამუშაოზე გადაყვანას მისი თანხმობის გარეშე (მუხლი 21). კოლექტიური და ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებები არ უნდა აუარესებდეს შშმ პირის შრომით უფლებებს სხვა დასაქმებულებთან შედარებით (მუხლი 22.2) სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი, ადგილობრივი თვითმართველობისა და მმართველობის ორგანოები ეხმარებიან შინ ან ინდივიდუალურად მომუშავე შშმ პირებს აღნიშნული საქმიანობისათვის არასაცხოვრებელი შენობის გამოყოფაში, ნედლეულის შექმნასა და პროდუქციის გასაღებაში (მუხლი 22. 3). თუმცა, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კანონი არ საუბრობს აღსრულების მექანიზმებზე.

არასამთავრობო ორგანიზაციების აზრით კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ეფექტურ წამახალისებელ საშუალებათა მექანიზმებს იმ დამსაქმებლისათვის რომელიც შშმ პირს დაასაქმებს. 2016 წელს ამოქმედდა „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურეთა განვითარების სახელმწიფო პროგრამა“ და „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება–გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა“. აღნიშნული პროგრამები მინიმალურად ითვალისწინებენ შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტს და არ ეფუძნება საჭიროებების კვლევით მონაცემებს, კერძოდ, დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს არაუმეტეს 40 ბენეფიციარის დასაქმებასა და დასაქმებულის ხელფასის 50%-ის ოდენობით სახელმწიფოს თანამონაწილეობით სუბსიდირებას. ამასთან, პროგრამის მოქმედების ვადა 4-თვიანი ლიმიტით არის განსაზღვრული.⁵³

მიგრანტი მუშები

საქართველოში მომუშავე მიგრანტი მუშების საკითხი არ არის დარეგულირებული არც შრომის კოდექსით და არც სხვა ნორმატიული აქტებით. არ არსებობს მათ შესახებ სახელმწიფო სტატისტიკა. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, მათი დიდი ნაწილი ან დიდი ზომის უცხოურ კომპანიებშია დასაქმებული და ცხოვრობენ

⁵³ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის შესრულების თაობაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ყოვლისმომცველი ჩრდილოვანი ანგარიში, თბილისი, 2017, გვ. 59–60.

| | |
|--|---|
| | <p>სამუშაო ადგილზე ან შემოსულები არიან ქვეყანაში და მხოლოდ მას შემდეგ იწყებენ სამუშაოს ძებნას.⁵⁴</p> <p>მინიმალური ხელფასი</p> <p>საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივნისის N351 ბრძანებულებით მინიმალური ხელფასის ოდენობად განსაზღვრულია 20 ლარი. ბრძანებულების მე-5 პუნქტით განისაზღვრა, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის გათვალისწინებით საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროსა და ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით დადგენილი წესით უნდა წარედგინოს წინადადებები მინიმალური ხელფასის გაზრდის შესახებ.</p> <p>2005 წლის 24 იანვარს საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემულ იქნა N43 ბრძანებულება, რომლითაც აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მინიმალურ ოდენობად დადგინდა 135 ლარი.</p> <p>საარსებო მინიმუმი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არის ერთ მოსახლეზე სამომხმარებლო საქონლის ღირებულებითი გამოხატულება, რომელიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის შესაბამისად უზრუნველყოფს ადამიანის მინიმალური ფიზიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას (<i>საქართველოს კანონი საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ, მუხ. 2</i>).</p> <p>საქართველოში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 2016 წლის სექტემბრის მდგომარეობით განსაზღვრულია 157,3 ლარით, ხოლო საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი 263,5 ლარით. მინიმალური ხელფასი კერძო სექტორში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის მხოლოდ 12,7%-ს, ხოლო ოჯახის საარსებო მინიმუმის 7,59%-ს შეადგენს.</p> <p>სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია</p> |
|--|---|

⁵⁴ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველო 2016 ადამიანის უფლებათა ანგარიში, გვ. 50.

2013 წელს შეიქმნა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია (შემდგომ – სამმხრივი კომისია), რომლის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს: ა) ქვეყანაში სოციალური პარტნიორობის განვითარების, აგრეთვე დასაქმებულებს, დამსაქმებლებსა და საქართველოს მთავრობას შორის სოციალური დიალოგის წარმართვის ხელშეწყობა ყველა დონეზე; ბ) შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებში სხვადასხვა საკითხზე წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება (შრომის კოდექსი, მუხლი 523).

სამმხრივი კომისია არის სათათბირო ორგანო, რომელიც ანგარიშვალდებულია სამმხრივი კომისიის თავმჯდომარის – საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე. სამმხრივი კომისიის მხარეები არიან საქართველოს მთავრობა, ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა სექტორში მოქმედი დამსაქმებელთა გაერთიანებები და დასაქმებულთა გაერთიანებები. თითოეულ მხარეს სამმხრივ კომისიაში ჰყავს 6 წევრი, რომლებიც შესაძლებელია სხვადასხვა ორგანიზაციას წარმოადგენდნენ. ამ ორგანიზაციების წარმომადგენელთა სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში შეყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამმხრივი კომისიის თავმჯდომარე.

2016 წლის 15 მარტს საქართველოს მთავრობის №122 დადგენილებით ცვლილება შევიდა „სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის №258 დადგენილებაში. აღნიშნული ცვლილებით განისაზღვრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის უფლებამოსილება, საქართველოს პრემიერ-მინისტრის არყოფნის, დავალების ან სხვა გამონაკლის შემთხვევებში მოიწვიოს სამმხრივი კომისიის სხდომა.

სოციალური პარტნიორობა განმარტებულია როგორც შრომითი ურთიერთობების საკითხებთან დაკავშირებით სოციალურ პარტნიორებს – დამსაქმებლის (დამსაქმებელთა გაერთიანების), დასაქმებულის (დასაქმებულთა გაერთიანების) და სახელმწიფო დაწესებულების წარმომადგენლებს – შორის დიალოგისა და ურთიერთობათა სისტემა.

ხარვეზები

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში ხაზგასმულია, რომ შრომის კოდექსი არ კრძალავს დისკრიმინაციას კონკრეტულად შიდსის ვირუსით ან სხვა გადამდები დაავადებით დაავადებული პირების წინააღმდეგ. აქვე ნათქვამია, რომ არ ხდება დისკრიმინაციის ამკრძალავი ნორმების ეფექტურად იმპლემენტაცია პრაქტიკაში, რადგან არ არსებობს შრომის ინსპექცია, რომელსაც შეუძლია დააჯარიმოს დამრღვევი.⁵⁵

რაც შეეხება პრაქტიკას, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში საუბარია დისკრიმინაციის ფაქტებზე ასაკის, სექსუალური ორიენტაციის და გაერთიანების წევრობის ნიშნით. ხშირია კომპანიაში რეორგანიზაციის ფაქტები, რის საფუძველზეც ათავისუფლებენ საპენსიო ასაკს მიღწეულ თანამშრომლებს. გამოცხადებული ვაკანსიები ხშირად შეიცავს ასაკობრივ მოთხოვნებს.⁵⁶

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობა არ ადგენს აღნიშნული უფლების შეზღუდვის საკომპენსაციო მექანიზმებს, შრომითი დავების გადაწყვეტის გამარტივებულ წესს, სწრაფ და ეფექტურ არბიტრაჟს ან სხვა, რაც ხელს უშლის ასოციაციის თავისუფლებისა და კოლექტიური მოლაპარაკებების უფლების ეფექტურ განხორციელებას.

შრომის კოდექსი ადგენს დავის მხარეებისთვის უფლებას დავა გადასცენ შრომით არბიტრაჟს (მუხლი 48.8¹), თუმცა მსგავსი არბიტრაჟი საქართველოში არ არსებობს; კანონმდებლობა არ განსაზღვრავს მისი შექმნისა და ფუნქციონირების წესს.

შრომის კოდექსით არ არის დადგენილი ყოველდღიური სამუშაო საათების გონივრული რაოდენობა და ყოველკვირეული დასვენების დღეები. აღნიშნული საკითხი მოხვდა სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის 2016 წლის აქტივობის ანგარიშში, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველო არ აკმაყოფილებს ქარტიის 2.5 მუხლის მოთხოვნას, ვინაიდან ქართულ კანონმდებლობაში არ არის განსაზღვრული ყოველკვირეული დასვენების დღეები.⁵⁷

⁵⁵ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველო 2016 ადამიანის უფლებათა ანგარიში, გვ. 48.

⁵⁶ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველო 2016 ადამიანის უფლებათა ანგარიში, გვ. 48.

⁵⁷ Activity Report 2016, European Committee of Social Rights, p.129. available at: <http://www.coe.int/en/web/turin-european-social-charter/activity-reports>

| | |
|-----------|--|
| | <p>შრომის კოდექსით არ არის აღიარებული ქალთა და მამაკაცთა მიერ თანაბარი ღირებულების სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურების მიღების უფლება. აღნიშნული საკითხი მოხვდა სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის 2016 წლის აქტივობის ანგარიშში, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველო ვერ აკმაყოფილებს სოციალური ქარტიის მე-20 მუხლის მოთხოვნას თანაბარი ანაზღაურების შესახებ.⁵⁸</p> <p>აღსანიშნავია, რომ შრომის კოდექსი არ საუბრობს სტაჟირების მექანიზმზე. არც შრომის კოდექსი და არც რომელიმე სხვა ნორმატიული აქტი არ განსაზღვრავს ახალგაზრდა დასაქმებულებისა და შეგირდების მიერ სამართლიანი ხელფასის ან სხვაგვარი გასამრჯელოს მიღების უფლებას. აღნიშნული ასევე წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის ფორმას და აუცილებელია, რომ რეგულირდებოდეს შრომითი კანონმდებლობით.</p> <p>შრომის კანონმდებლობა არ აღიარებს გონივრულ მისადაგებაზე უარს როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას. აღსანიშნავია, რომ გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების შესახებ განსაზღვრავს გონივრულ მისადაგებას, როგორც აუცილებელ პირობას სხვა უფლებების რეალიზაციისთვის (მუხლი 2-5, CRPD). ევროსაბჭოს 2017–2023 წლების შპმ სტრატეგია პირდაპირ ადგენს, რომ უარი გონივრულ მისადაგებაზე წარმოადგენს დისკრიმინაციას.</p> |
| სამართალი | <p><u>მიიღო მთავრობამ გარემოს დაცვის კანონმდებლობა და რეგულაციები, თავისი მოქალაქეების ჯანმრთელობის, ჯანსაღი გარემოსა და საარსებო გარემოს, მათ შორის სუფთა წყლით, სუფთა ჰაერითა და დასამუშავებლად ვარგისი მიწით სარგებლობის უფლებების დაცვის და ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად?</u></p> <p><i>არსებული კანონმდებლობა</i></p> |

⁵⁸ Activity Report 2016, European Committee of Social Rights, p.128. available at: <http://www.coe.int/en/web/turin-european-social-charter/activity-reports>

| | |
|--|---|
| | <p><u>კონსტიტუცია</u></p> <p>საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის თანახმად,</p> <p>„3. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.</p> <p>4. სახელმწიფო ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობას, ქვეყნის მდგრად განვითარებას საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად.</p> <p>5. ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ.“</p> <p><u>საერთაშორისო ხელშეკრულებები</u></p> <p>საქართველოს რატიფიცირებული აქვს და, შესაბამისად, მისი კანონმდებლობის ნაწილია ორჰუსის „კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“, რომელიც საქართველოსთვის ძალაშია 2001 წლიდან.⁵⁹ აღნიშნული კონვენციიდან გამომდინარე საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი ფიზიკური თუ იურიდიული პირები (მათ შორის, ბიზნეს სუბიექტები) ვალდებული არიან გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია საჯარო გახადონ. ამავე კონვენციიდან გამომდინარე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ვალდებულია, პერიოდულად შეადგინოს გარემოს მდგომარეობის შესახებ</p> |
|--|---|

⁵⁹ ე.წ. ორჰუსის კონვენცია. ოფიციალური ქართული ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1210443> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 24 მარტს].

ეროვნული მოხსენება. ამ ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით კანონმდებლობის ანალიზი მოცემულია ქვემოთ, პრაქტიკაში იმპლემენტაციის შესახებ კი მე-3 პრინციპის შესაბამის ნაწილში.

1996 წლიდან ძალაშია რიო დე ჟანეიროს ე.წ. „დედამიწის სამიტზე“ მიღებული „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კონვენცია. 2014 წლის 8 მაისს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა 2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა, რომელიც კერძო სექტორის მიმართ უმეტესწილად მხოლოდ ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართულ აქტივობების განხორციელებას მოიცავს და ითვალისწინებს მთავრობის მიერ ბიონესის მიმართ ბიომრავალფეროვნების დაცვისაკენ მიზანმიმართული სავალდებულო ხასიათის რეგულაციების შემუშავებას (ტყის მდგრადი მართვის, დაცული ტერიტორიების მართვის, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული კონტროლის დახვეწა და ა.შ.).⁶⁰

აღსანიშნავია ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონკრეტული ვალდებულებები, სამართლებრივი ინსტრუმენტების შემუშავების თაობაზე, მაგალითად, სამრეწველო ემისიების შესახებ დირექტივის იმპლემენტაციის ვალდებულება, რაც გულისხმობს საწარმოებისათვის კონკრეტული ვალდებულებების გაწერას, რომელთა შესრულების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდება საწარმოო ემისიები. ასოცირების შესახებ შეთანხმების DCFTA-ის ნაწილში 230 მუხლთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს აქვს ვალდებულება მოახდინოს იმ საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებების შიდა დონეზე იმპლემენტაცია, რომლის წევრიც საქართველოა, საერთაშორისო (მდგრადი) ვაჭრობის კუთხით აღსანიშნავია „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებისა და ველური ფლორისა და ფაუნის საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენცია, რომლის იმპლემენტაციის მიზნით მუშავდება „ბიომრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი.

კანონები და კანონქვემდებარე აქტები

⁶⁰ სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2342057> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 24 მარტს]

საქართველოს კანონმდებლობა გარემოს დაცვის სფეროში რამდენიმე მნიშვნელოვან ნორმატიულ აქტს მოიცავს, საერთო ჯამში, გარემოსდაცვითი კანონმდებლობა საქართველოში მოიცავს 40-მდე კანონს, რომლებიც შემდეგი ძირითადი მიმართულებების მიხედვით შეიძლება დაიყოს:

- 1) გარემოს დაცვა, ეკოლოგიური უსაფრთხოება;
- 2) ბუნებრივი რესურსების მართვა - დაცვა და სარგებლობა;
- 3) დაცული ტერიტორიები, კურორტების დაცვა;
- 4) სივრცითი მოწყობა (ეკოლოგიის საკითხებთან მიმართებით).

გარემოს დაცვა, ეკოლოგიური უსაფრთხოება

გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების მიმართულებით უმთავრესი საკანონმდებლო აქტია 1996 წლის საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“⁶¹ რომელიც არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში. კანონის მეხუთე მუხლი გარემოს დაცვის პრინციპებს განსაზღვრავს, ხოლო სახელმწიფო, ისევე, როგორც ფიზიკური და იურიდიული პირები (შესაბამისად, ბიზნეს სუბიექტებიც) ვალდებული არიან ამ პრინციპებით ისარგებლონ. საქმიანობის სუბიექტი (ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი) თავისი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისას ვალდებულია, მიიღოს სათანადო ზომები გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების რისკის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად. ამასთანავე, მოქმედებს პრიორიტეტულობის (ნაკლებრიკიანი, თუნდაც უფრო ძვირადღირებული ქმედებით ჩანაცვლება), ფასიანი ბუნებათსარგებლობის, ნარჩენების მინიმუმზაციის და სხვა პრინციპები, რომლებიც ხაზს უსვამს ნებისმიერი საქმიანობის განმახორციელებლის მხრიდან გარემოს დაცვის

⁶¹ საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 24 მარტს].

სხვადასხვა ვალდებულებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია რესტიტუციის პრინციპი, რომლის თანახმადაც, „საქმიანობის განხორციელების შედეგად დეგრადირებული გარემო აღდგენილი უნდა იყოს პირვანდელ (restitutio in integrum) მდგომარეობასთან მაქსიმალურად მიახლოებული სახით“, აგრეთვე „დამზინძურებელი იხდის“ პრინციპი, რომელიც გულისხმობს საქმიანობის სუბიექტის, ასევე სხვა ფიზიკური და იურიდიული პირის ვალდებულებას, აანაზღაუროს გარემოსათვის მიყენებული ზიანი. აღნიშნული პრინციპები დეტალურად არის კანონში განმარტებული.

კანონის მე-15 მუხლის თანახმად, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისათვის იქმნება გარემოს დაცვის დაგეგმვის სისტემა,⁶² რომლის ნაწილია საქმიანობის ობიექტების მიერ ნებაყოფლობით შედგენილი გარემოს დაცვის სამენეჯმენტო გეგმა, აღნიშნული გეგმა არის გარემოს დაცვის სამენეჯმენტო სისტემის ნაწილი, ეს უკანასკნელი კი საქმიანობის ობიექტის მართვის სისტემისა და ბიზნეს-სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს გარემოზე ზემოქმედების საკითხებთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებულ, ობიექტის ფუნქციონირების ყველა ასპექტს (გარემოს დაცვის სამენეჯმენტო გეგმის, გარემოსდაცვითი პოლიტიკის, ორგანიზაციისა და კადრების, გარემოს დაცვის ნორმების რეესტრის ჩათვლით).

„ფასიანი ბუნებათსარგებლობისა“ და „დამზინძურებელი იხდის“ პრინციპებიდან გამომდინარე საქართველოში დადგენილია გარემოზე მავნე ზემოქმედებისათვის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის და სხვა გადასახადები. კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გადასახადების გადახდა არ ათავისუფლებს საქმიანობის სუბიექტს გარემოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებისაგან. აღსანიშნავია, რომ „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის მე-17 მუხლი ადგენს ეკოლოგიურად განსაკუთრებით საშიში

⁶² გარემოს დაცვის დაგეგმვის სისტემას წარმოადგენს „საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა“ (NEAP). NEAP-ის მიზანია არსებული გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრისათვის კომპლექსური მიდგომის ჩამოყალიბება, მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრა და მათ მისაღწევად საჭირო ქმედებების დაგეგმვა. დოკუმენტი ასახავს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, სხვა პარტნიორი და ჩართული სამინისტროების, სამთავრობო უწყებებისა თუ ადგილობრივი თვითმმართველობების კოორდინირებულ სამოქმედო გეგმას. ბოლო დოკუმენტი, „საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა (NEAP2), მოიცავს 2012-2016 წლებს, აღნიშნული დოკუმენტი გამოქვეყნებულია სამინისტროს ვებ-გვერდზე: <http://moe.gov.ge/res/images/file-manager/strategiuli-dokumentebi/strategiebi-gegmebi/garemos-dacvis-moqmedebata-meore-erovnuli-programa-2012-2016.pdf>. ასევე, ამ ეტაპზე შემუშავების პროცესშია „საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა (NEAP3) 2017-2021 წლებისათვის. ინფორმაციის წყარო: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2017 წლის 2 ივნისის N4856 წერილი კვლევის ავტორებს.

საქმიანობის ობიექტების სავალდებულო ეკოლოგიურ დაზღვევას, რომლიდან შემოსული თანხები უნდა მოხმარდეს ეკოლოგიური ავარიისა და კატასტროფის შედეგების აღმოფხვრასა და პროფილაქტიკას.

„გარემოს დაცვის შესახებ“ კანონი ასევე ადგენს ეკონომიკური სტიმულირების შესაძლებლობას (რეკლამით, საგადასახადო შეღავათით ან შეღავათიანი სახელმწიფო კრედიტით) ეფექტური გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელების ხელშეწყობას.

აღსანიშნავია, რომ „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონი იცნობს გარემოსდაცვითი აუდიტის ჩატარების შესაძლებლობას, რომელიც საქმიანობის სუბიექტმა (ბიზნესმა) ან სამინისტრომ შეიძლება ჩაატარონ. აუდიტი წარმოადგენს საქმიანობის სუბიექტის მიერ გარემოს დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა, გარემოს დაცვის ნორმების (თვით საქმიანობის სუბიექტის მიერ დადგენილის ჩათვლით) შესრულებისა და ბუნებათსარგებლობის სისტემის მართვის ეფექტურობის ანალიზს, რომელიც მოიცავს მთელ საწარმო-ტექნოლოგიურ ციკლს და ტარდება საქმიანობის ეკოლოგიური შეფასებისა და მოხმარებული ბუნებრივი რესურსების დანაკარგების, გარემოზე მავნე ზემოქმედებისა და ნარჩენების მინიმიზაციის გზებისა და საშუალებების გამოვლენის მიზნით. აღნიშნული აუდიტის ჩატარების სხვა პროცედურები კანონმდებლობაში დადგენილი არაა, თუმცა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ კანონი იცნობს ეკოლოგიურ აუდიტს, რომელიც თითქმის იმავე მიზნით (მიმდინარე საქმიანობის განხორციელების პროცესში ამ საქმიანობის ტექნიკური, ეკოლოგიური და სოციალური მაჩვენებლების კომპლექსური ანალიზი, რომელიც მოიცავს მთელ საწარმო-ტექნოლოგიურ ციკლს და ტარდება გარემოზე მავნე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირების საშუალებების დადგენისა და საქმიანობის მოქმედ გარემოსდაცვით ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით) ტარდება. ამ უკანასკნელის დეტალური პროცედურები გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 11 ივნისის N201 ბრძანებით არის გაწერილი.

კანონი სახელმწიფოსგან კერძო საკუთრებაში ქონების გადასვლისას გარემოსდაცვით ვალდებულებებზეც განსაზღვრავს, რომ საქართველოს გარემოს დაცვის კანონმდებლობის დარღვევით სამეურნეო ობიექტის პრივატიზებამდე საქმიანობის განხორციელების

| | |
|--|--|
| | <p>შედეგად გამოწვეული ზარალის ანაზღაურება ეკისრება პრივატიზებული სამეურნეო ობიექტის ყოველ ახალ მესაკუთრეს, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.</p> <p>კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ ადგენს გარემოს დაცვის ცალკეულ ნორმებს, რომელთა შესრულება საქმიანობის სუბიექტებისთვისაც სავალდებულოა. რითაც ბიზნეს სუბიექტები იზღუდებიან გარემოზე ზემოქმედების პროცესში.</p> <p>კანონის 39-ე მუხლის თანახმად, საქმიანობისას უნდა შესრულდეს ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნები, გათვალისწინებულ იქნეს გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, გარემოს აღდგენის ღონისძიებები და მათი განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური საშუალებები.</p> <p>კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“⁶³ ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. გზშ შეისწავლის, გამოავლენს და აღწერს საქმიანობის პირდაპირ და არაპირდაპირ ზეგავლენას ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, მცენარეულ საფარსა და ცხოველთა სამყაროზე, ნიადაგზე, ჰაერზე, წყალზე, კლიმატზე და ა.შ., როგორც ნებართვის გაცემის წინაპირობას ამავე კანონით გათვალისწინებული საქმიანობებისათვის. ნებართვის გაცემის ერთ-ერთი წინაპირობაა ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა, რომლის პროცედურები ცალკე კანონით არის დარეგულირებული.⁶⁴</p> <p>2015 წლის 15 იანვრიდან ძალაშია საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“, რომელიც ეფუძნება საქართველო-ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივებისა და რეგულაციების მოთხოვნებს, ასევე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.</p> |
|--|--|

⁶³ საქართველოს კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/20206> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 24 მარტს].

⁶⁴ საქართველოს კანონი ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/20212> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 24 მარტს].

| | |
|--|---|
| | <p>კოდექსით განსაზღვრულია ნარჩენების მართვაში ჩართული პირებისთვის მთელი რიგი ვალდებულებები (გარემოსდაცვითი მმართველის განსაზღვრა, კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და შეთანხმება, ნარჩენების აღრიცხვა და ანგარიშგება და ა.შ.). კოდექსი ასევე ითვალისწინებს მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას, რომელიც 2019 წლიდან ამოქმედდება. კერძოდ, ისეთი პროდუქტის უშუალო მწარმოებელმა, რომელიც შემდგომ სპეციფიკური ნარჩენი (შეფუთვის ნარჩენები, საბურავები, გამოყენებული ზეთები, ბატარეები, აკუმულატორები, ელექტრ. მოწყობილობები და სხვ.) ხდება, და ამ პროდუქტის ბაზარზე განმთავსებლებმა უნდა იზრუნონ ისეთი პროდუქტის შექმნაზე და ბაზარზე განთავსებაზე, რომელიც განკუთვნილია მრავალჯერადი გამოყენებისათვის, ტექნიკურად გამძლეა და რომლისგან წარმოქმნილი ნარჩენები ხელსაყრელია აღდგენისათვის და უსაფრთხოა გარემოში განსათავსებლად. ამასთან პროდუქტის მწარმოებელი და პროდუქტის ბაზარზე განმთავსებელი ვალდებულია უზრუნველყოს თავისი პროდუქტისაგან წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, ტრანსპორტირება, აღდგენა (მათ შორის რეციკლირება) და გარემოსათვის უსაფრთხო განთავსება.</p> <p>კოდექსიდან გამომდინარე დამტკიცებულია ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია (2016-2030), რომელიც განსაზღვრავს ქვეყანაში ნარჩენების მართვის პოლიტიკას და სტრატეგიულ მიმართულებებს 15 წლიანი პერიოდისათვის და ემსახურება ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების ეფექტიან იმპლემენტაციას. სტრატეგიის პარალელურად შემუშავებული და მიღებული იქნა ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა (2016-2020). რომელიც მოიცავს კომპანიების მიერ ნარჩენების პრევენციის ღონისძიებების განხორციელებას 2020 წლისთვის. ასევე, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების მწარმოებლების მიერ ბოთლებისა და ქილების დაბრუნების სისტემის დანერგვის ხელშეწყობა და სხვა.</p> <p>ასევე კოდექსის საფუძველზე და მისი განხორციელების მიზნით მიღებულია და გამოცემულია მთელი რიგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.⁶⁵</p> |
|--|---|

⁶⁵ იხ. მთავრობის 2016 წლის 29 მარტის დადგენილებები N143, N144, N145, N146.

გარემოსა და ეკოლოგიის დაცვის თვალსაზრისით ასევე აღსანიშნავია „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ავალდებულებს ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, შესაბამისად, ბიზნეს სუბიექტებს, დაიცვან დადგენილი მოთხოვნები და მოსალოდნელი ან მომხდარი ტექნოგენური ავარიისა და სხვა ეკოლოგიური კატასტროფის შესახებ ინფორმაციის მიღებისას დროულად აცნობონ სათანადო კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს ან განაცხადონ საჯაროდ.

ბიზნეს სუბიექტებს გარკვეული ვალდებულებები აქვთ პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მიმოქცევისა და გამოყენებასთან მიმართებით, კერძოდ, ისინი ვალდებული არიან ასეთი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში შესაბამის სახელმწიფო ორგანოს წლის ბოლოს მიაწოდონ ინფორმაცია, დაიცვან უსაფრთხო მოხმარების წესები, მოთხოვნისთანავე მიაწოდონ მაკონტროლებელ ორგანოებს ინფორმაცია, განახორციელონ რეგისტრაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, წარადგინონ ნიმუშები სარეგისტრაციო პროცედურისათვის და ა.შ.⁶⁶

ბუნებრივი რესურსების მართვა - დაცვა და სარგებლობა

რაც შეეხება ბუნებრივი რესურსების მართვის მიმართულებით კანონმდებლობას, მასში შედის ნიადაგის, ტყის, წყლის, ცხოველთა სამყაროს, წიაღის, ნავთობისა და გაზის შესახებ კანონები. აღნიშნული აქტები ადგენენ ზოგად ვალდებულებებს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის, დაიცვან შესაბამისი რესურსები და არ დაზარალონ ისინი. თუმცა, კერძო სუბიექტებისათვის (მ.შ. ბიზნესისათვის) დადგენილი ცალკეული წესები ცალკე აღნიშვნის ღირსია. კერძოდ,

ა) „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს გარკვეულ აკრძალვებს,⁶⁷ როგორცაა ნიადაგის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების, ანგარებით ან პირადი მიზნით ნაყოფიერი ფენის მოხსნის, ნებისმიერი ქმედების, რომელიც გააუარესებს ნიადაგის თვისებებს და სხვა აკრძალვები.

⁶⁶ საქართველოს კანონი „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/18106> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 25 ივნისს].

⁶⁷ კანონის ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/93874> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 27 ივნისს].

| | |
|--|---|
| | <p>ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი კი იცნობს ამ კანონის დარღვევისათვის შესაბამის პასუხისმგებლობას.⁶⁸</p> <p>ბ) „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონი შეიცავს წყალ მოსარგებლის (ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი) ვალდებულებებს, შეინარჩუნოს ხარისხი, რაციონალურად გამოიყენოს რესურსი, დაიცვას უსაფრთხოება და უფლებების შეზღუდვის შესაძლებლობებს, განსაკუთრებული მცირე წყლიანობის, წყლის ობიექტზე ავარიული სიტუაციის, ეპიდემიისა და ეპიზოტიის გაჩენის საშიშროების, სტიქიური უბედურების, სამხედრო მოქმედებების დროს და სხვა ექსტრემალურ ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე სხვა წყალ მოსარგებლეთა ინტერესების გამო; მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად, თევზის დასაცავად და სხვა თვალსაზრისით.⁶⁹ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 5 ნოემბრის N308/ნ ბრძანებით კი დადგენილია წყალ მოსარგებლეთა უფლებების შეზღუდვის წესები განსაკუთრებულ შემთხვევებში, სადაც მოცემულია წყალ მოსარგებლე ფიზიკური ან იურიდიული პირებისათვის დადგენილი სპეციფიური ვალდებულებები.</p> <p>გ) „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონი შედარებით დეტალურ რეგულაციებს მოიცავს ამ რესურსების სარგებლობის შესახებ.⁷⁰ კანონით განსაზღვრულია საქმიანობის ლიცენზიის ქონის აუცილებლობა ნავთობისა და გაზის სარგებლობისათვის, ლიცენზიის მფლობელს კი საკმაოდ ფართო მოვალეობები აქვს, მათ შორის, დაიცვას ტრანსპორტირების ტარიფი; საქმიანობის ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისას უზრუნველყოს საზოგადოების უსაფრთხოება და გარემოს დაცვა; გაუთვალისწინებელი შემთხვევებისათვის შეიმუშაოს გეგმა, წვრთნა ჩაუტაროს პერსონალს და დაამონტაჟოს საჭირო აპარატურა, რათა ავარიის შემთხვევაში მიიღოს დროული და ეფექტიანი ზომები; საქმიანობის ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისას არ მიაყენოს ზიანი საქართველოს ისტორიული და კულტურული</p> |
|--|---|

⁶⁸ იხ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლები 51-52.

⁶⁹ კანონის ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33448> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 27 ივნისს].

⁷⁰ კანონის ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/18424> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 27 ივნისს].

მემკვიდრეობის ძეგლებს; იგი პასუხისმგებელია ფინანსურად ზიანისათვის (აღამიანთა სხეულის დაზიანება, დაავადება, სიკვდილი, ქონებრივი ზიანი, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება და სხვ.), რომელიც გამოწვეულია საქმიანობის ლიცენზიით განსაზღვრულ საქმიანობასთან დაკავშირებული მოქმედებით ან უმოქმედობით; საქმიანობის ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისას თანაბარ პირობებში უპირატესობა მიანიჭოს საქართველოს მოქალაქეებს, სამუშაოებზე არ დაუშვას სათანადო კვალიფიკაციის არმქონე პირები. ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია ხელმისაწვდომი გახადოს ელექტროენერგია, წყალი, კანალიზაცია და საზოგადოებრივი დანიშნულების სხვა ობიექტები, გზები, ხიდები, ნავსადგურები და სხვა, თუმცა არადისკრიმინაციულ საფუძველზე.

დაცული ტერიტორიები და კურორტების დაცვა

დაცული ტერიტორიების შესახებ კანონმდებლობა ითვალისწინებს შედარებით ზოგად დებულებებს ყველა სუბიექტისათვის, მათ შორის, ბიზნესისათვის, რაც მოიცავს ასეთი ტერიტორიის და მასზე არსებული რესურსის დასაცავად დადგენილ ვალდებულებებს და ადგენს როგორც პრევენციულ (ჯარიმის დაწესება), ასევე ზარალის კომპენსაციის მოვალეობას.⁷¹

სივრცითი მოწყობა

რაც შეეხება სივრცითი მოწყობის შესახებ კანონმდებლობას, მისი ნაწილი განხილულია შემდეგ კითხვაზე პასუხში, თუმცა დასამუშავებელი მიწის შესახებ არსებული რეგულირების მიმოხილვისათვის აღსანიშნავია „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც სპეციალურ რეჟიმს აწესებს ამ ტიპის მიწის ნაკვეთებისათვის.⁷² სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისად მიიჩნევა მიწა, რომელიც გამოიყენება მემკვიდრეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისათვის. კანონით დადგენილია რეგულაციები, რომლებიც მიზნად ისახავს

⁷¹ იხ. კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32968> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 27 ივნისს].

⁷² კანონის ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32998> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 27 ივნისს].

| | |
|--|--|
| | <p>ხსენებული დანიშნულების შენარჩუნებას, აკრძალულია სხვა დანიშნულებით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გამოყენება.</p> <p>სამთავრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ ასევე ეხება გარემოს დაცვის თემას და წარმოადგენს სახელმწიფოს პოლიტიკური ვალდებულებების ნაწილს.⁷³ პროგრამის მიხედვით:</p> <p>„გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება მთავრობის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. მთავრობის მიზანია დანერგოს „მწვანე ეკონომიკის“ პრინციპები და ხელი შეუწყოს „მწვანე ბიზნესის“ განვითარებას. [...]</p> <p>ხელი შეეწყობა ქვეყანაში მდგრადი განვითარებისა და „მწვანე ეკონომიკის“ პრინციპების დანერგვას. შემუშავდება/დაიხვეწება გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის მექანიზმები. გატარდება ღონისძიებები გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების ამაღლების ხელშესაწყობად.“</p> <p><i>ხარვეზები</i></p> <p>კანონმდებლობის ანალიზით გამოიკვეთა, რომ გარემოს დაცვის შესახებ სხვადასხვა კანონმდებლობა მეტ-ნაკლებად ითვალისწინებს ბიზნესისათვის ვალდებულებებს, თუმცა ისინი უმეტესწილად ზოგადი ხასიათისაა და ცალკეული მექანიზმები არ მოქმედებს. მაგალითად, თუმცა კანონის მუხლი, რომელიც ეხება ეკოლოგიურ დაზღვევას, დღემდე არ ამუშავებულა და არ არსებობს მისი განხორციელების მექანიზმები.⁷⁴ არ არსებობს გარემოსდაცვითი აუდიტის გაწერილი პროცედურები.</p> |
|--|--|

⁷³ პროგრამა ხელმისაწვდომია აქ:

http://gov.ge/files/53185_53185_636375_mtavrobis_programa_27.12_.15.pdf

[უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 25 აპრილს].

⁷⁴ კავშირი მდგრადი განვითარებისათვის – ეკოხედვა/ECOVISION, „საქართველოს კლიმატის ცვლილებისა და მასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის შეფასება“. 2016. ხელმისაწვდომია აქ:

http://ecovision.ge/uploads/files/2016-08/1471336635_cc-and-ph-analysis-report-final-georgia.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 24 მარტს].

აგრეთვე, არ გვხვდება „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონით დადგენილი ეკონომიკური სტიმულირების შესაძლებლობა ეფექტური გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელების ხელშესაწყობად, არც საგადასახადო ან სხვა შეღავათის სახით, გარდა ჰიბრიდულ მსუბუქ ავტომობილებთან დაკავშირებით საქართველოს საგადასახადო კოდექსში გათვალისწინებული ცვლილებები,⁷⁵ რომლებიც უშუალოდ ბიზნესის მიმართ არ არის და ზოგად სტიმულირებას ითვალისწინებს ნებისმიერი პირისათვის. აგრეთვე არ გვხვდება რეგულირება გარემოს დაცვის სამენეჯმენტო გეგმის შედგენის წესისა და პერიოდულობის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს ვალდებულებას, კანონმდებლობაში ასეთი წესი არსებობდეს. შესაბამისად, ბიზნეს სუბიექტებს არ აქვთ ვალდებულება ბიზნეს-სტრატეგიის ნაწილი იყოს აღნიშნული გეგმა.

ინიციატივა:

1) ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების მიზნით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს, ქვეყანაში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მსოფლიოში არსებულ ეკოლოგიურ გამოწვევებთან გამკლავებაში საქართველოს წვლილის შესატანად.

სამინისტროს განცხადებით, ამ მხრივ, სამინისტროს უმთავრესი მიზანია საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს გარემოსდაცვითი საკანონმდებლო ბაზა. შესაბამისად, სამინისტროს მიერ (ხშირ შემთხვევაში საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად) მუშავდება კანონპროექტები, რომელთა მიზანია აღმოფხვრას ქართულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები.

აღნიშნული კანონპროექტებიდან შეიძლება გამოიყოს „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტიანი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემის ჩამოყალიბებას, რაც ორიენტირებული იქნება გარემოსათვის ზიანის მიყენების პრევენციაზე ან დაზიანებული

⁷⁵ ინფორმაციის წყარო: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2017 წლის 2 ივნისის N4856 წერილი კვლევის ავტორებს.

გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენაზე. კანონი გაითვალისწინებს გარკვეულ ვალდებულებებს, მათ შორის ბიზნეს სუბიექტებისათვის, გარემოსათვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის პრევენციისა და გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის თვალსაზრისით.⁷⁶

2) უნდა აღინიშნოს წიაღით სარგებლობის სფეროში დაგეგმილი რეფორმები, კერძოდ სამთო მოპოვებითი საქმიანობის მიმართულებით სამინისტრო თანამშრომლობს აშშ-ს სატყეო სამსახურთან (USFS), კერძოდ, USFS-ის კოორდინაციით მიმდინარე წლის ივნისი - სექტემბრის პერიოდში მიმდინარეობს სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დამუშავების გეგმის (რომელიც რეკულტივაციასაც მოიცავს) ტექნიკური რეგლამენტის პროექტის შემუშავება, რომელიც არსებითად მნიშვნელოვანია ახალი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ ეფექტიანი აღსრულებისათვის და ასევე მოცემული ტექნიკური რეგლამენტი დაადგენს კონკრეტულ მოთხოვნებს წიაღით მოსარგებლეებისათვის, გაუადვილებს მათ საქმიანობას, რათა ზუსტად იქნება განსაზღვრული რა ტიპის გეგმა უნდა წარმოადგინოს საქმიანობის განმახორციელებელმა სუბიექტმა, რათა მის მიერ დაგეგმილი საქმიანობა განხორციელდეს კანონმდებლობისა და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვით.

წარმატებით დასრულდა მოლაპარაკებები ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) სამთო მოპოვებით სექტორში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად სტრატეგიისა და საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავების მიზნით ექსპერტულ მხარდაჭერასთან დაკავშირებით. შეთანხმების შედეგად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს ზემოაღნიშნულ რეფორმასთან დაკავშირებული ე.წ. ტექნიკური დავალება, რომელიც მოიცავს წიაღის სექტორის პოლიტიკის შემუშავებას, საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნასა და ამ მიმართულებით აუცილებელი ადამიანური რესურსების გაძლიერებას.⁷⁷

3) 2017 წლის 1 ივნისს მიღებულ იქნა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს გარემოს, ადამიანის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის, კულტურული მემკვიდრეობისა და მატერიალური ფასეულობების დაცვას ისეთი

⁷⁶ წყარო: გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. ინფორმაცია მიღებულია 2017 წლის 3 აგვისტოს.

⁷⁷ წყარო: გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. ინფორმაცია მიღებულია 2017 წლის 3 აგვისტოს.

სტრატეგიული დოკუმენტის ან საქმიანობის განხორციელების პროცესში, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე; უზრუნველყოს გარემოს მდგომარეობის შესახებ სრული და ობიექტური ინფორმაციის დროულად მიღების საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლების რეალიზაცია, აგრეთვე გარემოსდაცვით საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა; სახელმწიფოსა და საზოგადოების გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების თანაზომიერი გათვალისწინება ისეთი სტრატეგიული დოკუმენტის ან საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე. კანონით ევროკავშირის შესაბამისი დირექტივებს, ესპოს კონვენციისა და მისი ოქმით, ასევე ორჰუსის კონვენციით გათვალისწინებული რეგულაციების ქართულ კანონმდებლობაში დანერგვა ხდება. შემუშავდა ჰიდროელექტროსადგურებიდან გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც დაეხმარება სამინისტროს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი მოთხოვნების სრულყოფილად შესრულებას.⁷⁸

ახალი კანონის მიხედვით, გაფართოვდება და ამომწურავად ჩამოყალიბდება იმ საქმიანობების ჩამონათვალი, რომელიც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს გარემოზე და ამჟამად რეგულირების მიღმა დარჩენილი (მათ შორის სამთო-მოპოვებითი მრეწველობა). აღნიშნული ჩამონათვალი შესაბამისობაში იქნება როგორც გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დირექტივის (EIA Directive) I და II დანართებით, ისე ესპოსა და ორჰუსის კონვენციების დანართებით გათვალისწინებულ საქმიანობებთან. კანონპროექტი ითვალისწინებს სკრინინგისა და სკოპინგის პროცედურების შემოღებას, რაც გულისხმობს კონკრეტული საქმიანობების ინდივიდუალურად განხილვის გზით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჭიროების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას და უზრუნველყოფს დაინტერესებული საზოგადოების ჩართვას საქმიანობის განხორციელების ადრეულ ეტაპზე. ამავდროულად, კანონი მეტად მოქნილია ბიზნეს სექტორისათვის, რადგან ითვალისწინებს ე.წ. სკოპინგის პროცედურას, რა დროსაც სამინისტრო ზუსტად

⁷⁸ წლიური ანგარიში. <http://moe.gov.ge/res/images/file-manager/wliuri-angarishi/2015wlis-angarishi.pdf> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 24 მარტს]

| | |
|---|---|
| | <p>განუსაზღვრავს საქმიანობის განმახორციელებელს რა ტიპის კვლევები/ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს სამინისტროში, რათა მიიღოს დადებითი გადაწყვეტილება საქმიანობის განხორციელების თაობაზე. აღნიშნული კანონის ძირითადი ნაწილი 2018 წლის 1 იანვრიდან შედის ძალაში.</p> <p>ამასთან, აღსანიშნავია რომ ყველა ის საქმიანობა, რომელზეც ავტორიზაციას (ლიცენზია/ნებართვა) კანონმდებლობით დადგენილი წესით გასცემს სამინისტრო და მის სისტემაში შემავალი უწყებები, პოტენციურად წარმოადგენს გარემოზე განსაკუთრებული უარყოფითი გავლენის მქონე საქმიანობებს. შესაბამისად, სამინისტროში აღირიცხება ყველა კომპეტენციის ფარგლებში გაცემული ავტორიზაცია, მათ შორის გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, წიაღით სარგებლობისა და ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზია.⁷⁹</p> |
| <p>საკუთრებისა და მიწის მართვის სამართალი</p> | <p><u>მიიღო მთავრობამ კანონმდებლობა და რეგულაციები მიწის მართვის შესახებ, თავისი მოქალაქეების უფლებების დაცვის, მათ შორის მიწაზე ჩვეულებითი უფლებების აღიარებისა და გარემოზე და სოციალურ სფეროზე ზემოქმედების შეფასებებსა და დაკავშირებულ სალიცენზიო პრაქტიკაში, ადამიანის უფლებების საკითხების გათვალისწინების უზრუნველსაყოფად?</u></p> <p><i>არსებული კანონმდებლობა</i></p> <p>საკუთრების სამართალი და მიწის მმართველობის თვალსაზრისით პირველ რიგში უნდა აღინიშნოს კანონი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ ითვალისწინებს გარკვეული სახით ტრადიციული მფლობელობის დაცვას. დღეს მოქმედი ხსენებული კანონი ემსახურება გარკვეული პერიოდის განმავლობაში პირთა სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემას. ეს სარგებლობა შეიძლება ყოფილიყო მართლზომიერი (გარკვეული სამართლებრივი საფუძვლით) ან თვითნებური დაკავების შედეგი (ყოველგვარი უფლების მინიჭების</p> |

⁷⁹ ინფორმაციის წყარო: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2017 წლის 2 ივნისის N4856 წერილი კვლევის ავტორებს.

| | |
|--|--|
| | <p>გარეშე დაკავებული მიწის ნაკვეთი, თუ მასზე განთავსებულია შენობა ან ემიჯნება დამკავებელის საკუთრებაში/მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ უფრო დიდ მიწის ნაკვეთს).⁸⁰</p> <p>საკუთრებაში აღიარება არ ხდება არც ფიზიკური და არც იურიდიული პირებისათვის, იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთი გარკვეული სათემო სარგებლობის ან სხვა მნიშვნელობისაა, მაგალითად, გამოიყენება პირუტყვის გადასარეკად, დაცული ტერიტორიაა, რეკრეაციული დანიშნულებისაა, გარკვეული გარემოსდაცვითი მნიშვნელობისაა (წყლის ან ტყის ფონდის მიწა და სხვა), საზოგადოებრივი სარგებლობის ან დასასვენებელი ადგილია, ბოტანიკური ან დენდროლოგიური პარკია და ა.შ.⁸¹</p> <p>აღსანიშნავია, რომ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს საკუთრების უფლების აღიარება მხოლოდ 2012 წლის 1 იანვრამდე შეეძლოთ, ამჟამად მათ პრივატიზების ზოგადი წესით უნდა ისარგებლონ (მაგალითად, შეისყიდონ მიწის ნაკვეთი აუქციონის გზით).</p> <p>მიწის მართვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონი, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და მოსახლეობის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი და სამოღვაწეო გარემოთი უზრუნველყოფისათვის სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის პროცესის დარეგულირებას, მათ შორის, განსახლების, დასახლებათა, ინფრასტრუქტურის განვითარებას, კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით.</p> <p>კანონის პრინციპებს შორისაა ქვეყნის თანაბარი ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული, სოციალური, ეკოლოგიური და კულტურული განვითარების ტერიტორიული წინაპირობების შექმნა, საბინაო მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის წინაპირობების შექმნა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების პრიორიტეტულობა, სარეკრეაციო ტერიტორიების შენარჩუნება და განვითარება და ა.შ.⁸²</p> |
|--|--|

⁸⁰ კანონის მე-2 მუხლი. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/19780> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 24 მარტს]

⁸¹ სრული ჩამონათვალი მოცემულია კანონის მე-3 მუხლში.

⁸² იხ. კანონის მე-5 მუხლი. კანონის ტექსტი ხელმისაწვდომია აქ:

კანონი ითვალისწინებს კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსებას და კერძო ინტერესად მიიჩნევს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ინტერესებს. ასევე ადგენს შესაძლებლობას, შეიზღუდოს ეს ინტერესები საჯარო ინტერესისა თუ სხვათა უფლებების ხელყოფის შემთხვევაში.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ წარმოადგენს შედარებით კონკრეტულ დოკუმენტს, რომელიც ადგენს რა პირობები შეიძლება დადგინდეს მშენებლობის ნებართვის მისაღებად, თუმცა მშენებლობის ნებართვა, მიუხედავად იმისა, ითვალისწინებს თუ არა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას ან სხვა შეფასებებს, არ მოიცავს ადამიანის უფლებათა საკითხების ასახვის ვალდებულებას შეფასების ან ნებართვის მიღების პროცესში.

ხარვეზები

კანონმდებლობის ანალიზმა ცხადყო, რომ საკუთრების სამართალი და მიწის მმართველობის კანონმდებლობა საქართველოში ბიზნესისა და ადამიანის უფლებების თვალსაზრისით საკმაოდ მწირ რეგულირებას შეიცავს. მაგალითისათვის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონი არ განსაზღვრავს კონკრეტულ მექანიზმებს ადამიანის უფლებათა გათვალისწინებისათვის და მხოლოდ ზოგად დებულებებს შეიცავს საჯარო ინტერესების კერძო ინტერესებთან დაბალანსების შესახებ.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე საერთაშორისო სტანდარტების დაგეგმვა მოიცავს ისეთი ტიპის სტანდარტების გათვალისწინებასაც, როგორცაა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სარგებლობის ნებაყოფლობითი პრინციპების დანერგვა, რომლებიც მოიცავს ბიზნეს სუბიექტების მიერ მიწის (ასევე თევზ

| | |
|--|--|
| | <p>საცავის და ტყეების) სარგებლობისას ადამიანის ღირსების, თანასწორობის, მხარეთა ჩართულობის და სხვა საკითხების გათვალისწინების ვალდებულებას.⁸³</p> <p>გარდა ამისა, კანონი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ ტრადიციული მფლობელობის აღიარების თვალსაზრისით მხოლოდ გარკვეული უფლებების აღიარების შესაძლებლობას მოიცავს, კერძოდ, დოკუმენტურად დადასტურებადი მფლობელობის („მართლზომიერი მფლობელობა“) და ისეთი თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთზე უფლების აღიარებას, რომელიც ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებულის მომიჯნავე ან რომელზედაც შენობა-ნაგებობაა განთავსებული. აღნიშნულის შედეგად, თუკი პირი ტრადიციულად ფლობს მისი საკუთრებისაგან მოშორებით მდებარე მიწის ნაკვეთს და მას ამუშავებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, არ უდგას ნაკვეთზე შენობა, ასეთი მიწის ნაკვეთი, მიუხედავად ხანგრძლივი სარგებლობისა და შესაბამის თემში აღიარებისა, საკუთრების უფლების რეგისტრაციას და სათანადო დაცვის გარანტიებს არ ექვემდებარება. ეს განსაკუთრებით პრობლემურია ისეთ დასახლებებში, სადაც მიწის რეფორმა 90-იან წლებში სრულად ვერ განხორციელდა ან ტრადიციული მიწათსარგებლობა თემებში ყოველგვარი დოკუმენტაციის წარმოების გარეშე მიმდინარეობდა (აჭარა, მესტიის, თიანეთის, ახმეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების გარკვეული სოფლები). დასახელებული ხარვეზები არსებითად არ გამოსწორებულა არც 2016 წელს განხორციელებული ცვლილებებით საკუთრების აღიარების კანონმდებლობაში.⁸⁴</p> <p>ცალკე უნდა აღინიშნოს სივრცითი მოწყობის კანონმდებლობის ხარვეზები, რომლებიც სხვადასხვა გარემოსდაცვითი თუ სოციალური ვალდებულებებისაგან გვერდის ავლის შესაძლებლობას ითვალისწინებს, კერძოდ კანონმდებლობის ანალიზისას წარმოჩინდა, რომ არსებობს მექანიზმები რეკრეაციული თუ სხვა, ისეთი დანიშნულების მიწის</p> |
|--|--|

⁸³ პრინციპები ხელმისაწვდომია აქ: <http://www.fao.org/docrep/016/i2801e/i2801e.pdf> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 9 ივლისს]

⁸⁴ იხ. ბლოგი „მიწის რეგისტრაციის შესახებ კანონპროექტი ვერ უზრუნველყოფს სრულფასოვანი მიწის რეფორმის განხორციელებას“. 2016 წლის 14 ივნისი. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.transparency.ge/blog/mitsis-registratsiis-shesakheb-kanonproekti-ver-uzrunvelqops-srulpasovani-mitsis-repormis-gankhorcielebas?page=1>

აგრეთვე, „რა საფრთხეებს უქმნის ტრადიციულ მიწათსარგებლობას მთავრობის ახალი ინიციატივა?“. თებერვალი, 2016. „მწვანე ალტერნატივა“. ხელმისაწვდომია აქ: http://greenalt.org/wp-content/uploads/2016/04/policy_brief_land_registration_law_Geo.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 17 ივლისს].

ნაკვეთზე, სადაც მშენებლობა შეზღუდულია, მიწის ნაკვეთის დანიშნულება შეიცვალოს, ასევე არსებობს შესაძლებლობა, გაიზარდოს მშენებლობისათვის დასაშვები სიმაღლე ან მიწის ნაკვეთის ათვისების კოეფიციენტი, რაც საგრძნობლად ამცირებს გამწვანებული საფარის მოცულობას. კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მშენებლობის ნებართვების გახანგრძლივების შესაძლებლობებს, რის შედეგადაც მშენებლობის პროცესი იწელება და ზარალდება როგორც მიმდებარედ მაცხოვრებელი პირები, ასევე მშენებლობისადმი დაინტერესებული ადამიანებიც (მაგალითად, მომავალი მესაკუთრეები, საცხოვრებელი შენობების მშენებლობისას). ასევე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მართალია, სივრცითი მოწყობის კანონმდებლობა ითვალისწინებს შენობების შუამ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის ვალდებულებას, თუმცა არ არსებობს აღსრულების ეფექტიანი მექანიზმი, საქართველოს სამართალდარღვევათა კოდექსი მხოლოდ პროექტში ადაპტირების გაუთვალისწინებლობისთვის ითვალისწინებს სპეციალურ ჯარიმას.

საქართველოს კანონმდებლობა მიწის მართვის ან სივრცითი მოწყობის საკითხებში არ იცნობს პირდაპირ ვალდებულებას, რაიმე ეტაპზე განხორციელდეს ადამიანის უფლებებზე ზემოქმედების შეფასება, გარდა ცალკეულ შემთხვევებში გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა (იხილეთ გარემოს დაცვის თავი). ასევე არ ხდება ადამიანის უფლებებზე ზემოქმედების შეფასება საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების უფლების ჩამორთმევის ან შეზღუდვის დროს.

ინიციატივა:

ამჟამად მიმდინარეობს საქართველოს სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის კოდექსზე მუშაობა, რომლიც ჩაანაცვლებს „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ საქართველოს“ კანონს. პროექტი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით მუშავდება და ეხება რიგ გამოწვევებს, რასაც მოქმედი კანონმდებლობა ვერ პასუხობს. მათ შორის, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს, მშენებლობის ხარისხს და საზოგადოებრივი საჭიროებების გათვალისწინების მშენებლობისას. ახალი პროექტით საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების დაგეგმვაც მოხდება, გათვალისწინებულია სამშენებლო პროფესიის სერტიფიცირება და საზოგადოების ინტერესების სხვადასხვა მიმართულებით გათვალისწინებაც. თუმცა, კოდექსის პარლამენტში განხილვა 2015 წელს იგეგმებოდა, რაც დღემდე არ მომხდარა და უცნობია,

| | |
|--|--|
| | <p>როდის დასრულდება საკანონმდებლო პროცესი. აუცილებელია, პროცესი დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობით წარიმართოს და სწრაფად განვითარდეს არსებული ხარვეზების ეფექტიანი აღმოფხვრისათვის.</p> |
| <p>ჯანმრთელობა და უსაფრთხოება</p> | <p><u>მიიღო მთავრობამ კანონმდებლობა და რეგულაციები, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ, დასაქმებულთა და საზოგადოების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფისათვის?</u></p> <p>საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტით გარანტირებულია ადამიანის შრომასთან დაკავშირებული, დასაქმებიდან გამომდინარე უფლებები და თავისუფლებები, როგორც შრომითი ურთიერთობების კანონზომიერი შედეგი. შრომასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ უფლებას წარმოადგენს დასაქმებული პირის უფლება, იმუშაოს უსაფრთხო და ჯანსაღ გარემოში.</p> <p>საქართველოს შრომის კოდექსის 35-ე მუხლი ადგენს შრომის პირობების სტანდარტს და დამსაქმებელს უწესებს ვალდებულებას უზრუნველყოს დასაქმებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემო, დანერგოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფი პრევენციული სისტემა და დროულად მიაწოდოს დასაქმებულს შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკებისა და პრევენციის ზომების შესახებ სათანადო ინფორმაცია.</p> <p>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 21 აპრილის N01-10/5 ბრძანებით დამტკიცდა ამავე სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის დებულება, რომლითაც შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის შემთხვევაში სანქციების გამოყენების პირობები განსაზღვრული არ არის. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტს შრომითი უსაფრთხოების შესასწავლად საკუთარი ინიციატივით არცერთ დაწესებულებაში შესვლის უფლებამოსილება არ აქვს (გამონაკლისს წარმოადგენს ტრეფიკინგსა და იძულებით შრომაზე ექვის არსებობის შემთხვევა); ასევე, დეპარტამენტს დარღვევების გამოვლენის</p> |

დროს დამსაქმებლისთვის მხოლოდ რეკომენდაციის მიცემა შეუძლია, რომელსაც შესასრულებლად სავალდებულო ძალა არ გააჩნია; ინსპექტირების შედეგებზე ხელმისაწვდომობის უფლებას დეპარტამენტი მხოლოდ დამსაქმებელს აძლევს. შრომის უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია არც საზოგადოებისთვის და არც დასაქმებულებისთვის ღია არ არის.

ეფექტური შრომის ინსპექციის საჭიროებაზე საუბარია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშშიც. გარდა უკვე ნახსენები ხარვეზებისა პრობლემურია ასევე ინსპექტორების მცირე რაოდენობა.⁸⁵ აღნიშნულ პრობლემაზე ყურადღებას ამახვილებს ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ინსპექტორთა რაოდენობას არასაკმარისად მიიჩნევს. ამასთან, ორგანიზაციის განმარტებით, გასაზრდელია ინსპექტორთა დამოუკიდებლობის ხარისხიც. ამჟამად ინსპექტორები არ წარმოადგენენ საჯარო მოხელეებს, არამედ არიან შტატგარეშე მოსამსახურეები, 3 თვიანი შრომითი ხელშეკრულებით და მათი თანამდებობრივი სარგო განსაზღვრულია 1000 ლარის ოდენობით. ორგანიზაციის აზრით, მნიშვნელოვანია, რომ ინსპექტორები იყვნენ საჯარო მოხელეები, დასაქმებული იმგვარ პირობებში რაც განსაზღვრავს მათ სტაბილურ მუშაობას და დამოუკიდებლობას სამთავრობო ცვლილებებისგან და არასათანადო ზეგავლენისგან. ინსპექტორების გარდა არასამთავრობო ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს ასევე ინსპექტირების დეპარტამენტის სტატუსზეც, რომელიც აუცილებელია, რომ აღჭურვილი იყოს შესაბამისი ფინანსური და ადამიანური რესურსით და რომელიც საჭიროებს უფრო მეტ დამოუკიდებლობას ვიდრე ეს აქვს დეპარტამენტს რომლის მუშაობაც სამინისტროს ვერტიკალურ საქმიანობას წარმოადგენს და სრულად ექვემდებარება მინისტრის ზედამხედველობას და უშუალო კონტროლს. მიუხედავად იმისა, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტით შრომის ინსპექცია აღმასრულებელ ხელისუფლებას უნდა ეკუთვნოდეს იგი უნდა აკმაყოფილებდეს დამოუკიდებლობის და ეფექტიანობის მაღალ ხარისხს, რაც არასამთავრობო ორგანიზაციის აზრით საჯარო სამართლის იურიდიულ პირს უკეთ შეუძლია.⁸⁶

⁸⁵ U.S. Department of State, Georgia 2016 Human Rights Report, p. 50.

⁸⁶ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), *შრომის ინსპექტირების მექანიზმის შეფასება და დასაქმებულთა შრომითი უფლებების მდგომარეობა საქართველოში*, გვ. 174–181.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის N19 დადგენილებით დამტკიცდა „შრომის პირობების ინსპექტირების 2016 წლის სახელმწიფო პროგრამა“, რომლის მიზნები და ამოცანებია დამსაქმებლის დახმარება უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნაში, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ შესაბამისი სტანდარტების შემუშავება/გადასინჯვა და შრომის უსაფრთხოების დაცვის ინსტიტუციური რეფორმის საჭიროების განსაზღვრა.

2014 წლის 27 მაისის საქართველოს მთავრობის #361 დადგენილება წარმოადგენს ტექნიკურ რეგლამენტს მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ, რომელიც ვრცელდება მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებულ სამშენებლო ობიექტზე შესასრულებელ სამუშაოებზე და განსაზღვრავს უსაფრთხოების მოთხოვნებს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების დროს.

ტექნიკური რეგლამენტი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ვრცელდება მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებულ სამშენებლო ობიექტზე შესასრულებელ სამუშაოებზე და განსაზღვრავს უსაფრთხოების მოთხოვნებს სამშენებლო მოედანზე: ორგანიზების, სამშენებლო მანქანა-მექანიზმების, ტექნიკური აღჭურვილობისა და ინსტრუმენტის ექსპლუატაციის, ელექტრო და აირსაშემდუღებლო, დატვირთვა-დაცლის, საიზოლაციო, მიწის, ბეტონისა და რკინა-ბეტონის, სამონტაჟო, სადემონტაჟო და სხვა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების დროს.⁸⁷

„ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ XXX-ე დანართი, მოიცავს 26 დირექტივას შრომის უსაფრთხოების შესახებ, რომელთა ტრანსპოზიციაც საქართველოს კანონმდებლობაში უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, ოთხიდან ცხრა წლამდე პერიოდში.

⁸⁷ 2014 წლის 27 მაისის საქართველოს მთავრობის #361 დადგენილება მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე, <http://khobi.ge/files/files/kanonebi%202014-nov/82.pdf>

ზემოაღნიშნული ვალდებულება აისახა „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმაში“ (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 აგვისტოს N199 დადგენილება, ცვლილება შეტანილია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის N732 დადგენილებით), რომელიც ითვალისწინებს საქართველოში შრომის უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის აუცილებლობას, როგორც საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს.

ინიციატივები

2017 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტი რომლის მიზანია სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა, კერძოდ: უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შესაქმნელად სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, დასაქმებულთა წარმომადგენლებისა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირების უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა; სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების ორგანიზებისა და მართვის გაუმჯობესება; უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების შემცირება და პრევენცია.

კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით კანონპროექტი მოიცავს „სამუშაო ადგილზე მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ზომების შემოღების შესახებ“ 1989 წლის 12 ივნისის 89/391/EEC ევროსაბჭოს დირექტივის ზოგიერთ მოთხოვნებს, რომლის ქართულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიციის ვადად განსაზღვრულია 2019 წელი.⁸⁸

კანონპროექტის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე, რომელთა ჩამონათვალს კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა (მუხლი 2).

⁸⁸ ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი, განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „შრომის უსაფრთხოების შესახებ“.

კანონპროექტი უწესებს დამსაქმებელს ახალ ვალდებულებებს. დამსაქმებელი ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი საქმიანობის რეგისტრაცია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. რეგისტრაციის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით (მუხლი 4.1, 4.3).

დამსაქმებელი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით რეგულარულად განახორციელოს ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობის შემოწმება (მუხლი 5.5 (ე)) დაუშვებელია 18 წლამდე ასაკის პირების, ორსული და მეძუძური ქალების დასაქმება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა შესასრულებლად (მუხლი 5.6). დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს დასაქმებული დაზღვევით (მუხლი 5.8) და უნდა გასწიოს სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოებასთან ასევე სანიტარიულ-ჰიგიენურ ღონისძიებებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი (5.9).

აღნიშნული კანონპროექტი ითვალისწინებს პრევენციულ ზომებსაც. დამსაქმებელი ვალდებულია შეიმუშავოს თანმიმდევრული პრევენციის ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საწარმოო გარემოს და შრომის პროცესის თავისებურებებს (მუხლი 6.1 (ე)). ამ პოლიტიკის ანალიზის საფუძველზე შემუშავებული უნდა იქნას წერილობითი დოკუმენტი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს შესაძლო რისკების აღმოფხვრის ან შემცირების ღონისძიებებს, მათი განხორციელების ვადებს, შემსრულებლებს, ასევე მისი განხორციელებისთვის საჭირო სახსრებს (მუხლი 6.1 (ვ)).

დამსაქმებელი ასევე ვალდებულია ფუნქციების განაწილების საფუძველზე წერილობითი ფორმით განსაზღვროს შრომის უსაფრთხოების სფეროში შესაბამისი დასაქმებულების/სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირ(ებ)ის ვალდებულებები და პასუხისმგებლობები (მუხლი 6.2 (ა)); გამოავლინოს და აღრიცხოს საწარმოში არსებული მაღალი რისკის შემცველი უბნები (მუხლი 6.2 (გ)); არ დაუშვას სამუშაოზე დასაქმებულ(ებ)ი და/ან სხვა პირ(ებ)ი, რომელიც იმყოფება ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზეგავლენის ქვეშ და ამ მიზნით შიდა რეგულაციებით

განსაზღვროს დასაქმებულების და/ან სხვა პირთა ჯგუფი, რომლებიც უფლებამოსილი იქნებიან, ზედამხედველობა გაუწიონ აღნიშნულ პროცესს (მუხლი 6.2 (ი)).

ერთ–ერთი მთავარი სიახლე რაც შემოაქვს კანონპროექტს არის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ცნება. კანონპროექტის მიხედვით დასაქმებულს ევალება დანიშნოს ერთი ან მეტი დასაქმებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტად ან შექმნას ამ მიზნით სამსახური. (მუხლი 7.1). შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის გავლილი უნდა ჰქონდეს შესაბამისი აკრედიტირებული პროგრამა. პროგრამის მოცულობას, განხორციელების წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა მინისტრი (მუხლი 7.6).

დამსაქმებელს ასევე ევალება აწარმოოს კონსულტაციები დასაქმებულთა წარმომადგენლებთან როდესაც იღებს გადაწყვეტილებას შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომის უსაფრთხოების საკითხებზე კონსულტაციების, ეფექტური თანამშრომლობისა და კომუნიკაციის წარმოების მიზნით, დასაქმებულები ირჩევენ შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულთა წარმომადგენელს. შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულების წარმომადგენლის არჩევის წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა (მუხლი 9).

კანონპროექტით განსაზღვრულია დასაქმებულთა უფლებებიც, კერძოდ, დასაქმებულს უფლება აქვს განიხილოს დამსაქმებელთან შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებული ყველა საკითხი შრომის უსაფრთხოების შესახებ; ასევე მოითხოვოს ასეთ განხილვაზე ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ამ დარგის ექსპერტების მოწვევა; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს კომპენსაცია სამუშაო სივრცეში მიყენებული ზიანის გამო; სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, მოსთხოვოს დამსაქმებელს სხვა მუდმივ ან დროებით სამუშაო ადგილზე გადაყვანა ან სამუშაო პირობების შემსუბუქება, ასევე დღის ცვლაში გადაყვანა, თუ ღამის ცვლა საზიანოა დასაქმებულის ჯანმრთელობისთვის და დამსაქმებელს გააჩნია შესაბამისი ვაკანსია და დასაქმებული აკმაყოფილებს ამ ვაკანსიისადმი წაყენებულ მოთხოვნებს (მუხლი 10).

თავის მხრივ დასაქმებული ვალდებულია იხელმძღვანელოს ინსტრუქციებით, სამართლებრივი ნორმებითა და სხვა წესებით, რომლებიც დაკავშირებულია შრომის უსაფრთხოებასთან და დაემორჩილოს დამსაქმებლის მიერ დადგენილ სამუშაო პროცედურებს; უზრუნველყოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევების რეგისტრაცია, გამოკვლევა და ანგარიშგება (მუხლი 11).

შრომის უსაფრთხოების კანონპროექტი მნიშვნელოვან ფუნქციებს აკისრებს სოციალური პარტნიორობის სამხრივ კომისიას, კერძოდ, კომისია ა) შეიმუშავებს წინადადებებს და რეკომენდაციებს შრომის უსაფრთხოების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამების შესახებ; ბ) განიხილავს სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ დოკუმენტების პროექტებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს; გ) ახორციელებს სოციალური პარტნიორობის სამხრივი კომისიის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს (მუხლი 16.3).

კანონპროექტი დეტალურად არ განსაზღვრავს შრომის პირობების დაცვაზე ზედამხედველ ორგანოს, არამედ ადგენს, რომ აღნიშნული ორგანო ა) აკონტროლებს შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის აღსრულებასა და გამოყენებას, აწარმოებს სამუშაო ადგილზე მომხდარი უბედური შემთხვევების გამოკვლევასა და აღრიცხვას კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად. ბ) ზედამხედველი ორგანოს ფუნქციები, უფლება–მოვალეობები და სტრუქტურა განისაზღვრება ზედამხედველი ორგანოს დებულებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (მუხლი 16.4).

ამ კანონპროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისთვის შემდეგი ადმინისტრაციული სახდელეებია გამოყენებული: გაფრთხილება, ჯარიმა, საქმიანობის შეჩერება. გაფრთხილების ან ჯარიმის შემთხვევაში ოქმს ადგენს და საქმეს განიხილავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენტური სამსახური. საქმიანობის უფლების შეჩერების შემთხვევაში ოქმს ადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამოსილი პირი, ხოლო საქმიანობის უფლების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას ამტკიცებს სასამართლო (მუხლი 18.1, 18.2, 18.3).

| | |
|--|--|
| | <p>კანონპროექტი დეტალურად აღწერს სამუშაოს შეჩერების პროცესს. ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურს უფლება აქვს უკიდურესი აუცილებლობისას თუ შრომის უსაფრთხოების პირობების დაუცველობის გამო აშკარა და არსებითი საფრთხე ექმნება სამუშაო პროცესთან დაკავშირებული დასაქმებულის ან მესამე პირის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას შეაჩეროს სამუშაო პროცესი და აღნიშნული გადაწყვეტილება გადაუგზავნოს სასამართლოს 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში რჩება შესაბამისი დარღვევის აღმოფხვრამდე. ამ კანონის მიზნებისთვის აშკარა და არსებითი საფრთხის (კრიტიკული შეუსაბამობა) შეფასების დამატებითი კრიტერიუმები შეიძლება განსაზღვროს საქართველოს მთავრობამ (მუხლი 18.4, 18.5).</p> <p>კანონპროექტი განსაზღვრავს ჯარიმების ოდენობას, იმ შემთხვევაში დამსაქმებელმა არ დაარეგისტრირა თავისი საქმიანობა საჯარო რეესტრში (500 ლარი, 1000 ლარი); ხელი შეუშალა ზედამხედველობის ორგანოს საქმიანობის განხორციელებაში (გაფრთხილება, 200 ლარი); დაარღვია შრომის უსაფრთხოების ნორმები (გაფრთხილება, 50 ლარი, 2000 ლარი, 5000 ლარი) (მუხლი 19, 20, 21).</p> <p><i>ხარვეზები</i></p> <p>აღნიშნული კანონპროექტი რამდენიმე მიზეზის გამო იქნა გაკრიტიკებული უფლებადამცველების მიერ. ერთ ერთი მთავარი შენიშვნა ეხება კრიტიკული შეუსაბამობის დროს სამუშაოს შეჩერების წესს. სახალხო დამცველის აზრით კრიტიკული შეუსაბამობის არსებობის დროს უფლებამოსილ პირს უნდა გააჩნდეს საწარმოს საქმიანობის შეჩერების უფლებამოსილება და არ უნდა არსებობდეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოს მიერ დამტკიცების მოთხოვნა. სახალხო დამცველის აზრით ჯარიმებისთვის გათვალისწინებული დარღვევისთვის ჯარიმების რაოდენობა არის ძალიან მცირე და არ ემსახურება დარღვევის პრევენციის მიზანს. გარდა ამისა,</p> |
|--|--|

| | |
|--|--|
| | <p>კანონპროექტში მითითებული უნდა იყოს, რომ ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ პირს დარღვევის აღმოფხვრის ვალდებულებისგან.⁸⁹</p> |
| <p>სამეწარმეო და ფასიანი ქაღალდების სამართალი</p> | <p><u>მიიღო მთავრობამ სამეწარმეო და ფასიანი ქაღალდების სამართლის კანონმდებლობა და რეგულაციები, რომელიც ითვალისწინებს ეთიკური კორპორატიული ქცევისა და ბიზნესის მხრიდან ადამიანის უფლებების პატივისცემის მხარდაჭერას, კერძოდ, ფინანსური ანგარიშგების, რეგისტრაციისა და საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების დაშვების მოთხოვნების მემშველბით?</u></p> <p><i>არსებული კანონმდებლობა</i></p> <p>საკორპორაციო სამართალი, უფრო კონკრეტულად კი, „მეწარმეთა შესახებ“⁹⁰ კანონი არ განსაზღვრავს ეთიკურ ბიზნეს ქცევას ან ბიზნესის მიერ ადამიანის უფლებების პატივისცემის საკითხებს, მათ შორის, არც ანგარიშგების, რეგისტრირების ან სხვა ეტაპებზე. თუმცა, კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ისეთი იურიდიული პირების პარტნიორები, რომელთა პასუხისმგებლობა შეზღუდულია საწარმოს ქონებით, პასუხს აგებენ, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს (ე.წ. გამჭოლი პასუხისმგებლობის პრინციპი).</p> <p>სასამართლო პრაქტიკაში ამ საკითხის განხილვისას საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ნორმა ფართოდ განიმარტება და თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ პასუხისმგებლობის შეზღუდვის კორპორატიული ფორმის ბოროტად გამოყენებას (მაგ., კორპორაციის, როგორც მხოლოდ პარტნიორის მიზნის მისაღწევი „ინსტრუმენტის“ დანიშნულებით გამოყენება; „კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა“; კორპორაციის, როგორც პარტნიორის „ალტერ ეგოს“ არსებობა), არამედ თავად შეზღუდული პასუხისმგებლობის, როგორც პასუხისმგებლობის</p> |

⁸⁹ საქართველოს სახალხო დამცველი, წინადადება “შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონისა და თანმდევი ცვლილებების პროექტების შესახებ, გვ. 3–4.

⁹⁰ კანონის ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 8 მაისს].

| | |
|--|--|
| | <p>ელემენტის, ბოროტად გამოყენებას, რაც გულისხმობს პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიის მარტოდენ სხვისი ინტერესების საზიანოდ გამოყენებას და საკუთარი ეკონომიკური რისკებისა და დანაკარგის სხვაზე გადაკისრებას კრედიტორის განზრახ შეცდომაში შეყვანით.⁹¹</p> <p>მეორეს მხრივ, საკორპორაციო სამართალი იცნობს ისეთი ტიპის ბიზნეს სუბიექტებსაც, რომელთა პასუხისმგებლობა არ შემოიფარგლება საწარმოს ქონებით და მისი მესაკუთრეებიც აგებენ პასუხს (მაგ. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება). ასეთი სუბიექტები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ მესაკუთრეთა ქონებით. ადამიანის უფლებათა დარღვევებზე პასუხისმგებლის შემთხვევებს, მართალია, საკორპორაციო სამართალი არ იცნობს, თუმცა მათ წინააღმდეგ სამოქალაქო დავის შემთხვევაში, რომელიც ცალკეული უფლების აღდგენას მოიცავს (შრომითი უფლება, ჯანმრთელობისათვის ან ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება თუ სხვა), მოდავე მხარე, შეიძლება კრედიტორად იქნეს განსაზღვრული სასამართლოს მიერ და კერძო სუბიექტს დაეკისროს ფიზიკური პირის მიმართ პასუხისმგებლობა (უმეტესწილად მატერიალურად გამოხატული).</p> <p>„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს კორპორაციული მართვის საკითხებს და ამ მხრივ, განსაზღვრავს საწარმოს მმართველის შემდეგ ვალდებულებას: ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები „საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.“⁹² აღნიშნული ნორმა არ გულისხმობს ადამიანის უფლებათა გათვალისწინებას ბიზნეს სუბიექტის მართვის პროცესში და კორპორაციის ინტერესების მაქსიმალურ პატივისცემას მოითხოვს მისი მმართველის მხრიდან. „კეთილსინდისიერი“</p> |
|--|--|

⁹¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებები საქმეზე Nას-1307-1245-2014 და Nას-1158-1104-2014.

⁹² კანონის მუხლი 9.6.

| | |
|--|---|
| | <p>საქმეთა გაძღოლა კანონშივეა განმარტებული როგორც საზოგადოებისათვის (კორპორაციისათვის) ყველაზე ხელსაყრელი ქმედება. თუმცა ეს არ გამორიცხავს, კორპორაციისათვის ყველაზე ხელსაყრელად ადამიანის უფლებათა პატივისცემის მიჩნევას.</p> <p>აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა მოიცავს „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონს. კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სამეწარმეო საქმიანობის კონტროლი არის საქართველოს კანონმდებლობით მოწესრიგებული სახელმწიფო ორგანოთა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობა, რომლის მიზანია მეწარმის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობისა და მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების შემოწმება, აგრეთვე მეწარმის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა, მის საქმიანობაში სამართალდარღვევების გამოვლენა ან შესაბამისი სანქციის დადება. გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, მე-3 მუხლის შესაბამისად, მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია გააკონტროლოს სამეწარმეო საქმიანობა მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე. მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე ბრძანების გაცემის საკითხის მოსამართლის მიერ განხილვისა და გადაწყვეტის წესი განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII¹ თავის შესაბამისად. ამასთან, მოსამართლე ბრძანებას გასცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაკონტროლებელი ორგანო მას წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას დასაბუთებული და საფუძვლიანი ეჭვით მეწარმის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის შესახებ. კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, მაკონტროლებელი ორგანო ვალდებულია ყოველი წლის 25 იანვრამდე წარუდგინოს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს ანგარიში გასული წლის განმავლობაში ბრძანებების გაცემის შესახებ სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობების, სასამართლოს მიერ გაცემული ბრძანებების ოდენობისა და მოსამართლის ბრძანებების საფუძველზე განხორციელებული შემოწმებების შედეგების შესახებ. ამასთან, გარდამავალი დებულებების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტებს ამ კანონის ამოქმედებიდან (2001 წლის შემდგომ)</p> |
|--|---|

3 თვის ვადაში დაევალოთ აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან ერთად მოამზადონ კანონპროექტი მაკონტროლებელი ორგანოების უფლებამოსილების გამიჯვნისა და კონტროლის განხორციელების წესის შესახებ. თუმცა, მოცემული კვლევის ჩატარების დროს მოძიებული ინფორმაციის შესაბამისად, ვერ დგინდება ვერც ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის პრაქტიკა და ამასთან, არ ყოფილა შემუშავებული ზემოაღნიშნული წესი. ამდენად, თუკი კორპორაციული სამართლის შემადგენელი ნაწილი იქნება ასევე ეთიკურ ბიზნესის ქცევის ან ბიზნესის მიერ ადამიანის უფლებების პატივისცემის საკითხების რეგულირება, მასზე კონტროლის განხორციელება შესაძლებელი იქნებოდა „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

რაც შეეხება სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებს სამეწარმეო სფეროში, როგორც ზემოთ აღნიშნა, საქართველოს მთავრობის „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2016-2020 წლების სტრატეგიის“ ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის (RBC) პოპულარიზაცია, კერძო სექტორში აღნიშნულ საკითხზე ცნობიერების ამაღლების მიზნით.

ცალკე უნდა აღნიშნოს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირებისათვის დადგენილი რეგულაციები.⁹³ ამ კანონის თანახმად ანგარიშვალდებულ საწარმოდ მიიჩნევა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელსაც გამოშვებული აქვს საჯარო ფასიანი ქაღალდები (გარდა სრულად დაფარული სასესხო ფასიანი ქაღალდებისა). ეს კანონი განსაზღვრავს საფონდო ბირჟის საქმიანობის წესს და ადგენს ეთიკის კოდექსის არსებობის ვალდებულებას და ამ ნორმების დაცვისათვის დეპოზიტარის წესების დადგენას. სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ წევრ-აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული ეთიკის კოდექსი უმეტესწილად ფინანსურ, ინტერესთა კონფლიქტისა და კლიენტთა შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის უზრუნველყოფას ემსახურება.⁹⁴ *ხარვეზები*

⁹³ კანონის სრული ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/18196> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 8 მაისს].

⁹⁴ ხელმისაწვდომია აქ: http://www.gse.ge/downloads/rules_geo/Ethics.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 8 მაისს].

| | |
|--------------------------------------|--|
| | <p>ქართული საკორპორაციო სამართალი არ იცნობს ბიზნეს სუბიექტებისთვის რაიმე ვალდებულებას ადამიანის უფლებათა პატივისცემის კუთხით. კეთილსინდისიერების საკითხიც, რომელიც კორპორაციული მართვის ერთ-ერთი პრინციპია, არც კანონმდებლობაში და არც სარეკომენდაციო სახით, მათ შორის არც სასამართლო პრაქტიკაში, არ მოიცავს ადამიანის უფლებების გათვალისწინების ვალდებულებას და უმეტესწილად გაგებულია როგორც ბიზნესისთვის მეტი მოგების მომტანი საქმიანობის განხორციელების ვალდებულება. საფონდო ბირჟაზე მოქმედი საწარმოებისათვის დადგენილი ნორმებიც საკმაოდ მცირე ვალდებულებას ითვალისწინებს ასეთი კომპანიებისათვის და ისიც უმეტესწილად კლიენტების ფინანსური ინტერესების და კონფიდენციალობის დაცვას ემსახურება.</p> <p>ხარვეზის სახით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში დადგენილია რიგითობა, რომლის მიხედვითაც უნდა დაკმაყოფილდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას კრედიტორთა მოთხოვნები. აღნიშნული რიგითობა საერთოდ არ ითვალისწინებს სპეციალურად ისეთ საკითხებს, როგორცაა შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავალიანებები ან სოციალური პასუხისმგებლობები, ან სიცოცხლესა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ასეთი საკითხები შეიძლება მოხვდეს მეოთხე რიგში, თუ ისინი უზრუნველყოფილია საპროცესო სახით ან მეექვსე რიგში, თუ ასეთი უზრუნველყოფა არ მომხდარა.⁹⁵</p> |
| <p>საგადასახადო სამართალი</p> | <p><u>მიიღო მთავრობამ საგადასახადო კანონმდებლობა და რეგულაციები, ეთიკური კორპორატიული ქცევის მხარდაჭერის მიზნით?</u></p> <p>საგადასახადო ურთიერთობებს საქართველოში არეგულირებს საქართველოს საგადასახადო კოდექსი, რომელიც ძალაშია 2011 წლის 01 იანვრიდან, და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე აქტები. საქართველოს კანონმდებლობაში არ განხორციელებულა ცვლილებები, რომელიც მიზნად ისახავდა კორპორაციული ქცევის მხარდაჭერას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო კოდექსი შეიცავს საგადასახადო</p> |

⁹⁵ კანონის ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/23572?publication=25> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 17 ივლისს]

| | |
|--|---|
| | <p>შეღავათების დაწესების შესაძლებლობას, რაც გულისხმობს სხვა გადასახადის გადამხდელებთან შედარებით ცალკეული კატეგორიის გადასახადის გადამხდელებისთვის მინიჭებული უპირატესობას, კერძოდ, შესაძლებლობას, გადაიხადონ გადასახადი ნაკლები ოდენობით ან გათავისუფლდნენ გადასახადის გადახდისაგან⁹⁶. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს გადასახადისაგან გათავისუფლების საფუძვლებს ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავლის შემთხვევაში, რომელიც ეფუძნება ფიზიკურ პირთა სოციალურ მდგომარეობასა და სტატუსს. კერძოდ, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება შემდეგ ფიზიკურ პირთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე: ა) მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქეების; ბ) პირის, რომელსაც მინიჭებული აქვს „ქართველის დედის“ საპატიო წოდება; გ) მარტოხელა დედის; დ) პირის, რომელმაც იშვილა ბავშვი (შვილად აყვანიდან 1 წლის განმავლობაში); ე) პირის, რომელმაც მინდობით აღსაზრდელად აიყვანა ბავშვი; ვ) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მრავალშვილიანი პირის (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის სამი ან სამზე მეტი შვილი) მიერ მაღალმთიან დასახლებაში საბიუჯეტო ორგანიზაციიდან კალენდარული წლის განმავლობაში ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ ერთ- ან ორ-შვილიან პირს (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილი) მაღალმთიან დასახლებაში საბიუჯეტო ორგანიზაციიდან კალენდარული წლის განმავლობაში ხელფასის სახით მიღებულ 3000 ლარამდე დასაბეგრ შემოსავალზე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი 50 პროცენტით უმცირდება. გარდა ამისა, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება შემდეგ ფიზიკურ პირთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 6000 ლარამდე: ა) ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების; ბ) იმ პირის მიერ, რომელმაც „საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით</p> |
|--|---|

⁹⁶ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილი.

| | |
|--|---|
| | <p>ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიიღო; გ) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირის მიერ მაღალმთიან დასახლებაში საქმიანობით მიღებული შემოსავალი, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციიდან და სახელმწიფოს მიერ ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული სამედიცინო დაწესებულებიდან ხელფასის სახით მიღებული შემოსავლისა. შესაბამისად, დამსაქმებელი, რომელიც წარმოადგენს საგადასახადო აგენტს და საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას ახდენს წყაროსთან, მოცემული საგადასახადო შეღავათები მას შესაძლებლობას აძლევს პოზიტიურად ასახოს მის დასაქმების პოლიტიკაზე, კერძოდ, წახალისოს დამსაქმებელი საშემოსავლო გადასახადის შეღავათით მოსარგებლე პირები.</p> <p>საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის შესაბამისად, ეკონომიკურ საქმიანობას არ მიეკუთვნება საქველმოქმედო საქმიანობა. შესაბამისად, საქველმოქმედო საქმიანობის სტატუსის მქონე ორგანიზაცია არ იბეგრება გადასახადებით. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ქველმოქმედების გამწევი საწარმო ამ საქმიანობიდან რაიმე საგადასახადო შეღავათს არ ღებულობს, გარდა იმ შემთხვევისა თუ ქველმოქმედების სახით თანხა გაცემულია საქველმოქმედო სტატუსის მქონე ორგანიზაციაზე. აღნიშნულ შემთხვევაში, კოდექსის 117-ე მუხლის შესაბამისად, ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება მეწარმე სუბიექტის მიერ საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული თანხა, აგრეთვე ერთობლივი შემოსავალში ასახული უსასყიდლოდ მიწოდებული საქონლის (გარდა უძრავი ქონებისა)/გაწეული მომსახურების საბაზრო ფასი. თუმცა, გამოსაქვითი თანხა არ უნდა აღემატებოდეს ერთობლივი შემოსავლიდან საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების გარეშე დარჩენილი თანხის 10 პროცენტს.</p> <p>საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის შესაძლებლობას, რომლის შესაბამისადაც მცირდება მარაგების ნაშთის ღირებულება და ამავდროულად ჩამოწერილი სასაქონლო-მატერიალური ღირებულება არ ჩაითვლება შემოსავალში და არ იბეგრება დღგ-ს გადასახადით⁹⁷. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ მომსახურების ან საქონლის გაჩუქება</p> |
|--|---|

⁹⁷ „საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების,

| | |
|--|---|
| | <p>განხორციელდება საქველმოქმედო სტატუსის არ მქონე ორგანიზაციაზე მისი დაბეგვრა განხორციელდება საბაზრო ღირებულებით.</p> <p>გარდა ზემოაღნიშნული შეღავათებისა, მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს დღგ-ს გადასახადისგან გათავისუფლებას შემდეგ შემთხვევებში: ა) სამედიცინო მომსახურება, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებები; ბ) ავადმყოფთა, ინვალიდთა და ღრმად მოხუცებულთა მოვლა-პატრონობის მომსახურება; გ) ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტებისა და ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის მიწოდება ან/და იმპორტი; დ) წრეებში, სექციებში, სტუდიებში ბავშვებისა და მოზარდების სწავლების მომსახურება, აგრეთვე სკოლამდელ დაწესებულებებსა და უპატრონო ბავშვთა სახლებში ბავშვთა მოვლა-პატრონობის მომსახურება; ე) სამეცნიერო ლიტერატურის, აგრეთვე საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ პარლამენტის შესაბამის კომიტეტთან შეთანხმებით დამტკიცებული სასწავლო სახელმძღვანელოებისა და საბავშვო ლიტერატურის მიწოდება ან/და იმპორტი; ვ) საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიერ გაწეული განათლების მომსახურება⁹⁸.</p> <p>აქვე უნდა აღინიშნოს საქართველოს მთავრობის პოლიტიკა, რომელიც ერთგვარ წახალისებას წარმოადგენს ბიზნესის კორპორაციული პასუხისმგებლობის განვითარებისთვის. კერძოდ, 2016 წლის ბოლოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შესაბამისად, გარემოსდაცვითი პოლიტიკის გათვალისწინებით 0 – 6 წლის ჩათვლით მსუბუქი ავტომობილებისათვის საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული აქციზის განაკვეთი ჰიბრიდული მსუბუქი ავტომობილების შემთხვევაში შემცირდა 60%-ით. გარდა ამისა, ძველი და გარემოსათვის მავნე ავტომობილებისათვის საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს უფრო მძიმე საგადასახადო ტვირთს. მოცემული ნორმების საფუძველზე, ბიზნესისათვის გრძელვადიან პერსპექტივაში უფრო მომგებიანია ისეთი მანქანების შეძენა, რომელთაც ნაკლები ზიანი მოაქვს გარემოსთვის.</p> |
|--|---|

სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N994 წლის ბრძანება დანართი N24.

⁹⁸ „დამატებული ღირებულების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ“ ინსტრუქციის თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1997 წლის 16 ოქტომბრის N242 ბრძანების მე-8 მუხლი.

| | |
|---------------------------------|--|
| | <p>ხარვეზები</p> <p>დასკვნისათვის, საგადასახადო კანონმდებლობა არ შეიცავს კორპორაციული პასუხისმგებლობის მხარდამჭერ ნორმებს, თუმცა იგი შეიცავს რეგულაციებს, რომლის საფუძველზეც ხდება საგადასახადო შეღავათების დაწესება ერთის მხრივ, გადამხდელთა სოციალური სტატუსის საფუძველზე და მეორეს მხრივ, საგადასახადო შეღავათები, რომლებიც მხოლოდ კონკრეტული ფორმით განხორციელებული საქველმოქმედო საქმიანობას შეეხება. შესაბამისად, სამომავლოდ, მნიშვნელოვანია გადაიხედოს არსებული ნორმები, რომლებიც მეწარმე სუბიექტების მიერ განხორციელებულ ქველმოქმედებას შეეხება. ამასთან, განხილულ უნდა იქნეს ბიზნესის მხრიდან არაეთიკური საქმიანობა რას მოიცავს და მეწარმე სუბიექტების მიერ კორპორატიული ქცევის მხარდაჭერისა და წახალისების ფორმები.</p> |
| <p>სავაჭრო სამართალი</p> | <p><u>მიიღო მთავრობამ კანონმდებლობა და რეგულაციები ვაჭრობის შესახებ, სავაჭრო პრაქტიკაში ადამიანის უფლებების დაცვის და ხელშეწყობის მხარდაჭერის მიზნით?</u></p> <p>საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია 2000 წლის 14 ივნისიდან⁹⁹, შესაბამისად იგი ვაჭრობას ახორციელებს ნებისმიერ ქვეყანასთან დისკრიმინაციის გარეშე (MFN treatment). მკაფიო კონსესუსია მიღწეული მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ყველა წევრ სახელმწიფოს შორის, რომ საერთაშორისოდ აღიარებული ფუნდამენტური სტანდარტები დაცული იქნება სავაჭრო ხელშეკრულებებში, კერძოდ, გაერთიანების თავისუფლება, იძულებითი მუშაობის აკრძალვა, ბავშვთა შრომის აკრძალვა და სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის აკრძალვა (მათ შორის, გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია). შრომის ძირითად სტანდარტებზე პირველად შეთანხმება განხორციელდა სინგაპურის მინისტერიალის დეკლარაციით, რომელიც გამოიცა 1996 წლის 13 დეკემბერს¹⁰⁰. აღნიშნული სტანდარტების განმეორებით აღიარება მოხდა მინისტერიალის 2001 წლის 14 ნოემბრის დეკლარაციით¹⁰¹. თუმცა, ეს არის მინიმალური სტანდარტი რაზეც სავაჭრო</p> |

⁹⁹ https://www.wto.org/english/thewto_e/countries_e/georgia_e.htm

¹⁰⁰ დეკლარაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე, იხ. მე-4 პარაგრაფი. https://www.wto.org/english/thewto_e/minist_e/min96_e/wtodec_e.htm#core_labour_standards

¹⁰¹ დეკლარაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე, იხ. მე-8 პარაგრაფი. https://www.wto.org/english/thewto_e/minist_e/min01_e/mindecl_e.htm#para8

ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მიერ მოხდა შეთანხმება და არ მოიცავს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დადგენილ ყველა სტანდარტს. საქართველო არის ასევე შემდეგი ქვეყნების პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის GSP-ის რეჟიმის ბენეფიციარი: აშშ, იაპონია, კანადა, შვეიცარია და ნორვეგია.

2009 წელში საქართველომ შეწყვიტა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრობა, მაგრამ დარჩა „თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ“ დსთ-ს 1994 წლის მრავალმხრივი შეთანხმების წევრი, რითაც შეინარჩუნა თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი დსთ-ს წევრ ქვეყნებთან. საქართველოს ასევე გაფორმებული აქვს თავისუფალი ვაჭრობის ორმხრივი ხელშეკრულებები თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოსთან. ამასთან, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება აქვს დადებული თურქეთთან, ვაჭრობისა და ინვესტიციის ჩარჩო შეთანხმება დადო შეერთებულ შტატებთან და 2015 წლის მდგომარეობით ევროპის ქვეყნებთან იგეგმებოდა ასევე მსგავსი ხელშეკრულებები დადება¹⁰².

საქართველოში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო განსაზღვრას სახელმწიფო პოლიტიკას ვაჭრობის სფეროში, ისევე როგორც ახორციელებს მის იმპლემენტაციას და კოორდინაციას.

ეროვნული კანონმდებლობის ნაწილში უნდა აღინიშნოს საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“. კანონის მიზანს წარმოადგენს ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმის მიუხედავად, საქართველოში თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციისათვის ბარიერების მოხსნა. კანონის მე-8 მუხლის კრძალავს სახელმწიფოს დახმარებას ნებისმიერი ფორმით, რომელიც აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა, დაცვა და ამ მიზნით ყველა ტიპის ანტიკონკურენციული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა

¹⁰² მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ანგარიში საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის შესახებ, 2015 წელი, მე-12 პარაგრაფი. https://www.wto.org/english/tratop_e/tpr_e/s328_e.pdf

წარმოადგენს საქართველოს მთავრობის დადგენილებით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ფუნქციას. აღსანიშნავია, რომ სხვა საქმიანობებთან 2016 წელს სააგენტომ დაიწყო შემდეგი საქონლის/მომსახურების ბაზრის მონიტორინგი: ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტის ბაზარი, მგზავრთა ავიაგადაყვანის ბაზარი, თხილის ბაზარი, ავტოდაზღვევის ბაზარი და ჩვილ ბავშვთა კვების ბაზარი. დაფუძნების დღიდან, კონკურენციის სააგენტო აქტიურად და ნაყოფიერად თანამშრომლობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD). ხსენებული თანამშრომლობის ფარგლებში, სააგენტოს წარმომადგენლებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ, ევროპელი ექსპერტების მიერ გამართულ არაერთ საერთაშორისო კონფერენციაში, რაც ხელს უწყობს კონკურენციის სააგენტოს, როგორც ახლად დაფუძნებული უწყების თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებასა და მისი საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას. მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ასევე კონკურენციის საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. შესაბამისად, 2016 წლის მანძილზე, კონკურენციის სააგენტო, როგორც თავისი რესურსებით, ასევე დონორთა ფინანსური მხარდაჭერით, ორგანიზებას უწყევდა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წელს დამტკიცდა კონკურენციის სააგენტოს 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც ასევე მოიცავს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა, დაცვა და განვითარებისკენ მიმართულ აქტივობებს.

საქართველოს მთავრობამ 2014 წელს დაამტკიცა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“, რომელშიც აღწერილია ის პრიორიტეტები და პრობლემები, რომელთა გადაჭრა საჭიროა გრძელვადიანი, მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. ამასთან, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების მისაღწევად დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონულ განვითარებას¹⁰³. სტრატეგიის თანახმად, საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა სამ უმთავრეს პრინციპს ემყარება. პირველი პრინციპი ეკონომიკის რეალური (წარმოების) სექტორის

¹⁰³ „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის დადგენილება N400. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: http://gov.ge/files/382_42949_233871_400-1.pdf

განვითარებაზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაა, რაც განაპირობებს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემის გადაჭრას, სამუშაო ადგილების შექმნასა და სიღარიბის დაძლევას. მეორე პრინციპია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რაც გულისხმობს მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობას ეკონომიკური განვითარების პროცესში (დიასპორის, მიგრანტების, ეთნიკური უმცირესობების და სხვა ჯგუფების ჩათვლით), ეკონომიკური ზრდის შედეგად საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობას, მათ სოციალურ თანასწორობასა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. მესამე ძირითად პრინციპს ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა და ბუნებრივი კატაკლიზმების რისკების თავიდან აცილება წარმოადგენს. საქართველოს მთავრობა აღიარებს დემოკრატიული განვითარების, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის, კანონის უზენაესობისა და ეფექტიანი მმართველობის პრინციპებს, რომელთაც ეფუძნება მისი პოლიტიკა¹⁰⁴. სტრატეგიის განხორციელების შესახებ გათვალისწინებულია შუალედური მდგომარეობისა (2017 წელი) და საბოლოო შედეგების (2020) შეფასების შესახებ ანგარიშების მომზადება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ.

2014 წლის 27 ივნისს, ბრიუსელში, ხელი მოეწერა „ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ" შეთანხმებას, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DC FTA) კომპონენტს. საქართველოს პარლამენტმა დოკუმენტის რატიფიცირება 2014 წლის 17 ივლისს განახორციელა. 2014 წლის 1 სექტემბრიდან, ძალაში შევიდა ასოცირების შესახებ შეთანხმების დიდი ნაწილი, მათ შორის ასოცირების შეთანხმების ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DC FTA) ნაწილი. შეთანხმება ძალაში სრულად შევიდა 2016 წლის 1 ივლისიდან, მას შემდეგ რაც ყველა წევრმა სახელმწიფომ განახორციელა მისი რატიფიცირება. 2014 წლის ივნისში, საქართველო და ევროკავშირი შეთანხმდნენ ასოცირების დღის წესრიგზე, რომელიც ადგენს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებითა და მისი

¹⁰⁴ იქვე, გვ. 4.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელების პრიორიტეტებს 2014-2016 წლებისთვის (იხილეთ მიმაგრებული დოკუმენტი). საქართველოს მთავრობა ასოცირების შეთანხმებასა და ასოცირების დღის წესრიგს ყოველწლიური ეროვნული სამოქმედო გეგმის საფუძველზე ახორციელებს. 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის საქართველოს მიერ განხორციელების პროგრესი პოზიტიურად შეფასდა ასოცირების საბჭოს პირველ სხდომაზე, რომელიც 2014 წლის 17 ნოემბერს გაიმართა. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 იანვრის №59 განკარგულებით დამტკიცდა (იხილეთ მიმაგრებული დოკუმენტი).

ასოცირების შეთანხმება ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს: დემოკრატიული პრინციპები, ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა პატივისცემა, კანონის უზენაესობა და კარგი მმართველობის პრინციპები. მხარეები ასევე ვალდებულებას იღებენ, ებრძოლონ კორუფციას და სხვადასხვა ფორმის ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულსა და ტერორიზმს, ხელი შეუწყონ მდგრად განვითარებას, ეფექტიანი მულტილატერალიზმს და იბრძოლონ მასობრივი განადგურების იარაღის და მისი მიწოდების საშუალებების გავრცელების წინააღმდეგ¹⁰⁵. ასოცირების შეთანხმების მე-4 კარი არეგულირებს ვაჭრობასა და ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელიც ვრცელდება მხარეებს შორის საქონლით ვაჭრობაზე. ზოგადად, შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივად დაახლოვებას ევროკავშირის 300-მდე სამართლებრივ აქტთან. შეთანხმების სხვადასხვა ნაწილში მოცემულია ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ ნორმები, კერძოდ:

- (i) 50-ე მუხლის შესაბამისად, IV კარის მე-4 თავი მიზნად ისახავს სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ზომებს დაქვემდებარებული პროდუქციით ვაჭრობის ხელშეწყობას მხარეებს შორის, IV დანართში ჩამოთვლილი ყველა ღონისძიების ჩათვლით, ამავე დროს ადამიანების, ცხოველთა ან მცენარეთა სიცოცხლისა ან ჯანმრთელობის დაცვა შემდეგი სახით: (ა) სრული გამჭვირვალობის

¹⁰⁵ ასოცირების შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის, მუხლი 2. შეთანხმება ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: http://www.eu-nato.gov.ge/sites/default/files/AA_BodyText%20%2810%29.pdf

| | |
|--|--|
| | <p>უზრუნველყოფა ვაჭრობასთან დაკავშირებული სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების გატარებისას, რომლებიც ჩამოთვლილია IV დანართში. (ბ) ქართული მარეგულირებელი სისტემის ევროკავშირის მარეგულირებელ სისტემასთან დაახლოება. (გ) მხარეების ცხოველთა და მცენარეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის აღიარება და რეგიონალიზაციის პრინციპის გატარება. (დ) მხარის მიერ გატარებული სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების, რომლებიც ჩამოთვლილია ამ შეთანხმების IV დანართში, ეკვივალენტურობის აღიარების სისტემის ჩამოყალიბება. (ე) SPS შეთანხმების აღსრულების გაგრძელება. (ვ) ვაჭრობის წახალისებისთვის მექანიზმებისა და პროცედურების შემუშავება; და (ზ) კომუნიკაციისა და ურთიერთთანამშრომლობის გაუმჯობესება მხარეთა შორის ამ შეთანხმების IV დანართში ჩამოთვლილ ზომებთან დაკავშირებით.</p> <p>(ii) შეთანხმების 301-306-ე მუხლები შეეხება გარემოს დაცვის საკითხებს, კერძოდ, მხარეები განავითარებენ და განამტკიცებენ თანამშრომლობას გარემოს დაცვის საკითხებზე, რითიც წვლილს შეიტანენ მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების განხორციელებაში. გარემოს გაძლიერებული დაცვა სარგებელს მოუტანს საქართველოსა და ევროკავშირის მოქალაქეებსა და ბიზნეს სექტორს, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესების, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ეფექტიანობის გაზრდის გზით, ასევე, თანამედროვე, სუფთა ტექნოლოგიების გამოყენების მეშვეობით, რაც ხელს შეუწყობს წარმოების ეკოლოგიურად მდგრადი მოდელების ჩამოყალიბებას. თანამშრომლობა მიზნად ისახავს გარემოს ხარისხის შენარჩუნებას, დაცვას, გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციას, ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას, ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და საერთაშორისო დონეზე ძალისხმევის ხელშეწყობას, გარემოს დაცვის რეგიონულ ან გლობალურ პრობლემებთან გასამკლავებლად, მათ შორის ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: (ა)(ა) გარემოსდაცვითი მმართველობა და ჰორიზონტალური საკითხები; (ბ) ჰაერის ხარისხი; (გ) წყლის ხარისხი და წყლის რესურსების მართვა, მათ შორის წყალდიდობის რისკის მართვა, წყლის რესურსების სიმწირე და გვალვები, ასევე საზღვაო გარემო; (დ) ნარჩენების მართვა; (ე) ბუნების დაცვა, მათ შორის, სატყეო მეურნეობა და</p> |
|--|--|

| | |
|--|--|
| | <p>ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონსერვაცია; (ვ) ინდუსტრიული დაბინძურება და ინდუსტრიული საფრთხეები; და (ზ) ქიმიური ნივთიერებების მართვა;</p> <p>(iii) შეთანხმების 307-312-ე მუხლებში მოცემულია კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები, რომლის თანახმადაც, მხარეები განავითარებენ და გააძლიერებენ თანამშრომლობას კლიმატის ცვლილების დასაძლევად. თანამშრომლობა წარიმართება მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე, თანასწორობისა და ორმხრივი სარგებლიანობის საფუძველზე ამ სფეროში ორმხრივ და მრავალმხრივ ვალდებულებებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით. თანამშრომლობა მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილების შერბილებას და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციას, ასევე საერთაშორისო დონეზე ღონისძიებების გატარების ხელშეწყობას, მათ შორის შემდეგ სფეროებში: (ა) კლიმატის ცვლილების შერბილება; (ბ) კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია; (გ) ნახშირბადით ვაჭრობა; (დ) უსაფრთხო და მდგრადი დაბალნახშირბადიანი შემცველობისა და საადაპტაციო ტექნოლოგიების კვლევა, განვითარება, დემონსტრირება, დანერგვა და გავრცელება; და (ე) კლიმატთან დაკავშირებული საკითხების დარგობრივ პოლიტიკაში ინტეგრაცია.</p> <p>(iv) შეთანხმების 345-347-ე მუხლები ითვალისწინებს დებულებებს, რომლებიც მიზნად ისახავს მომხმარებელთა უფლებების დაცვას. ამ მიზნების მისაღწევად, თანამშრომლობა, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა, მოიცავდეს: (ა) მომხმარებელთა შესახებ კანონმდებლობის დაახლოებას სავაჭრო ბარიერების თავიდან აცილების პარალელურად; (ბ) მომხმარებელთა დაცვის სისტემების შესახებ ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობას, რომელიც მოიცავს მომხმარებელთა შესახებ კანონმდებლობასა და მის აღსრულებას, მომხმარებელთა პროდუქტების უვნებლობას, ინფორმაციის გაცვლის სიტემებს, მომხმარებელთა განათლებას/ინფორმირებულობასა და მათი შესაძლებლობების გაძლიერებას, ასევე მომხმარებელთათვის კომპენსაციის უზრუნველყოფას; (გ) ადმინისტრაციის თანამდებობის პირებისა და მომხმარებელთა ინტერესების დამცველთა სხვა წარმომადგენლების მომზადებას; და (დ) მომხმარებელთა დამოუკიდებელი ასოციაციების</p> |
|--|--|

| | |
|--|---|
| | <p>საქმიანობისა და მომხმარებელთა წარმომადგენლებს შორის კონტაქტების ხელშეწყობას.</p> <p>(v) შეთანხმების 348-354-ე მუხლები შეეხება დასაქმებას, სოციალურ პოლიტიკასა და თანაბარ შესაძლებლობას. კერძოდ, მხარეები გააძლიერებენ დიალოგსა და თანამშრომლობას ღირსეული შრომის პირობების დასაქმების პოლიტიკის, სამუშაოზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, სოციალური დიალოგის, სოციალური დაცვის, სოციალური ჩართულობის, გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის, ასევე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშესაწყობად, და ამგვარად წვლილს შეიტანენ მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილის, სიღარიბის შემცირების, გაძლიერებული სოციალური ინტეგრაციის, მდგრადი განვითარებისა და გაუმჯობესებული ცხოვრების დონის უზრუნველყოფაში. 352-ე მუხლის შესაბამისად, საქართველომ იკისრა ვალდებულება ხელი შეუწყოს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობასა და ანგარიშვალდებულებას, და წახალისოს ბიზნესს პასუხისმგებლობის პრაქტიკა.</p> <p>(vi) შეთანხმების 355-357-ე მუხლები არეგულირებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში თანამშრომლობის საკითხებს, კერძოდ, მხარეები თანხმდებიან, რომ განავითარებენ თანამშრომლობას საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უსაფრთხოების დონის ამაღლებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, რაც წარმოადგენს მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის უმთავრეს კომპონენტს.</p> <p>(vii) შეთანხმების 360-ე მუხლის შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან ახალგაზრდობის სფეროში თანამშრომლობაზე, რათა: (ა) ხელი შეუწყონ თანამშრომლობასა და გაცვლებს ახალგაზრდობის პოლიტიკის, ასევე ახალგაზრდებისა და ახალგაზრდა დასაქმებულთა არაფორმალური განათლების სფეროში; (ბ) ხელი შეუწყონ ახალგაზრდებისა და ახალგაზრდა დასაქმებულების მობილურობის გაზრდას, რაც წარმოადგენს კულტურათაშორისი დიალოგის, ფორმალური საგანმანათლებლო სისტემის გარეთ ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის მიღების ხელშეწყობის მექანიზმს, მათ შორის მოხალისეობის გზით; (გ) ხელი შეუწყონ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას.</p> |
|--|---|

| | |
|--|--|
| | <p>(viii) აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროებში თანამშრომლობას მოიცავს შეთანხმების 364-367-ე მუხლები, მხარეები აწარმოებენ რეგულარულ დიალოგს აუდიოვიზუალურ და მედიის პოლიტიკის სფეროში და ითანამშრომლებენ, რათა გააძლიერონ მედიის დამოუკიდებლობა და პროფესიონალიზმი, ასევე, ურთიერთობები ევროკავშირის მედიასთან, ევროპული სტანდარტების შესაბამისად, რომელიც ასევე მოიცავს ევროპის საბჭოს სტანდარტებსა და 2005 წლის გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკო) „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ“ კონვენციას. ხოლო 366-ე მუხლის შესაბამისად, მხარეები ითანამშრომლებენ მთელ რიგ სფეროებში, როგორებიცაა: (ა) დიალოგი აუდიოვიზუალურ და მედიის პოლიტიკაზე; (ბ) დიალოგი საერთაშორისო დონეზე (როგორცაა, იუნესკო და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO)); და (გ) თანამშრომლობა აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროში, კინოს სფეროში თანამშრომლობის ჩათვლით.</p> <p>ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის №382 განკარგულებით დამტკიცდა. 2016 წლის განმავლობაში ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კუთხით საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობები¹⁰⁶:</p> <p>საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება 2016 წლის 1 ივლისიდან სრულად შევიდა ძალაში. შესაბამისად, სრულად ამოქმედდა შეთანხმების შემდეგ სფეროებთან დაკავშირებული მუხლები: საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, თანამშრომლობა მიგრაციის, თავშესაფრისა და საზღვრის მართვის სფეროებში, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა,</p> |
|--|--|

¹⁰⁶ ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში: ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <http://www.eu-nato.gov.ge/sites/default/files/AA%20NAP-2016-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%94%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98---%2B.pdf>

ფულის გათეთრება და ტერორიზმის დაფინანსება, საჯარო ფინანსების მართვა და ფინანსური კონტროლი, ტრანსპორტი, გარემოს დაცვა, კორპორაციული სამართალი, ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი და კორპორაციული მმართველობა, განათლება, ჯანდაცვა და ა. შ. 2016 წლის 1 ივლისიდან, ასევე ძალაშია შეთანხმების 2 დარჩენილი დანართი, რომლებიც ეხება განათლების და ახალგაზრდობის, ასევე, აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროებში თანამშრომლობას.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის № 1-1/712 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა. 2017 წლის 19 ივნისიდან ამოქმედდა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გერმანიის საერთაშორისო დახმარების საზოგადოებასთან (GIZ) თანამშრომლობით შექმნილი DCFTA-ის ვებ-პორტალი - www.dcfta.gov.ge, რომელიც მოიცავს DCFTA-სთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციას, მათ შორის საერთაშორისო მხარდაჭერის, ბიზნესისათვის DCFTA-ის მიერ შექმნილი შესაძლებლობების, შეთანხმების განხორციელების კოორდინაციის და სხვა სიახლეების შესახებ ინფორმაციას. პორტალზე ასევე მოცემული იქნება ინფორმაცია DCFTA-ს ფარგლებში დაახლოებული კანონმდებლობის შესახებ. პორტალზე ასევე, ინტეგრირებულია სპეციალური ფუნქცია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია DCFTA-ს ფარგლებში შემუშავებულ კანონის ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტზე კომენტარების გაკეთება.

2017 წლის პირველი ნახევარში, სსიპ „აწარმოე საქართველოში“ აქტიურად განაგრძობდა ბენეფიციარი მეწარმეებისა და ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლებას DCFTA-სთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამ პერიოდში, DCFTA-ით გათვალისწინებული მოთხოვნების/ვალდებულებებისა და დაგეგმილი ღონისძიებების, ასევე ევროკავშირში ექსპორტის შესაძლებლობების შესახებ კონსულტაცია გაეწია 40-ზე მეტ ბენეფიციარს.

| | |
|--|--|
| | <p>გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, გრძელდება ვებ-გვერდის www.een-georgia.ge და facebook-ის გვერდის “Enterprise Europe Network Georgia” გაუმჯობესება მისი ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.</p> <p>2017 წლის პირველი ნახევრის მდგომარებით, სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, უკვე გაფორმდა ორი საპარტნიორო შეთანხმება ქართულ და ევროპულ კომპანიებს შორის და დამატებით, სამი ქართული კომპანიის ბიზნეს წინადადება განთავსდა ევროპის მეწარმეთა ქსელის ინტრანეტში.</p> <p>ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტექნიკური დახმარების პროექტის ექსპერტების რეკომენდაციებისა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სამრეწველო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის სტრატეგიის შესაბამისად მომზადდა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის ცვლილებების პროექტი, რომელის მიზანია საქართველოში სამრეწველო პროდუქტებზე ბაზრის ზედამხედველობის სისტემის ჩამოყალიბება საუკეთესო ევროპული პრაქტიკის შესაბამისად.</p> <p>CIB პროგრამის II ეტაპის ფარგლებში დასრულდა ეტალონური ლაბორატორიების აღჭურვა სანიმუშო გაზომვის საშუალებებით. არსებული მდგომარეობით უკვე მიღებულია, ინსტალირებულია და მომწოდებლის მიერ აღჭურვილობასთან მუშაობის პირველადი სწავლება ჩატარდა შემდეგი ლაბორატორიებისათვის - რადიაციული მეტროლოგია, მცირე მოცულობები, ძალა, წნევა, აკუსტიკური გაზომვები, ტემპერატურა, ელექტრობა, ტენიანობა, რადიო-ფიზიკური გაზომვები, დრო და სიხშირე, გეომეტრიული გაზომვები, ოპტიკა, მასა, დიდი მასები - საწონები და სასწორები.</p> <p>2017 წლის ნახევარი წლის განმავლობაში, საქართველოს სტანდარტად სულ მიღებული იქნა 1095 ევროპული და საერთაშორისო სტანდარტი. მათ შორის: 26 საერთაშორისო (ISO, IEC); 1068 ევროპული (EN) სტანდარტი და სსტ (საქართველოს სტანდარტი)- 1. ამ ეტაპისათვის საქართველოს სტანდარტად მიღებულია 11 000-ზე მეტი საერთაშორისო და ევროპული სტანდარტი.</p> |
|--|--|

2017 წელს 23 მაისს EA-ს გენერალურ ასამბლეაზე ხელი მოეწერა ორმხრივი აღიარების შეთანხმებას, რაც ნიშნავს, საქართველოში აკრედიტებული ორგანიზაციების, მიერ გაცემული შესაბამისობის შეფასების დოკუმენტების (სერტიფიკატები და ლაბორატორიული გამოცდის ოქმები) საერთაშორისო აღიარებას. მაგალითისათვის უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში უკვე შესაძლებელია ევროკავშირში აღიარებული სერტიფიკატი მიიღოს მეწარმემ ისეთ პროდუქტებზე როგორებიცაა: ხილი, ბოსტნეული, ხილის და ბოსტნეულისგან დამზადებული კონსერვები და სხვა სახის საკვები პროდუქტი, მინერალური და სასმელი წყალი, უალკოჰოლო სასმელები, ალკოჰოლიანი სასმელები, ფერადი და ძვირფასი ლითონები, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ქიმიური მრეწველობის პროდუქტები, ავეჯი, გამზომი საშუალებების დაკალიბრება და სხვ.

სანიტარულ და ფიტოსანიტარიულ სფეროში საკანონმდებლო დაახლოების ნუსხით 2017 წელს განსაზღვრულია ევროკავშირის 19 სამართლებრივ აქტთან დაახლოება, საიდანაც, 6 თვის მდგომარეობით დაახლოება განხორციელდა ევროკავშირის 3 საკანონმდებლო აქტთან, ხოლო მომზადებულია 5 დადგენილების პროექტები.

საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად 2017 წლის მდომარეობით, საქართველო დამატებულია იმ მესამე ქვეყნების ჩამონათვალსში, საიდანაც შესაძლებელია თაფლის, მატყლისა და შავი ზღვის თევზისა და თევზის პროდუქტების იმპორტი ევროკავშირში.

2017 წლის მაისის თვეში, ასოცირების შეთანხმების ფარგლებში გამართული ქვეკომიტეტის შეხვედრაზე შეთანხმდა, რომ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის დაახლოება მოხდება ევროკავშირის ახალ საბაჟო კოდექსთან (Union Customs Code), რის შესაბამისადაც მოხდება არსებული საბაჟო კოდექსის სამუშაო პროექტის გადახედვა. მიმდინარეობს მუშაობა „ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ (CTC)” და „საქონლით ვაჭრობაში ფორმალობების გამარტივების შესახებ (SAD)” კონვენციებთან მიერთებისათვის. ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა შესაბამისი გზამკვლევი და მიმდინარეობს საქართველოს კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების შემუშავება შესაბამისი IT ინფრასტრუქტურის მომზადებასთან ერთად. ასევე, საქართველოში დაინერგა ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ინსტიტუტი შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, რომელიც ძალაში შევა

2017 წლის სექტემბერში. გრძელდება მუშაობა კანონმდებლობის შემდგომ დახვეწაზე USAID G4G პროექტის მხარდაჭერით. გრძელდება მუშაობა საჭაერო მგზავრებზე წინასწარი ინფორმაციის/ მგზავრების პირადი მონაცემების გაცვლის სისტემის დანერგვაზე. მომზადდა შესაბამისი ცვლილებების პროექტი საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლითაც გაწერილია სისტემის დანერგვისათვის აუცილებელი დებულებები. მიმდინარე ეტაპზე პროექტი განიხილება პარლამენტის მიერ მოსმენებზე.

ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული საბაჟოზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის აღსრულების სფეროში ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოების მიზნით, შემოსავლების სამსახურში შეიქმნა შიდაუწყებრივი სამუშაო ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც დადგინდა კანონმდებლობებს შორის არსებული განსხვავებები. სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ“ ქართულ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი. კანონპროექტი მოცემულ ეტაპზე გადის შიდა-უწყებრივ განხილვას. ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი ინტელექტუალური საკუთრების მარეგულირებელ კანონმდებლობაში გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტს. ამჟამად, მიმდინარეობს კანონპროექტების განხილვა პირველი მოსმენით. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტის“ მიერ აქტიურად გრძელდება სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების ჩატარება. საქპატენტი აქტიურად ახორციელებს მოსამართლეებისათვის და ადვოკატებისათვის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხზე ტრენინგების ორგანიზებას. 2017 წლის 20-21 ივლისს, ბათუმში გაიმართა რიგით მე-3 საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ“, რომლის მიზანია საჯარო და კერძო სექტორის დიალოგის გაძლიერება კონტრაფაქციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებთან მიმართებაში.

შესწავლილი და დამუშავებული იქნა ელექტრონული კომერციის შესახებ ევროკავშირის დირექტივა (2000/31/EC) და ევროპული ქვეყნების საკანონმდებლო ბაზა, რომლებზე დაყრდნობით და USAID-ის „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G) პროექტის

| | |
|--|---|
| | <p>დახმარებით, მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი „ელექტრონული კომერციის შესახებ.“ განხორციელდა საჯარო უწყებებიდან მიღებული შენიშვნების დამუშავება და კანონპროექტის დახვეწის სამუშაოები, სექტემბრის თვეში კერძო და საჯარო სექტორთან მოეწყო კანონის პროექტის პრეზენტაცია და დეტალური განხილვა. მომზადდა კანონპროექტის ინგლისური ვერსია და კომენტარებისთვის გადაეგზავნა ევროკომისიის და მსოფლიო ბანკის ექსპერტებს.</p> <p>კონკურენციის სააგენტოში დაიწყო ევროკავშირის ტექნიკური დახმარების 2-წლიანი პროექტი - „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა“, რომელიც მიზნად ისახავს კონკურენციის სააგენტოს სამართლებრივი, ეკონომიკური და ტექნიკური შესაძლებლობების ეფექტიანობის გაზრდას, რაც უზრუნველყოფს სააგენტოს მიერ კონკურენციის პოლიტიკის სათანადოდ აღსრულებას, ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკისა და DCFTA-ს დებულებების შესაბამისად.</p> <p>დამტკიცდა გაზის კომერციული მომსახურების ხარისხის წესები, რომლის მიზანიც არის ელექტროენერგეტიკულ, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში საწარმოს მიერ მომხმარებლისთვის გაწეული მომსახურების კომერციული ხარისხის გაუმჯობესება. USAID- ის „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G) პროექტის ფარგლებში ჩატარებული ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელის მე-2 სიმულაციის შედეგად, განხორციელდა სიმულაციის შედეგების ანალიზი, მოხდა გამოწვევების იდენტიფიცირება საათობრივ და ლიბერალურ ბაზარზე გადასვლის მიზნით. ნავთობის და გაზის კორპორაციის მიერ, შემუშავდა ბუნებრივი გაზის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ათწლიანი (2016-2025 წლები) განვითარების გეგმის საბოლოო დოკუმენტი და მისი განახლებული რედაქცია (2017-2026 წლები).</p> |
| <p>გამჟღავნება და ანგარიშგება</p> | <p><u>მიიღო მთავრობამ კანონი, კორპორაციების მიერ, ადამიანის უფლებების, დასაქმებულთა უფლებების, გარემოზე ზემოქმედების, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის, ან სხვა ეთიკური საკითხების შესახებ გამჟღავნების და ანგარიშგების მხარდაჭერის მიზნით?</u></p> |

| | |
|--|---|
| | <p><i>არსებული კანონმდებლობა</i></p> <p>ქართულ კანონმდებლობაში არსებობს ფინანსური ანგარიშგების ვალდებულება, ერთის მხრივ კორპორაციის ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მესაკუთრეებისათვის (მეწილეთათვის ან აქციონერთათვის, „მეწარმეთა შესახებ“ კანონიდან გამომდინარე), მეორეს მხრივ კი, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონიდან გამომდინარე ფინანსური ანგარიშგება ბირჟისადმი ან ეროვნული ბანკისადმი სუბიექტის მიხედვით.</p> <p>აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით სახელმწიფო საწარმოები კერძო სამართლის იურიდიული პირები არიან. კერძო სამართლის იურიდიული პირები კი საჯარო დაწესებულებებად განიხილებიან მხოლოდ სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსების არსებობის შემთხვევაში, ასეთი დაფინანსების ფარგლებში.¹⁰⁷ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ანგარიშვალდებულნი არიან პარტნიორისა და საგადასახადო ორგანოს წინაშე.</p> <p>ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს რომ დაუშვებელია ისეთი ინფორმაციის გასაიდუმლოება, რომელიც არ არის სახელმწიფო, კომერციული საიდუმლოება და პერსონალური მონაცემი (მუხლი 42). კომერციულ საიდუმლოდ კი ითვლება „ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას“ (მუხლი 27².1). ამასთან, კომერციული საიდუმლო ავტომატურად არ ითვლება დახურულად, იგი უნდა</p> |
|--|---|

¹⁰⁷ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. თავი 3. კანონის ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 8 მაისს].

| | |
|--|--|
| | <p>გასაიდუმლოვდეს სუბიექტის (მაგალითად, ბიზნეს სუბიექტის) მიერ განცხადების წარდგენის საფუძველზე.</p> <p>მნიშვნელოვანია აღინიშნოს ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული 2016-2017 წლის სამოქმედო გეგმა, სადაც მოცემულია საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებები არსებული გამოწვევების დასაძლევად.¹⁰⁸ ერთ-ერთ გამოწვევად სახელმწიფოს აღიარებული აქვს კორპორატიული პასუხისმგებლობის გაუმჯობესება და შესაბამისი ვალდებულებები: ეკონომიკური აგენტებისათვის გზამკვლევის შემუშავება, კომერციული მომსახურების ხარისხის კონტროლის პროგრამის შემუშავება და დანერგვა, კომპანიების მიერ ანგარიშების ელექტრონულად წარმოდგენა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. აღნიშნული ვალდებულებების განხორციელებისათვის წამყვანი უწყება საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია და ამ ვალდებულებების ფარგლებში განსახორციელებელი ქმედებები სწორედ ამ სფეროში მოქმედი კომპანიებისთვისაა მიზანმიმართული - ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატების, წყალმომარაგების ლიცენზიატებისა და ბუნებრივი გაზის მიმწოდებლებისათვის და ეხება მომხმარებელთა ცალკეული უფლებების დაცვას.</p> <p><i>ხარვეზები</i></p> <p>კანონმდებლობაში არაა განსაზღვრული ბიზნესის ანგარიშგება ადამიანის უფლებების, შრომის უფლებების, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ან სხვა ეთიკურ საკითხებზე. გარემოს დაცვის შესახებ საკითხებზე ანგარიშგება პროაქტიულად დადგენილი ასევე არ არის, თუმცა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ვალდებულებიდან გამომდინარე, მოთხოვნის შემთხვევაში ბიზნეს სუბიექტი ვალდებულია გასცეს ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ.</p> <p>ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმა ვრცელდება ბიზნესის მხოლოდ ერთ სექტორზე -</p> |
|--|--|

¹⁰⁸ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 დეკემბრის N539 დადგენილება „ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

| | |
|-------------------------------------|---|
| | <p>ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატების, წყალმომარაგების ლიცენზიატებისა და ბუნებრივი გაზის მიმწოდებლების ანგარიშგებაზე.</p> <p>რაც შეეხება სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებს, არც ერთი კანონით გათვალისწინებული ვალდებულება ადამიანის უფლებათა ან ეთიკური ბიზნეს ქცევის შესახებ ანგარიშგებას არ ითვალისწინებს.</p> <p>ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო არ არის არც საზოგადოებისათვის და არც კონკრეტული ჩართული მხარეებისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 21 აპრილის N01-10/ნ ბრძანებით დამტკიცებული ამავე სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ინსპექტირების შედეგები (შრომის პირობების ინსპექტირების შესახებ დამატებით იხილეთ პასუხი ინდიკატორზე „ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ ამავე პრინციპში კითხვაზე 1.5).</p> |
| <p>შესყიდვების სამართალი</p> | <p><u>მიიღო მთავრობამ კანონმდებლობა და რეგულაციები, სახელმწიფოს მიერ, კერძო სექტორიდან საქონლის და მომსახურებების შესყიდვაში ადამიანის უფლებების საკითხების გათვალისწინების მხარდაჭერის მიზნით?</u></p> <p>კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“¹⁰⁹ ისევე, როგორც მის საფუძველზე მიღებული სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ნორმატიული აქტები, რომლებიც სხვადასხვა შესყიდვის ჩატარების პროცედურებს ეხება არ მოიცავს არანაირ ვალდებულებას ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხები გათვალისწინებული იყოს შესყიდვის ჩატარების პროცედურებში მიმწოდებლის შერჩევამდე ან შერჩევის შემდგომ.</p> <p>ინიციატივა</p> |

¹⁰⁹ კანონის სრული ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31252> აქვეა ხელმისაწვდომი კანონთან დაკავშირებული სხვა ნორმატიული აქტები [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 8 აპრილს].

| | |
|--|--|
| | <p>აღსანიშნავია, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მე-8 თავი მთლიანად ეხება საჯარო შესყიდვებს და ითვალისწინებს ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს შესყიდვების კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას, ევროკავშირში საჯარო შესყიდვების მმართველ პრინციპებსა და იმ ტერმინებსა და განმარტებებზე დაყრდნობით, რომლებიც მოცემულია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 31 მარტის N2004/18/EC დირექტივაში სამუშაოების, საქონლის მიწოდებისა და მომსახურების საჯარო ხელშეკრულების დასადავად გამარჯვებულის გამოვლენის პროცედურების კოორდინაციის შესახებ (დირექტივა 2004/18/EC) და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 31 მარტის N2004/17/EC დირექტივაში წყლის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და საფოსტო მომსახურების სექტორში მოქმედი ორგანიზაციების მიერ შესყიდვების პროცედურების კოორდინაციის შესახებ (დირექტივა 2004/17/EC). ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება საქართველოს მიერ ეტაპობრივად, 2024 წლამდე უნდა მოხდეს.</p> |
| <p>მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლა</p> | <p><u>მიიღო მთავრობამ კანონმდებლობა და რეგულაციები, რომელთა მიზანია მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის ხელშეწყობა მთავრობაში და მთავრობებს შორის?</u></p> <p><i>არსებული კანონმდებლობა</i></p> <p>საქართველოს კანონმდებლობა კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით საკმაოდ ვრცელია. აღსანიშნავია, რომ საქართველო წარმოადგენს გაეროს კორუფციასთან ბრძოლის კონვენციის (UNCAC), ევროპის საბჭოს სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის კონვენციების ხელმომწერ მხარეს. ეს კონვენციები განსაზღვრავენ კორუფციის განმარტებას და სახელმწიფოს ვალდებულებებს მასთან ბრძოლის მიმართულებით.</p> <p>ცალკე უნდა აღინიშნოს ასოცირების შეთანხმების დებულებებიც. შეთანხმების პოლიტიკური ნაწილი მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან დეკლარაციას და ვალდებულებას კორუფციის მიმართულებით. უპირველესად ხაზი უნდა გაესვას, რომ ასოცირების შეთანხმების პრეამბულაში პირდაპირ არის მითითებული მხარეთა</p> |

| | |
|--|--|
| | <p>სურვილი, საქართველოს განვითარებისათვის ითანამშრომლონ სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც აუცილებელია შეთანხმების ეფექტიანი განხორციელებისათვის, ევროკავშირი კი მზადყოფნად გამოთქვამს, მხარი დაუჭიროს საქართველოს შესაბამისი რეფორმების პროცესში.</p> <p>მხარეები ასევე ვალდებულებას იღებენ, „უზრუნველყონ კანონის უზენაესობა, განახორციელონ კარგი მმართველობა, ებრძოლონ კორუფციას და სხვადასხვა ფორმის ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულსა და ტერორიზმს, ხელი შეუწყონ მდგრად განვითარებას“ (მუხლი 2. მე-4 პუნქტი).</p> <p>ასოცირების შეთანხმება კიდევ უფრო აკონკრეტებს მხარეების თანამშრომლობის ვალდებულებას ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში შეთანხმების მე-17 მუხლში და გამოყოფს, რომ თანამშრომლობა უნდა მოხდეს სხვადასხვა დანაშაულისა თუ უკანონო ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლასა და პრევენციაში, მათ შორის - უკანონო ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობა, როგორცაა გაყალბება, ფისკალური თაღლითობა და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში თაღლითობა; საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების თანხების გაფლანგვა; აქტიური და პასიური კორუფცია, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში.</p> <p>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიც იცნობს სხვადასხვა კორუფციულ დანაშაულს¹¹⁰, მათ შორის, სამოხელეო დანაშაულებს, როგორცაა ქრთამის აღება, მიცემა, ზეგავლენით ვაჭრობა, ასევე, კომერციული მოსყიდვა და სხვა. ისინი საკმაოდ მკაცრ დებულებებს მოიცავს.</p> <p>ცალკე უნდა გამოიყოს ქრთამის მიცემის მუხლი, რომელიც დანაშაულად აღიარებს კერძო სუბიექტის, მათ შორის, ბიზნესის, მიერ ნებისმიერი ფორმით რაიმე ქონების ან სარგებლის გადაცემას რაიმე ქმედების ან უმოქმედობისათვის, თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოსაყენებლად ან სამსახურებრივი მფარველობის გასაწევად. ეს მუხლი მოიცავს ე.წ. „ატკატსაც“ (facilitation payment), ისევე, როგორც ნებისმიერი ბიზნეს ოპერაციისათვის</p> |
|--|--|

¹¹⁰ კოდექსი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 12 მაისს].

მფარველობის მოთხოვნას. აღნიშნულ მუხლში ასახულია გაეროს კორუფციასთან ბრძოლის კონვენციის განმარტება ქრთამის შესახებ.

ბიზნეს სუბიექტების შემთხვევაში კორუფციული დანაშაულები მოცულია თეთრი საყელოს დანაშაულების კატეგორიაში, ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია - სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მართლასწინააღმდეგო მითვისება ან გაფლანგვა (182-ე მუხლი), კომერციული მოსყიდვის (221-ე მუხლი), სამსახურებრივი სიყალბე (341-ე მუხლი), უკანონო სამეწარმეო საქმიანობა (192-ე მუხლი) და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (194-ე მუხლი).

ბიზნეს სექტორში კორუფციის პრევენციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მათ მიერ რეგულარული ანგარიშების წარდგენა. თუმცა საკორპორაციო სამართალი არ იცნობს საჯარო ფინანსურ ანგარიშგებას (გარდა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული კომპანიებისათვის) და მხოლოდ ხელმძღვანელის მიერ მოწილეთათვის მოითხოვს ანგარიშის წარდგენას. მეორეს მხრივ, საჯარო სააქციო საზოგადოებები წარუდგენენ ანგარიშს საფონდო ბირჟას, ხოლო საფინანსო ორგანიზაციები - საქართველოს ეროვნულ ბანკს.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონიდან მნიშვნელოვანია სახელმწიფო მოსამსახურისათვის შემოსავლის მიღების შეზღუდვა იმ დაწესებულებიდან, რომლებსაც სამსახურებრივ ზედამხედველობას უწევს და მოსამსახურის ოჯახის წევრების მიერ მართული ორგანიზაციის ზედამხედველობის აკრძალვაც (მუხლი 62). ბიზნეს ინტერესებისათვის სამსახურის გამოყენების შეზღუდვას ემსახურება სამეწარმეო საქმიანობის აკრძალვაც (მუხლი 63). ე.წ. „მბრუნავი კარის“ (revolving door) შეზღუდვას ემსახურება კანონის 65-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, „განთავისუფლებული სახელმწიფო მოსამსახურე განთავისუფლების დღიდან 3 წლის მანძილზე არ შეიძლება სამსახურში შევიდეს იმ დაწესებულებაში ან ეწეოდეს საქმიანობას იმ საწარმოში, რომელსაც იგი უკანასკნელი 3 წლის მანძილზე სისტემატურად ზედამხედველობდა სამსახურებრივად. ამ ხნის განმავლობაში მას აგრეთვე არ აქვს უფლება ასეთი დაწესებულებიდან ან საწარმოდან მიიღოს შემოსავალი.“ კანონი აგრეთვე ზღუდავს

ცალკეული გარიგებების დადებას, როგორცაა მის საკუთრებაში არსებულ სამეწარმეო სუბიექტთან, პარტიასთან, ოჯახის წევრებთან და ა.შ. გარიგების დადება (მუხლი 66).

2015 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონი და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რითიც დაადასტურა საჯარო სამსახურის რეფორმა. აღნიშნული კანონმდებლობა დიდ წილად 2017 წლის 1 ივლისიდან შევიდა ძალაში და არაერთ საკითხი ძირეულად შეცვალა. რეფორმის შედეგად გაიზარდა საჯარო სამსახურში ანგარიშვალდებული პირების წრე და მონიტორინგის უფრო ეფექტიანი მექანიზმები შექმნა, რაც საშუალებას იძლევა ბიზნეს სექტორისა და საჯარო სამსახურის კავშირი ეფექტიანად შეიზღუდოს და მათ შორის, „მბრუნავი კარის“ შემთხვევებიც გამოირიცხოს.

კორუფციასთან ბრძოლის კუთხით აღსანიშნავია შესყიდვების კანონმდებლობა, რომელიც იმგვარადაა შემუშავებული, რომ მაქსიმალურად გამოირიცხოს კორუფციული რისკები. სწორედ ამას ემსახურება ელექტრონული ტენდერი და გამარჯვებულის გამოვლენა მხოლოდ ფასის გათვალისწინებით.

ლობისტური საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმები საკმაოდ ყურადსაღებია კორუფციაზე საუბრისას, ვინაიდან რისკები ამ სფეროში საკმაოდ მაღალია. სწორედ ამიტომ, რეგულაციები სათანადოდ უნდა იყოს გაწერილი. საქართველოს კანონი „ლობისტური საქმიანობის შესახებ“ არსებობს 1998 წლიდან და აწესრიგებს ლობისტად რეგისტრაციის წესს და ურთიერთობებს, რომელიც ლობისტური საქმიანობისას წარმოიშობა. ტერმინთა განმარტების თანახმად ლობისტური საქმიანობა საკანონმდებლო ცვლილების განსახორციელებლად ზემოქმედებას მოიცავს წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოზე (მუხლი 2). ლობისტად დარეგისტრირება ქვეყნის ნებისმიერ ქმედუნარიან მოქალაქეს შეუძლია, გარდა რამდენიმე შემთხვევისა (მუხლი 6). კანონით განსაზღვრულია ლობისტების გარკვეული შეზღუდვები, რათა გამოირიცხოს კერძო სექტორი სახელმწიფოზე ისეთი გავლენა, რაც კორუფციული ქმედება გახდება.

| | |
|--|---|
| | <p>„ლობისტური საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი არ არეგულირებს როგორ ხდება ლობისტების მიერ წარდგენილი ანგარიშების შემოწმება და არც შესაბამის ორგანოს ადგენს მონიტორინგისათვის.</p> <p>საქართველოს მთავრობის დადგენილებით მიღებულია ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა.¹¹¹ სტრატეგია დეტალურად მიმოიხილავს საქართველოს მიღწევებს კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით, ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებს და აღწერს სამომავლო გეგმებს. სწორედ აღნიშნულ დოკუმენტშია გაცხადებული საქართველოს მთავრობის მიერ აღებული პოლიტიკური ვალდებულებები.</p> <p>ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციის შეფასებებზე დაყრდნობით და გაეროს კორუფციის წინააღმდეგ კონვენციის მოდელის შესაბამისად სამ მიმართულებას გამყოფს: კორუფციის პრევენცია, კორუფციის კრიმინალიზაცია და საერთაშორისო თანამშრომლობა. აღსანიშნავია, რომ კორუფციის პრევენციის მიმართულებით გამოყოფილია 13 სფერო (პრიორიტეტული და მოწყვლადი სფეროები), რომელთაგან ერთ-ერთია კორუფციის პრევენცია კერძო სექტორთან მიმართებით.</p> <p>სტრატეგია ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ „კორუფცია ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას, ბიზნესის განვითარებასა და ინვესტიციების ზრდას ქვეყანაში, რითაც ყველაზე მეტად მოსახლეობის ღარიბი და დაუცველი ნაწილი ზარალდება. ამასთან, ქრთამის აღება და მიცემა, სახელმწიფო რესურსების მისაკუთრება, ინტერესთა კონფლიქტი, ზეგავლენით ვაჭრობა, ფავორიტიზმისა და ნეპოტიზმის შემთხვევები ძირს უთხრის საჯარო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობას და დიდ უკმაყოფილებას იწვევს საჯარო სამსახურებისადმი. შესაბამისად, კორუფციის პრევენცია, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებში კორუფციული პრაქტიკის აღმოფხვრა საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.“ შესაბამისად</p> |
|--|---|

¹¹¹ სტრატეგია და სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის დადგენილებით №170 „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის და საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

| | |
|--|--|
| | <p>იქმნება სტრატეგია, რომელიც კორუფციასთან ბრძოლას ხელს უწყობს წარსული გამოცდილების გათვალისწინებით.</p> <p>გარდა ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა, სამთავრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ ასევე ეხება კორუფციასთან ბრძოლის თემას და წარმოადგენს კიდევ ერთ წყაროს სახელმწიფოს პოლიტიკური ვალდებულებების თვალსაზრისით.¹¹² პროგრამა ხაზს უსვამს კორუფციის, კერძოდ „ელიტური კორუფციის“ აღმოფხვრის აუცილებლობას და აცხადებს, რომ უსაფრთხოების სამსახურის ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ ეს იქნება. ასევე აღსანიშნავია, რომ საჯარო სამსახურის რეფორმაც ამ პროგრამის ერთ-ერთი ნაწილია და ხაზგასმულია, რომ რეფორმის ფარგლებში კორუფციასთან ბრძოლის ძლიერი და ქმედითი მექანიზმი, დეკლარაციების მონიტორინგი, დაიგეგმება. ცხადია, სამთავრობო პროგრამა ზოგადი დოკუმენტია და მასში დეტალური ნაბიჯები გაწერილი არაა, თუმცა მთავრობის მიერ კორუფციასთან ბრძოლის წამოწევა მნიშვნელოვანია და მიუთითებს, რამდენად სერიოზულია აღნიშნული საკითხი ქვეყნისათვის.</p> <p>საინტერესოა აგრეთვე „საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020“, რომელიც კორუფციისათვის მნიშვნელოვან თემებზე აკეთებს აქცენტს.¹¹³ მისი შემუშავება საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისათვის მთავრობის საშუალო ვადიანი პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად მოხდა.</p> <p>შესაბამისი ინსტიტუტების გაძლიერება ასოცირების დღის წესრიგის ერთ-ერთი ფუნდამენტური თემაა, რასაც საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ეროვნული სამოქმედო გეგმაც ადასტურებს.¹¹⁴ გეგმით გათვალისწინებულია ასოცირების</p> |
|--|--|

¹¹² პროგრამა ხელმისაწვდომია აქ:

http://gov.ge/files/53185_53185_636375_mtavrobis_programa_27.12_.15.pdf

[უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 25 აპრილს].

¹¹³ გზამკვლევი დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 აგვისტოს დადგენილებით №427 „საჯარო მმართველობის განხორციელების სტრატეგიული დოკუმენტების - „საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020-ისა“ და „პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2015-2017-ის“ დამტკიცების თაობაზე“.

¹¹⁴ იხილეთ ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 და 2016 წლების სამოქმედო გეგმები. ხელმისაწვდომია აქ:

| | |
|--|---|
| | <p>ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება აქტიურ და პასიურ კორუფციასთან ბრძოლისათვის, მათ შორის, კერძო სექტორში, რისთვისაც საერთაშორისო ორგანიზაციების (მ.შ. OECD და GRECO) რეკომენდაციების შესრულებაა დაგეგმილი.</p> <p>ამ მხრივ აღსანიშნავია 1997 წლის 26 მაისის ევროკავშირის კონვენცია საჯარო პირების მონაწილეობით კორუფციაზე, რომელიც განამტკიცებს სამართლებრივ თანამშრომლობას ევროკავშირის მოხელეებსა თუ წევრი სახელმწიფოების თანამდებობის პირების კორუფციულ გარიგებებთან ბრძოლისათვის. კონვენციით განსაზღვრული მთავარი ვალდებულება კორუფციის კრიმინალიზებაა. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები, რომელიც დაწესებულებების ხელმძღვანელებს ან სხვა პირებს, რომელთაც აქვთ გადაწყვეტილების მიღების უფლება ან ბიზნესზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა, მიცემული იქნან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში ისეთ პირთან აქტიურ კორუფციულ გარიგებაში შესვლის შემთხვევაში, ვინც ბიზნესის მართვას ახორციელებს.</p> <p><i>ხარვეზები</i></p> <p>კანონმდებლობის ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ ფართოა კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით რეგულაციები, მათ შორის, ბიზნეს-სექტორშიც თუმცა თავად კერძო სექტორში შესაძლო ქმედებები დამატებით რეგულირებას საჭიროებს.</p> <p>ამ მხრივ აღსანიშნავია, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კონვენცია საერთაშორისო ბიზნეს-ტრანზაქციებში უცხო ქვეყნის საჯარო პირების მექრთამეობის წინააღმდეგ, რომელიც ადგენს კონვენციის წევრი სახელმწიფოებისათვის სამართლებრივად მზოჭავ ჩარჩოებს და ახდენს იმ უცხო ქვეყნის საჯარო მოხელეების ქმედებების კრიმინალიზებას, რომლებიც ეწევიან მექრთამეობას საერთაშორისო ბიზნეს ტრანზაქციების მეშვეობით და წარმოადგენს იმ მექანიზმებს, რომლებიც ეფექტურს ქმნის</p> |
|--|---|

<http://www.eu-nato.gov.ge/sites/default/files/AA%20National%20Action%20Plan%202015%20-%20Final%20GEO.pdf>

<http://www.eu-nato.gov.ge/sites/default/files/AA%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90%202016.pdf>

[უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 8 მაისს].

| | |
|--|--|
| | <p>ამ ტიპის კორუფციასთან ბრძოლას. საერთაშორისო ბიზნეს ტრანზაქციების დროს საჯარო მოხელეების მიერ ქრთამის აღების წინააღმდეგ კონვენცია პირველი და ერთადერთი ანტიკორუფციული დოკუმენტია, რომელიც კორუფციული ტრანზაქციების “მიმწოდებელ მხარეზეა” ორიენტირებული. კონვენციით და მისი რეკომენდაციებით აგრეთვე განსაზღვრულია ეფექტიანი ზომების მიღების წესები და რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას საერთაშორისო ბიზნესში მექრთამეობის აღმოსაფხვრელად. სამწუხაროდ, საქართველო ამ კონვენციის მხარე არ არის, რაც შეიძლება გამოიყოს, როგორც ხარვეზი. მით უმეტეს, რომ ასოცირების დღის წესრიგით სწორედ OECD სხვადასხვა სტანდარტი აქვს საქართველოს აღიარებული და ამ კონვენციის რატიფიცირება საკმაოდ ეფექტური გზა იქნებოდა საერთაშორისო ბიზნეს სექტორში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.</p> |
| <p>ადამიანის უფლებების დამცველის და/ან მამხილებელთა დაცვა</p> | <p><u>მიიღო მთავრობამ კანონმდებლობა და რეგულაციები, რომელთა მიზანია ადამიანის უფლებების დამცველთა და/ან მამხილებელთა უფლებების დაცვა?</u></p> <p><i>არსებული კანონმდებლობა</i></p> <p>გაეროს კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოს მოუწოდებს დაცვის ღონისძიებები განსაზღვროს ნებისმიერი პირის დასაცავად, რომელიც კეთილსინდისიერად და გონივრულად აწვდის ინფორმაციას კომპეტენტურ ორგანოებს კორუფციულ დანაშაულთან დაკავშირებული ფაქტების შესახებ (მუხლი 33), გარდა ამისა, სახელმწიფოს აქვს ვალდებულება გაატაროს სათანადო ღონისძიებები მოსახლეობის მიერ სათანადო ორგანოებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად (მუხლი 13.2). მსგავს ვალდებულებებს ითვალისწინებს ევროპის საბჭოს კორუფციის შესახებ სისხლის სამართლის კონვენციაც.¹¹⁵ მამხილებელთა დაცვის ვალდებულებას ასევე ითვალისწინებს ორჰუსის კონვენციის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტი.</p> |

¹¹⁵ კონვენციის 22-ე მუხლი ავალდებულებს მხარეებს გაატარონ სათანადო ზომები იმ პირთა ეფექტიანი და შესაბამისი დაცვისათვის, რომლებიც ამხელენ კორუფციულ დანაშაულებს ან სხვაგვარად თანამშრომლობენ გამოძიებისა და ბრალდების ორგანოებთან. კონვენციის ინგლისური ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <http://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/rms/090000168007f3f5> [უკანასკნელად გადამოწმდა 2016 წლის 23 მარტს].

კორუფციის შესახებ კანონში 2009 წლის 27 მარტს განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე დამატებული მამხილებლის დაცვის შესახებ თავი (კანონის მე-5 პრიმა თავი).

„მხილების“ განმარტება მოიცავს მხოლოდ „საჯარო მოსამსახურის (მხილებულის) მიერ საქართველოს კანონმდებლობის ან ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შემცველი ნორმების დარღვევის შესახებ“, მაშინ, როდესაც ზემოთ მითითებული საერთაშორისო დოკუმენტები მოითხოვს ნებისმიერი კორუფციული სამართალდარღვევის მხილების დაცვას. უფრო მეტიც, ევროპის საბჭოს სამოქალაქო სამართლის კონვენცია კორუფციის შესახებ მიუთითებს, რომ „უზრუნველყოფილი უნდა იყოს იმ თანამშრომლების სათანადო დაცვა გაუმართლებელი სანქციებისაგან, რომლებსაც აქვთ საკმარისი საფუძველი კორუფციაზე ეჭვის მიტანისა და რომლებიც კეთილი ნებით მოახსენებენ მათ ეჭვს კომპეტენტურ პირებსა და უწყებებს“ (მუხლი 9).

კანონით დადგენილია მამხილებლის ანონიმურობის დაცვა (თუ განმცხადებელი პირდაპირ არ გამოხატავს მისი ვინაობის გასაჯაროების სურვილს, იგი ანონიმურად უნდა დარჩეს). ასეთი მიდგომა საერთაშორისო პრაქტიკასთანაც შესაბამისობაშია. თუმცა, პრობლემურია მხილების პროცედურა. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონი მხილებას უკავშირებს როგორც შიდა სტრუქტურაში მხილებას, ასევე სხვა ორგანოებისთვის (მათ შორის, სახალხო დამცველისთვის) ინფორმაციის მიწოდებას. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის თანახმად, მამხილებლის მიერ სამოქალაქო საზოგადოების ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინფორმირება მხილებად მაშინ ჩაითვლება, თუ შესაბამისმა ორგანომ უკვე მიიღეს გადაწყვეტილება. აღნიშნული ორგანოების უმოქმედობის ან მათი არაეფექტურობის პირობებში მამხილებელი არ რჩება დაცული.

ხარვეზები

მართალია, საერთაშორისო ხელშეკრულებები მამხილებლის დაცვას სახელმწიფოს ავალდებულებენ იმ შემთხვევაში, როდესაც მამხილებელი კონკრეტულ ორგანოებს მიმართავს, მაგრამ საუკეთესო პრაქტიკა და საერთაშორისო ორგანიზაციების

| | |
|---|---|
| | <p>რეკომენდაციები უთითებენ ნებისმიერი ინფორმაციის გამავრცელებლის დაცვის აუცილებლობაზე.</p> |
| <p>საინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სამართალი</p> | <p><u>მიიღო მთავრობამ კანონმდებლობა და რეგულაციები, ინფორმაციაზე წვდომის, სიტყვის თავისუფლების, პირადი და სხვა საინფორმაციო და საკომუნიკაციო უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, როგორც ონლაინ, ასევე ოფლაინ რეჟიმში?</u></p> <p><i>არსებული კანონმდებლობა</i></p> <p>ინფორმაციის ხელმისაწვდომობა განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით, რომელიც ადგენს საქართველოს ყოველი მოქალაქის უფლებას გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. კონსტიტუციის მე-20 მუხლის თანახმად კი, ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია.</p> <p>ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კონკრეტული დებულებები მოცემულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავში, რომელიც ადგენს ინფორმაციის მოთხოვნის წესს, მიღების ვადას და სხვა პირობებს.¹¹⁶ კანონით განსაზღვრულია ელექტრონული ფორმით ინფორმაციის მოთხოვნის და მიღების წესებიც. აღსანიშნავია, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებას კანონი ადგენს ყველა პირისათვის, ვისაც აქვს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება და ინფორმაცია საჯარო უნდა იყოს ამ დაფინანსების ფარგლებში. ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება და შესაბამისი პროცედურებიც განსაზღვრულია.</p> <p>ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი დეტალურად განმარტავს კომერციულ საიდუმლოებას, პირადი ინფორმაცია კი განმარტებულია „პერსონალურ მონაცემთა</p> |

¹¹⁶ კოდექსის ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270>

დაცვის შესახებ“ კანონში, ხოლო სახელმწიფო საიდუმლოება - „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონში. აღსანიშნავია, რომ კომერციული საიდუმლო არ ითვლება ასეთად, სანამ მის გასაიდუმლოებას არ მოითხოვს შესაბამისი სუბიექტი. ამასთან, კომერციულ საიდუმლოდ კანონი ცნობს შემდეგ ინფორმაციას: „ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.”

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მიზნით ადგენს პერსონალური მონაცემების გამოყენების, დამუშავების, გამოქვეყნების, შენახვის და განადგურების წესებს.¹¹⁷ მასში ვალდებულებები კერძო პირებისთვისაცაა განსაზღვრული და ისინიც ვალდებული არიან დაიცვან კანონით დადგენილი პრინციპები. მაგალითად, ვიდეო-გადაღებას აქვს წინაპირობები და წესები (სამუშაო ადგილზე ვიდეო თვალთვალის სისტემის დაყენება შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, ასევე საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის და თუ ამ მიზნების სხვა საშუალებით მიღწევა შეუძლებელია; ვიდეო თვალთვალის განხორციელება დაუშვებელია გამოსაცვლელ ოთახებსა და ჰიგიენისათვის განკუთვნილ ადგილებში და ა.შ.), ბიომეტრიული მონაცემების შეგროვება თანხმობის გარეშე ან განსაკუთრებული საჭიროებების არსებობისას (თუ ეს აუცილებელია საქმიანობის განხორციელების, უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, აგრეთვე საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების მიზნებისათვის, თუ ამ მიზნების სხვა საშუალებით მიღწევა შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს) და ა.შ.

ცალკე უნდა აღინიშნოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლი, რომელიც მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავებას ეხება. ამ ნორმის თანახმად, ამ მიზნით მხოლოდ საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან

¹¹⁷ კანონი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 28 ივნისს].

| | |
|--|--|
| | <p>მოპოვებული მონაცემების გამოყენება დაიშვება ნებართვის გარეშე და მონაცემთა სუბიექტს ნებისმიერ დროს შეუძლია ამ მიზნით მისი მონაცემების გამოყენების შეწყვეტა მოთხოვოს, რაც 10 სამუშაო დღეში უნდა დაკმაყოფილდეს. მარკეტინგის განმახორციელებელ სუბიექტს აქვს ვალდებულება შეატყობინოს მარკეტინგის ადრესატს შეწყვეტის მოთხოვნის უფლების და წესის შესახებ ინფორმაცია.</p> <p>აღნიშნული კანონი საკმაოდ ფართო ვალდებულებებს ადგენს იმ პირთათვის, მათ შორის, ბიზნეს სუბიექტებისათვის, რომლებიც პერსონალურ მონაცემებს ამუშავებენ და სხვადასხვა მიზნით იყენებენ, რითაც ადგენს ბიზნესის გარკვეულ ვალდებულებებს პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით.</p> <p>ხარვეზები</p> <p>ცალკე უნდა აღინიშნოს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონი, რომელიც, მართალია, სახელმწიფოს მიერ გატარებულ საგამოძიებო მოქმედებების წარმოების წესებს შეიცავს, მაინც აქვს გავლენა ბიზნესისა და ადამიანის უფლებების ურთიერთმიმართებაზე.¹¹⁸ აგრეთვე, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონი, რომელიც განმარტავს ელექტრონულ კომუნიკაციას და მის საშუალებებს, ასევე მათი მოპოვების გზებს.¹¹⁹ პირველი კანონი ითვალისწინებს სატელეფონო, ინტერნეტ თუ სხვა ტექნიკური საშუალებებით განხორციელებულ კომუნიკაციაზე სახელმწიფოს მიერ მიყურადების პროცედურებს. კანონის მე-15 მუხლი ადგენს, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს კანონიერი მოთხოვნა სავალდებულოა შესასრულებლად ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის. აღნიშნული კანონმდებლობის დებულებები საშუალებას იძლევა, ფარული მიყურადების განხორციელება მოხდეს პირადი ცხოვრების უფლების დარღვევით,¹²⁰ ბიზნეს სუბიექტებს კი, რომლებიც საკომუნიკაციო მომსახურებას გასწევენ არ აქვთ კანონით მინიჭებული ბერკეტი, უზრუნველყონ ადამიანის უფლებათა დაცვა და ვალდებული არიან,</p> |
|--|--|

¹¹⁸ კანონის ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/18472> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 28 ივნისს].

¹¹⁹ კანონის ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29620> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 28 ივნისს].

¹²⁰ http://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachmentsმიყურადების%20შესახებ%20ქართული%20კანონმდებლობის%20შეფასება%20ECHR-ის%20სტანდარტების%20მიხედვით.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 28 ივნისს].

| | |
|--|--|
| | <p>დაემორჩილონ საგამოძიებო ორგანოს მოთხოვნებს - მისცენ მათ წვდომა კომუნიკაციის საშუალებებზე. ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, რომელთა მოპოვება ხდება საგამოძიებო მოქმედებებისას წარმოადგენს მომხმარებლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებს; კომუნიკაციის წყაროს კვალის დადგენისა და იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემებს; კომუნიკაციის ადრესატის იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემებს; კომუნიკაციის თარიღის, დროისა და ხანგრძლივობის იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემებს და ა.შ. აღნიშნული მონაცემები წარმოადგენს ე.წ. „მეტა დატას“ (metadata). „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონით განსაზღვრულია კომუნიკაციის მოპოვების საშუალებები, რომლებიც, სხვა საშუალებებს შორის, მოიცავს უფლებამოსილი ორგანოს მიერ კომუნიკაციის მიმდინარეობისას ან მისი დასრულებისთანავე, ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიის ქსელურ ან/და სასადგურე ინფრასტრუქტურაზე შესაბამისი აპარატული ან/და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების დროებითი ან მუდმივი განთავსებით/მონტაჟით ინფორმაციის გადაჭერას. ელექტრონული კომუნიკაციის კომპანია ვალდებულია საგამოძიებო ან ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოს გადასცეს ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები სასამართლოს განჩინების საფუძველზე. ამასთან, უფლებამოსილი ორგანოს უფლება აქვს, ჰქონდეს ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიის ინფრასტრუქტურის მეშვეობით გადაცემული კომუნიკაციის და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების რეალურ დროში მოპოვების სტაციონარული ან ნახევრად სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა და მისი ორგანიზების შემდეგ უფლებამოსილი ორგანო კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების შემდგომ ღონისძიებებს ახორციელებს უშუალოდ, ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიის ტექნიკური და სამართლებრივი მონაწილეობის გარეშე ფარული საგამოძიებო მოქმედებისათვის გათვალისწინებული წესებით. შესაბამისად, კომპანიას არ აქვს შესაძლებლობა დაიცვას საკუთარი მომხმარებლები საგამოძიებო ორგანოების მხრიდან პირადი ცხოვრების - ელექტრონული კომუნიკაციის მიყურადებისგან, სამართლებრივი ბერკეტები კი თვითნებობის პრევენციის ეფექტიან საშუალებებს არ ითვალისწინებს.¹²¹</p> |
|--|--|

¹²¹ მესამე სექტორის პოზიცია აღნიშნული რეგულაციებისადმი იხ. <http://www.tabula.ge/ge/story/117804-ra-aris-da-ra-saftrxebs-sheicavs-ets-mosmenebis-shesaxeb-axali-kanoni> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 28 ივნისს].

| | |
|-------------------------------------|--|
| | <p>ინიციატივა:</p> <p>საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2014 წელს შემუშავდა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის პროექტი რომელიც მიზნად ისახავდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და, მათ შორის ტექნიკური საშუალებებით ინფორმაციის მოპოვება-გავრცელების საკითხების დარეგულირებას, თუმცა კანონპროექტი ამ დრომდე არ არის საპარლამენტო მოსმენების ეტაპზე გასული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის პირველი დანართის 1.1.79 აქტივობა ითვალისწინებს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის პროექტის განხილვას თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად 2017 წლის საშემოდგომო სესიაზე.</p> |
| <p>სხვა კანონები და რეგულაციები</p> | <p><u>მიიღო მთავრობამ სხვა რელევანტური კანონმდებლობა და რეგულაციები, რომელთა მიზანია ადამიანის უფლებების დაცვა და ხელშეწყობა ბიზნესთან დაკავშირებული დარღვევებისგან, მათ შორის წამების, გენოციდისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისგან? ვრცელდება აღნიშნული კანონმდებლობა და რეგულაციები სახელმწიფოს ტერიტორიის გარეთ, როგორც დაშვებულია გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებით (UNGPs) და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით?</u></p> <p>- მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობა</p> <p><i>არსებული კანონმდებლობა</i></p> <p>ქართულ კანონმდებლობაში მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საკითხები გვხვდება საქართველოს კანონში „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“,¹²² იგი ფარავს ისეთ ძირითად</p> |

¹²² კანონის ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659419> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 4 მარტს].

| | |
|--|--|
| | <p>საკითხებს, როგორცაა ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოს დაცვა, უსაფრთხო პროდუქტის ბაზარზე განთავსება და თავისუფალი მიმოქცევა, პროდუქტის გადაადგილების და ბაზარზე განთავსების პროცესში კონკურენციის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა, საფრთხის შემცველი ობიექტების ექსპლუატაციის წესებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და სხვა.</p> <p>მომხმარებელთა უფლებების დაცვის ზოგად საკითხებს ეხება ასევე საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“, რომელიც არეგულირებს რეკლამის წარმოების, განთავსებისა და გავრცელების დროს წარმოქმნილ სამართლებრივ ურთიერთობებს. აღნიშნული კანონის მიზანია რეკლამის სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, საზოგადოებრივი ინტერესების, რეკლამის სუბიექტებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, არასათანადო რეკლამის თავიდან აცილება და აღკვეთა. კანონით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიებაა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ არასათანადო რეკლამის შეჩერება ან კონტრ რეკლამის განხორციელება.</p> <p>მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით აღსანიშნავია საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.¹²³ სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ ვალდებულებები უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.¹²⁴ აღნიშნული ზოგადი წესიდანაც გამომდინარეობს ხარისხიანი შესრულება, ამასთან, კოდექსი ვადის დარღვევის, ზიანის ანაზღაურების და სხვა შემთხვევებსაც ითვალისწინებს ზოგადი სახით. კოდექსის 336-ე მუხლი, რომლის თანახმად, ქუჩაში დადებული ხელშეკრულება ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ მომხმარებელი ერთი კვირის ვადაში ხელშეკრულებას წერილობით არ უარყოფს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხელშეკრულების შესრულება ხდება მისი დადებისთანავე. აღსანიშნავია, რომ არსებული კანონმდებლობა არ ეხება დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებს, ამასთან, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში მომხმარებელს ერთი კვირის ვადაში აქვს უფლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ მას ჯერ არ მიუღია საქონელი ან მომსახურება. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მომხმარებლისთვის შეთავაზებული საქონელი ან მომსახურება აღმოჩნდება ნაკლიანი, კოდექსის 487-493 მუხლები</p> |
|--|--|

¹²³ კანონის ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32476> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 24 მარტს].

¹²⁴ იხ. სამოქალაქო კოდექსის მუხლი 361, მეორე ნაწილი.

| | |
|--|---|
| | <p>განსაზღვრავს მხარეთა ვალდებულებებს, ასევე მოხმარებელს აძლევს შესაძლებლობას დააბრუნოს საქონელი და მოითხოვს საფასურის უკან დაბრუნება.</p> <p>გარკვეული მნიშვნელობა ბიზნესის მიერ ცალკეული უფლებების დაცვის თვალსაზრისით აქვს საქართველოს კანონს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“.¹²⁵ ეს კანონი არეგულირებს ისეთ საქმიანობას ან ქმედებას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან.</p> <p>მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ ქართული კანონმდებლობა აგრეთვე იცნობს სტანდარტებს, აკრედიტაციას და შესაბამისობის შეფასებას.</p> <ul style="list-style-type: none"> • ტექნიკური რეგლამენტი განსაზღვრავს/ადგენს პროდუქტის, ასევე, წარმოების პროცესის უსაფრთხოების ძირითად პარამეტრებს. ტექნიკური რეგლამენტი (იმ სფეროში, სადაც არსებობს) სავალდებულოა შესასრულებლად; • სტანდარტი გამოიყენება ტექნიკურ რეგლამენტში განსაზღვრული უსაფრთხოების მოთხოვნების ან/და მიზნების შესრულებისათვის. სტანდარტი შეიძლება ეხებოდეს კონკრეტულ პროცედურას, დეტალს ან სხვა კომპონენტს. სტანდარტის გამოყენება არ არის სავალდებულო ხასიათის, რაც საშუალებას აძლევს მეწარმეს ან სხვა პირს, საკუთარი შეხედულების შესაბამისად, შეარჩიოს და გამოიყენოს სტანდარტი. • შესაბამისობის შეფასების მიზანს წარმოადგენს პროდუქტის სტანდარტებთან ან ტექნიკურ რეგლამენტებთან შესაბამისობის დადგენა. შესაბამისობის შეფასებას ახორციელებს აკრედიტირებული შესაბამისობის შემფასებელი პირი (კერძო კომპანიები); |
|--|---|

¹²⁵ კანონის ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26824> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 4 მარტს].

- აკრედიტაცია წარმოადგენს შესაბამისობის შემფასებელი პირის კომპეტენციის დადასტურებას იმ სფეროში, რომელ სფეროშიც ეს პირი ახორციელებს შესაბამისობის შეფასებას.¹²⁶

სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვისათვის მნიშვნელოვანია სურსათის უვნებლობის კანონმდებლობა, რომელიც უპირველესად მოითხოვს ბიზნეს ოპერატორის რეგისტრაციას სურსათის მწარმოებელ/გადამამუშავებელ ბიზნეს ოპერატორად.¹²⁷ კანონი აგრეთვე აწესებს სავალდებულო მოთხოვნებს ასეთი სუბიექტებისათვის და ითვალისწინებს ინსპექტირების პროცედურას. 2015 წლის 1 იანვრიდან ინსპექტირების დროს მიკვლევადობისა და საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის სურსათის უვნებლობის კოდექსის მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, ინსპექტირების განმახორციელებელი დაჯარიმდება, ხოლო არაკრიტიკული შეუსაბამობების გამოვლენისას - რეკომენდაციები ეძლევა. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო ინსპექტირებას გეგმიურად ან არაგეგმიურად, დასაბუთებული ეჭვის შემთხვევაში ატარებს. აღნიშნული რეგულირება უზრუნველყოფს, მაგალითად, კვების ობიექტების მხრიდან უსაფრთხოების გარკვეული სტანდარტების დაცვას.

ბიზნეს ოპერატორად რეგისტრაციასთან და აღიარებასთან დაკავშირებით ხაზგასასმელია ამ ორი ქმედების საფუძვლები და შედეგები. როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველა ბიზნეს ოპერატორი, რომელიც საქმიანობს სურსათის წარმოებაში/გადამამუშავებაში, ვალდებულია ასეთად დარეგისტრირდეს (საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში). აღიარებას ახორციელებს სურსათის უვნებლობის სააგენტო და ოპერატორი, რომელიც არ გაივლის აღიარების პროცედურას, ვერ განახორციელებს საქმიანობას.¹²⁸

¹²⁶ „როგორ დავიწყო ბიზნესი“ გზამკვლევი. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, გერმანიის განვითარების ფონდი, გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტრო. 2013წ. გვ. 25-26. ხელმისაწვდომია აქ: http://www.economy.ge/uploads/gzamklevi/Business_Guide-2013.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 5 მაისს].

¹²⁷ იხ. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი. მუხლი 13. კანონის ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659434> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 5 მაისს].

¹²⁸ აღიარების წესი დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 დეკემბრის N722 დადგენილებით..

მინიმალური სანიტარული წესების დაცვა უზრუნველყოფილია საქართველოს კანონით „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტები), რომელთა შეუსრულებლობა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დაჯარიმებას იწვევს.¹²⁹

სახანძრო უსაფრთხოების ნორმები ერთის მხრივ, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით¹³⁰ და, მეორეს მხრივ, ტექნიკური რეგლამენტით არის განსაზღვრული, რაც მის სავალდებულობაზე მიუთითებს.¹³¹ აღნიშნული რეგლამენტი სახანძრო უსაფრთხოების ზოგად მოთხოვნებს მოიცავს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეგლამენტი 2015 წელსაა შემუშავებული და არ ვრცელდება მის ძალაში შესვლამდე დაპროექტებულ და აშენებულ შენობა-ნაგებობებზე, თუმცა, თუ მათი შესრულება იწვევს მშენებლობის, რეკონსტრუქციის და დემონტაჟის ჩატარების აუცილებლობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული შენობა-ნაგებობების არსებულ პირობებში შემდგომი ექსპლუატაცია აშკარა და პირდაპირ საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან საკუთრებას.¹³²

დღეის მდგომარეობით არაერთი მიმართულებით უკვე არის შემუშავებული ტექნიკური რეგლამენტები, რომელთა ნაწილი მოქმედია, ნაწილი გარდამავალ წესებს შეიცავს არსებულ მოქმედებებზე და მისი ამოქმედების შემდეგ განხორციელებულ ქმედებებზე უფრო მაღალ მოთხოვნებს აწესებს, ნაწილი კი მომავალში ამოქმედდება (მაგალითად, 2020 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება 2016 წლის 29 დეკემბერს მიღებული მთავრობის დადგენილება N602 „მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სურსათ(ზე)ში/ცხოველის

¹²⁹ იხ. საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“. კანონის ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/21784> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 5 მაისს] და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. მუხლი 43. კანონის ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216#!> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 5 მაისს].

¹³⁰ კანონის ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2363013> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 5 მაისს].

¹³¹ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის დადგენილება N370. ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2922754> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 5 მაისს]. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის დადგენილება N371. ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2922773> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 5 მაისს].

¹³² საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის დადგენილება N370. მუხლი 2.4.

| | |
|--|--|
| | <p>საკვებ(ზე)ში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“).</p> <p>საქართველოს კანონით „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა მომხმარებელთა საჯარო ინფორმაციით უზრუნველყოფა, მათი განცხადებებისა და საჩივრების განხილვა და გადაწყვეტა.¹³³ კანონის თანახმად, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის დამატებითი გარანტიების შესაქმნელად მარეგულირებელ ორგანოსთან მარეგულირებელი კომისიის აპარატისგან დამოუკიდებლად ყალიბდება მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური. მომხმარებლების დამცველების უფლებამოსილებებია:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) დაიცვას მომხმარებელთა ინტერესები; ბ) შეაფასოს მომხმარებლებზე სატარიფო და სხვა სახის სარეგულაციო ცვლილებათა გავლენის შედეგები; გ) ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოში მომხმარებელთა სახელით გამოვიდეს მხარედ; დ) გაეცნოს ყველა დოკუმენტსა და მასალას, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულია ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მიერ გასაცნობად; ე) წარმოადგინოს ინდივიდუალური მომხმარებელი მომსახურე კომპანიასთან დავაში; ვ) მიიღოს მონაწილეობა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ იმ ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებაში, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს მომხმარებელთა ინტერესებზე. |
|--|--|

¹³³ კანონის ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/14062> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 5 მაისს].

შესაბამისად, მოქმედებს ენერგომომზადების (<http://pdci.ge/geo>) და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან მოქმედი მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის (<http://momkhmarebeli.gncc.ge/>) ინსტიტუტები, რომლებიც შესაბამის სექტორებში მოქმედებენ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის ცალკეული რეგულაციები მიზნად ისახავს საფინანსო სექტორში მოქმედი ბიზნეს სუბიექტების ვალდებულებების რეგულირებას მომხმარებელთა დაცვის კუთხით. მაგალითად, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N151/04 ბრძანების „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“¹³⁴ მიზანია საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა, ასევე, საფინანსო სექტორისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლების, მომხმარებელთა ინტერესების მაქსიმალურად დაცვის და ბაზარზე არსებული საფინანსო პროდუქტების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც მომხმარებლის მიერ ახალი საფინანსო პროდუქტებით აქტიურ გამოყენებას, ასევე მათთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკების შემცირებას. ამ წესით განსაზღვრული ნორმების შესრულება სავალდებულოა საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკისათვის და უცხოური ბანკების ფილიალებისათვის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისათვის – საკრედიტო კავშირებისთვის და კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტებისათვის.

წესის თანახმად, ფინანსურმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს მომხმარებლისათვის საფინანსო პროდუქტის პირობების შესახებ უტყუარი, გასაგები და გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი, წინასწარ ცნობილი და მის ხელთ არსებული სრული ინფორმაციის დროულად მიწოდება. მათ შორის, პროდუქტის ნებისმიერი არხით შეთავაზებისას ხელშეკრულების გაფორმებამდე, რომელიც მომხმარებელს არ უბიძგებს ისეთი გადაწყვეტილების მიღებისაკენ, რომელსაც იგი არ მიიღებდა უტყუარი და სრული ინფორმაციის ფლობის პირობებში. წესი ასევე მოითხოვს არა უბრალოდ ზემოთ

¹³⁴ ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3500606> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 5 მაისს].

მოცემული ინფორმაციის მომხმარებლისათვის მიწოდებას, არამედ ამ ინფორმაციის გაცნობის და გააზრების აუცილებლობას. ამავე ბრძანებით არის დარეგულირებული ცალკეული პროდუქტების რეკლამირების საკითხები, რა დროსაც მომხმარებელს მაქსიმალური ინფორმაცია უნდა მიეწოდოს (მაგალითად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი). ასევე განსაზღვრულია მომხმარებლისათვის რისკების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებაც, მათ შორის, საკრედიტო პროდუქტებით სარგებლობისას ქონების შესაძლო დაკარგვის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, აგრეთვე, გაფრთხილება უცხოურ ვალუტაში პროდუქტების სარგებლობის რისკიანობის შესახებ.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ხსენებული ბრძანება ემსახურება მომხმარებლების ინფორმირების უზრუნველყოფას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ინფორმაციის მაქსიმალურ გააზრებას, რომლის მიწოდების ვალდებულებები ბიზნეს სუბიექტებს აკისრიათ.

ხარვეზები

მოქმედი კანონმდებლობის ანალიზით გამოიკვეთა რამდენიმე ხარვეზი, რომლებიც ცალკე აღნიშვნის ღირსია. პირველ რიგში, უნდა გამოიყოს, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ არ არეგულირებს მომსახურების საკითხებს და ძირითადად ბაზარზე განთავსებული პროდუქტის ხარისხს შეეხება. იგი არ მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა ფიზიკური პირის უფლებების დაცვის ზოგადი პრინციპები. ამ კანონის მიღებით ძალადაკარგულად გამოცხადდა 1996 წლის 20 მარტის კანონი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, რომელიც, მართალია, არ იყო ეფექტური და არ გააჩნდა საკმარისი მექანიზმი მომხმარებელთა უფლებების დასაცავად, თუმცა შეიცავდა მომხმარებლის უფლებას ნაკლიანი პროდუქტის შეძენის შემთხვევაში ხელშეკრულების გაუქმების ან პროდუქტს გადაცვლის თაობაზე.

რაც შეეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსს, მისი დებულებები, რომლებითაც მომხმარებელს შეუძლია დაიცვას საკუთარი უფლებები ნაკლიანი საქონლის ან მომსახურების მიღებისას, ზოგადი ხასიათისაა, კანონმდებლობა კი არ იცნობს მათი აღსრულებისათვის სასამართლოს გარდა სხვა კონკრეტულ ბერკეტებს.

| | |
|--|--|
| | <p>სურსათის უვნებლობის კანონმდებლობა, მიუხედავად ჯანმრთელობის დაცვისთვის საჭირო სხვადასხვა მექანიზმის არსებობისა, არ ითვალისწინებს საქმიანობის დაწყებამდე პრევენციულ კონტროლს, რათა ბიზნეს ოპერატორმა თავიდანვე დაიცვას კანონმდებლობის მოთხოვნები. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ აღიარების პროცედურა ყველა ბიზნეს ოპერატორისათვის სავალდებულო არ არის (მაგრამ ნებაყოფლობითია მათთვისაც, ვისთვისაც არაა სავალდებულო) და კანონით დადგენილია გამონაკლისები (ოჯახური წარმოება, პირველადი წარმოება, ტრადიციული მეთოდებით ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოება ან/და გადამამუშავება და ა.შ.). ამ გზით კვების სექტორში მოქმედი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ბიზნეს სუბიექტები (კაფეები, რესტორნები და ა.შ.) არ გადიან კანონით დადგენილ პროცედურებს, რომლებითაც შესაძლებელი იქნებოდა მომხმარებელთა ჯანმრთელობის და სიცოცხლის, ასევე თანამშრომელთა უსაფრთხოების მეტად დაცვა.</p> <p>ხარვეზის სახით შეიძლება აღინიშნოს ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოსთან არსებული საზოგადოებრივი დამცველის არჩევის და ფინანსური დამოუკიდებლობის საკითხები. კერძოდ, კანონმდებლობის თანახმად, საზოგადოებრივ დამცველს ირჩევს საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის მიერ შექმნილი საკონკურსო კომისია, რომელიც მართალია შედგება საპარლამენტო უმრავლესობის, უმცირესობისა და დამოუკიდებელი პარლამენტის წევრების წარმომადგენლები, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორების, საქართველოს სახალხო დამცველისა და შესაბამისი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს წარმომადგენლებისაგან, თუმცა გადაწყვეტილების მისაღებად სრული შემადგენლობის უმრავლესობა საკმარისია. რაც შეეხება მის დაფინანსებას, იგი ფინანსდება შესაბამის ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოში გადახდილი რეგულირების საფასურიდან და აისახება ამ ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ბიუჯეტში და არ გააჩნია ფინანსური დამოუკიდებლობის გარანტიები.</p> <p>ინიციატივა:</p> <p>დღეს საქართველოში არ არსებობს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონი, თუმცა საქართველოს პარლამენტში ორი მოსმენა გაიარა კანონის პროექტმა „მომხმარებლის</p> |
|--|--|

უფლებების დაცვის შესახებ“.¹³⁵ იგი ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს არეგულირებს, როგორცაა მომხმარებელთა და მოვაჭრეს შორის სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები, ფიზიკური პირის უფლებების დაცვის ზოგადი პრინციპები, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობაში შედის მოვაჭრესთან მისი პროდუქციის პირადი მოხმარებისათვის გამოყენების მიზნით, არეგულირებს უსაფრთხოების ნორმებს, უზრუნველყოფს ეკონომიკური ინტერესების დაცვას და სხვ. ასოციაციის შეთანხმებაზე ხელის მოწერით, საქართველომ ვალდებულება აიღო საკუთარი კანონმდებლობა მიუახლოვოს ევროპის კანონმდებლობას. ამგვარი კანონმდებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პაკეტი ეხება მომხმარებელთა უფლებების დაცვას. კერძოდ, საქართველომ საკუთარი კანონმდებლობა თანხვედრაში უნდა მოიყვანოს ევროპის დირექტივასთან (2011/83) მომხმარებელთა უფლებების შესახებ. საქართველოს პარლამენტის ევროინტეგრაციის საკითხების კომიტეტმა შეიმუშავა მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონპროექტი, რომელშიც ძირითადი და მნიშვნელოვანი დებულებები სწორედ ევროპის დირექტივიდან არის გადმოტანილი.

კანონპროექტი ითვალისწინებს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებას მომხმარებელთა და მოვაჭრეს შორის და ადამიანის უფლებების ზოგადი პრინციპების დაცვას. კანონპროექტში მოცემულია მომხმარებლის უფლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე, საქონლის საკუთრებაში მიღებიდან ან მომსახურების მიღებიდან 7 დღის განმავლობაში, თუ ეს არის შენობაში (მაღაზიაში, ბაზარზე) დადებული ხელშეკრულება. ხოლო ეს ვადა დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში 14 დღეს შეადგენს.¹³⁶

პროექტი მომხმარებელთა ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღებასაც ითვალისწინებს. ომბუდსმენის ფუნქციაა დაიცვას მომხმარებელთა ინტერესები და დაეხმაროს მათ დარღვეული უფლებების აღდგენაში. მომხმარებელთა ომბუდსმენმა უნდა უზრუნველყოს

¹³⁵ კანონპროექტის ტექსტი ხელმისაწვდომია აქ:

<http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/113040> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 5 მაისს].

¹³⁶ პროექტით გათვალისწინებული გამონაკლისები და მათი შედარება დირექტივაში მოცემულ ჩამონათვალთან იხილეთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დოკუმენტში: „რეგულირების გავლენის შეფასება საქართველოს კანონის პროექტზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“. 2016 წლის 9 დეკემბერი. ხელმისაწვდომია აქ:

http://www.economy.ge/uploads/publications/economy_450476725899caab552165.56302821.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 5 მაისს].

| | |
|--|--|
| | <p>მომხმარებლის უფლების დარღვევის ფაქტების შესწავლა ქვეყნის მასშტაბით, სტატისტიკურ მონაცემების შეგროვება და მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ფაქტების ანალიზი. მომხმარებელთა ომბუდსმენს ექნება წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სასამართლოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით. ასევე, ომბუდსმენს შესაძლებლობა აქვს მოამზადოს საკანონმდებლო ინიციატივები პარლამენტში წარსადგენად და განახორციელოს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები.</p> <p>კანონპროექტი არ ითვალისწინებს ჯარიმების შემოღების საკითხს, რომლებიც „მომხმარებელთა უფლებების დირექტივის“ 24-ე მუხლშია მოცემული. ერთადერთი მექანიზმი, რამაც კანონის მოთხოვნების დაცვა უნდა უზრუნველყოს არის მომხმარებელთა ომბუდსმენი, რომლის გადაწყვეტილება სავალდებულო არ იქნება. საბოლოოდ, მომხმარებელს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების დარღვევის ფაქტის სასამართლოში გასაჩივრების გზით აღდგენა შეეძლება.</p> |
|--|--|

1.6. გამოძიება, სასჯელი და გამოსასწორებელი ზომები
 მუშაობენ კანონის აღსრულებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებები ბიზნესისა და ადამიანის უფლებების მიმართულებით?

| ინდიკატორები | მიმოხილვითი შეკითხვები |
|--------------------------|--|
| სექტორის რისკის შეფასება | <p><u>ახორციელებს ან მხარს უჭერს თუ არა სახელმწიფო კონკრეტულ ღონისძიებებს, კონკრეტული ბიზნეს სექტორების ან საქმიანობების დასადგენად, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ განსაკუთრებით უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის უფლებებზე, როგორცაა მოპოვებითი, სამკერვალო ან სხვა დარგები?</u></p> <p><i>გარემოზე ზემოქმედების რისკის შეფასება</i></p> <p>საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავდა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზებასა და საერთაშორისო ნორმებისა და სტანდარტების ეროვნულ კანონმდებლობაში დანერგვას. აღნიშნული კოდექსი ითვალისწინებს არსებული სანებართვო სისტემის ძირეულ ცვლილებასა და სრულყოფას და იგი სრულად</p> |

შეესაბამება ორჰუსის კონვენციით, ესპოს კონვენციითა და მისი ოქმით, ასევე ევრო-დირექტივებით დადგენილ მოთხოვნებს. ახალი კანონის მიხედვით, გაფართოვდა და ამომწურავად ჩამოყალიბდა იმ საქმიანობების ჩამონათვალი, რომელიც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს გარემოზე და ამჟამად რეგულირების მიღმა დარჩენილი (მათ შორის სამთო-მოპოვებითი მრეწველობა). აღნიშნული ჩამონათვალი შესაბამისობაში იქნება როგორც გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დირექტივის (EIA Directive) I და II დანართებით, ისე ესპოსა და ორჰუსის კონვენციების დანართებით გათვალისწინებულ საქმიანობებთან. კანონპროექტი ითვალისწინებს სკრინინგისა და სკოპინგის პროცედურების შემოღებას, რაც გულისხმობს კონკრეტული საქმიანობების ინდივიდუალურად განხილვის გზით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჭიროების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას და უზრუნველყოფს დაინტერესებული საზოგადოების ჩართვას საქმიანობის განხორციელების ადრეულ ეტაპზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამინისტროს მიერ ინიცირებული კანონპროექტით დაინერგება დაგეგმარების ახალი ინსტრუმენტი, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება. აღნიშნული გულისხმობს კანონმდებლობით განსაზღვრული სახვადასხვა სექტორებში მომზადებული სტრატეგიების, გეგმებისა თუ პროგრამებისათვის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურის ჩატარებას, რაც უზრუნველყოფს, როგორც გარემოსდაცვითი, ისე ჯანდაცვის საკითხების ინტეგრირებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ამ მიმართულებით მოსალოდნელი რისკების მაქსიმალურად შემცირებას დაგეგმარების პროცესის გაუმჯობესებას ყველა შესაძლო ალტერნატივისა და შემარბილებელი ღონისძიებების დასახვის გზით და შედეგად, ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებას. ამასთან, აღსანიშნავია რომ ყველა ის საქმიანობა, რომელზეც ავტორიზაციას (ლიცენზია/ნებართვა) კანონმდებლობით დადგენილი წესით გასცემს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და მის სისტემაში შემავალი უწყებები, პოტენციურად წარმოადგენენ განსაკუთრებული უარყოფითი გავლენის მქონე საქმიანობებს. შესაბამისად, სამინისტროში აღირიცხება ყველა კომპეტენციის ფარგლებში გაცემული ავტორიზაცია, მათ შორის, გარემოზე ზემოქმედების

ნებართვა, წიაღით სარგებლობისა და ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზია¹³⁷.

ადამიანის ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების პროაქტიული გამოვლენა

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების პროაქტიული გამოვლენის მიზნით მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო. 2016 წლის განმავლობაში აღნიშნული სამმართველოს მობილური ჯგუფების მიერ შემოწმებული იქნა ტრეფიკინგის რისკ შემცველი 102 დაწესებულება და განხორციელდა რისკ ჯგუფს მიკუთვნებული 440 მოქალაქის გამოკითხვა მათ მიმართ შესაძლო განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტის გამოვლენის მიზნით. სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) მიერ შემოწმდა 67 დაწესებულება და გამოკითხა 276 პირი. ამასთანავე, აღნიშნული სამმართველოს თანამშრომლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) დანაშაულის გამოვლენის მიზნით 24/7 ხდება თბილისის საერთაშორისო აეროპორტის კონტროლი და სისტემატიურად მიმდინარეობს თურქეთის რესპუბლიკიდან და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან დეპორტირებულ მოქალაქეებთან გასაუბრება. 2016 წელს გამოკითხული იქნა 2336-ზე მეტი დეპორტირებული პირი.

შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტს შორის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) შემთხვევების გამოვლენის ხელშეწყობის შესახებ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტიდან შესული ინფორმაციის საფუძველზე მობილური ჯგუფის მიერ გამოკითხა 89 პირი.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს უცხო ქვეყნის მოქალაქე ტრეფიკინგით დაზარალებულ პირთა საქართველოში ლეგალურად ცხოვრება და მუშაობა, უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს

¹³⁷ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2017 წლის 2 ივნისის #4856 წერილი.

| | |
|---|--|
| | <p>კანონის და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2016 წელს შს სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სერვისების განვითარების სააგენტომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) დანაშაულის ჩადენის ფაქტზე დაზარალებულად ცნობილ 2 უცხო ქვეყნის მოქალაქის სახელზე გასცა სპეციალური ბინადრობის მოწმობა.</p> <p>2016 წელს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტებზე გამოძიება დაიწყო 18 სისხლის სამართლის საქმეზე, აქედან 12 საქმეზე გამოძიება დაწყებულ იქნა პროაქტიულად განხორციელებული ღონისძიებების შედეგად. 2016 წელს ადამიანით ვაჭრობის ფაქტზე სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული იქნა 1 პირი, დაზარალებულად ცნობილი იქნა 2 პირი, ხოლო სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობილი იქნა 4 პირი¹³⁸.</p> <p><i>შრომის უსაფრთხოება</i></p> <p>საქართველოს მთავრობის მიერ 2017 წლის 5 ივნისს ინიცირებულ იქნა საქართველოს კანონის პროექტი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“. პარალმენტის საგაზაფხულო სესიის დახურვის დროისათვის კანონპროექტს გავლილი ჰქონდა I მოსმენა. პროექტის მე-2 მუხლისა და 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მიცემული კანონის ამოქმედებიდან 6 თვის განმავლობაში საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს მძიმე, მავნე და საშიშ პირობებიან სამუშაოთა ჩამონათვალს¹³⁹.</p> |
| <p>მოწყვლადი ჯგუფის შეფასება</p> | <p><u>ახორციელებს ან მხარს უჭერს თუ არა სახელმწიფო კონკრეტულ ღონისძიებებს, ისეთ განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებზე კონკრეტული ზემოქმედებების დასადგენად, როგორცაა ქალები, ბავშვები, უმცირესობები და მკვიდრი მოსახლეობა?</u></p> <p>აღნიშნულ ინდიკატორთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა.</p> |

¹³⁸ ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) შესრულების შუალედური ანგარიში, 6.1.3.1 აქტივობის შესრულების შესახებ ინფორმაცია.

¹³⁹ კანონპროექტი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <http://info.parliament.ge/#law-drafting/13972>

| | |
|----------------|---|
| <p>პოლიცია</p> | <p><u>მიეწოდათ ინფორმაცია და ჩაუტარდათ ტრენინგი სამართალდამცავ ორგანოებს ბიზნესისა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე? ენიჭება პოლიციას კანონიერი უფლებამოსილება აღმოფხვრას ბიზნესთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების დარღვევები?</u></p> <p>მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომდგენელთა პროგრამებში გათვალისწინებულია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები. მათ შორის, ადამიანით ვაჭრობის/ტრეფიკინგთან დაკავშირებული თემები, სასწავლო პროგრამებში არ არის გათვალისწინებული ბიზნესი და ადამიანის უფლებები.¹⁴⁰ აღსანიშნავია, რომ 2016 წლის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები გადამზადდნენ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, საკითხებში.¹⁴¹</p> <p>პოლიციის შესახებ კანონში პირდაპირ არ არის მითითება გაკეთებული იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიციას კანონიერი უფლებამოსილებაა აღმოფხვრას ბიზნესთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების დარღვევები, მიუხედავად ამისა, პოლიციელს ფუნქციებში შედის საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვა, რაც ასევე გულისხმობს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას; დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა გამოვლენასა და შესაბამის სამართლებრივ რეაგირებას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლებამოსილებების საფუძველზე.¹⁴²</p> |
|----------------|---|

¹⁴⁰ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსები, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://policeacademy.gov.ge/ka/higher-education> [ბოლოს ნანახია:04.07.2015].

¹⁴¹ ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) შესრულების შუალედური ანგარიში, 2017 წელი.

¹⁴² საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ, 17-ე მუხლი.

| | |
|---|---|
| <p>შრომა, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება</p> | <p><u>ინფორმირებულნი არიან შრომის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის ორგანოები ბიზნესის მიერ შრომაზე, ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე პოტენციური ან ფაქტობრივი უარყოფითი ზემოქმედების შესახებ? აქვთ სახელმწიფო მოხელეებს კანონიერი უფლებამოსილება აღმოფხვრან ბიზნესთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დარღვევები?</u></p> <p>აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ ინფორმაცია:</p> <p>სახელმძღვანელო პრინციპი 1.6 გამოძიება, სასჯელი და გამოსასწორებელი ზომები - პოლიცია, გარემო, საჩივრების განხილვის სასამართლო მექანიზმები.</p> |
| <p>გარემო</p> | <p><u>მიეწოდათ ინფორმაცია და ჩაუტარდათ ტრენინგი გარემოსდაცვით ორგანოებს ბიზნესთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე? ენიჭებათ ასეთ სახელმწიფო მოხელეებს კანონიერი უფლებამოსილება აღმოფხვრან ბიზნესთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების დარღვევები?</u></p> <p>გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელი უწყებების ინფორმირება ბიზნესისა და ადამიანის უფლებების ურთიერთმიმართებაზე საჯაროდ არ იკვეთება.</p> <p>გარემოს დაცვის თვალსაზრისით ბიზნეს სუბიექტების მიერ კანონის დარღვევის შემთხვევაში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობებს (წყლის, ტყის, მიწით სარგებლობის წესების სხვადასხვა დარღვევა, დაცული ტერიტორიებით სარგებლობის წესების დარღვევა, დაბინძურება, ბუნებრივი რესურსების დაზიანება, განადგურება, გაუვარგისება და ა.შ.) და განსაზღვრავს ამ პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უფლებამოსილ შესაბამის უწყებებს დარღვევის შინაარსიდან გამომდინარე (მაგალითად, მუნიციპალიტეტის ორგანოებს ან საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამის უწყებებს).</p> <p>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი XXXVI თავის თანახმად, გარემოს დაცვის წინააღმდეგ ჩადენილი ქმედებები სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს</p> |

| | |
|---|--|
| | <p>(იხილეთ სსკ-ის 287 – 306¹-ე მუხლები). იურიდიული პირის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მხოლოდ 289¹-ე მუხლი - ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენების სფეროში საქმიანობის წესების დარღვევა. საქართველოს პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული მუხლით იურიდიული პირის წინააღმდეგ ამ დროისათვის გამოძიება არ დაწყებულა.</p> <p>ასევე იხილეთ პასუხები ინდიკატორებზე 1.5 და 3.1.</p> |
| <p>გადასახადები</p> | <p><u>მიეწოდათ ინფორმაცია და ჩაუტარდათ ტრენინგი საგადასახადო ორგანოებს ბიზნესთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე და ადგილობრივ საგადასახადო კანონებთან კავშირზე? ენიჭებათ ასეთ სახელმწიფო მოხელეებს კანონიერი უფლებამოსილება აღმოეხვრან ბიზნესთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების დარღვევები?</u></p> <p>ბიზნესთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე და ადგილობრივ საგადასახადო კანონებთან კავშირზე საგადასახადო ორგანოების თანამშრომლებს ტრენინგები არ ჩატარებიათ.</p> |
| <p>საჩივრების განხილვის სასამართლო მექანიზმები</p> | <p><u>მიეწოდათ ინფორმაცია და ჩაუტარდათ ტრენინგი სასამართლო ხელისუფლებას, მათ შორის სამოქალაქო, სისხლის სამართლის და კომერციულ სასამართლოებს, ასევე შრომითი დავებისა და სხვა ადმინისტრაციული საქმეების ტრიბუნალებს, ასევე სისხლისსამართლებრივი დევნის უფლებამოსილების მქონე ორგანოებს, ბიზნესთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე? ენიჭება სასამართლოს კანონიერი უფლებამოსილება აღმოეხვრას ბიზნესთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების დარღვევები, მათ შორის, სამოქალაქო სამართლებრივი, სისხლის სამართლებრივი ან ადმინისტრაციული სასჯელებით?</u></p> <p>სასამართლო ხელისუფლებისა და საგამომიებო სტრუქტურის თანამშრომლებისთვის ტარდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამები, ტრენინგები და სამუშაო</p> |

შეხვედრები, რომელიც მოიცავს ადამიანის უფლებების თემატიკებს.¹⁴³ მიუხედავად ამისა, სასწავლო პროგრამაში ცალკე სასწავლო დისციპლინის სახით არ არის შეტანილი ბიზნესი და ადამიანის უფლებები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მოქმედ სასამართლოებს პირდაპირ არ ენიჭებათ კანონიერი უფლებამოსილება აღმოფხვრან ბიზნესთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების დარღვევები, საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში ჩადენილ სამართალდარღვევებზე და დანაშაულებზე რეაგირების სამართლებრივი მექანიზმები დადგენილია შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობით. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ საწარმოების მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევა იძლევა სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი დანაშაულის შემადგენლობას, სამართლებრივი რეაგირება ხდება სისხლისსამართლებრივი წარმოების გზით. თუ ქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, თუმცა იძლევა სხვა სახის პასუხისმგებლობის დაყენების საფუძველს აღნიშნული რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან შრომითი დავების წარმოების გზით.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულია იურიდიული პირების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.¹⁴⁴

იურიდიული პირების სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე დამატებით იხილეთ 25.1. კითხვის ინდიკატორი „სანქციები“ და 3.1 კითხვის ინდიკატორი „სისხლის სამართლის“ პასუხები.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარდა საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს იურიდიული პირის სამოქალაქო პასუხისმგებლობას. კონკრეტულად კი, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სამოქალაქო (დელიქტური) ზიანისათვის. სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად პასუხისმგებლობის

¹⁴³ იუსტიციის უმაღლესი სკოლა, სასწავლო პროგრამები, ხელმისაწვდომია: http://www.hsoj.ge/geo/study_programs/ [ბოლოს ნანახია:03.12.2017].

¹⁴⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლები 107¹, 107², 107³.

| | |
|--|---|
| | <p>ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია ზიანის არსებობა, რომლის მტკიცების ტვირთიც პროცესუალურად ეკისრება მოსარჩელეს.</p> <p>იურიდიული პირების სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე დამატებით იხილეთ 25.1. კითხვის ინდიკატორ „სანქციების“ პასუხი.</p> <p>იურიდიული პირის პასუხისმგებლობა აგრეთვე შესაძლებელია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.</p> <p>საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი იურიდიული პირებისთვის ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობებს ჯარიმის სახით და განსაზღვრავს ამ პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უფლებამოსილ შესაბამის უწყებებს დარღვევის შინაარსიდან გამომდინარე. კოდექსის მე-40 მუხლის მიხედვით, თუ ადმინისტრაციულმა სამართალდარღვევამ ქონებრივი ზიანი მიაყენა მოქალაქეს, საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას ან სახელმწიფოს, მაშინ, მოსამართლე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის სახდელის დადების საკითხის გადაწყვეტისას, ვალდებულია სამართალდამრღვევს იმავდროულად დააკისროს მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.</p> <p>იურიდიული პირების ადმინისტრაციულ სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე დამატებით იხილეთ 25.1. კითხვის ინდიკატორ „სანქციების“ პასუხი.</p> <p><i>ბარვეზები</i></p> <p>მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული ისეთი ქმედებები, როგორცაა ადამიანის თანასწორუფლებიანობის დარღვევა, რასობრივი დისკრიმინაცია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებების შეზღუდვა, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), აღნიშნული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და არ შეიცავს იურიდიული პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სხვა ისეთი მნიშვნელოვანი დანაშაულებრივი ქმედებებისათვის, როგორცაა: სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების</p> |
|--|---|

| | |
|--|--|
| | <p>წესების სერიოზული დარღვევები, მომხმარებელთა უსაფრთხოების სტანდარტების სერიოზული დარღვევები, გარემოსათვის მიყენებული სერიოზული და მამტაბური ზიანი და ა.შ.</p> <p>საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დღემდე, სისხლის სამართლებრივი გამოძიება იურიდიული პირის მიმართ დაიწყო სულ სამ შემთხვევაში, რომელთაგან არცერთ არ იყო დაკავშირებული იურიდიული პირის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევებთან.</p> <p>საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ დაწყებული გამოძიებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 3.1. კითხვის ინდიკატორ „სისხლის სამართლის“ პასუხი.</p> <p>აღსანიშნავია, რომ იურიდიული პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ათავისუფლებს იურიდიულ პირს დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, რაც გულისხმობს ფულადი კომპენსაციის დაკისრებას ფიზიკური და მორალური ზიანისთვის. აგრეთვე, სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს შემდეგი სახის სასჯელის სახეებს: ლიკვიდაცია, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ჯარიმა და ქონების ჩამორთმევა.</p> <p>მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ შეიცავს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებს.</p> <p>აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა დამოკიდებულია (დელიქტის) ზიანის არსებობასთან. შესაბამისად, სამოქალაქო დავის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება ხდება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის სახით. მიუხედავად ამისა, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება ხდება ფულადი კომპენსაციის სახით და არ მოიცავს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენების ვალდებულებას.</p> |
|--|--|

| | |
|--|--|
| | <p>ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევათა ნუსხა იურიდიული პირების მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევებთან მიმართებაში არ არის ვრცელი;</p> <p>ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მიმართ კანონით გათვალისწინებული სანქციები არ შეესაბამება ჩადენილ ქმედებათა სიმძიმეს. ამასთან, ჯარიმების სიმცირის გათვალისწინებით, აღნიშნული სანქციები არ შეიძლება სამართალდამრღვევის მხრიდან სამომავლოდ, განმეორებით ჩადენის თავიდან აცილების ქმედით მექანიზმად მივიჩნიოთ.</p> <p>ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება ასევე არ მოიცავს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენების ვალდებულებას.</p> <p>საქართველოს კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული იურიდიული პირებისთვის ისეთი საკომპენსაციო, პრევენციული და აღდგენითი ღონისძიებების დაკისრების შესაძლებლობა, როგორცაა: ფულადი სახსრების განსაზღვრული მიზნებისათვის გამოყოფას (მაგ. გარემოსდაცვითი, სოციალური ან განვითარების ფონდები); გარემოსდაცვითი პროექტების დაფინანსების ვალდებულება; სასამართლო ზედამხედველობის ან კორპორატიული პრობაციის დაწესება; ორგანიზაციაში კონკრეტული სტანდარტის (მაგალითად, შრომის ან გარემოსდაცვითი სტანდარტები) დანერგვის ვალდებულების განსაზღვრას და ა.შ.</p> <p>თუმცა, მისასალმებელია გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ კანონპროექტის შემუშავება, რომელიც მიზნად ისახავს ეფექტური გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემის დანერგვას, რათა მოხდეს გარემოზე მიყენებული ზიანის თავიდან აცილება და დაზიანებული გარემოს აღდგენა.</p> <p>კანონპროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: სახელმძღვანელო პრინციპი 1 (გარემოს დაცვის სამართალი).საქართველოში კანონმდებლობა არ იცნობს ადამიანის უფლებების დარღვევის თავიდან ასაცილებლად კომპანიისათვის სამართლებრივი კვლევის (due diligence) განხორციელებას ვალდებულებას, რათა კომპანიებმა წინასწარ</p> |
|--|--|

| | |
|---|---|
| | <p>დაადგინონ, თავიდან აიცილონ, შეამცირონ და პასუხის აგონ მათ მიერ ადამიანის უფლებებზე გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენის გამო.</p> |
| <p>საჩივრების განხილვის არა-სასამართლო მექანიზმები</p> | <p><u>მონაწილეობს და/ან უჭერს მხარს თუ არა სახელმწიფო, საჩივრების განხილვის არა-სასამართლო მექანიზმებს, რომელთა მიზანია კომპენსაციის მიღება, ბიზნესთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დარღვევისთვის, მათ შორის ისეთი ორგანიზაციების მეშვეობით, როგორცაა ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტები, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ეროვნული საკოორდინაციო ბიუროები ან ომბუდსმენი?</u></p> <p>საკანონმდებლო მექანიზმების პარალელურად სახელმწიფო აყალიბებს და ორგანიზებას უწევს იმ ადმინისტრაციული მექანიზმების გამართულ მუშაობას, რომელიც ადასრულებს საკანონმდებლო რეგულაციებს, რაც თავის მხრივ წარმოადგენს კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლების დაცვის ერთგვარ გარანტს.</p> <p>ადმინისტრაციული სამართალდარღვევების განხილვა, სხვა სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების (საჯარო მოსამსახურეების) უფლებამოსილებასაც წარმოადგენს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი თვითონ განსაზღვრავს იმ სამართალდარღვევათა ნუსხას, რომელიც სხვა სახელმწიფო ორგანოების განხილვის ქვემდებარეა.</p> <p><i>საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი</i></p> <p>გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, მათ შორის, მის ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში.</p> |

დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები:

- სახელმწიფო კონტროლის განხორციელება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში;
- ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის ფაქტების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;
- გარემოს დაბინძურების ფაქტების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;
- საქართველოს მიერ გარემოს დაცვის სფეროში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კონტროლის განხორციელება მისი კომპეტენციის ფარგლებში;
- კანონმდებლობის შესრულების მონიტორინგის წარმოება, მათ შორის, რეგულირების ობიექტის მონაცემთა ბაზის შექმნა, რეგულირების ობიექტების მიერ წარმოდგენილი ლიცენზიების, ნებართვებისა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შესრულების ანგარიშგების ანალიზი;
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის დაგეგმვა და კოორდინაცია;
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის მეთოდური და სახელმძღვანელო დოკუმენტების მომზადება;
- საზოგადოების ინფორმირება დეპარტამენტის საქმიანობის თაობაზე.¹⁴⁵

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი (მედიატორის დანიშვნა კოლექტიური შრომითი დავების შემთხვევაში)

აღსანიშნავია, რომ კოლექტიური შრომითი დავების (კოლექტიური შრომითი ურთიერთობის დროს წარმოშობილი დავა ან დავა დამსაქმებელსა და დასაქმებულთა

¹⁴⁵ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.des.gov.ge/AboutUs/Activities> [ბოლოს ნანახია: 21.09.2017]

ჯგუფს (სულ მცირე, 20 დასაქმებული) შორის) შემთხვევაში, საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ საფუძველზე დავის გადაწყვეტის მიზნით მოქმედებს მედიაციის ინსტიტუტი. კერძოდ, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის ან დავის ერთ-ერთი მხარის წერილობითი მოთხოვნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნიშნავს დავის მედიატორს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

სააგენტოს საქმიანობის ძირითადი სფეროა მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული და ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემა და სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი.¹⁴⁶

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულს, რომელიც დადგენილი წესით ახორციელებს ზედამხედველობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის, ქალაქის გარე იერსახის, გარე რეკლამის, გარე ვაჭრობის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების, ასევე ხმაურის ნორმების დაცვაზე. ზედამხედველობის სამსახურის კომპეტენციას წარმოადგენს სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, დარღვევით მშენებარე ობიექტების შეჩერება ან/და დემონტაჟი, საჯარიმო სანქციების გამოყენება.¹⁴⁷

საქართველოს სახალხო დამცველი

¹⁴⁶ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://tacs.gov.ge/> [ბოლოს ნანახია: 26.09.2017].

¹⁴⁷ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, ზედამხედველობის საქალაქო სამსახური, ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.tbilisi.gov.ge/page/47> [ბოლოს ნანახია: 26.09.2017].

| | |
|--|--|
| | <p>საქართველოს სახალხო დამცველი არის კონსტიტუციური ინსტიტუტი, რომელიც ზედამხედველობს საქართველოს ტერიტორიისა და მისი იურისდიქციის ფარგლებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას. იგი ავლენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენას.</p> <p>საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტს - მინიჭებული აქვს „A“ სტატუსი, რაც გაეროს პარიზის პრინციპებთან საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტის სრულ შესაბამისობას გულისხმობს.</p> <p>საქართველოს სახალხო დამცველი სწავლობს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს როგორც მიღებული განცხადებების საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით.</p> <p>საქართველოს სახალხო დამცველი ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს.</p> <p>საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობას ახორციელებს დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე.</p> <p>საქართველოს სახალხო დამცველი წარმოადგენს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და განხორციელების მონიტორინგის სტრუქტურას.</p> <p><i>პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი</i></p> <p>პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობის მიზანია უზრუნველყოს პერსონალური მონაცემის დამუშავებისას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ</p> |
|--|--|

| | |
|--|---|
| | <p>შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა. ინსპექტორი ზედამხედველობს საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესრულებას და ახორციელებს მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე კონტროლს, როგორც საჯარო და კერძო დაწესებულებების, აგრეთვე ფიზიკური პირების შემთხვევაში.¹⁴⁸</p> <p><i>სხვა დამატებითი მექანიზმები</i></p> <p>სხვა დამატებითი მექანიზმების შესახებ ინფორმაცია იხილეთ: სახელმძღვანელო პრინციპი 1 სხვა კანონები და რეგულაციები.“</p> <p>საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მარეგულირებელი ორგანოების შესახებ ინფორმაცია იხილეთ სახელმძღვანელო პრინციპი 1 (სხვა კანონები და რეგულაციები);</p> <p><i>ხარვეზები</i></p> <p>სახალხო დამცველის პირდაპირ კომპეტენციას არ წარმოადგენს კერძო კომპანიების მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევების ზედამხედველობა. მიუხედავად იმისა, რომ ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობის შესაბამისად სახალხო დამცველი უფლებამოსილია, აწარმოოს საქმეები კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან მიმართებაში, აღნიშნული კანონმდებლობა შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს, რაც ასუსტებს სახალხო დამცველის მანდატს ამ მიმართულებით. კერძოდ, ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობის შესაბამისად სახალხო დამცველს არ შეუძლია კერძო სამართლის იურიდიული პირების დავალდებულება სახალხო დამცველისათვის ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებით, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში არ არსებობს სახალხო დამცველის რეკომენდაციის აღსრულების მექანიზმი.</p> <p>საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363²-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებთან მიმართებით საერთო</p> |
|--|---|

¹⁴⁸ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://personaldata.ge/ge/about-us/inspector> [ბოლოს ნანახია:02.07.2017].

| | |
|---|--|
| | <p>სასამართლოებისთვის მიმართვის ვადა არის 3 თვე, მას შემდეგ რაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას დისკრიმინაციულად მიაჩნია. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი კი ადგენს, რომ სახალხო დამცველი აჩერებს საქმის წარმოებას, თუ სავარაუდო დისკრიმინაციის იმავე ფაქტის გამო დავას სასამართლო განიხილავს. საკანონმდებლო წინადადებით სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტს მიმართავს, რომ სამთვიანი ვადა 1 წლამდე გაიზარდოს. იმ პირობებში, როდესაც დაზარალებულებს არსებითად მცირე დრო ეძლევათ სასამართლოში სარჩელის წარსადგენად და სახალხო დამცველის მიერ საქმის განხილვისას არ ხდება ზიანის ანაზღაურება, უმეტეს შემთხვევაში, სახალხო დამცველისთვის მიმართვის პარალელურად მომჩივანი სარჩელით მიმართავს სასამართლოსაც, რაც იწვევს სახალხო დამცველის მიერ საქმის წარმოების შეჩერებას. აღნიშნულის შედეგად ბევრი დავა და სახალხო დამცველის კომპეტენციის გარეთ რჩება, ვინაიდან, ადამიანური და დროის რესურსის სიმცირის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი მოკლებულია შესაძლებლობას, ყოველ საქმეზე 3 თვის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება.¹⁴⁹</p> |
| <p>სამართლებრივი დახმარება და მხარდაჭერა</p> | <p><u>მხარს უჭერს სახელმწიფო იურიდიულ დახმარებას, რომლის მიზანია ბარიერების დაძლევა სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე წვდომის საკითხში, ბიზნესთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების დარღვევების დროს?</u></p> <p>საქართველოს პარლამენტმა 2007 წლის 19 ივნისს მიიღო „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლითაც საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გარანტირებული დაცვის უფლების უზრუნველყოფა მოხდა. კანონის მიზნებიდან გამომდინარე, კანონით დადგენილი წესით ყველას აქვს უფლება ისარგებლოს იურიდიული კონსულტაციითა და იურიდიული დახმარებით სახელმწიფოს ხარჯზე. იურიდიული დახმარების სახეობად განსაზღვრულია სამართლებრივი დოკუმენტების შედგენა, წარმომადგენლობა სასამართლოში</p> |

¹⁴⁹ ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან დაკავშირებით არსებულ ხარვეზებზე დამატებითი ინფორმაცია იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიშში, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3966.pdf> [ბოლოს ნანახია: 21.09.2017].

| | |
|--|--|
| | <p>ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით და ადმინისტრაციულ ორგანოში, აგრეთვე სისხლის სამართლის პროცესში სახელმწიფო ხარჯზე¹⁵⁰.</p> <p>„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ უფასო იურიდიულ კონსულტაციას ნებისმიერი პირისთვის; ✓ სამართლებრივი დოკუმენტების (განცხადება, შუამდგომლობა და სხვა.) შედგენას გადახდისუუნარო პირებისათვის; ✓ საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურებას სისხლის სამართლის პროცესში სავალდებულო დაცვის შემთხვევებში; ასევე გადახდისუუნარო ბრალდებულის, მსჯავრდებულის და გამართლებულის მიმართვის შემთხვევაში; ✓ დამცველის მომსახურებას არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების საქმეებზე; ✓ დამცველის მომსახურებას იმ გადახდისუუნარო ბრალდებული/მსჯავრდებულისთვის, რომლის მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება პენიტენციურ დაწესებულებებში; ✓ დამცველის მომსახურებას ისეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ ადმინისტრაციულ პატიმრობას ან ადმინისტრაციულ პატიმრობას სხვა სახდელთან ერთად, თუ პირი გადახდისუუნაროა და მოითხოვს ადვოკატის დანიშვნას; ✓ სასამართლოში წარმომადგენლობას სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის გარკვეულ საქმეებზე (საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობის სამართალი, სოციალური დაცვის კანონმდებლობა), თუ პირი გადახდის უუნაროა, ხოლო საქმე რთული და მნიშვნელოვანია. ✓ სავალდებულო დაცვას ფსიქო-სოციალური საჭიროებების მქონე პირთა საქმეებზე, როდესაც სასამართლო განიხილავს პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხს; |
|--|--|

¹⁵⁰ „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი. კანონი ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21604>

| | |
|--|---|
| | <ul style="list-style-type: none"> ✓ სასამართლოში წარმომადგენლობას ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის საქმეებზე, თუ მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი გადახდისუუნაროა; ✓ თავშესაფრის მაძიებლის, აგრეთვე საერთაშორისო დაცვის მქონე პირის დაცვას, საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებულ დაცვის საქმეზე, პირის გადახდისუუნარობის მიუხედავად; ✓ დამცველის მომსახურებას პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმეებზე¹⁵¹. <p>საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ივნისის N424 დადგენილებით განსაზღვრულია პირის გადახდისუუნარობის დადასტურების წესი, რომლის თანახმადაც:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ პირი გადახდისუუნაროდ ითვლება და სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება ენიჭება, თუ იგი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი, რომლის სარეიტინგო ქულაც ტოლია ან ნაკლებია 70 000-ზე. ✓ გადახდისუუნაროდ ითვლება და სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება ენიჭება აგრეთვე პირს, თუ იგი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი, რომლის სარეიტინგო ქულაც ტოლია ან ნაკლებია 100 000-ზე და მიეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიას: <ul style="list-style-type: none"> ა) იმ მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, რომელსაც ჰყავს 3 ან მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი; ბ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი; გ) 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი; |
|--|---|

¹⁵¹ სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის 2016 წლის წლიური ანგარიში, ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/143958>

დ) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სრულწლოვანი პირი;

ე) მკვეთრად, მნიშვნელოვნად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი, თუ შესაძლებლობის შეზღუდვა მიმდინარეობს ბავშვობიდან;

ვ) 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვი;

ზ) რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი.

იურიდიული დახმარების საბჭოს 2014 წლის N10 და 2015 წლის N27 და N31 გადაწყვეტილებებით დადგინდა „სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში“ არარეგისტრირებულ პირთა წრე, რომლებსაც უფლება აქვთ, მიმართონ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს, მათთვის, გამონაკლისის სახით, იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ. აღნიშნულ ჩამონათვალში შევიდნენ შემდეგი კატეგორიის პირები:

- ✓ პირი, რომელიც მიმართვამდე აკმაყოფილებდა გადახდისუუნარობის კრიტერიუმებს, მაგრამ მომართვისას მისი ბოლო მონაცემი გადასულია არქივში;
- ✓ პირი, რომლის მიმართაც წარმოდგენილი სარწმუნო დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დასკვნისთვის, რომ მისი ოჯახი იმყოფება ისეთ მძიმე სოციალურ მდგომარეობაში, რომელიც შეუძლებელს ხდის ადვოკატის დაქირავებისთვის საჭირო ფინანსური სახსრების მოძიებას;
- ✓ მძიმე ან განუკურნებელი სენით დაავადებული პირები;
- ✓ მარტოხელა მშობლები;

| | |
|--|---|
| | <ul style="list-style-type: none"> ✓ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირი, ან მისი გარდაცვალების შემთხვევაში მისი პირველი რიგის მემკვიდრე. ✓ ასაკით პენსიონერი; ✓ იურიდიული დახმარების სამსახურში დასაქმებული ადვოკატი/ადვოკატის ოჯახის წევრი/ადვოკატის ახლო ნათესავი; ✓ მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი; ✓ სსიპ „დანაშაულის პრევენციის ეროვნული ცენტრის“ ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარი; ✓ საერთაშორისო ჰუმანიტარული კავშირის „კათარზისი“ (სათნოების სახლი) ბენეფიციარი; ✓ არასრულწლოვანი პირი, რომელიც შესაძლოა იყოს მხარე სამოქალაქო/ადმინისტრაციულ საქმეებზე. <p><i>ხარვეზები</i></p> <p>ამ დროისათვის კვლავ გამოწვევად რჩება მომსახურების მიწოდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ვინაიდან სამსახურში არ არის დისტანციური სერვისები დანერგილი, ასევე, პრობლემას წარმოადგენს იურიდიული დახმარების სამსახურების ოფისების ფიზიკური ადაპტირება. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, უკვე განხორციელდა სამსახურის ვებ-გვერდის რეკონსტრუქცია და ის ადაპტირებულია სუსტი მხედველობისა და მხედველობა დაქვეითებული პირებისთვის. ამავდროულად, დაწყებულია მუშაობა ონლაინ-სერვისების სისტემის ადაპტირებაზე. განხორციელდა შეხვედრა გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაქირავებულ ექსპერტთან მოცემულ საკითხზე და ეს სერვისიც მალე იქნება ხელმისაწვდომი. ასევე გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაქირავებული კომპანიის მიერ მოხდა იურიდიული დახმარების ოფისების შესწავლა და</p> |
|--|---|

| | |
|-------------|---|
| | გამოკვლევა, თუ როგორ არის შესაძლებელი ამა თუ იმ ოფისის ადაპტირება, შესაბამისად, ეს პროცესიც დაწყებულია და ეტაპობრივად მოხდება სამსახურის ოფისების ადაპტირება. |
| სხვა ზომები | <p><u>მიიღო სახელმწიფომ სხვა ზომები, ბიზნესთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების დარღვევების გამოძიების, დასჯისა და გამოსწორების მიზნით?</u></p> <p>სახელმწიფოს მიერ მიღებული ყველა ზომა, რომელიც შეეხება ადამიანის უფლებების დარღვევების გამოძიებას, დასჯასა და გამოსწორებას განხილულია ზემოთ.</p> |

| | |
|--|--|
| სახელმძღვანელო პრინციპი 2 | |
| სახელმწიფოებმა მკაფიოდ უნდა განაცხადონ, რომ ყველა საწარმოსგან, რომელსაც მათ ტერიტორიაზე ან/და იურისდიქციის ქვეშ აქვს ადგილმასყოფელი, მოელიან ადამიანის უფლებების პატივისცემას თავიანთი საქმიანობის ფარგლებში. | |
| კომენტარი სახელმძღვანელო პრინციპზე 2 | |
| <p>დღესდღეობით, ზოგადად, სახელმწიფოებს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით არ მოეთხოვებათ დაარეგულირონ იმ საწარმოების ექსტერიტორიული საქმიანობები, რომლებიც მათ ტერიტორიაზე და/ან მათი იურისდიქციის ქვეშ აქვთ ადგილმასყოფელი. ამავდროულად, როგორც წესი, ასეთი რეგულირება არ იკრძალება, აღიარებული იურისდიქციული საფუძველის არსებობის შემთხვევაში. ასეთ პირობებში, ადამიანის უფლებების ზოგიერთი სახელშეკრულებო ორგანო ურჩევს სახელმწიფოებს, მიიღონ ზომები თავიანთი იურისდიქციის ქვეშ მყოფი საწარმოების მიერ საზღვარგარეთ ჩადენილი დარღვევების პრევენციის მიზნით.</p> <p>იმ სახელმწიფოებს, სადაც რეგისტრირებულია საწარმო, გააჩნიათ საფუძვლიანი პოლიტიკური მიზეზები მკაფიოდ განაცხადონ, რომ საწარმოებისგან მოელიან ადამიანის უფლებების პატივისცემას საზღვარგარეთ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო თავადაა ჩართული ან მხარს უჭერს საწარმოს საქმიანობას. ასეთ მიზეზთა რიცხვში შედის საწარმოებისთვის პროგნოზირებადი გარემოს შექმნა, მათთვის თანმიმდევრული და ურყევი პოზიციის მიწოდების გზით და სახელმწიფოს რეპუტაციის დაცვა.</p> | |

სახელმწიფოებმა აღნიშნულთან დაკავშირებით მთელი რიგი მიდგომები შეიმუშავეს. ზოგიერთი მათგანი გულისხმობს, ექსტერიტორიული შედეგები მქონე, შიდა ღონისძიებების გატარებას, მაგალითად, მოთხოვნები „მშობელი“ კომპანიების მიმართ, წარადგინონ ანგარიში მთლიანი კომპანიის გლობალური საწარმოო საქმიანობების შესახებ, სარეკომენდაციო ხასიათის მრავალმხრივი დოკუმენტები, როგორცაა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო საწარმოებისათვის; და საწარმოო ეფექტურობის ნორმები, რომლებსაც მოითხოვენ საზღვარგარეთ ინვესტიციების მხარდამჭერი დაწესებულებები. სხვა მიდგომები გულისხმობს, პირდაპირი ექსტერიტორიული ეფექტის მქონე კანონმდებლობას. რაც მოიცავს სისხლის სამართლის რეჟიმებს, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლისსამართლებრივ დევნას დამნაშავის მოქალაქეობის მიხედვით, დანაშაულის ჩადენის ადგილის მიუხედავად. სახელმწიფოების ქმედებების სავარაუდო და რეალური მიზანშეწონილობა შესაძლოა სხვადასხვა ფაქტორით იყოს განპირობებული, მაგალითად იმით, გათვალისწინებულია თუ არა ისინი მრავალმხრივ ხელშეკრულებაში.

2.1. წარმოშობის ქვეყნის ზომები, ექსტრატერიტორიული შედეგებით

მიიღო სახელმწიფომ ადგილობრივი ზომები, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს მოლოდინს, რომ საწარმოებმა, რომლებსაც მის ტერიტორიაზე და/ან იურისდიქციის აქვთ ადგილსამყოფელი საწარმოებმა პატივი სცენ ადამიანის უფლებებს საზღვარგარეთ?

| ინდიკატორები | მიმოხილვითი შეკითხვები |
|------------------------------------|--|
| <p>მოლოდინის განსაზღვრა</p> | <p><u>გააკეთა და სრულად გაავრცელა სახელმწიფომ შესაბამის სამთავრობო უწყებებში (მათ შორის საელჩოებსა და საკონსულოებში) მკაფიო პოლიტიკური განცხადებები იმ მოლოდინის შესახებ, რომ ყველა საწარმომ, რომელსაც მის ტერიტორიაზე ან/და იურისდიქციის ქვეშ აქვს ადგილსამყოფელი, პატივი უნდა სცეს ადამიანის უფლებებს?</u></p> <p>სახელმწიფოს არ აქვს გაცხადებული პოლიტიკა საქართველოში რეგისტრირებული ან მუდმივი ადგილსამყოფელის მქონე (დომიცილირებული) კომპანიების მიერ საქართველოს გარეთ ადამიანის უფლებების პატივისცემის შესახებ, შესაბამისად არც სათანადო ინფორმაციის გავრცელება ხდება სახელმწიფოს ოფიციალურ წარმომადგენლობებში. თუმცა, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ამ მიმართულებით საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება სახელმწიფოს</p> |

| | |
|---|---|
| | <p>ერთ-ერთ ვალდებულებად აქვს აღებული. კერძოდ, სახელმწიფო ვალდებულია წახალისოს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (მუხლები 231, 239, 348, 349). ამ კონტექსტში კი საქართველომ უნდა გაიზიაროს საუკეთესო გამოცდილება და სტანდარტები (მუხლები 231, 239, 352), განსაკუთრებით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სახელმძღვანელო საერთაშორისო საწარმოებისათვის (მუხლები 231, 352).</p> |
| <p>სისხლის სამართლებრივი ან სამოქალაქო პასუხისმგებლობის რეჟიმები</p> | <p><u>შემოიღო სახელმწიფომ სისხლის სამართლებრივი ან სამოქალაქო პასუხისმგებლობის რეჟიმები, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ დევნას ან სამოქალაქო სარჩელების აღძვრის შესაძლებლობას კორპორაციების წინააღმდეგ მათი ადგილსამყოფელის მიხედვით, დანაშაულის ჩადენის ადგილის მიუხედავად?</u></p> <p>სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.¹⁵² აღნიშნული კოდექსი ცალკე განსაზღვრავს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საფუძვლებს (კარი მეექვსე¹). იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კოდექსით გათვალისწინებული იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით) ან/და მის სასარგებლოდ, პასუხისმგებელი პირის მიერ. თუმცა, იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს განისაზღვრება კოდექსის შესაბამისი მუხლით.</p> <p>რაც შეეხება ექსტრატერიტორიულობის საკითხს, კოდექსი არ განსაზღვრავს საქართველოში დომიცილირებული იურიდიული პირის მიერ მისი წარმომადგენლობის ან ფილიალის მეშვეობით ან სხვა გზით ქვეყნის გარეთ ჩადენილი შესაძლო დანაშაულის შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხებს.</p> <p>საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ არეგულირებს ექსტრატერიტორიული სამოქალაქო დავების შემთხვევაში ქართული სამართლის</p> |

¹⁵² კოდექსის ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 25 მაისს].

გამოყენების წინაპირობებს.¹⁵³ ამ კანონის მე-9 მუხლის თანახმად, საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე საქართველოშია, მოპასუხე რამდენიმე პირია და ერთ-ერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ადგილი საქართველოა, სარჩელი ეხება მართლსაწინააღმდეგო ან მასთან გათანაბრებული ქმედებით მიყენებულ ზიანს და ასეთი ქმედების ჩადენა ან ზიანის მიყენება საქართველოში მოხდა, დავა ეხება იმ საწარმოს ფილიალს, რომლის რეზიდენციაც საქართველოშია.

აღნიშნული დებულებით დავეხსენიებთ იმ კომპანიების წინააღმდეგ, რომელთა ძირითადი ადგილსამყოფელი საქართველოა ან რომლებსაც უცხოეთში აქვთ ფილიალები, საქართველოს სასამართლოები განიხილავენ.

რაც შეეხება ქართული კანონმდებლობის გამოყენებას, საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ ადგენს გამოსაყენებელი სამართლის საკითხებსაც. მართალია, დასაშვებია სახელშეკრულებო ურთიერთობისას ნებისმიერი ქვეყნის სამართლის არჩევა მხარეების მიერ, თუმცა ხსენებული კანონი ადგენს გამონაკლისებს, მაგალითად, 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სამართლის არჩევა ჩაითვლება ბათილად, თუ იგი უგულებელყოფს ხელშეკრულებასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართლის იმპერატიულ ნორმებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კანონის 38-ე მუხლი, რომელიც სოციალური დაცვის იმპერატიული ნორმებს ადგენს. კერძოდ, „სამართლის არჩევა ჩაითვლება ბათილად, თუ იგი უგულებელყოფს იმ იმპერატიულ ნორმებს, რომლებიც მიღებულია მომხმარებელთა და მუშა-მოსამსახურეთა დისკრიმინაციისაგან დასაცავად. ეს წესი აგრეთვე გამოიყენება მოძრავი ნივთების მიწოდების, დაფინანსების, შრომის ან მომსახურების ხელშეკრულებების მიმართ, თუ ისინი იმ ქვეყანაში იქნა შეთანხმებული ან დადებული,

¹⁵³ კანონის ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/93712> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 25 მაისს].

| | |
|---|---|
| | <p>სადაც მომხმარებლებსა და მუშა-მოსამსახურეებს აქვთ საცხოვრებელი ადგილი და სადაც ასეთი დამცავი ნორმები მოქმედებს.“</p> <p>კანონი ასევე განსაზღვრავს არასახელმწიფო ურთიერთობის შემთხვევაში გამოსაყენებელ სამართალს. აღსანიშნავია, რომ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ ვალდებულება ექვემდებარება: ა) დაზარალებულისათვის უფრო ხელსაყრელი ქვეყნის სამართალს; ბ) იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ადგილი ჰქონდა იმ მოქმედებას ან გარემოებას, რომელიც საფუძვლად დაედო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას; გ) იმ ქვეყნის სამართალს, სადაც სამართლით დაცულ ინტერესს ზიანი მიადგა.</p> <p>საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს კონკრეტულად ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევაში საქართველოში დომიცილებული ბიზნესის საქართველოში პასუხისმგებლობის საკითხებს, თუმცა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის ნორმების გათვალისწინებით, ქართული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები (შრომის სამართალში, მომხმარებელთა დაცვის სამართალში თუ სხვა), სამართლებრივი დავის შემთხვევაში გამოყენებული იქნება.</p> |
| <p>„გულისხმიერების ვალდებულება“ მშობელი კომპანიებისთვის</p> | <p><u>შექმნა სახელმწიფომ „გულისხმიერების ვალდებულება“ მშობელი კომპანიებისთვის, მათი შვილობილი კომპანიების, ადამიანის უფლებებზე ზემოქმედების მიმართ შვილობილი კომპანიების საქმიანობის ადგილის მიუხედავად?</u></p> <p>სახელმწიფოს არ აქვს დადგენილი მშობელი კომპანიების რაიმე ვალდებულება. რამდენადაც საქართველოში დომიცილირებული მრავალეროვანი კომპანიები თითქმის არ არსებობს, ასეთი ვალდებულებების არსებობის საჭიროება ამ ეტაპზე არც დგას.</p> |

| | |
|--------------------------------|---|
| <p>ანგარიშგების მოთხოვნები</p> | <p><u>შემოიღო სახელმწიფომ მოთხოვნები კომპანიებისთვის, საჯაროდ წარმოადგინონ ანგარიში თავიანთი საქმიანობის შესახებ საზღვარგარეთ, მათ შორის ადამიანის უფლებებთან და შრომით საკითხებთან დაკავშირებით?</u></p> <p>სახელმწიფოს არ აქვს დადგენილი ქვეყნის გარეთ საქმიანობის შესახებ ადამიანის უფლებების საკითხებზე ანგარიშგების ვალდებულება. ქვეყნის გარეთ საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიების ნაკლებობის გამო ასეთი ანგარიშგების საჭიროება ფაქტობრივად არც დამდგარა.</p> <p>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავდა და 2015 წლის 1 აპრილს დამტკიცდა კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 2015 წლის 1 ნოემბერს. საქართველოს კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“ არეგულირებს საქართველოდან შრომითი ემიგრაციის საკითხებს შუამავალი კომპანიების რეგულირებისა და პოტენციური ემიგრანტების ინფორმირების გზით.</p> <p>საქართველოს კანონიდან „შრომითი მიგრაციის შესახებ“ გამომდინარე საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა „იურიდიული პირის, ინდივიდუალური მეწარმის ან უცხო ქვეყნის საწარმოს ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის, მუდმივი დაწესებულების) მიერ უცხოელი დამსაქმებლის შესახებ ინფორმაციისა და შრომითი ემიგრაციის სფეროში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესი და ფორმა“ (საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 დეკემბრის N631 დადგენილება), რომლის თანახმადაც შუამავალი კომპანიები ვალდებული არიან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარუდგინონ ინფორმაცია კალენდარული წლის განმავლობაში გაწეული საშუამავლო საქმიანობის შესახებ. შუამავალი კომპანიების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტმა უნდა დაამუშავოს აღნიშნული ინფორმაცია და აწარმოოს შესაბამისი საინფორმაციო ბაზა საზღვარგარეთ დასაქმებული საქართველოს მოქალაქეების შესახებ (მისი ასაკის, განათლების, კვალიფიკაციის, დასაქმებული ადგილის და ა.შ). ასევე პროცესში</p> |
|--------------------------------|---|

| | |
|---|---|
| | <p>გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში განახორციელოს „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პასუხისმგებლობის ნორმები.¹⁵⁴</p> |
| <p>„რბილი სამართლის“ ნორმების მხარდაჭერა</p> | <p><u>მონაწილეობს და მხარს უჭერს თუ არა სახელმწიფო, „რბილი სამართლის“ (სარეკომენდაციო ხასიათის/არასავალდებულო) დოკუმენტებს, როგორცაა ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სახელმძღვანელო პრინციპები და პასუხისმგებელიანი მიწოდების ჯაჭვების კომპლექსური შემოწმების სახელმძღვანელო?</u></p> <p>ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე საქართველოს გამოთქმული აქვს მზადყოფნა, ხელი შეუწყოს კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას და ამ მიმართულებით შესაბამის საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებსა და სახელმძღვანელოებს, განსაკუთრებით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სახელმძღვანელოს საერთაშორისო საწარმოებისათვის (მუხლი 231). შესაბამისად, საქართველო გაცხადებულად მხარს დაუჭერს OECD სახელმძღვანელო პრინციპებს, მათ შორის, პასუხისმგებელიანი მიწოდების ჯაჭვების კომპლექსური შემოწმების სახელმძღვანელოს.</p> |
| <p>საწარმოო ეფექტურობის სტანდარტები საზღვარგარეთ ინვესტიციებთან დაკავშირებით</p> | <p><u>აქვთ და იყენებენ თუ არა საზღვარგარეთ ინვესტიციების მხარდამჭერი სახელმწიფო დაწესებულებები საწარმოო ეფექტურობის სტანდარტებს, რომელიც მხარს უჭერს ადამიანის უფლებების დაცვასა და ხელშეწყობას?</u></p> <p>სახელმწიფოს არ აქვს დადგენილი ან წახალისებული ქვეყნიდან გამავალ ინვესტიციებში ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობისათვის სტანდარტები.</p> |

¹⁵⁴ წყარო: ართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ინფორმაცია მიღებულია 2017 წლის 3 აგვისტოს.

2.2. საერთაშორისო ან რეგიონული ორგანოების რეკომენდაციების შესრულება

მიიღო სახელმწიფომ რეკომენდაციები საერთაშორისო ან რეგიონული ორგანოებისგან, როგორცაა გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო და გაეროს სახელმწიფოებო ორგანოები, და ასრულებს ამ რეკომენდაციებს, რომელიც ეხება სახელმწიფოს ტერიტორიაზე /ან/და იურისდიქციის ქვეშ ადგილსამყოფელის მქონე საწარმოების მიერ, საზღვარგარეთ ჩადენილი დარღვევების პრევენციის ზომებს?

| ინდიკატორები | მიმოხილვითი შეკითხვები |
|--|---|
| <p>ადამიანის უფლებათა საბჭოს რეკომენდაციები</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ რეკომენდაციები გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოსგან, კერძოდ, უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) პროცესით, რომელიც ეხება სახელმწიფოს ტერიტორიაზე და/ან მისი იურისდიქციის ქვეშ ადგილსამყოფელის მქონე საწარმოების მიერ, საზღვარგარეთ ჩადენილი დარღვევების პრევენციას? როგორ ასრულებს სახელმწიფო აღნიშნულ რეკომენდაციებს და ახორციელებს თუ არა ამ რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს?</u></p> <p>აღსანიშნავია, რომ საქართველოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR)-ის ფარგლებში ადამიანის უფლებათა საბჭოსგან არ მიუღია რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა სახელმწიფოს ტერიტორიაზე და/ან მისი იურისდიქციის ქვეშ ადგილსამყოფელის მქონე საწარმოების მიერ, საზღვარგარეთ ჩადენილი დარღვევების პრევენციას.</p> |
| <p>გაეროს სახელმწიფოებო ორგანოს რეკომენდაციები</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ გაეროს სახელმწიფოებო ორგანოების რეკომენდაციები, რომელიც ეხება სახელმწიფოს ტერიტორიაზე და/ან მისი იურისდიქციის ქვეშ ადგილსამყოფელის მქონე საწარმოების მიერ, საზღვარგარეთ ჩადენილი დარღვევების პრევენციას? როგორ ასრულებს სახელმწიფო აღნიშნულ რეკომენდაციებს და ახორციელებს თუ არა ამ რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს?</u></p> |

| | |
|--|--|
| | <p>საქართველოს ადამიანის უფლებათა საბჭოსგან არ მიუღია რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა სახელმწიფოს ტერიტორიაზე და/ან მისი იურისდიქციის ქვეშ ადგილსამყოფელის მქონე საწარმოების მიერ, საზღვარგარეთ ჩადენილი დარღვევების პრევენციას. მიუხედავად ამისა, საქართველომ უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR)-ის ფარგლებში სხვადასხვა სახელმწიფოებიდან მიიღო სხვადასხვა რეკომენდაციები რომელიც შეეხება ბიზნესისა და ადამიანის უფლებათა დაცვით დაკავშირებულ საკითხებს.¹⁵⁵</p> <p>ადამიანის უფლებათა საბჭოს რეკომენდაციები</p> <p>საქართველომ უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მეორე ეტაპზე (UPR)-ის ფარგლებში გაეროს წევრო სახელმწიფოებიდან მიიღო 203 რეკომენდაცია. ქვეყანა დაუყონებლივ დაეთანხმა 142 რეკომენდაციას, მოითხოვა დრო 54 რეკომენდაციის შესასრულებლად, ხოლო უარყო 7 რეკომენდაცია.</p> <p>გერმანიამ რეკომენდაცია მისცა საქართველოს, რომ უფრო მეტი ძალისხმევა გამოიჩინოს სოციალური დიალოგის ხელშეწყობასა და ისეთი ეფექტური შრომის ინსპექციის დასაწარმოებლად, რომელსაც ექნება სააღსრულებლო ფუნქცია, რათა დაიცვას მუშათა ეკონომიკური უფლებები;</p> <p>პორტუგალიამ რეკომენდაცია მისცა საქართველოს რათა მოახდინოს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის დამატებით ოქმებზე მიერთება.</p> <p>რამდენიმე ქვეყანამ რეკომენდაცია მისცა საქართველოს რათა მოახდინოს ყველა მიგრანტი მუშაკის და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირება;</p> <p>გაეროს სახელმწიფოებო ორგანოს რეკომენდაციები</p> |
|--|--|

¹⁵⁵ გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, საქართველოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მეორე ეტაპი, 2015 წელი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://undocs.org/A/HRC/31/15> [ბოლოს ნანახია: 22.09.2017].

აღსანიშნავია, რომ საქართველოს გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების რეკომენდაციების ფარგლებში არ მიუღია რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა სახელმწიფოს ტერიტორიაზე და/ან მისი იურისდიქციის ქვეშ ადგილსამყოფელის მქონე საწარმოების მიერ, საზღვარგარეთ ჩადენილი დარღვევების პრევენციას. მიუხედავად ამისა, საქართველომ ბავშვთა უფლებების კომიტეტისგან მიიღო მეოთხე პერიოდული ანგარიშის დასკვნითი დაკვირვებები, რომელშიც ასახულია ბიზნესისა და ადამიანის უფლებების საკითხები.

ბავშვთა უფლებების კომიტეტი

დასკვნითი დაკვირვებები (2017)

ბავშვთა უფლებები ბიზნეს სექტორში

N16 (2013) ზოგადი კომენტარისა (სახელმწიფოს ვალდებულებები ბიზნესის სექტორის მხრიდან ბავშვთა უფლებებზე ზეგავლენასთან დაკავშირებით) და ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის საკითხებზე მომუშავე სპეციალური მომხსენებლის მიერ წამოჭრილი საკითხების გათვალისწინებით კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოს:

ა) შეისწავლოს და შესაბამისობაში მოიყვანოს მისი საკანონმდებლო ჩარჩო (სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლის) რათა უზრუნველყოს იმ ბიზნეს სუბიექტებისა და მათი შვილობილი კომპანიების სამართლებრივი ანგარიშვალდებულება, რომლებიც მოქმედებენ ან იმართებიან მონაწილე ქვეყნის ტერიტორიიდან, განსაკუთრებით ტურიზმის სფეროში.

ბ) ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით დაარსოს ბავშვთა უფლებების დარღვევის გამოძიებისა და დარღვეული უფლების აღდგენის მონიტორინგის მექანიზმი.

გ) ტურიზმის ინდუსტრიისა და ზოგადად საზოგადოებისათვის ჩაატაროს ცნობიერების ამაღლების კამპანია ბავშვთა სექს ტურიზმის პრევენციისათვის, ასევე განახორციელოს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გლობალური ეთიკის კოდექსის ფართოდ გავრცელება ტურისტული სააგენტოებისა და ტურიზმში მოღვაწე ინდუსტრიებს შორის.

დ) ბავშვთა სექს ტურიზმის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის გაამლიეროს საერთაშორისო თანამშრომლობა, როგორც მრავალმხრივი ასევე რეგიონალური და ორმხრივი შეთანხმებების მეშვეობით.¹⁵⁶

ეკონომიკური ექსპლუატაცია, მათ შორის ბავშვთა შრომა

კომიტეტი რეკომენდაციას იძლევა, რომ მონაწილე სახელმწიფომ მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა ბავშვის შრომის ყველა ფორმის აკრძალვისთვის, მათ შორის არაფორმალურ სექტორში და მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოს რათა აღადგინოს შრომის ინსპექცია, ამდაგვარად გაამლიეროს კანონმდებლობით აკრძალული ბავშვთა შრომის მონიტორინგი.¹⁵⁷

გაყიდვა, ტრეფიკინგი და გატაცება

ზემოთ წარმოდგენილი დასკვნითი დაკვირვებების მსგავსად, კომიტეტი რეკომენდაციას უწევს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს:

ა) მოახდინოს ყოვლისმომცველი ბავშვთა უფლებების პერსპექტივაზე დაფუძნებული გეგმის ინტეგრირება ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომ სამოქმედო გეგმაში, რათა უფრო განავითაროს პრევენცია, დაცვისა და სისხლის სამართლებრივი დევნის მექანიზმები იმისათვის, რომ აღკვეთოს ბავშვთა სექსუალური და შრომითი ექსპლუატაცია, გაყიდვა და ტრეფიკინგი.

¹⁵⁶ გაერო, ადამიანის უფლებათა კომიტეტი, საქართველოს მეოთხე პერიოდული ანგარიშის დასკვნითი დაკვირვებები, პარა 14, 9 მარტი 2017 წელი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRC/C/GEO/CO/4&Lang=En [ბოლოს ნანახია: 22.09.2017].

¹⁵⁷ გაერო, ადამიანის უფლებათა კომიტეტი, საქართველოს მეოთხე პერიოდული ანგარიშის დასკვნითი დაკვირვებები, პარა 40, 9 მარტი 2017 წელი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRC/C/GEO/CO/4&Lang=En [ბოლოს ნანახია: 22.09.2017].

| | |
|--|--|
| | <p>ბ) სამოქმედო გეგმამ მიზანმიმართულად მოიცვას მოწყვლადი და მარგინალიზებული ბავშვები; ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვები; დაწესებულებებში მოთავსებული ბავშვები; ქუჩაში მცხოვრები ბავშვები;</p> <p>გ) უზრუნველყოფილ იქნეს სექსუალური ექსპლუატაციის, გაყიდვის, გატაცებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვთა დაცვა და მათი უზრუნველყოფა ადეკვატური რეაბილიტაციისა სოციალური რეინტეგრაციის პროგრამებით.</p> <p>ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აკრძალვის კომიტეტი</p> <p>საქართველოს მეოთხე და მეხუთე ანგარიშების გაერთიანებული დასკვნითი დაკვირვებები</p> <p>კომიტეტი რეკომენდაციას უწევს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს:</p> <p>ა) მიიღოს ყველა ზომა, რათა გაიზარდოს ქალთა დასაქმება, მათ შორის მიიღოს ეფექტური ზომები ქალთა მხრიდან დაბალ ანაზღაურებად სამუშაოებზე კონცენტრაციის საწინააღმდეგოდ;</p> <p>ბ) მიიღონ ზომები თანაბარი ღირებულების სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის დასანერგად, რათა მოხდეს სქესის მიხედვით არსებული სახელფასო განსხვავებების შემცირება და აღმოფხვრა. ასევე თანმიმდევრულად განხორციელდეს ყველა სექტორში დასაქმებული ქალისა და კაცის ხელფასის ოდენობის პერიოდული გადახედვა;</p> <p>გ) ხელი შეუწყონ ქალსა და მამაკაცს პროფესიული და პირადი ცხოვრების მაგალითების წარმოჩენას, მათ შორის ბავშვთა მოვლის დაწესებულებების გაზრდითა და მამაკაცთა მხრიდან ოჯახის პასუხისმგებლობის გადანაწილების წახალისებით.</p> |
|--|--|

| | |
|--|---|
| | <p>დ) გაძლიერდეს ძალისხმევა სამუშაო ადგილებზე სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ შრომის ინსპექციის დაარსებითა და შრომითი კანონმდებლობის ეფექტური აღსრულებისათვის.¹⁵⁸</p> |
| <p>სხვა საერთაშორისო და რეგიონული ორგანოს რეკომენდაციები</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ სხვა საერთაშორისო და რეგიონული ორგანოების რეკომენდაციები. საზღვარგარეთ, ბიზნესთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების დარღვევების პრევენციის ზომების მიღების შესახებ?</u></p> <p>აღსანიშნავია, რომ საქართველოს არ მიუღია რეკომენდაციები სხვა საერთაშორისო და რეგიონული ორგანოებისაგან საზღვარგარეთ, ბიზნესთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების დარღვევების პრევენციის ზომების მიღებასთან დაკავშირებით.</p> |

¹⁵⁸ გაერო, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აკრძალვის კომიტეტი, საქართველოს მეოთხე და მეხუთე ანგარიშების გაერთიანებული დასკვნითი დაკვირვებები, 24 ივლისი 2014, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <file:///C:/Users/akukhaleishvili/Downloads/N1448227.pdf> [ბოლოს ნანახია: 22.09.2017].

სახელმძღვანელო პრინციპი 3

დაცვის მოვალეობის შესასრულებლად, სახელმწიფოებმა:

(a) უნდა აღასრულონ კანონები, რომელთა მიზანია (და აქვს ძალა) მოსთხოვოს საწარმოებს პატივი სცენ ადამიანის უფლებებს ან აქვთ ამგვარი შედეგი, ასევე პერიოდულად უნდა შეაფასონ ასეთი კანონების ადეკვატურობა და აღმოფხვრან ხარვეზები.

(b) უნდა უზრუნველყონ, რომ სხვა კანონებმა და პოლიტიკამ, რომელიც აწესრიგებს საწარმოების შექმნასა და მიმდინარე საქმიანობას, როგორცაა სამეწარმეო სამართალი, არ შეაფერხოს, არამედ ხელი შეუწყოს საწარმოებს, პატივი სცენ ადამიანის უფლებებს;

(c) უნდა უზრუნველყონ საწარმოებისთვის ეფექტური რჩევებისა და მითითებების მიცემა, როგორც სცენ პატივი ადამიანის უფლებებს თავიანთ საქმიანობაში. (d) უნდა წახალისონ და შესაბამის შემთხვევაში მოსთხოვონ საწარმოებს, წარმოადგინონ ინფორმაცია, ადამიანის უფლებებზე თავიანთი ზემოქმედების ამოსაფხვრელად მიღებული ზომების შესახებ

კომენტარი სახელმძღვანელო პრინციპზე 3

სახელმწიფოებმა არ უნდა მიიჩნიონ, რომ საწარმოები, ნებისმიერ შემთხვევაში ამჯობინებენ სახელმწიფოს უმოქმედობას ან სარგებლობენ ამით და უნდა განიხილონ სხვადასხვა გონივრული ზომის - - ეროვნული და საერთაშორისო, სავალდებულო და ნებაყოფლობითი - მიღების შესაძლებლობა, რომელიც ხელს შეუწყობს საწარმოებს, პატივი სცენ ადამიანის უფლებებს.

იმ არსებული კანონმდებლობის შეუსრულებლობა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აწესრიგებს საწარმოების მიერ, ადამიანის უფლებების პატივისცემის საკითხებს, ხშირად განპირობებულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი ხარვეზებით სახელმწიფოს პრაქტიკაში. ასეთი კანონების რიცხვს შესაძლოა მიეკუთვნოს: კანონი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ და შრომის კანონმდებლობა, კანონმდებლობა, გარემოს დაცვის საკუთრების, კანონები პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და კორუფციასთან ბრძოლის შესახებ. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოებმა განიხილონ რამდენად ეფექტურად სრულდება აღნიშნული კანონები და თუ არ სრულდება, რა არის ამის მიზეზი და რეალურად რა ზომები გამოსასწორებს მდგომარეობას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, სახელმწიფოებმა გაანალიზონ, მოიცავს თუ არა ეს კანონები აუცილებელ ფარგლებს ცვალებადი გარემოებების გათვალისწინებით, და ქმნიან თუ არა ისინი შესაბამის პოლიტიკასთან ერთად გარემოს, რომელიც ხელს უწყობს საწარმოებს პატივი სცენ ადამიანის უფლებებს. მაგალითად, სამართლის და პოლიტიკის სფეროში უფრო მეტი გარკვეულობის

შეტანა, კერძოდ, რომლებიც არეგულირებენ წვდომას მიწაზე, მათ შორის უფლებამოსილებები მიწის ფლობასთან და სარგებლობასთან დაკავშირებით, ხშირ შემთხვევაში საჭიროა როგორც უფლების მქონეთა, ასევე საწარმოების დასაცავად.

კანონმდებლობა და პოლიტიკა, რომლებიც აწესრიგებს საწარმოების შექმნასა და მიმდინარე საქმიანობას, როგორცაა სამეწარმეო სამართალი და კანონმდებლობა ფასიანი ქაღალდების შესახებ, უშუალოდ განსაზღვრავს საწარმოს ქცევას. ამის გარდა მათი შედეგები ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ჯერ კიდევ სუსტად არის წარმოდგენილი. მაგალითად, კორპორატიული სამართლის ნორმებიდან და ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონებიდან გაურკვეველია, კერძოდ რისი უფლება აქვთ კომპანიებს და მათ ხელმძღვანელ პირებს, ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, თუ რა მოეთხოვებათ მათ ამ სფეროში. კანონმდებლობა და პოლიტიკა მოცემულ სფეროში უნდა ითვალისწინებდეს სათანადო სახელმძღვანელო მითითებას, რომელიც შესაძლებლობას მისცემს საწარმოებს პატივი სცენ ადამიანის უფლებებს, სათანადო ფორმით, არსებული ხელმძღვანელი სტრუქტურების როლის გათვალისწინებით, როგორცაა კორპორაციის დირექტორთა საბჭოები.

სახელმძღვანელო საწარმოებისთვის ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, უნდა მიუთითებდეს მოსალოდნელ შედეგებს და ხელი შეუწყოს გამოცდილების გაზიარებას საუკეთესო პრაქტიკის შესახებ. ისინი უნდა მოიცავდეს რეკომენდაციებს სათანადო მეთოდების შესახებ, მათ შორის ადამიანის უფლებებზე სათანადო ზრუნვის პრინციპს, ასევე ეფექტური მიდგომის საშუალებებს გენდერული პრობლემებისადმი, მოწყვლადობის საკითხებისადმი და/ან მარგინალიზაციისადმი, კონკრეტული გამოწვევების აღიარებით და გათვალისწინებით, რომლის წინაშეც შესაძლოა დადგნენ მკვიდრი მოსახლეობა, ქალები, ეროვნული ან ეთნიკური უმცირესობები, რელიგიური და ლინგვისტური უმცირესობები, ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობების პირები და მიგრანტი მუშახელი და მათი ოჯახები.

ადამიანის უფლებების დამცველ ეროვნულ ინსტიტუტებს, რომლებიც იცავენ პარიზის პრინციპებს, მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ხელი შეუწყონ სახელმწიფოებს იმის დადგენაში, შეესაბამება თუ არა რელევანტური კანონები მათ ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებებს და ეფექტურად სრულდება თუ არა ისინი, ასევე სახელმძღვანელო მითითების წარდგენაში ადამიანის უფლებების შესახებ საწარმოებისთვის და სხვა არა სახელმწიფო სუბიექტებისთვის.

საწარმოების მიერ კომუნიკაცია და ინფორმაციის წარმოდგენა იმის შესახებ თუ რა ფორმით ახდენენ ადამიანის უფლებებზე მათი ზემოქმედების აღმოფხვრას, შეიძლება განხორციელდეს როგორც არაოფიციალური ჩართულობის ფარგლებში ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ დაინტერესებულ მხარეებთან, ასევე ოფიციალური საჯარო ანგარიშების ფორმით.

სახელმწიფოს მხრიდან ასეთი ინფორმაციის წარდგენის წახალისებას ან საჭიროების შემთხვევაში მოთხოვნას, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საწარმოების მხრიდან ადამიანის უფლებების პატივისცემის ხელშეწყობისთვის. ადეკვატური ინფორმაციის წარდგენის წამახალისებელი საშუალებები შესაძლოა მოიცავდეს დებულებებს, რომელიც ხაზს უსვამს თვით-ანგარიშების

მნიშვნელობას სასამართლო ან ადმინისტრაციული განხილვების შემთხვევაში. ინფორმაციის წარმოდგენის მოთხოვნა შესაძლოა განსაკუთრებით აქტუალური იყოს იმ შემთხვევებში, როდესაც საწარმოს საქმიანობის ხასიათი ან პირობები არსებით რისკს წარმოადგენს ადამიანის უფლებებისთვის. პოლიტიკამ ან კანონებმა ამ სფეროში შესაძლოა სასარგებლო გარკვეულობა შეიტანონ იმის შესახებ, თუ რა ან რა ფორმით უნდა მოახდინონ საწარმოებმა ინფორმაციის წარმოდგენა, რაც ხელს შეუწყობს კომუნიკაციების როგორც ხელმისაწვდომობას, ასევე სიზუსტეს.

ნებისმიერი პირობა იმის შესახებ თუ რას მოიცავს სათანადო ინფორმაცია, უნდა ითვალისწინებდეს რისკებს, რომელიც ასეთმა ინფორმაციამ შესაძლოა შექმნას ცალკეული პირების და ობიექტების უსაფრთხოების და დაცულობის თვალსაზრისით; კომერციული საიდუმლოების დაცვის კანონიერი მოთხოვნები და განსხვავებები კომპანიების მოცულობაში და სტრუქტურებში.

ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნები მკაფიოდ უნდა მიუთითებდეს, რომ რიგ შემთხვევებში, ადამიანის უფლებებზე ზემოქმედება შესაძლოა იყოს „მნიშვნელოვანი“ ან „საყურადღებო“ საწარმოს ეკონომიკური საქმიანობისთვის.

3.1. შესაბამისი კანონმდებლობისა და რეგულაციების შემუშავება და აღსრულება

რა კანონმდებლობა და რეგულაციები აწესრიგებს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, საწარმოების მიერ, ადამიანის უფლებების პატივისცემას?

| ინდიკატორები | მიმოხილვითი შეკითხვები |
|--|--|
| სამეწარმეო სამართალი და კანონმდებლობა ფასიანი ქაღალდების შესახებ | <p><u>მიიღო სახელმწიფომ სამეწარმეო სამართალისა და ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობა და რეგულაციები, რომელიც ითვალისწინებს ეთიკური კორპორატიული ქცევის და საწარმოს მიერ, ადამიანის უფლებების პატივისცემის მხარდაჭერას, კერძოდ, ფინანსური ანგარიშგებასთან, რეგისტრაციასთან, კორპორაციის გამგეობასთან, დირექტორთან და საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების დაშვების მოთხოვნებთან დაკავშირებით?</u></p> |

| | |
|--|---|
| | <p>როგორც პირველი პრინციპის 1.5 მიმოხილვით კითხვაზე პასუხშია ასახული, ეთიკური ბიზნეს ქცევის შესახებ კანონმდებლობა თითქმის არაფერს შეიცავს. რაც შეეხება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონიდან გამომდინარე საფონდო ბირჟის მონაწილეთა ეთიკურ ქცევას, აქაც ადამიანის უფლებათა საკითხები ნაკლებად არის გათვალისწინებული.</p> <p>სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ წევრ-აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული ეთიკის კოდექსი მხოლოდ მცირე დოზით ითვალისწინებს ადამიანის უფლებების ნაწილს.¹⁵⁹ ეთიკის კოდექსი ერთ-ერთ მიზნად ასახელებს ბიზნესის კეთილსინდისიერად წარმოების პრინციპების დაცვას. მათი დაუმორჩილებლობა კი სტანდარტების დარღვევად მიიჩნევა და დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველია.¹⁶⁰ ეთიკის კოდექსი ითვალისწინებს კლიენტებთან სამართლიანი გარიგების წარმოების ვალდებულებას (მუხლი 8.1) და უკანონოდ ითვლება - სპეკულაციური, მაღალ რისკიანი ფასიანი ქაღალდების შეთავაზება, კლიენტის ფინანსური მდგომარეობის უგულვებელყოფით ზედმეტი სავაჭრო ოპერაციების ჩატარება, ფიქტიური ანგარიშების გახსნა, კლიენტის ნებართვის გარეშე ანგარიშზე გარიგებების განხორციელება, ყალბი ან შეცდომაში შემყვანი რეკლამის გამოყენება ან ამონაწერის მიწოდება კლიენტისათვის, კლიენტის ბეჭდის ან ხელმოწერის გაყალბება, კლიენტის დავალების განზრახი ან დაუდევარი შესრულება. დარღვევად ასევე ითვლება ინსაიდერული ინფორმაციის უკანონოდ გამოყენება, გაყალბება, ბაზრის მანიპულირება (მუხლი 8.2) და სხვა წევრების ან ბირჟის შეურაცხყოფა ან რეპუტაციის შელახვა (8.3). კოდექსი ასევე მოითხოვს კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდებას შესაძლო ინტერესთა კონფლიქტზე (მუხლი 17) და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას (მუხლი 26-27).</p> <p>სახელმწიფოს მიერ შექმნილ ეთიკურ ქცევასთან დაკავშირებით აღსანიშნავია მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, რომელიც, შეიცავს სავალდებულო პრინციპებს, წესებს, რომლებიც მაუწყებლებმა უნდა დაიცვას და სახელმძღვანელო რეკომენდაციებს,</p> |
|--|---|

¹⁵⁹ კოდექსი ხელმისაწვდომია აქ: http://old.gse.ge/downloads/rules_geo/Ethics.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 25 მაისს].

¹⁶⁰ "საქართველოს საფონდო ბირჟის" დისციპლინარულ დარღვევათა საპროცესო კოდექსი ხელმისაწვდომია აქ: http://old.gse.ge/downloads/rules_geo/Procedures.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 25 მაისს].

რომლებიც მეთოდური მითითებებია. კოდექსი დამტკიცებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ და მიზნად ისახავს ყველა სახის მაუწყებელი თანაბარი პასუხისმგებლობით მოეკიდოს პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვასა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებას, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ზნეობისა და ადამიანური ღირებულებების დასაცავად, საზოგადოებრივი თანხმობისა და ტოლერანტობის განსამტკიცებლად.¹⁶¹ აღნიშნული კოდექსი ითვალისწინებს საჩივრის განხილვის მექანიზმებსაც და ანგარიშგების წესებსაც. კოდექსში მოცემულია მიუკერძოებლობის, ზუსტი ინფორმაციის გავრცელების, ჟურნალისტთა პროფესიული თავისუფლების, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესების გათვალისწინების, პირადი ცხოვრების პატივისცემის საკითხები.

აღსანიშნავია, რომ ცალკეულ კერძო კომპანიებს და ბიზნეს ასოციაციებს აქვთ შემუშავებული საკუთარი ეთიკის კოდექსები (სადაზღვევო კომპანიათა ეთიკის კოდექსი,¹⁶² საბანკო ეთიკის კოდექსი,¹⁶³ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ეთიკის კოდექსი,¹⁶⁴ ტურიზმის ასოციაციის წევრების ეთიკის კოდექსი¹⁶⁵), რომლებიც ასოციაციების წევრთათვის სავალდებულოა შესასრულებლად. ცალკეულ კორპორაციებს ასევე აქვთ ეთიკის კოდექსები, თუმცა მსგავსად ასოციაციების კოდექსებისა, სახელმწიფო მათ მიღებასა თუ აღსრულებაში არ მონაწილეობს.

¹⁶¹ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის დადგენილება N2 „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 25 მაისს].

¹⁶² იხ. საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის ვებ-გვერდი: <http://www.insurance.org.ge/index.php?a=main&pid=32&lang=geo> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 25 მაისს].

¹⁶³ იხ. საქართველოს ბანკების ასოციაციის ვებ-გვერდი: <http://www.abg.org.ge/Admin1220790292.php?nid=1079&> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 25 მაისს].

¹⁶⁴ იხ. საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაციის ვებ-გვერდი: <http://www.microfinance.ge/wp-content/uploads/Code-of-Ethics.pdf> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 25 მაისს].

¹⁶⁵ იხ. საქართველოს ტურიზმის ასოციაციის ვებ-გვერდი: http://www.tourism-association.ge/data/images/CODE_of_CONDUCT.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 25 მაისს].

| | |
|--------------------------------|--|
| <p>შრომის სამართალი</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ შრომითი სამართალი და რეგულაციები საწარმოების მხრიდან ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად?</u></p> <p>ბავშვები</p> <p>მიუხედავად აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციებისა, სახალხო დამცველის განცხადებით პრაქტიკაში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა არასრულწლოვანთა შრომითი უფლებების დაცვისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის კუთხით.</p> <p>განსაკუთრებული სიმწვავეთ ხასიათდება ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მდგომარეობა. სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, კვლავ გამოწვევად რჩება განათლებაზე, ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა და მათი საზოგადოებაში რეინტეგრაცია. არ არსებობს ზუსტი სტატისტიკური მონაცემები ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვების შესახებ. არსებობს <i>სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა</i> რომლის ქვე-პროგრამის (<i>მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვე-პროგრამა</i>) ამოცანაა რომლის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის მოძიება და სოციალური გარემოს პირველადი შეფასება,¹⁶⁶ თუმცა აღნიშნული თავშესაფრები არ არის ქვეყნის ბევრ რეგიონში; ასევე, სოციალური მუშაკების სიმცირე ხელს უშლის ამ ქვე-პროგრამის ეფექტურ განხორციელებას.¹⁶⁷</p> <p>ბიოლოგიურ ოჯახში რეინტიგრირებულ ბავშვებს ხშირად უწევთ თავიანთ ასაკთან შეუსაბამო სამუშაოს შესრულება სხვადასხვა კერძო სამუშაოზე რაც აფერხებს ბავშვის განათლების და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის უფლების ეფექტიან აღსრულებას.¹⁶⁸</p> |
|--------------------------------|--|

¹⁶⁶ საქართველოს მთავრობის დადგენილება #121 სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ, 2017 წლის 9 მარტი.

¹⁶⁷ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ 2016 წელს, გვ. 41-44.

¹⁶⁸ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ 2016 წელს, გვ. 15.

| | |
|--|--|
| | <p>საკურორტო ადგილებში, ზღვის სანაპიროზე ბავშვებს ხშირად უხდებათ მძიმე სამუშაოს შესრულება, რის გამოც ხშირად ხდება სკოლის მიტოვება.¹⁶⁹</p> <p>არასრულწლოვნებს ქვეყნის გარეთაც უხდებათ სეზონურად სამუშაოს შესრულება არანორმირებულ და ზეგანაკვეთურ სამუშაო პირობებში. ეს უმეტესად ეხება აჭარის და გურიის რეგიონებში მცხოვრებ ბავშვებს რომლებიც საშუალოდ 9 საათს ამუშავენ დღის განმავლობაში მძიმე და შრომატევად სამუშაოზე თურქეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე. შრომითი მიგრაციის დროს ასევე ფიქსირდება სექსუალური ძალადობის შემთხვევები.¹⁷⁰</p> <p>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ერთი წლის ვადით (მუხლი 143²).</p> <p>ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა, 2015 წლის მეორე ნახევრიდან 2017 წლის პირველი ნახევრის პერიოდში ინსპექტირება განახორციელა 400-ზე მეტ ობიექტზე. განხორციელებული ინსპექტირების ფარგლებში, ინსპექტირების დეპარტამენტს არ ჰქონია შემთხვევა 16 -წლამდე პირების დასაქმებისა, ხოლო 16 დან 18 წლამდე ასაკის ადამიანების დასაქმებისას გათვალისწინებული იყო შრომის კოდექსის მოთხოვნები.</p> <p>ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში ნათქვამია, რომ ხშირად ბავშვებს უწევთ სამუშაოს შესრულება მცირე ტიპის ფერმებში, რაც ხელს უშლის მათ განათლების მიღებაში (სკოლაში დასწრება), თუმცა აღნიშნული არ არის სახელმწიფო სტრუქტურების მიერ მიჩნეული როგორც ბავშვის შეუსაბამო შრომა. აღნიშნული პრობლემა</p> |
|--|--|

¹⁶⁹ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ 2016 წელს, გვ. 15.

¹⁷⁰ ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი, აწარის და გურიის რეგიონებიდან თურქეთში არასრულწლოვანთა შრომითი მიგრაციის პრაქტიკის შესწავლა, 2015–2016.

განსაკუთრებით აქტუალურია უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, სადაც ბავშვებს ხშირად თვეობით უხდებათ შორეულ სამოვრებზე მუშაობა და შესაბამისად მოკლებულნი არიან შესაძლებლობას იარონ სკოლაში.¹⁷¹

ქალები

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის მიუხედავად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა კომიტეტი, გაეროს ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის დასკვნაზე მითითებით, გამოთქვამს დაინტერესებას იმ ფაქტით, რომ ბოლო პერიოდში შემცირებულია ტრეფიკინგის საქმეების გამოძიები და დამნაშავე პირების დასჯა; არ არსებობს ეფექტური მექანიზმი რომელიც მოახდენს მსხვერპლი ქალების და ბავშვების იდენტიფიცირებას; რეაბილიტაციის პროგრამები არ არის სათანადოდ მხარდაჭერილი; ტრეფიკინგში დამნაშავეები ხშირად დაუსჯელები რჩებიან რადგან ხდება მათი დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლა ისეთი დანაშაულით, რომელიც უფრო ნაკლებ სასჯელს ითვალისწინებს.¹⁷²

ამას გარდა, „გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის“ მიხედვით ქალთა მონაწილეობა შრომის ბაზარზე კაცებთან შედარებით ნაკლებია.¹⁷³ ამ მონაცემების გათვალისწინებით, 2015 წელთან შედარებით საქართველოს მაჩვენებელი გაუარესდა და საბოლოო ჯამში 144 ქვეყნიდან 90-ე ადგილს იკავებს. ამავე კვლევის მიხედვით, თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების მაჩვენებლით საქართველო 34-ე ადგილს იკავებს. განსხვავდება სქესთა შორის საშუალო შემოსავლის თანაფარდობაც, რომლის მიხედვითაც კაცის სავარაუდო წლიური შემოსავალი (12,551 აშშ დოლარი) დაახლოებით ორჯერ აღემატება ქალის წლიურ საშუალო შემოსავალს (6,072 აშშ დოლარი).

¹⁷¹ U.S. Department of State, Georgia 2016 Human Rights Report, p. 47-48.

¹⁷² CEACR, Direct Request, adopted 2016, published 106th ILC Session (2017), Forced Labour Convention, 1930 (No. 29) – Georgia, available at: http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:13100:0::NO::P13100_COMMENT_ID,P11110_COUNTRY_ID,P11110_COUNTRY_NAME,P11110_COMMENT_YEAR:3279461,102639,Georgia,2016

¹⁷³ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.weforum.org/reports/the-global-gender-gap-report-2016>

| | |
|--|---|
| | <p>ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, პრობლემურია ქალების დისკრიმინაცია დასაქმების ადგილზე. მიუხედავად იმისა, რომ ქალების დასაშვებობა შრომის ბაზარზე გაუმჯობესდა ისინი ხშირად არიან დასაქმებული დაბალ პოზიციებზე მათი განათლების და კვალიფიკაციის მიუხედავად. ქალების ანაზღაურება ხშირად ჩამორჩება კაცებისას. თუმცა მსგავსი დისკრიმინაციის ფაქტები ხშირად არ ცხადდება.¹⁷⁴ ამასთან, პროფკავშირების გაერთიანების განცხადებით, საგანმანათლებლო სექტორში, სადაც ქალბატონების დასაქმების მაჩვენებელი 90%-ზე მაღალია, ხელფასების დონე ყველაზე დაბალია და 3–4 –ჯერ ჩამორჩება ფინანსური, საჯარო და სატრანსპორტო სექტორების მაჩვენებელს.¹⁷⁵</p> <p>პროფესიული კავშირების გაერთიანების განცხადებით, განსხვავებული მიდგომებია საჯარო და კერძო სექტორებში დეკრეტული შვებულების საკითხთან დაკავშირებით. კერძო სექტორში დასაქმებული ქალები დეკრეტული შვებულების დროს იღებენ მხოლოდ 1000 ლარიან დახმარებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მათ დამსაქმებელს არ ევალება 183 კალენდარული დღის ხელფასსა და 1000 ლარიან დახმარებას შორის არსებული სხვაობის ანაზღაურება, რაც ხშირად აიძულებს ქალებს სწრაფად დაბრუნდნენ სამსახურში, იმისათვის, რომ მიიღონ ხელფასი, რითაც ფაქტობრივად ეზღუდებათ დეკრეტული შვებულებით სარგებლობის უფლება. ამასთან არ არსებობს რაიმე სახის გარანტია, რომ დეკრეტული შვებულების ამოწურვის შემდეგ ქალს შეუნარჩუნდება სამუშაო ადგილი კერძო სექტორში. განსხვავებულია მიდგომა საჯარო სექტორში მომუშავე ქალებისთვის. დეკრეტული შვებულების დროს ისინი იღებენ ხელფასის სრულ ოდენობას და დამატებით დაცულნი არიან სამსახურის დაკარგვისგან ბავშვის დაბადებიდან 3 წლის განმავლობაში.¹⁷⁶</p> <p>შშმ პირები</p> |
|--|---|

¹⁷⁴ U.S. Department of State, Georgia 2016 Human Rights Report, p. 48–49.

¹⁷⁵ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, http://www.geostat.ge/?action=page&p_id=148&lang=geo.

¹⁷⁶ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება, *რეკომენდაციები საქართველოს შრომის კანონმდებლობის გაუმჯობესებისთვის, დასაქმების სფეროში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისა და ქალთა შრომითი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად*, თბილისი, 2017, გვ.4.

| | |
|--|--|
| | <p>სახელმწიფოს არ გააჩნია ზუსტი სტატისტიკური მონაცემები იმ შპს პირთა შესახებ რომლებიც დასაქმებულები არიან კერძო სექტორში ან არიან თვითდასაქმებულები. რაც ეხება საჯარო სექტორს, აქ შპს პირების დასაქმების მაჩვენებელი დაბალია, კერძოდ, დასაქმებულ 59, 103 პირიდან მხოლოდ 112 არის შპს პირი.¹⁷⁷</p> <p>2015 წელს სოციალური მომსახურების სააგენტომ შპს პირთა დასაქმებისა და უნარ-ჩვევების ამალგების მიზნით განახორციელა პროექტი, რომელიც გულისხმობდა შპს პირთა კონსულტირებას დასაქმების საკითხებზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ მონაწილე შპს პირთა რაოდენობა დაბალი იყო. შესაბამისად დაბალი იყო ამ პროექტით დასაქმებულთა რიცხვიც: 2014 წელს დასაქმდა 12, 2015 წელს – 9, 2016 წელს – 11 შპს პირი.¹⁷⁸</p> <p>2015 წელს თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით საქართველოში 123, 607 შპს პირია რეგისტრირებული, რაც საქართველოს მოსახლეობის 3,3% შეადგენს. შპს პირთა ყველაზე დიდი წილი (4.8%) რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთშია, ხოლო ყველაზე მცირე (2.3%) შიდა ქართლშია რეგისტრირებული. თბილისში 28,195 შპს პირია რეგისტრირებული, რაც დედაქალაქის მოსახლეობის 2.5%-ს შეადგენს. ამ კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა 750 საწარმო, სადაც სულ დასაქმებულია 1,108 შპს პირი. მათ ვინც აღნიშნა, რომ სამსახურთან დაკავშირებით აქვთ გარკვეული პრობლემები საერთო ჯამში 163 პრობლემა დაასახელა. ყველაზე ხშირად დასახელებული იყო სამსახურამდე მისვლა (32.50%) და სამუშაო სივრცეში გადაადგილება (14%).¹⁷⁹</p> <p>შეზღუდული შესაძლებლობების პირთა დასაქმების პრობლემა მოხვდა ასევე ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში, სადაც აღნიშნულია, რომ 2015 წლის მონაცემებზე</p> |
|--|--|

¹⁷⁷ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის შესრულების თაობაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ყოვლისმომცველი ჩრდილოვანი ანგარიში, თბილისი, 2017, გვ. 60.

¹⁷⁸ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის შესრულების თაობაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ყოვლისმომცველი ჩრდილოვანი ანგარიში, თბილისი, 2017, გვ. 60.

¹⁷⁹ მიკრო და მაკრო ფაქტორების გავლენა შპს პირთა სამუშაო გარემოსთან ადაპტაციასა და შრომით ეფექტურობაზე, კვლევის ანგარიში. ეკონომიკური სექტორებისა და რეგიონების მიხედვით დასაქმებული შპს პირების ზოგადი სურათი და სამუშაო პირობებისადმი მათი დამოკიდებულებები, თსუ გამომცემლობა, 2015, გვ. 18.

| | |
|--|---|
| | <p>დაყრდნობით მხოლოდ 24 ადამიანი იყო დასაქმებული სახელმწიფო ინსტიტუტებში. ამასთან, არ არსებობს შშმ პირების დასაქმების ეფექტური პოლიტიკა.¹⁸⁰</p> <p>სამმხრივი კომისია</p> <p>სამმხრივი კომისია ხშირად იმსახურებს კრიტიკას იმის გამო, რომ არ წარმოადგენს ეფექტიან მექანიზმს და ვერ ახერხებს განსაზღვროს ეფექტური პოლიტიკა შრომით ურთიერთობებში. პრობლემები შრომის უსაფრთხოების სფეროში ხშირად გამხდარა სამმხრივი კომისიის კრიტიკის მიზეზი.¹⁸¹ აქვე აღსანიშნავია, რომ მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის #258 დადგენილებით სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ სამმხრივი კომისია უნდა შეიკრიბოს კვარტალში ერთხელ (მუხლი 6.1). ამის მიუხედავად, დღემდე სამმხრივი კომისია მხოლოდ სამჯერ არის შეკრებილი.</p> <p>სოციალური დიალოგის არაეფექტურობაზე მიანიშნებენ პროფესიულ კავშირთა საერთაშორისო გაერთიანებებიც. პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაცია, პროფკავშირთა ევროპული კონფედერაცია და ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო ფედერაცია კრიტიკულად აფასებენ 2017 წლის 24 აგვისტოს მომხდარს, როდესაც საქართველოს რკინიგზაში დასაქმებულ მუშათა და პროფკავშირის წევრების გაფიცვა პოლიციამ ძალით დაშალა. გაფიცული მუშები აპროტესტებდნენ მათი სამუშაო ადგილის შეცვლას (150 კილომეტრის მოშორებით გადაყვანას) მათ დაუკითხავად, დამატებითი ანაზღაურების და ტრანსპორტირების უზრუნველყოფის გარეშე.¹⁸²</p> |
|--|---|

¹⁸⁰ U.S. Department of State, Georgia 2016 Human Rights Report, p. 49.

¹⁸¹ პრესრელიზი, სახალხო დამცველი ტყიბულის მადაროს გაფიცულ თანამშრომლებს შეხვდა, <http://www.ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcveli-tyibulis-magaros-gaficul-tanamshromlebs-shexvda.page>

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), შრომის ინსპექტირების მექანიზმის შეფასება და დასაქმებულთა შრომითი უფლებების მდგომარეობა საქართველოში, გვ.62–63.

¹⁸² International Trade Union Confederation, The ITUC, together with the ETUC and the ITF, has expressed its deep concern about the dispersion of a peaceful protest action of workers of Georgian Railways and trade unions and community activists by the police on 24 August 2017. Available at: <https://www.ituc-csi.org/georgia-lack-of-respect-for-social?lang=en>.

| | |
|--|--|
| <p>გარემოს დაცვის სამართალი</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ გარემოს დაცვის კანონმდებლობა და რეგულაციები, საწარმოების მიერ, თავისი მოქალაქეების ჯანმრთელობის, ჯანსაღი გარემოს და საარსებო გარემოს, მათ შორის სუფთა წყლით, სუფთა ჰაერითა და დასამუშავებლად ვარგისი მიწით სარგებლობის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად?</u></p> <p>ორჰუსის კონვენციიდან გამომდინარე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ადგენს გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნულ მოხსენებას, სხვა შესაბამისი საჯარო დაწესებულებები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში კი აწვდიან სამინისტროს გარემოსდაცვით ინფორმაციას. სამინისტრო სამ წელიწადში ერთხელ აქვეყნებდა აღნიშნულ მოხსენებას, თუმცა, უკანასკნელი 2010-2013 წლებს ეხებოდა. სამინისტროს 2015 წლის საქმიანობის ანგარიშის თანახმად 2016 წელს უნდა გამოქვეყნებულიყო ასეთი მოხსენება.¹⁸³ თუმცა საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი ამჟამად 4 წელიწადში ერთხელ ამტკიცებს გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნულ მოხსენებას. სამინისტროს განმარტებით, 2018 წლისათვის მომზადდება 2014-2017 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება.¹⁸⁴ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე საინფორმაციო ბიულეტენების სახით პროაქტიულად, თვეების მიხედვით, ქვეყნდება ინფორმაცია საქართველოს გარემოს დაბინძურების შესახებ. ამ ეტაპზე ვებ გვერდზე აღნიშნული ინფორმაცია მოიცავს 2010 წლიდან 2017 წლის ივნისის მონაცემებს.¹⁸⁵</p> <p>„გარემოს დაცვის შესახებ“ და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის“ შესახებ კანონებში მოცემული საკმაოდ ფართო ვალდებულებების მიუხედავად, პრაქტიკაში მსხვილი კომპანიები ხშირად უგულებელყოფენ ან არასრულად ასრულებენ მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს.</p> |
|--|--|

¹⁸³ სამინისტროს 2015 წლის ანგარიში. ხელმისაწვდომია აქ: <http://moe.gov.ge/res/images/file-manager/wliuri-angarishi/2015wlis-angarishi.pdf> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 25 მაისს].

¹⁸⁴ წყარო: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2017 წლის 2 ივნისის N4856 წერილი კვლევის ავტორებს.

¹⁸⁵ წყარო: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. ინფორმაცია მიღებულია 2017 წლის 3 აგვისტოს.

| | |
|--|---|
| | <p>მაგალითისათვის, მსხვილი ჰიდროელექტროსადგურების გარემოზე ზემოქმედების ანგარიში საკმაოდ ბევრ ხარვეზს შეიცავს.¹⁸⁶ აღსანიშნავია, რომ ამ პროექტების ნაწილი ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის ან/და აზიის განვითარების ბანკის ან სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დაფინანსებულია, რაც გულისხმობს ამ ინსტიტუტების მოთხოვნების გათვალისწინების ვალდებულებასაც. როგორც კომპანიების ანგარიშების ანალიზებიდან იკვეთება, გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის ცალკეული ნაწილები მხოლოდ ფორმალურადაა ასახული ამ დოკუმენტებში, ზოგიერთი ნაწილი მეორდება, პრაქტიკულად არ არის შეფასებული პროექტის ირიბი ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობაზე, არ არის ან არასაკმარისადაა შეფასებული პროექტის კუმულაციური ზემოქმედება ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ან რეგიონზე სოციალური, ეკოლოგიური, ეკონომიკური და ენერგეტიკული თვალსაზრისით, არ არის ან არასაკმარისადაა განსაზღვრული შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები და სხვა.</p> <p>ასევე აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობით განსაზღვრული სავალდებულო ეკოლოგიური დაზღვევა, რომლიდან შემოსული თანხები კატასტროფისა და ავარიის შედეგების აღმოფხვრა-პროფილაქტიკას უნდა მოხმარდეს, არაა ამუშავებული, რამდენადაც არ არსებობს კანონმდებლობით განსაზღვრული განხორციელების მექანიზმები.¹⁸⁷</p> |
|--|---|

¹⁸⁶ დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ: „ნენსკრა ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე“. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ბანკებზე დამკვირვებელთა ქსელის და ასოციაცია მწვანე ალტერნატივა. 25 სექტემბერი, 2016 წ. ხელმისაწვდომია აქ:

http://greenalt.org/wp-content/uploads/2015/09/GA_shenishvnebi_Nenskra1.pdf

[უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 25 მაისს].

„მდ. ჭოროხზე კირნათი ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების და დამატებების გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) ანგარიშის თაობაზე“. მწვანე ალტერნატივა. 15 ივნისი, 2013. ხელმისაწვდომია აქ:

http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/06/shenishvnebi_kirnati_hesze.pdf

„ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის (702 მეგავატი) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის წინასწარი ვარიანტის თაობაზე“ მწვანე ალტერნატივა. 6 სექტემბერი, 2013. ხელმისაწვდომია აქ: http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/09/Comments_on_Khudoni_HPP_6-September_2013.pdf

¹⁸⁷ კავშირი მდგრადი განვითარებისათვის – ეკოხედვა/ECOVISION, „საქართველოს კლიმატის ცვლილებისა და მასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის შეფასება“. 2016. ხელმისაწვდომია აქ:

http://ecovision.ge/uploads/files/2016-08/1471336635_cc-and-ph-analysis-report-final-georgia.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 24 მარტს].

| | |
|---|--|
| <p>საკუთრებისა და მიწის მართვის სამართალი</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ მიწის მართვის კანონმდებლობა და რეგულაციები საწარმოების მიერ თავისი მოქალაქეების უფლებების პატივისცემისა და ხელშეწყობის, მათ შორის, მიწაზე ჩვეულებითი უფლებების აღიარებისა და ადამიანის უფლებების საკითხების გარემოზე და სოციალურ სფეროზე ზემოქმედების შეფასებებში და დაკავშირებულ სალიცენზიო პრაქტიკაში შეტანის უზრუნველსაყოფად?</u></p> <p>მიწის მმართველობის კანონმდებლობაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია მსხვილი საინვესტიციო პროექტების გავლენაზე საუბარი, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობის განსახლება ხდება. პრაქტიკაში ასეთი პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშებში ეს საკითხი ძალიან ზედაპირულად და მწირად არის განხილული და სათანადოდ შესწავლილი არაა.¹⁸⁸ არაერთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია ასეთ პროექტებს (წავთობის და გაზის მილები, ჰიდროელექტროსადგურები, პორტის, ტერმინალის, აეროპორტის და სხვათა მშენებლობები) განსახლების თვალსაზრისით უარყოფითად აფასებს, რამდენადაც ამ დროს უგულებელყოფილია ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრების უფლებები, განსაკუთრებით ტრადიციულ მფლობელობაში მყოფ მიწის ნაკვეთებზე.¹⁸⁹</p> |
|---|--|

¹⁸⁸ იქვე, აგრეთვე ინფორმაცია მოცემული 181-ე სქოლიოში.

¹⁸⁹ იხ. მაგალითად, „შერჩევით აღიარებული ტრადიციული საკუთრება მესტიაში“. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო. 16 იანვარი, 2012. ხელმისაწვდომია აქ:

www.transparency.ge/blog/შერჩევით-აღიარებული-ტრადიციული-საკუთრება-მესტიაში?page=2

„საკუთრების დაუცველი უფლება საქართველოში“. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „საქართველოს რეგიონალური მედიის ასოციაცია“ და ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“. აპრილი 2012. ხელმისაწვდომია აქ:

www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/დაუცველისაკუთრებისუფლება_აპრილი2012_Geo_0.pdf

„განვითარების პროექტებით გამოწვეული “იძულებითი განსახლება“. მწვანე ალტერნატივა. 2014. ხელმისაწვდომია აქ:

http://greenalt.org/wp-content/uploads/2014/07/ganviTarebis_proeqtebiT_gamowveuli_iZulebiTi_-gansaxleba.pdf

„მიწის გონივრული მმართველობა მდგრადი განვითარებისთვის“. მწვანე ალტერნატივა. 2015. ხელმისაწვდომია აქ: http://greenalt.org/wp-content/uploads/2015/07/micis_gonivruli_mmartveloba.pdf

| | |
|--|--|
| <p>ჯანმრთელობა და უსაფრთხოება</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ კანონმდებლობა და რეგულაციები, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების შესახებ, საწარმოების მიერ, დასაქმებულთა და საზოგადოების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად?</u></p> <p>შრომის უსაფრთხოება სერიოზული პრობლემაა და ამაზე მეტყველებს ქვეყანაში არსებული საგანგაშო სტატისტიკაც. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2016 წლის მონაცემებით, წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა 58 და დაშავდა 85 ადამიანი. სისხლის სამართლის დანაშაულისთვის გამოძიება დაიწყო 121 შემთხვევაში (სისხლის სამართლის კოდექსის 240–ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 240¹ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 170–ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით, 275–ე მუხლის პირველი ნაწილით, 124–ე მუხლით, 116–ე მუხლის პირველი ნაწილით და 118 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის). აქედან, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყდა 21 შემთხვევაში.¹⁹⁰</p> <p>2017 წლის პირველ ნახევარში წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა 18 ადამიანი და დაშავდა 34.¹⁹¹</p> <p>აღსანიშნავია, რომ 2016 წელს შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომპანიისა და ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის დასაქმებულები ყურადღებას ამახვილებდნენ სწორედ მძიმე და რთულ სამუშაო პირობებზე. დასაქმებულთა განმარტებით, სამუშაო გარემო სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველია, რადგან შრომითი მოვალეობის შესრულება უწყვეტ მოძველებული და გაუმართავი ტექნიკით. ისიც ხშირად გამოდის მწყობრიდან და ტექნიკის შესასრულებელი სამუშაო მათი ხელით საკეთებელი ხდება, რაც დამატებითი ძალის გამოყენებასთან არის დაკავშირებული. უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების დაცვა იყო ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა „საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფის“ ტყიბულის</p> |
|--|--|

¹⁹⁰ საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2016, გვ. 514.

¹⁹¹ პრესრელიზი, სახალხო დამცველი შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საინფორმაციო კამპანიას იწყებს, <http://www.ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcveli-shromis-usaftrxoebastan-dakavshirebit-sainformacio-kampanias-iwyeb.page>

| | |
|--|--|
| | <p>მეშახტეებისა და შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს“ ხაშური-მოლითის ახალი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის, ზვარე-ქვიშეთის მონაკვეთზე ასობით დასაქმებულის გაფიცვის დროს.¹⁹²</p> <p>შრომის კოდექსის მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა საწარმოო შემთხვევის შედეგების დროული ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციისათვის, პირველადი დახმარების აღმოჩენისა და ლიკვიდაციისათვის (მუხლი 35.5). ამავე კოდექსის მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებულია დანერგოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფი პრევენციული სისტემა და დროულად მიაწოდოს დასაქმებულს სათანადო ინფორმაცია შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკებისა და მათი პრევენციის ზომების, აგრეთვე საფრთხის შემცველ აღჭურვილობასთან მოპყრობის წესების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოს დასაქმებული პერსონალური დამცავი აღჭურვილობით, სახიფათო მოწყობილობა ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად დროულად შეცვალოს უსაფრთხოთი ან ნაკლებად სახიფათოთი, მიიღოს ყველა სხვა გონივრული ზომა დასაქმებულის უსაფრთხოებისათვის და მისი ჯანმრთელობის დასაცავად (მუხლი 35.4). ამის მიუხედავად, არასამთავრობო ორგანიზაციის განცხადებით პრობლემური საკითხია სათანადო სპეცტანსაცმლითა და დამცავი საშუალებებით აღჭურვა. რიგ საწარმოებში არ არსებობს გამართული გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პუნქტები. ხოლო, საწარმო ტრავმების ან გარდაცვალების შემთხვევაში არ ხდება შემთხვევის სათანადოდ შესწავლა.¹⁹³</p> <p>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 2016 წელს შრომის პირობების ინსპექტირების სახელმწიფო პროგრამაში ჩართვაზე თანხმობა განაცხადა 96-მა დამსაქმებელმა, საანგარიშო წლის განმავლობაში განხორციელდა 98 დამსაქმებლის ინსპექტირება. ამავე ინფორმაციით, შრომითი</p> |
|--|--|

¹⁹² საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2016, გვ. 514.

აღნიშნულ პრობლემაზე ყურადღება გამახვილებულია არასამთავრობო ორგანიზაცია „სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ კვლევაში, *შრომის ინსპექტირების მექანიზმის შეფასება და დასაქმებულთა შრომითი უფლებების მდგომარეობა საქართველოში, შრომითი ურთიერთობები და პირობები მძიმე, მსუბუქ მრეწველობაში, ტრანსპორტისა და მომსახურების სფეროში; შრომის ინსპექტირების მექანიზმის მანდატისა და საქმიანობის შეფასება*, თბილისი, 2017, გვ. 19–20.

¹⁹³ სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, *შრომის ინსპექტირების მექანიზმის შეფასება და დასაქმებულთა შრომითი უფლებების მდგომარეობა საქართველოში, შრომითი ურთიერთობები და პირობები მძიმე, მსუბუქ მრეწველობაში, ტრანსპორტისა და მომსახურების სფეროში; შრომის ინსპექტირების მექანიზმის მანდატისა და საქმიანობის შეფასება*, თბილისი, 2017, გვ. 24–28.

| | |
|--|---|
| | <p>ექსპლუატაციის შესაძლო ნიშნების არსებობის 1 ფაქტზე ინფორმაცია გადაეგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. ინსპექტირებამ გამოავლინა შემდეგი ხარვეზები: ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის არარსებობა (155); ელექტრონული უსაფრთხოების გაუმართაობა (80); ინდ. დაცვის საშუალებების არარსებობა (63); კოლექტიური დაცვის სისტემის გაუმართაობა (14); უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის არარსებობა (17); მიკროკლიმატის დაუცველობა (70); მომეტებული საწარმოო ხმაური (18); მომეტებული მტვრიანობა (11); ერგონომიკული პრობლემები და სხვა.¹⁹⁴</p> <p>მთლიანობაში, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა, 2015 წლის მეორე ნახევრიდან 2017 წლის პირველი ნახევრის პერიოდში ინსპექტირება განახორციელა 400-ზე მეტ ობიექტზე. ამ პერიოდში ყველაზე მეტი დარღვევა ფიქსირდება: სახანძრო და ელექტრო უსაფრთხოების მოუწესრიგებლობაზე; ინდივიდუალური დაცვის საშუალებებზე; უკონტროლო მიკროკლიმატზე; მომეტებული მტვერსა და ხმაურზე; სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებზე; უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის არარსებობაზე; ტრავმატიზმის აღურიცხაობაზე; რისკების შეუფასებლობაზე და სხვ.¹⁹⁵</p> |
| <p>მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ კანონმდებლობა და რეგულაციები მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ, საწარმოების მიერ, ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის და ადამიანის უფლებებზე შესყიდული პროდუქტების და მომსახურებების შედეგებში მომხმარებლის ინტერესების ხელშეწყობისთვის?</u></p> <p>იხ. კანონმდებლობის მიმოხილვა პირველ პრინციპში.</p> |
| <p>კანონმდებლობა დისკრიმინაციის წინააღმდეგ</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ კანონმდებლობა და რეგულაციები დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ ეთიკური კორპორატიული ქცევის და საწარმოს მხრიდან ადამიანის უფლებების პატივისცემის მხარდაჭერისთვის?</u></p> |

¹⁹⁴ საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2016, გვ. 516.

¹⁹⁵ ჯანდაცვის სამინისტროს კომენტარები კვლევაზე.

საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 2 მაისს მიიღო კანონი "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" (შემდგომში ანტიდისკრიმინაციული კანონი). კანონით დისკრიმინაციის აღმოფხვრა და თანასწორობის უზრუნველყოფა დაევალა დამოუკიდებელ ორგანოს - საქართველოს სახალხო დამცველს. ანტიდისკრიმინაციული კანონით დაკისრებული ფუნქციის შესრულების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შეიქმნა სტრუქტურული ერთეული თანასწორობის დეპარტამენტი. გაზრდილი ფუნქციების სრულყოფილად შესრულების მიზნით, სახალხო დამცველის ბიუჯეტი 2015 წელს გაიზარდა 68%-ით, ხოლო 2016 წელს 12,5%-ით.

ანტიდისკრიმინაციული კანონის თანახმად, დისკრიმინაცია აკრძალულია, როგორც საჯარო, ასევე, კერძო სექტორში. ამასთანავე, კანონი აკეთებს მნიშვნელოვან დათქმას იმის შესახებ, რომ დისკრიმინაციად არ შეიძლება ჩაითვალოს „სპეციალური და დროებითი ღონისძიებები, რომლებიც შემუშავებულია ფაქტობრივი თანასწორობის წასახალისებლად ან მისაღწევად, განსაკუთრებით – გენდერულ, ორსულობისა და დედობის საკითხებში, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ“. კანონის მნიშვნელოვანი ნოვაციაა ის, რომ კრძალავს დისკრიმინაციას რამდენიმე ნიშნის მიხედვით, რომელიც განმარტებულია კანონში, როგორც „დისკრიმინაცია ორი ან მეტი ნიშნის გამო“.

საქართველოს სახალხო დამცველი იღებს და განიხილავს იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის ან პირთა ჯგუფის განცხადებას და საჩივარს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში მომჩივანს არ ეკისრება დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის ტვირთი - სახალხო დამცველთან მიმართვისას საკმარისია პირმა მიუთითოს ის ფაქტები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა და წარადგინოს შესაბამისი მასალები, რის შემდეგაც სავარაუდოდ დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელმა პირმა უნდა დაამტკიცოს, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. დისკრიმინაციის დამადასტურებელი საკმარისი მასალების არსებობის შემთხვევაში, სახალხო დამცველს შეუძლია დისკრიმინაციის მსხვერპლის უფლებების აღსადგენად რეკომენდაციით მიმართოს შესაბამის დაწესებულებას ან ფიზიკურ პირს.

ანტიდისკრიმინაციული კანონი ასევე, ითვალისწინებს სასამართლოში მიმართვის უფლებას იმ პირისთვის, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს. ასეთ პირს შეუძლია შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა, და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები, ანალოგიურად ათავისუფლებს მოსარჩელეს დისკრიმინაციის ფაქტის არსებობის მტკიცების ტვირთისგან და აკისრებს დისკრიმინაციის სავარაუდო ჩამდენს დისკრიმინაციის უარყოფის ტვირთს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლის შესაბამისად, დანაშაულს წარმოადგენს თანასწორუფლებიანობის დარღვევა. კერძოდ, "ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა მათი ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით, რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლება, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე. სისხლის სამართლის კოდექსის 142² მუხლი ცალკე ითვალისწინებს სასჯელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებების შეზღუდვის საფუძველზე. მითითებული მუხლის შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის კანონით ან/და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით მინიჭებული უფლების განხორციელებაზე უარის თქმა, რამაც არსებითად ხელყო მისი უფლება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა 2015 წლის 23 ოქტომბერს საკანონმდებლო ინიციატივით მიმართა პარლამენტს, რომელიც ითვალისწინებს ცვლილებებს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში. ცვლილებები მიზნად ისახავს

| | |
|--|--|
| | <p>ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ეფექტურად აღსრულებას, კერძოდ, მისი დანიშნულებაა პრაქტიკაში აღმოიფხვრას შემდეგი სახის გამოწვევები:</p> <p>(i) კანონში არ არსებობს ერთგვარი იძულების მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც კერძო სამართლის იურიდიული და ფიზიკური პირებისგან მოხდება საქმის განხილვასთან დაკავშირებული მასალის, საბუთის, ახსნა-განმარტებისა და სხვა ინფორმაციის მიღება და იგი მხოლოდ მხარეთა კეთილ ნებაზეა მინდობილი. აღნიშნული მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის პრაქტიკაში, საქმის გარემოებების ყოველმხრივი გამოკვლევის, დისკრიმინაციის დადგენის და მასზე სათანადო რეაგირების მოხდენის თვალსაზრისით. საჩივრის/განცხადების დაკმაყოფილება ინფორმაციის მიუწოდებლობისას, ბუნებრივია თუ საქმეში არსებული მასალები ქმნიან დისკრიმინაციის ფაქტის არსებობის შესახებ გონივრული ვარაუდის საფუძველს, იქნება ქმედითი ინსტრუმენტი, რომ სახალხო დამცველმა უზრუნველყოს ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის ეფექტური ამოქმედება და კერძო პირებს დააკისროს ინფორმაციის წარმოდგენის არაპირდაპირი ვალდებულება. ეს ინსტრუმენტი ერთგვარად სტიმულის მიმცემიც იქნება ყველა კერძო პირისა და საჯარო დაწესებულებისათვის, რათა დააფიქსირონ მათი პოზიცია სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტზე და საპირისპიროს მტკიცების ტვირთი იკისრონ.</p> <p>(ii) „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი აჩერებს საქმის წარმოებას, თუ სავარაუდო დისკრიმინაციის იმავე ფაქტის გამო „მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება“. ადმინისტრაციული წარმოება აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ნაწილია, რომელიც ფართო დისკრეციით და მიზანშეწონილობით სარგებლობს. მისი საქმიანობის ბუნების გათვალისწინებით, ის „ადვილად“ შეიძლება მოვიდეს კონფლიქტში ადამიანის უფლებებთან. დისკრიმინაციის ფაქტის ჩადენა თუ უკვე მოხდა ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია უკვე მომხდარ ფაქტზე რეაგირებისა და დარღვეული უფლების ეფექტური აღდგენის შესაძლებლობა (დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, ზიანის ანაზღაურება), რის გამოც ის სახალხო დამცველთან საქმის</p> |
|--|--|

| | |
|------------------------|--|
| | <p>განხილვის ალტერნატიულ მექანიზმად არ შეიძლება განვიხილოთ; გარდა ამისა, უშუალოდ ადმინისტრაციული წარმოების დროს ხშირად ადგილი აქვს წარმოების გაჭიანურებას, ამიტომ წარმოების დასრულების ლოდინი დისკრიმინაციის ფაქტზე რეაგირებას დააყოვნებს. შესაბამისად, აუცილებელია რომ მე-9 მუხლიდან ამოღებულ იქნას „ბ“ ქვეპუნქტი.</p> <p>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონპროექტის თანახმად, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლში ჩნდება ისეთი ჩანაწერი, რომლის შესაბამისად, თუ კერძო პირები ან საჯარო დაწესებულებები არ წარმოადგენენ მოთხოვნილ ინფორმაციას და საქმეში არსებული მასალები ქმნიან დისკრიმინაციის ფაქტის არსებობის შესახებ გონივრული ვარაუდის საფუძველს და საჩივარში/განცხადებაში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს მოთხოვნას საჩივარი/განცხადება დაკმაყოფილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეს უარი ეთქმევა მის დაკმაყოფილებაზე. ასევე, კანონპროექტი ითვალისწინებს კანონის მე-9 მუხლიდან „ბ“ ქვეპუნქტის ამოღებას.</p> <p>ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ მოცემული საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით სახალხო დამცველისთვის მინიჭებული უფლებამოსილების რეალიზებისთვის სათანადო მექანიზმის შექმნას, და საქართველოს პარლამენტში განხილულია მხოლოდ პირველი მოსმენით, გონივრულ ვადაში იქნეს საქართველოს პარლამენტის მიერ განხილული. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის პირველი დანართის 1.1.39 აქტივობის თანახმად, “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ” საქართველოს კანონსა და თანმდევ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების პროექტი დაგეგმილია რომ განიხილება 2017 წლის საშემოდგომო სესიაზე.</p> |
| საგადასახადო სამართალი | <p><u>მიიღო სახელმწიფომ საგადასახადო კანონმდებლობა და რეგულაციები ეთიკური კორპორატიული ქცევის და საწარმოს მხრიდან ადამიანის უფლებების პატივისცემის მხარდაჭერისთვის?</u></p> |

| | |
|--|--|
| | იხილეთ 1.5 ინდიკატორის ნაწილი. |
| სავაჭრო სამართალი | <p><u>მიიღო სახელმწიფომ ვაჭრობის შესახებ კანონმდებლობა და რეგულაციები, სავაჭრო პრაქტიკაში საწარმოს მიერ, ადამიანის უფლებების დაცვის მხარდაჭერის მიზნით?</u></p> <p>იხილეთ 1.5 ინდიკატორის ნაწილი.</p> |
| კანონმდებლობა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების შესახებ | <p><u>მიიღო სახელმწიფომ კანონმდებლობა და რეგულაციები ინფორმაციის დაცვისა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ ეთიკური კორპორატიული ქცევის და საწარმოს მხრიდან ადამიანის უფლებების პატივისცემის მხარდაჭერისთვის?</u></p> <p>პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მიმართულებით საკმაოდ პრობლემურია პრაქტიკა, არასამთავრობო სექტორის განცხადებით საზოგადოების დიდი ნაწილი თვლის, რომ სახელმწიფოს მხრიდან ხდება მათი კომუნიკაციების (მათ შორის სატელეფონო, ინტერნეტ კომუნიკაციების) მიყურადება.¹⁹⁶ ამ პროცესში კი სატელეკომუნიკაციო ბიზნეს სუბიექტები კი ვერ იცავენ მომხმარებლებს და არც საკანონმდებლო ბერკეტი გააჩნიათ პირადი ცხოვრების დასაცავად.</p> |
| გამყლავნება და ანგარიშგება | <p><u>მიიღო სახელმწიფომ კანონმდებლობა და რეგულაციები კორპორაციების მიერ, ადამიანის უფლებების, დასაქმებულთა უფლებების, გარემოზე ზემოქმედების, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ან სხვა ეთიკური საკითხების შესახებ გამყლავნების და ანგარიშგების მხარდაჭერის მიზნით?</u></p> <p>ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა სპეციფიურად ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში კომპანიებს არც სავალდებულო და არც სარეკომენდაციო ხასიათის რეგულირებით არ მოეთხოვებათ. თუმცა ცალკეული ანგარიშები შეიცავს ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით საინტერესო თემებს.</p> |

¹⁹⁶ იხ. ერთ-ერთი კვლევის შედეგები: <https://www.esshengexeba.ge/?menuid=9&lang=1&id=1120> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 17 ივლისს].

| | |
|--|--|
| | <p>საქართველოს კანონით ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ ნებისმიერი ლიცენზიის მფლობელი ყოველწლიურად, 1 აპრილიდან 1 მაისამდე ახორციელებს სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგებას. ანგარიშგება ხდება ლიცენზიის გამცემისათვის წერილობით წარდგენით. ამასთან, თუ წარმოდგენილი ანგარიშგებით ნათლად არ არის დეკლარირებული ან საერთოდ არ არის მითითებული სალიცენზიო პირობების დაცვის ფაქტი, ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილია მიმართოს ლიცენზიის მფლობელს და მოითხოვოს სალიცენზიო პირობების გონივრულ ვადაში დაცვის შესრულების დამადასტურებელი ინფორმაცია.</p> <p>ლიცენზირებას დაქვემდებარებული საქმიანობებიდან ადამიანის უფლებათა მიმართებით გარემოს დაცვით სფეროში მოქმედი პირების ანგარიშები შეიძლება შეიცავდნენ გარემოზე ან რომელიმე ბუნებრივ რესურსზე ზემოქმედების შესახებ ანგარიშებს. გარდა ამისა, ორჰუსის კონვენციიდან და გარემოს დაცვის შესახებ კანონიდან გამომდინარე ნებისმიერი კომპანია ვალდებულია გასცეს ინფორმაცია გარემოზე ზემოქმედების შესახებ.</p> <p>პრაქტიკაში კომპანიების მიერ გარემოზე გავლენის შესახებ ინფორმაცია საკმაოდ მწირია, მწირია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ განთავსებული ინფორმაცია და მსხვილი დამბინძურებლების მიერ საზოგადოებისათვის მიწოდებული ინფორმაციაც.¹⁹⁷ ეს ინფორმაციები, მესამე სექტორის განცხადებით, ან არასრულია, ან ძალიან ზოგადია, ან ტექნიკური ტერმინოლოგიით დატვირთული და ფართო საზოგადოებისათვის ხელმიუწვდომელია, შესაბამისად, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს.</p> <p>სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ გვერდზე განთავსებულია გარემოზე ზემოქმედების ნებართვების ვებ რუკა (maps.eiec.gov.ge), სადაც შეტანილია ინფორმაცია გაცემული ნებართვების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია მოიცავს 1990 წლიდან 2013 წლამდე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშებსა და ეკოლოგიურ დასკვნებს, სადაც ასახულია ნებართვის გაცემის პირობები, გარემოზე</p> |
|--|--|

¹⁹⁷ იხ. „გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში.“ მწვანე ალტერნატივა. 2017. ხელმისაწვდომია აქ: http://greenalt.org/wp-content/uploads/2017/01/SOE_pollutants_2017.pdf

| | |
|-------------------------------------|---|
| | <p>მოსალოდნელი ზემოქმედებები და სხვა ნებართვის მისაღებად საჭირო ინფორმაცია, ხოლო 2013 წლიდან დღემდე გაცემულ ნებართვებს აღნიშნულ დოკუმენტებთან ერთად ახლავს რუკაზე დატანილი ობიექტების ფენები, რომელიც ასახავს კონკრეტული გაცემული ნებართვის ადგილმდებარეობას.¹⁹⁸</p> <p>ცენტრის ვებ გვერდზე ასევე განთავსებულია სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სტატიკური რუკები, რომლებიც ასახავს ჰაერის დამაბინძურებლებს და მათ მაჩვენებლებს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში 2014 და 2015 წლების მდგომარეობით.</p> <p>მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით ადამიანის უფლებებზე ზეგავლენის მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება ბიზნეს სუბიექტებს არ მოეთხოვებათ, რამდენიმე სუბიექტს საკუთარი ნებით აქვს დანერგული კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტები და ანგარიშგებასაც ახდენენ. მაგალითისათვის, 30-ზე მეტი კომპანიაა გაწევრიანებული გაეროს გლობალურ შეთანხმებაში და ადამიანის უფლებების, შრომის უფლებების, გარემოს დაცვის და კორუფციასთან ბრძოლის 10 პრინციპის ანგარიშსაც წარუდგენს ორგანიზაციას.¹⁹⁹ ანგარიშები საჯაროდ ხელმისაწვდომია ორგანიზაციის ვებ გვერდზე.</p> |
| <p>შესყიდვების სამართალი</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ კანონმდებლობა და რეგულაციები სახელმწიფოს მიერ კერძო სექტორიდან საქონლის და მომსახურებების შესყიდვაში ადამიანის უფლებების საკითხების შეტანის მხარდაჭერის მიზნით?</u></p> <p>მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობაში არ არის ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ რაიმე რეგულირება, ცალკეული სახელმწიფო შესყიდვების დროს, განსაკუთრებით კი, სამშენებლო, სამონტაჟო, სარემონტო და მსგავსი სამუშაოების</p> |

¹⁹⁸ წყარო: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. ინფორმაცია მიღებულია 2017 წლის 3 აგვისტოს.

¹⁹⁹ ანგარიშები ხელმისაწვდომია აქ:

https://www.unglobalcompact.org/what-is-gc/participants/search?utf8=%E2%9C%93&search%5Bkeywords%5D=&search%5Bcountries%5D%5B%5D=65&search%5Bper_page%5D=50&search%5Bsort_field%5D=&search%5Bsort_direction%5D=asc

| | |
|--|--|
| | <p>შესყიდვის დროს რამდენიმე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება შეიცავს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების პირობას.</p> <p>ძირითადად ასეთი ხელშეკრულებები 2011-2013 წლებშია დადებული და შეიცავს რაოდენობრივ ან პროცენტულ მაჩვენებელს ადგილობრივ მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის დასაქმების ვალდებულების სახით მიმწოდებლისათვის.²⁰⁰</p> |
| <p>მექრთამეობა და კორუფციასთან ბრძოლა</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ კანონმდებლობა და რეგულაციები, რომელთა მიზანია მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის ხელშეწყობა, მთავრობაში და მთავრობათა შორის. სამთავრობო ორგანოების ფარგლებში?</u></p> <p>ხაზი უნდა გაესვას მბრუნავი კარის პრაქტიკას საქართველოში, განსაკუთრებით კი, მაღალ თანამდებობებზე. პოლიტიკური თანამდებობის პირები - მინისტრები, პრემიერ-მინისტრები ხშირად კერძო სექტორიდან ინაცვლებენ პოლიტიკაში და შემდეგ ისევ კერძო სექტორში.²⁰¹</p> <p>დეკლარაციების მონიტორინგი არაერთი ადგილობრივი ორგანიზაციის კრიტიკის საგანი იყო, რამდენადაც დეკლარაციებში ხშირად ფიქსირდებოდა არასწორი ინფორმაცია, თუმცა მათი გადამოწმება არ ხდებოდა არც ერთი უწყების მიერ, ხოლო საზოგადოების ხელთ არსებული ინფორმაცია არასაკმარისია სისწორის სრული მონიტორინგისათვის.²⁰²</p> |

²⁰⁰ იხ. რამდენიმე შესყიდვის ხელშეკრულება, მხარეთა ვალდებულებების მუხლი:

<https://tenders.procurement.gov.ge/public/lib/contract.php?go=56508>, <https://tenders.procurement.gov.ge/public/lib/contract.php?go=15596>,
<https://tenders.procurement.gov.ge/public/lib/contract.php?go=37742>

²⁰¹ იხ. “The revolving doors of Georgia’s politics and business”. Democracy and Freedom Watch. 2013 წლის დეკემბერი. ხელმისაწვდომია აქ:

<http://dfwatch.net/the-revolving-doors-of-georgias-politics-and-business-22748-24848> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 25 მარტს].

„ბიზნესმენები პოლიტიკაში და პოლიტიკოსები ბიზნესში მბრუნავი კარის პრობლემა საქართველოში“. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო. 2013 წლის დეკემბერი. ხელმისაწვდომია აქ:

<http://www.transparency.ge/post/report/akhali-kvleva-mtavrobasa-da-bizness-shoris-tanamdebobis-pirta-modzraoba> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 25 მარტს].

²⁰² იხ. „კორუფციის პრევენცია საჯარო სამსახურში - ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მოკლე შეფასება“. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. 2016 წლის მარტი. ხელმისაწვდომია აქ:

<https://idfi.ge/ge/preventing-corruption-in-civil-service-brief-overview-of-the-national-anti-corruption-strategy> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 25 მარტს].

| | |
|--|---|
| | <p>დეკლარაციაში არასწორი ინფორმაციის წარდგენა ამჟამადაც დასჯადი ქმედებაა, მაგრამ ადგილობრივი ორგანიზაციების განცხადებებზე რეაგირების ნაკლებობა ან არასათანადო რეაგირება საგამოძიებო ორგანოების მხრიდან ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ შესაბამისი მონიტორინგის ორგანოს არსებობა, არამედ სათანადო რეაგირება და სანქციების გამოყენება მომავალი დარღვევების პრევენციისათვის. დეკლარაციის მონიტორინგის მეშვეობით შესაძლებელი ხდება „მბრუნავი კარის“ მინიმუმამდე დაყვანა და ბიზნესის საჯარო სექტორზე გავლენის შემცირება. შესაბამისი ორგანოები კი მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დღეის მდგომარეობით ეფექტიან რეაგირებას არ ახდენენ.²⁰³</p> <p>საგამოძიებო ორგანოების სტატისტიკის თანხმად, კორუფციასთან დაკავშირებული დანაშაულებიდან ძირითადად გამოძიება სამოხელეო დანაშაულებთან მიმართებით დაწყებულია სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების (სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლი) და ქრთამის აღების (კოდექსის 338-ე მუხლი) მუხლებით, თეთრი საყელოს სხვა დანაშაულებთან მიმართებით, რომლებიც ბიზნეს სექტორისთვის უფრო რელევანტურია - სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო მითვისების ან გაფლანგვის საფუძველით (სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლი), ზოგ შემთხვევაში გამოძიება იწყება კომერციული მოსყიდვის (კოდექსის 221-ე მუხლი), ქრთამის მიცემის (339-ე მუხლი), სამსახურებრივი სიყალბის (341-ე მუხლი), უკანონო სამეწარმეო საქმიანობის</p> |
|--|---|

„ხელისუფლება არ რეაგირებს თანამდებობის პირთა მიერ ქონებრივ დეკლარაციებში შესატანი ინფორმაციის დაფარვაზე“. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. 2014 წლის 17 თებერვალი. ხელმისაწვდომია აქ:

<http://transparency.ge/blog/khelisupleba-ar-reagirebs-tanamdebobis-pirta-mier-konebriv-deklaratsiebshi-shesatani-inpormatsiis-daparvaze>

„კახი ბექაურის არადეკლარირებული კომპანიები“. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. 2016 წლის 25 თებერვალი. ხელმისაწვდომია აქ:

<http://www.transparency.ge/en/node/5835>

„შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტო თანამდებობის პირთა დეკლარაციებში სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე ეფექტურად არ რეაგირებს“. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. 2015 წლის 22 ივნისი. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.transparency.ge/node/5315>

[ბმულები უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 25 მარტს].

²⁰³ იხილეთ „საჯარო სამსახურის რეფორმის შეფასება: საკადრო პოლიტიკა და ქონებრივი დეკლარაციები“. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო. 2015 წლის დეკემბერი. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.transparency.ge/en/node/5700> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 25 მარტს].

| | |
|---|--|
| | <p>(192-ე მუხლი) და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (194-ე მუხლი) საფუძველით.²⁰⁴ დანაშაულთა გარკვეულ კატეგორიაზე კი გამოძიება არც კი იწყება (მაგ. დეკლარაციის წარდგენის წესების დარღვევა).</p> |
| <p>ადამიანის უფლებათა დამცველის და/ან მამხილებელთა დაცვა</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ კანონმდებლობა და რეგულაციები, რომელთა მიზანია, მხარდაჭერი დაუჭიროს, საწარმოების მიერ, ადამიანის უფლებების დამცველთა ან/და მამხილებელთა უფლებების დაცვა?</u></p> <p>სახელმწიფოს არ აქვს კანონმდებლობა ან რეგულაციები საწარმოებში ადამიანის უფლებათა დამცველთა ან მამხილებელთა უფლებების დაცვის შესახებ, შესაბამისად, არც პრაქტიკა იძებნება.</p> |
| <p>სისხლის სამართალი</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა და რეგულაციები, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული კორპორატიული დანაშაულებების გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნასა და სათანადოდ დასჯას?</u></p> <p>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობის საკითხს, კერძოდ, სსსკ-ის 107¹-ე მუხლის შესაბამისად: იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული იმ დანაშაულებისათვის, რომელიც ჩადენილია იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით) ან/და მის სასარგებლოდ, პასუხისმგებელი პირის მიერ, ასევე იმ შემთხვევაში, თუ არ არის დადგენილი დანაშაულის ჩამდენი ფიზიკური პირი. ამავდროულად, პასუხისმგებელი პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება არ წარმოადგენს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს. ხოლო, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს იმავე დანაშაულისათვის ფიზიკური პირის</p> |

²⁰⁴ იხ. „საქართველოს ანტიკორუფციული კანონმდებლობის განხორციელება პრაქტიკაში“. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო. დეკემბერი 2015. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.transparency.ge/post/report/sakartvelos-antikoruptionsiuli-kanonmdeblobis-praktikashi-gankhortsieba-problemad-rcheba> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 8 მაისს].

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ათავისუფლებს იურიდიულ პირს დანაშაულის შედეგად მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, ასევე მის მიმართ კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის სხვა ზომების გამოყენებისაგან.

იურიდიული პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს შემდეგი სახის სასჯელის სახეებს: ლიკვიდაცია, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ჯარიმა და ქონების ჩამორთმევა.

იურიდიული პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება გათვალისწინებულია შემდეგ სისხლის სამართლის დანაშაულებთან დაკავშირებით: ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა (142-ე მუხლი); რასობრივი დისკრიმინაცია (142¹-ე მუხლი); შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შეზღუდვა (142²-ე მუხლი); ადამიანთა ვაჭრობა (ტრეფიკინგი) (143¹-ე მუხლი); არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) (143²-ე მუხლი); პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა (157-ე მუხლი); პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა (157¹-ე მუხლი); კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა (158-ე მუხლი); პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა (159-ე მუხლი); ამომრჩევლის მოსყიდვა (164¹-ე მუხლი); არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში (171-ე მუხლი); წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შექმნა ან გასაღება (186-ე მუხლი); საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების ხელყოფა (189-ე მუხლი); უკანონო სამეწარმეო საქმიანობა (192-ე მუხლი); უკანონო საგანმანათლებლო საქმიანობა (192¹-ე მუხლი); უკანონო სააღმზრდელო საქმიანობა (192²-ე მუხლი); უკანონო შემოსავლის ლეგალიზება (ფულის გათეთრება) (194-ე მუხლი); უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობა, ქონების შექმნა, ფლობა ან გასაღება (194¹-ე მუხლი); სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის წესის დარღვევა (195¹-ე მუხლი); ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების იმპორტი ან/და ექსპორტი (207²-ე მუხლი); ასევე დანაშაულებები - სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ;

| | |
|--|--|
| | <p>საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ; მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ; გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ; საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ; ნარკოტიკული დანაშაული; კიბერ დანაშაული; ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევა; ტერორიზმი; სამოხელეო დანაშაულები; დანაშაულები მართველობის წესის წინააღმდეგ; დანაშაული სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ; დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ; დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ.</p> <p>აქვე აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა იურიდიულ პირს არ ეკისრება ისეთი დანაშაულებებისათვის, რომელიც წარმოადგენს სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას და დანაშაულებისათვის, რომელიც მიმართულია სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ.</p> <p>საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დღემდე სისხლის სამართლებრივი გამოძიება იურიდიული პირის მიმართ დაიწყო სულ სამ შემთხვევაში, რომლებიც შეეხებოდა ნარკოტიკულ დანაშაულებს, უკანონო შემოსავლის ლეგალიზებას (ფულის გათეთრებას) და უკანონო სამეწარმეო საქმიანობას. ერთ შემთხვევაში გამამართლებელი განაჩენი დადგა, მეორე შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა სასამართლოში, ხოლო მესამე შემთხვევაში არსებითი განხილვა მიმდინარეობს სასამართლოში.</p> <p>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) შესრულების შუალედური ანგარიშის, თანახმად საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ შემუშავდა იურიდიული პირების მიერ ჩადენილი კორუფციული დანაშაულების გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმძღვანელო, რომელიც ექსპერტიზისთვის გადაეგზავნა ევროკავშირის სამუშაო ჯგუფს. (იხილეთ 3.1.1.6 საქმიანობის შესრულების შესახებ ინფორმაცია).</p> |
|--|--|

| | |
|---|---|
| <p>სამოქალაქო სამართალი</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა და რეგულაციები, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების დარღვევების გამოძიებას, დასჯასა და გამოსწორებას?</u></p> <p>საქართველოს სამოქალაქო სამართალში არსებული რეგულაციები განხილულია 1.6 პრინციპის ნაწილში, კერძოდ, საჩივრების განხილვის სასამართლო მექანიზმების ინდიკატორში. რაც შეეხება სასამართლოში განხილული საქმეების სტატისტიკას, არა რის ხელმისაწვდომი, ვინაიდან არ ხდება ინფორმაციის დამუშავება ცალკე იმ დავებთან დაკავშირებით, რომელიც კერძო პირებს შეეხება და მათ შორის, ერთ-ერთი მხარე კერძო სამართლის იურიდიული პირია.</p> |
| <p>სხვა კანონმდებლობა</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ სხვა კანონმდებლობა და რეგულაციები, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოების მიერ ადამიანის უფლებების პატივისცემას</u></p> |
| <p>3.2. შესაბამისი პოლიტიკა</p> <p>მიიღო და ოფიციალურად გამოაქვეყნა სახელმწიფომ პოლიტიკა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საწარმოებს მიერ, ადამიანის უფლებების პატივისცემას?</p> | |
| <p>ინდიკატორები</p> | <p>მიმოხილვითი შეკითხვები</p> |
| <p>ეროვნული სამოქმედო გეგმები (NAPs)</p> | <p>შემოიღო ან/და განახორციელა სახელმწიფომ პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს საწარმოებს, პატივი სცენ ადამიანის უფლებებს, კერძოდ, ბიზნესისა და ადამიანის უფლებების კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის, განვითარების, დისკრიმინაციასთან ბრძოლის, მთავრობის გამჭვირვალობის, ქალთა უფლებების ან ზოგადად, ადამიანის უფლებების შესახებ ეროვნული სამოქმედო გეგმების (NAPs) მიღებით?</p> |
| <p>სექტორული პოლიტიკა</p> | <p>შემოიღო ან/და განახორციელა სახელმწიფომ სექტორული პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს საწარმოებს, პატივი სცენ ადამიანის უფლებებს, ისეთი განსაკუთრებით მაღალი</p> |

| | |
|--|---|
| | რისკის შემცველ მრეწველობაში, როგორცაა მოპოვებითი, სამკერვალო ან სხვა სექტორები? |
| სხვა პოლიტიკა | მიიღო სახელმწიფომ სხვა პოლიტიკა, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს საწარმოების მიერ, ადამიანის უფლებების პატივისცემას? |
| <p>საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის N338 დადგენილებით დამტკიცებულ ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმას დაემატა 24-ე თავი ბიზნესი და ადამიანის უფლებების შესახებ, რომელიც 2016-2017 წლების განმავლობაში ითვალისწინებს შემდეგი საქმიანობების შესრულებას: ეროვნული საბაზისო კვლევის ჩატარება ბიზნესი და ადამიანის უფლებების მიმართულებით; შემდგომი სამი წლისათვის სამოქმედო გეგმის პროექტის მომზადება; კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით არსებული საერთაშორისო სტანდარტების ქართულ ენაზე თარგმნა; საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება კორპორაციული პასუხისმგებლობის საკითხზე; დაინტერესებული პირებისათვის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის თემაზე პრეზენტაციის ჩატარება; ქალთა გაძლიერების პრინციპების შესახებ ბიზნესის წარმომადგენლებისათვის საინფორმაციო კამპანიის და ტრენინგების ჩატარება; მრგვალი მაგიდის/კონსულტაციების გამართვა დაინტერესებულ მხარეებთან ბიზნესი და ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის თემაზე.</p> <p>გარდა აღნიშნულისა, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის წახალისების შესაბამის აქტივობებს ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წლის 26 თებერვლის N100 დადგენილებით დამტკიცებული „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის“ და ამავე სტრატეგიის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა. კერძოდ, სტრატეგიის მე-4 მიმართულება, რომელიც შეეხება ექსპორტის ხელშეწყობას და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაციას, საუბრობს პასუხისმგებლიანი ბიზნესის ქცევის (Responsible Business Conduct - RBC) პრინციპებზე, რაც გულისხმობს გარემოს მიმართ პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დანერგვას და მნიშვნელოვანად აღიარებს კერძო სექტორის ცოდნის ამაღლებას RBC-სთან დაკავშირებით და ამ პრინციპების დანერგვის პოპულარიზაციას. აღნიშნულის შესაბამისად, სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს შემდეგ აქტივობებს: 4.5.1 შესაბამისი ადგილობრივი ორგანიზაციების იდენტიფიცირება, RBC-ს სამეწარმეო სექტორში პოპულარიზაციის მიზნით; 4.5.2 ადგილობრივი ორგანიზაციების ცნობიერების ამაღლება RBC-სთან დაკავშირებით; 4.5.3 RBC-ს ხელშეწყობის მექანიზმის შემუშავება; 4.5.4. იდენტიფიცირებულ ადგილობრივ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა RBC-ის პოპულარიზაციის მიზნით. მოცემული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ძირითადი შემსრულებელი სახელმწიფო უწყებაა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და მისი მართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ორგანიზებით, ეკონომიკური თანამშრომლობისა განვითარების ორგანიზაციასთან (OECD)</p> | |

მჭიდრო თანამშრომლობით, 2016 წლის 27 მაისს, თბილისში, სასტუმრო „Tbilisi Marriott“-ში, გაიმართა ღონისძიება „Promoting Responsible Business Conduct in Georgia“. დაგეგმილი ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის (RBC) პრინციპებთან დაკავშირებით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპების (OECD Guidelines) შესახებ ცნობიერების ამაღლება როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო სექტორისთვის.

ამჟამად არსებული პოლიტიკის დოკუმენტები სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების კუთხით მოიცავს მხოლოდ იმ აქტივობებს, რომელიც მიზნად ისახავს ცნობიერების ამაღლებას. მიუხედავად, მოცემული საკითხის მნიშვნელობისა, საჭიროა, რომ ცნობიერების გაზრდის პარალელურად გამოქმედდეს ითვალისწინებდეს ასევე სხვა კონკრეტულ აქტივობებს, რომლებიც უკავშირდება ხარვეზების იდენტიფიცირებას და საკანონმდებლო დონეზე სრულყოფას, ისევე როგორც უფლებების მექანიზმების ეფექტიანობის გაზრდას.

3.3. კორპორაციის ანგარიშგება და საჯარო კომუნიკაციები

რა სახის ანგარიშგებას და საჯარო კომუნიკაციას მოითხოვს კანონი საწარმოების მიერ, ადამიანის უფლებებზე მათი ზემოქმედების აღმოფხვრის თვალსაზრისით?

| ინდიკატორები | მიმოხილვითი შეკითხვები |
|-----------------------|---|
| ფინანსური ანგარიშგება | <p>მოითხოვს თუ არა სახელმწიფო ფინანსურ ანგარიშგებას საწარმოებისგან ? განმარტავს კანონი, რომ რიგ შემთხვევებში, ადამიანის უფლებებზე ზემოქმედება „მნიშვნელოვანია“ ანგარიშგების წარმდგენი კომპანიის ეკონომიკური საქმიანობისთვის?</p> <p>კორპორაციების ფინანსური ანგარიშგება ზოგადად სახელმწიფოს მიერ არ არის მოთხოვნილი. ერთის მხრივ ეს შეიძლება არსებობდეს კომპანიის შიგნით (იხ. პირველი პრინციპის ინდიკატორი 1.5), მეორეს მხრივ კი, საფონდო ბირჟისათვის ან საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ხდება ფინანსური ანგარიშგების წარდგენა იმ ბიზნეს სუბიექტების მიერ, რომლებიც ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოქმედებენ. თუმცა ეს ანგარიშები არ შეიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც ადამიანის უფლებებზე ზეგავლენისათვის რელევანტურია. ასეთი რამ არც კანონმდებლობით არის მოთხოვნილი.</p> |

| | |
|--|---|
| <p>არაფინანსური ანგარიშგება</p> | <p><u>მოითხოვს თუ არა სახელმწიფო არაფინანსურ ანგარიშგებას საწარმოებისგან? განმარტავს კანონი, რომ რიგ შემთხვევებში, ადამიანის უფლებებზე ზემოქმედება „მნიშვნელოვანია“ ანგარიშგების წარმდგენი კომპანიის საქმიანობისთვის?</u></p> <p>კანონმდებლობით არაფინანსური ანგარიშგება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონით არის მოთხოვნილი სალიცენზიო საკითხების შესრულებაზე (იხ. ინდიკატორი 3.1). აგრეთვე, გარემოს დაცვის კანონმდებლობა მოითხოვს გარკვეულ ანგარიშგებას, კერძოდ, საწარმოები გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში რეგულარულად წარმოადგენენ მაგ. ემისიების და დაბინძურების ანგარიშებს, რაც პირდაპირ კავშირშია ადამიანის უფლებასთან - იცხოვროს ჯანსაღ გარემოში.²⁰⁵</p> <p>კომპანიები საკუთარი ინიციატივითაც ახდენენ ანგარიშგებას ცალკეულ საკითხებზე, მათ შორის ადამიანის უფლებებზე ზეგავლენის შესახებ, თუმცა ეს მათი კეთილი ნებიდან ან ამა თუ იმ ასოციაციის ან კლუბის წევრობიდან გამომდინარე ხდება და სახელმწიფოს მიერ მოთხოვნილი ან წახალისებული არ არის (იხ. ასევე ინდიკატორი 3.1).</p> |
| <p>საჯარო კონსულტაციები</p> | <p><u>არსებობს თუ არა კანონისმიერი მოთხოვნები კომპანიების მიმართ, გამართონ საჯარო კონსულტაციები იმ ძირითადი პროექტის დაწყებამდე, დაწყების პროცესში და შემდეგ, რომელმაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს ადგილობრივ მოსახლეობაზე? არსებობს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის (FPIC) მოთხოვნა? სავალდებულოა თუ არა, კომპანიების მიერ, გარემოსა და სოციალურ სფეროზე ზემოქმედების შეფასებების საჯაროდ გამოქვეყნება?</u></p> <p>კანონმდებლობა მოითხოვს ბიზნეს სუბიექტებისაგან წინასწარი კონსულტაციების ჩატარებას ადგილობრივ მოსახლეობასთან, როდესაც მათი საქმიანობა ექვემდებარე „გარემოს დაცვის შესახებ“ ან/და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის“ შესახებ კანონით გათვალისწინებულ ქმედებებს. ამ დროს კონსულტაციების საფუძველზე უნდა მოხდეს</p> |

²⁰⁵ წყარო: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. ინფორმაცია მიღებულია 2017 წლის 3 აგვისტოს.

| | |
|---|--|
| | <p>გარემოზე ზემოქმედების და ცალკეულ შემთხვევაში განსახლების თუ სხვა სოციალური გავლენის ანგარიშის მომზადება (იხ. ინდიკატორი 1.5 და 3.1).</p> <p>აღსანიშნავია, რომ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ მოქმედი კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსთვის მიმართვამდე გამართოს საჯარო განხილვა იმ ადმინისტრაციული ტერიტორიის ერთეულში, სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება. საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება როგორც ცენტრალურ ბეჭდვით ორგანოში, ასევე ადგილობრივ რეგულარულ ბეჭდვით ორგანოში. საჯარო განხილვის დანიშნვიდან დაინტერესებულ საზოგადოებას აქვს 45 დღიანი ვადა მათი შენიშვნების და მოსაზრებების წარსადგენად. ამ პერიოდის განმავლობაში, პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტაცია არის საჯარო და იგი განთავსებულია სამინისტროს ვებ-გვერდზე. ამასთან, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის (რომელიც ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვრიდან) მე-4 თავი ახლებურად არეგულირებს საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ასევე უზრუნველყოფს საჯაროობის დაცვას ორჰუსის კონვენციის პრინციპების შესაბამისად, კერძოდ, საჯარო განხილვის ჩატარების, გამოცხადების და ორგანიზების ვალდებულება ეკონომიკის სამინისტროს. ასევე, კოდექსი ითვალისწინებს დაინტერესებული საზოგადოების ჩართვას გადაწყვეტილების მიღების ადრეულ ეტაპზე, მათ შორის სკოპინგისა და სკრინინგის ეტაპზე.²⁰⁶</p> |
| <p>სხვა საჯარო კომუნიკაციები</p> | <p><u>არსებობს სხვა კანონიერი მოთხოვნა კომპანიების მიმართ, საჯარო კომუნიკაციების თვალსაზრისით?</u></p> <p>საჯარო კონსულტაციების თაობაზე კანონმდებლობა სხვა მოთხოვნებს არ ითვალისწინებს.</p> |

²⁰⁶ წყარო: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. ინფორმაცია მიღებულია 2017 წლის 3 აგვისტოს.

3.4. რჩევები და მითითებები და წამახალისებელი ღონისძიებები

უზრუნველყოფს სახელმწიფო რჩევებისა და მითითებების მიცემას და წამახალისებელ ღონისძიებებს კომპანიებისთვის, საწარმოების მიერ, ადამიანის უფლებების პატივისცემის თვალსაზრისით?

| ინდიკატორები | მიმოხილვითი შეკითხვები |
|--|--|
| <p>რჩევები და მითითებები, სამრეწველო სექტორების, ადამიანის უფლებების საკითხებისა და კომპანიის ზომის მიხედვით.</p> | <p>შეიმუშავა სახელმწიფომ რჩევები და მითითებები საწარმოებისთვის, ადამიანის უფლებების პატივისცემის შესახებ, რომელიც შეეფერება სხვადასხვა სამრეწველო სექტორს (მაგალითად, მაღალი რისკის სექტორებს, როგორცაა მოპოვებითი სექტორი), ეხება ადამიანის უფლებების კონკრეტულ საკითხებს, (მაგალითად, სამუშაო პირობები, დისკრიმინაცია) და სხვადასხვა ტიპის კორპორაციებს (მაგალითად, საერთაშორისო საწარმოები (MNEs), მცირე და საშუალო ბიზნესები (SMEs)?</p> |
| <p>რჩევები და მითითებები მოსალოდნელი შედეგებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესახებ</p> | <p>უზრუნველყო სახელმწიფომ ადამიანის უფლებების სფეროში მოსალოდნელი შედეგების ინდიკატორები, ინფორმაცია შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობისა და რეგულაციების შესახებ და საუკეთესო პრაქტიკისა და სათანადო შემოწმების მეთოდების მაგალითები?</p> |
| <p>წამახალისებელი ღონისძიებები</p> | <p>უზრუნველყო სახელმწიფომ წამახალისებელი ღონისძიებები საწარმოებისთვის მიერ, ადამიანის უფლებების პატივისცემისთვის, როგორცაა, ხელსაყრელი პირობების შექმნა კომპანიებისთვის, მათ მიერ, ადამიანის უფლებების პოლიტიკისა და პრაქტიკის შესახებ არასავალდებულო თვით ანგარიშების განხორციელების შემთხვევაში?</p> |
| <p>სახელმწიფო არ ახდენს ადამიანის უფლებათა საკითხებზე კომპანიებისათვის მითითებების, რეკომენდაციების თუ დახმარების გაწევას, გარდა გარემოსდაცვითი საკითხებისა, რომელიც საკმაოდ მწირია.</p> <p>არ არის გათვალისწინებული არც სტიმულირების მექანიზმები კანონმდებლობის ან პოლიტიკის დონეზე. „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სტიმულირებაც რეალურად არ ხორციელდება, რადგან არც ერთი სამართლებრივი დოკუმენტი არ ითვალისწინებს ეკონომიკურ სტიმულირებას შესაბამისი სუბიექტებისათვის (იხ. ინდიკატორი 1.5).</p> | |

სტიმულირების მიმცემად შეიძლება მიჩნეული იყოს აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ახორციელებს პროექტს „რეკომენდებულია ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ“ (იხ. ინდიკატორი 4.2), რომელიც მომსახურების ხარისხის, უსაფრთხოების სტანდარტების და ცალკეული უფლებების გათვალისწინების შემთხვევაში ახალისებს შესაბამის ბიზნეს სუბიექტებს (თავად ეს სუბიექტები დეპარტამენტის მინიჭებულ ხარისხის ნიშანს პიარ თვალსაზრისით იყენებენ).

3.5. ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტები (NHRIs)

ოფიციალურად აღიარებს და მხარს უჭერს თუ არა სახელმწიფო, ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტების (NHRI) როლს, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების (UNGPs) განხორციელების ხელშეწყობაში?

| ინდიკატორები | მიმოხილვითი შეკითხვები |
|---|--|
| <p>NHRI დაფუძნება, აღიარება და მხარდაჭერა</p> | <p><u>დააფუძნა სახელმწიფომ ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტი (NHRI)? თუ დააფუძნა, მიუთითოს როგორ დააფუძნდა ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტი (NHRI) და რა სახის აღიარებასა და მხარდაჭერას უზრუნველყოფს სახელმწიფო, ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტისთვის (NHRI)?</u></p> <p>ადამიანის უფლებების ეროვნულ ინსტიტუტთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია იხილეთ პირველი პრინციპში (საჩივრების განხილვის არა-სასამართლო მექანიზმები - სახალხო დამცველი);</p> <p>საქართველოს სახალხო დამცველი საკუთარი ინიციატივით ახორციელებს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების კუთხით სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზებასა და მხარდაჭერას.</p> <p>სახელმწიფოს ოფიციალურად არ მოუხდენია საქართველოს სახალხო დამცველის როლის გაზრდა გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების (UNGPs) განხორციელების ხელშეწყობის მიმართულებით.</p> |

| | |
|--|--|
| <p>NHRI ორიენტირება ადამიანის უფლებებზე</p> <p>ბიზნესსა და</p> | <p><u>ითვალისწინებს ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტის (NHRI) მანდატი ბიზნესისა და ადამიანის უფლებების მიმართულებას? აფინანსებს სახელმწიფო ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტის (NHRI) საქმიანობებს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სფეროში? უჭერს მხარს სახელმწიფო ადამიანის უფლებების ეროვნულ ინსტიტუტს (NHRI), ადამიანის უფლებების შესახებ საწარმოებისთვის რჩევებისა და მითითებების მიცემაში? უჭერს მხარს სახელმწიფო ადამიანის უფლებების ეროვნულ ინსტიტუტს (NHRI) ეროვნული, ბიზნესებისა და ადამიანის უფლებების სფეროში, მდგომარეობის მონიტორინგსა და კორპორაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების დარღვევების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულებაზე წვდომის უზრუნველყოფაში? ოფიციალურად აღიარებს სახელმწიფო ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტების (NHRI) როლს, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების (UNGPs) განხორციელების ხელშეწყობაში და თუ ასეა, უჭირს თუ არა მხარს ამ როლის შესრულებაში?</u></p> <p>საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობს: სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, საჯარო დაწესებულებებს, თანამდებობის პირებს. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის მანდატი პირდაპირ არ ითვალისწინებს კომპანიების მხრიდან ადამიანის უფლებების დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელებას. გამონაკლის წარმოადგენს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც სახალხო დამცველი უფლებამოსილია განიხილოს კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმართ არსებული საჩივრები. საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობს საქართველოს ტერიტორიისა და მისი იურისდიქციის ფარგლებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას. იგი ავლენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენას.</p> |
|--|--|

| | |
|--|---|
| | <p>სახალხო დამცველი აქვეყნებს ანგარიშებს, რეკომენდაციებსა და წინადადებებს, რომლებიც ასევე რელევანტურია კერძო სამართლის იურიდიული პირებისთვის (შრომითი უფლებების, მიწის უფლებების, გარემოს დაცვისა და სხვა უფლებებთან მიმართებაში). გარდა ამისა, სახალხო დამცველის რეკომენდაციებმა შესაძლებელია გავლენა მოახდინონ სახელმწიფო პოლიტიკაზე, რომელიც ასევე შეიძლება მოიცავდეს სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის ქმედებების რეგულირებას.</p> |
|--|---|

სახელმძღვანელო პრინციპი 4

სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ დამატებითი ზომები იმ საწარმოების მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევისგან დაცვის მიზნით, რომლებიც არის სახელმწიფოს საკუთრებაში ან კონტროლის ქვეშ ან რომლებმაც მიიღეს არსებითი მხარდაჭერა და მომსახურება სახელმწიფო უწყებებისგან, როგორცაა საექსპორტო საკრედიტო სააგენტოები და ოფიციალური ინვესტიციების სადაზღვევო ან საგარანტიო სააგენტოები, მათ შორის მოითხოვონ ადამიანის უფლებების დაცვა სათანადო გულმოდგინებით.

კომენტარი სახელმძღვანელო პრინციპზე 4

ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, თითოეული სახელმწიფო ინდივიდუალურად და კოლექტიურად არის ადამიანის უფლებების საერთაშორისო რეჟიმის დაცვის მოვალეობების ძირითადი მატარებელი და გარანტი. თუ საწარმო კონტროლდება სახელმწიფოს მიერ ან სხვაგვარად თუ მათი ქმედებები შესაძლოა მიეწეროს სახელმწიფოს, საწარმოების მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევა შესაძლოა მოიცავდეს სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებების დარღვევას. გარდა ამისა, რაც უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული საწარმო სახელმწიფოსთან ან რაც უფრო დამოკიდებულია სახელმწიფო ორგანოს ან გადასახადის გადამხდელის მხარდაჭერაზე, მით უფრო მყარი ხდება სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკის გატარების მიზეზი საწარმოების მხრიდან ადამიანის უფლებების პატივისცემის და დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოები ფლობენ ან აკონტროლებენ საწარმოებს, ისინი ფლობენ უდიდეს შესაძლებლობებს თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელონ შესაბამისი პოლიტიკა, კანონმდებლობები და რეგულაციები ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელები ანგარიშს აბარებენ სახელმწიფო უწყებებს და შესაბამის სახელმწიფო დეპარტამენტებს გააჩნიათ კონტროლის და ზედამხედველობის დიდი უფლებამოსილება, მათ შორის ადამიანის უფლებების ეფექტურად დაცვის უზრუნველყოფისათვის. (აღნიშნულ საწარმოებს ასევე ეკისრებათ ადამიანის უფლებების დაცვის კორპორატიული პასუხისმგებლობა, რაზეც საუბარია II თავში).

სახელმწიფოსთან ოფიციალურად ან არაოფიციალურად დაკავშირებული დაწესებულებებმა შესაძლოა უზრუნველყონ ბიზნეს საქმიანობების მხარდაჭერა და მომსახურება. ასეთი დაწესებულებებია: საექსპორტო საკრედიტო სააგენტოები, ოფიციალური ინვესტიციების სადაზღვევო ან საგარანტიო სააგენტოები, მეწარმეობის განვითარების და ფინანსური განვითარების დაწესებულებები. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული უწყებები უშუალოდ არ ითვალისწინებენ ბენეფიციარი საწარმოების ფაქტობრივ და პოტენციურ უარყოფით ზემოქმედებას ადამიანის უფლებებზე, ისინი თავად იყენებენ თავს სარისკო მდგომარეობაში - რეკუტაციის, ფინანსური, პოლიტიკური და პოტენციური იურიდიული პირობების თვალსაზრისით - ნებისმიერი ასეთი ზიანის

მხარდაჭერისთვის, მათ შესაძლოა გააღრმავონ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრობლემები, რომელსაც აწყდება სახელმწიფო.

4.1. სახელმწიფოს საკუთრებაში და კონტროლის ქვეშ არსებული საწარმოები

იყენებს სახელმწიფო სპეციალურ ზომებს სახელმწიფოს საკუთრებაში ან კონტროლის ქვეშ არსებული საწარმოების მიერ ადამიანის უფლებების დაცვის მხარდაჭერის მიზნით?

| ინდიკატორები | მიმოხილვითი შეკითხვები |
|---|--|
| <p>ადამიანის უფლებების ჯეროვანი დაცვის მოთხოვნები</p> | <p><u>რა ტიპის ზომების მიღებას სთხოვს სახელმწიფო სახელმწიფოს საკუთრებაში ან კონტროლის ქვეშ არსებულ საწარმოებს ადამიანის უფლებების სათანადო დაცვის კუთხით? როგორ უზრუნველყოფენ შესაბამისი სამთავრობო დაწესებულებები ადამიანის უფლებების სათანადო დაცვას? რა სახის კონტროლის და ზედამხედველობის მექანიზმები გააჩნია აღნიშნულ სამთავრობო დაწესებულებებს ასეთ საწარმოებზე (მაგალითად, ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ ინფორმაციის შეტანა სახელმწიფო უწყებების ადმინისტრაციულ ანგარიშში)?</u></p> <p>დღეს სახელმწიფოს საკუთრებაშია 124 საწარმოს წილი,²⁰⁷ რომელთაგან 100 51% ან მეტი წილობრივი მონაწილეობით შედის სახელმწიფო (74-ში 100%-იანი წილის მფლობელია).²⁰⁸</p> <p>კანონმდებლობის მიხედვით სახელმწიფო არ მოითხოვს მის საკუთრებაში ან კონტროლქვეშ არსებული საწარმოებისაგან ადამიანის უფლებათა სათანადო დაცვის შიდა მექანიზმების ქონას. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო წარმოადგენს ამ საწარმოების მართვაზე პასუხისმგებელ ორგანოს. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიზანია დააკმაყოფილოს და გააუმჯობესოს კერძო სექტორის</p> |

²⁰⁷ ეს მონაცემი არ შეიცავს მუნიციპალურ ან ავტონომიური რესპუბლიკის საწარმოებს. წყარო: სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტო. ინფორმაცია მიღებულია 2017 წლის 27 ივლისს.

²⁰⁸ სრული სია, იურიდიული ფორმის, საქმიანობის სფეროს და წილის ოდენობის მითითებით ხელმისაწვდომია სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს ვებ-გვერდზე: http://nasp.gov.ge/pages/?საწარმოები=&page_id=22 [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 15 ივლისს].

| | |
|--|---|
| | <p>წარმომადგენლების და მოქალაქეების მომსახურება, რომელთაც აქვთ სახელმწიფო ქონების შეძენის ინტერესი. სააგენტოს ვებ-გვერდის თანახმად, იგი ისწრაფვის მომსახურების მუდმივი სრულყოფისა და განვითარებისკენ და მისი ფასეულობებია:</p> <ul style="list-style-type: none"> • თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვა; • ტოლერანტულობა ყოველი მოქალაქისა და დაინტერესებული პირის მიმართ; • ბიზნეს გარემოს განვითარების მხარდაჭერა. <p>სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ფუნქციებს შორის არ არის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების ან კონტროლ-ქვეშ არსებული საწარმოების მიერ ადამიანის უფლებათა სათანადო დაცვის წახალისება, მოთხოვნა ან სხვაგვარად ხელშეწყობა.</p> <p>საწარმოები სააგენტოს ანგარიშს წარუდგენენ, თუმცა ეს ანგარიშები ძირითადად ფინანსური ხასიათისაა და მონაცემების შეგროვებისასაც არ ხდება ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ რაიმე ტიპის ინფორმაციის წარდგენა სააგენტოსათვის.²⁰⁹</p> <p>ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მართვაში იმყოფება ასევე, სამედიცინო პროფილის საწარმოები. რომელთა საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს, მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევა და სხვადასხვა ჯანდაცვის პროგრამაში მონაწილეობა. ჯანდაცვის პროფილის საწარმოების, ჯანდაცვის საქმიანობის კონტროლის განმახორციელებელია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. შესაბამისად, ხორციელდება სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლი, მოქალაქეთა განცხადებების (საჩივრების) შესწავლის უზრუნველყოფა, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კონტროლი და ა.შ.²¹⁰</p> |
|--|---|

²⁰⁹ მაგალითისათვის, იხ. მონაცემთა შეგროვების ფორმა მომხმარებლის სახელმძღვანელო. ხელმისაწვდომია აქ: <https://drive.google.com/file/d/0B3vgM3IEWoh4SHM1S0ZRZDh0RE0/view>. სააგენტოს 2016 წლის ანგარიში. ხელმისაწვდომია აქ: <https://drive.google.com/file/d/0B3vgM3IEWoh4QVBTOTIwVnc1d1U/view> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 15 ივლისს].

²¹⁰ წყარო: სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტო. ინფორმაცია მიღებულია 2017 წლის 27 ივლისს.

| | |
|--|---|
| | <p>ცალკე უნდა გამოიყოს მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული საწარმოების საკითხი. მაგალითისათვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი საკუთარ უფლებამოსილებას დედაქალაქში ტრანსპორტით მომსახურებისა და მუნიციპალური ნარჩენების მართვის სფეროში ახორციელებს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისა“ და შპს „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ. შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში“ დასაქმებულთა მდგომარეობა დარეგულირებულია შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ გენერალური დირექტორის 2013 წლის 16 ივლისის N01-173 ბრძანებით დამტკიცებული შრომის შინაგანაწესით, აგრეთვე მიღებულია და მოქმედებს მთელი რიგი ინსტრუქციები კერძოდ, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ გენერალური დირექტორის 2011 წლის 27 ოქტომბრის N01-230 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ“, რომელშიც მკაცრადაა გაწერილი ტრანსპორტში ხანძრის საწინააღმდეგო პირობების დაცვა. ასევე შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ტექნიკური საბჭოს მიერ 27.09.2013 წლის N3 სხდომის ოქმით და გენერალური დირექტორის 06.12.2013 წლის N01-284 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ელექტრომომძრავი შემადგენლობისა და ძრავმავლების მემანქანების წინასარეისო სამედიცინო შემოწმების“ თაობაზე, რომელიც ხაზზე უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველსაყოფად და შესაძლო ავარიული სიტუაციების პრევენციის მიზნით ითვალისწინებს მემანქანებისა და მემანქანე თანაშემწეების სამედიცინო შემოწმებას სვლაგეზის ფურცლის მიღების შემდეგ. მთელი რიგი ინსტრუქციებია შემუშავებული და დამტკიცდება შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორის მიერ შრომის უსაფრთხოების მხრივ, კერძოდ ინსტრუქცია ნაგავმზიდი ავტომანქანის მძღოლებისათვის, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნათა დაცვის ინსტრუქცია სარემონტო სამუშაოში, შრომის პირობების დაცვის ზოგადი წესი, შრომის დაცვის ინსტრუქცია ბულდოზერის მემანქანედ მომუშავე პერსონალისათვის, შრომის დაცვის ინსტრუქცია სატვირთო ავტომანქანების მძღოლებისათვის, შრომის დაცვის ინსტრუქცია მძღოლის დამხმარე მუშად მომუშავე პერსონალისათვის, შრომის უსაფრთხოების ნორმები სანიაღვრე მეურნეობაში დასაქმებულ პერსონალისათვის, შრომის დაცვის ინსტრუქცია ექსკავატორის მემანქანედ მომუშავე პერსონალისათვის სადაც მკაცრადაა გაწერილი დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლება-მოვალეობები.²¹¹ თუმცა აღნიშნული დოკუმენტები შიდა</p> |
|--|---|

²¹¹ წყარო: ქ. თბილისის მერია. ინფორმაცია მიღებულია 2017 წლის 3 აგვისტოს.

| | |
|---|--|
| | <p>რეგულაციის საგანს წარმოადგენენ და მუნიციპალიტეტის ან სხვა ნორმატიული აქტით არ არის მოწესრიგებული.</p> <p>ინიციატივა:</p> <p>სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ შემუშავებულია, ეთიკის კოდექსის პროექტი. რომლის რეგულირების სფეროს წარმოადგენს, ისეთი ფასეულობების დაცვა, როგორცაა: თანასწორობა ადამიანებს შორის, პიროვნების ღირებულებების, ღირსებისა და განსხვავებულობის პატივისცემა. ამასთან, კოდექსის მიზნად ისახავს, სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოს თანამშრომელთა საქმიანობის პრინციპების, ქცევის წესებისა და ურთიერთობების ეთიკური სტანდარტების ჩამოყალიბებას.²¹²</p> |
| <p>მიწოდების ჯაჭვის მართვის მოთხოვნები</p> | <p><u>რა ტიპის ზომების მიღებას სთხოვს სახელმწიფო სახელმწიფოს საკუთრებაში ან კონტროლის ქვეშ არსებულ საწარმოებს მიწოდების ჯაჭვის მართვის კუთხით? როგორ უზრუნველყოფენ შესაბამისი სამთავრობო დაწესებულებები მიწოდების ჯაჭვის მართვას? რა სახის კონტროლის და ზედამხედველობის მექანიზმები გააჩნია აღნიშნულ სამთავრობო დაწესებულებებს ასეთ საწარმოებზე (მაგალითად, მიწოდების ჯაჭვის შესახებ ინფორმაციის შეტანა სახელმწიფო უწყებების ადმინისტრაციულ ანგარიშში)?</u></p> <p>კანონმდებლობით არ არის მოთხოვნილი სახელმწიფო საკუთრებაში ან კონტროლქვეშ მყოფ საწარმოში მიწოდების ჯაჭვის ადამიანის უფლებათა გათვალისწინებით მართვა. არც ქონების ეროვნული სააგენტო უზრუნველყოფს ამ მიმართულებით რაიმე სამუშაოს.</p> |
| <p>სხვა ზომები</p> | <p><u>განსაზღვრა სახელმწიფომ ნებისმიერი სხვა სპეციალური ზომა სახელმწიფოს საკუთრებაში ან კონტროლის ქვეშ არსებულ საწარმოების ადამიანის უფლებების დაცვის მხარდაჭერის მიზნით?</u></p> |

²¹² წყარო: სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტო. ინფორმაცია მიღებულია 2017 წლის 27 ივლისს.

| | |
|--|--|
| | <p>სახელმწიფო საკუთრებაში ან კონტროლქვეშ მყოფ საწარმოებში ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების პირდაპირი წახალისება არ ხდება. არც სტრატეგიის დონეზე, არც წესდებებში მათ ამ ეტაპზე არ მოეთხოვებათ ამ საკითხის გათვალისწინება. გარდა, ჯანდაცვის პროფილის დაწესებულებებისა, რომლებიც ცალკე რეგულირების საგანია. ამასთან, აღსანიშნავია ეთიკის კოდექსის პროექტი, რომელიც ამ მიდგომას შეცვლის, მიღების შემთხვევაში.²¹³</p> <p>კანონმდებლობა ითვალისწინებს ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის გარკვეულ მოთხოვნებს, მაგალითად, სახელმწიფოს 100%-იანი მონაწილეობის საწარმოს ხელმძღვანელისაგან ქონებრივი დეკლარაციის წარდგენას, თუ ამ საწარმოს წინა წლის ბრუნვა მოგების ყოველწლიური დეკლარაციის მიხედვით 100 000 ლარს აღემატება.²¹⁴</p> <p>აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტით დაფინანსების შემთხვევაში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ამ დაფინანსების შესახებ ინფორმაცია საჯაროა, თუ არ შეიცავს კომერციულ, პირად ან სახელმწიფო საიდუმლოებას.</p> <p>პრაქტიკაში რამდენიმე სახელმწიფო საწარმოს წესდების და ვებ-გვერდების კვლევამ აჩვენა, რომ ისინი თითქმის არაფერს ითვალისწინებენ ადამიანის უფლებათა მიმართულებით. მათი მისია და ხედვა თითქმის არასოდეს მოიცავს ადამიანის უფლებების შესახებ რაიმე დებულებას და იშვიათად დასაქმებულთა და მომხმარებელთა უფლებებზე მიუთითებს.²¹⁵ მაგალითისათვის, შპს „საქართველოს ფოსტა“ შეიცავს მომხმარებელთა ინტერესების შესახებ დათქმას საკუთარ ხედვაში, მისიაში კი აცხადებს „უნივერსალური საფოსტო მომსახურების პრინციპიდან გამომდინარე, დაიცვას და</p> |
|--|--|

²¹³ წყარო: სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტო. ინფორმაცია მიღებულია 2017 წლის 27 ივლისს.

²¹⁴ იხ. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის“ მე-14 მუხლი და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის N139 დადგენილება.

²¹⁵ ასევე იხილეთ „სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საწარმოების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება“. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. 2015წ. ხელმისაწვდომია აქ: https://gyula.ge/files/news/sawarmoebi_geo.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 15 ივლისს].

| | |
|---|---|
| | <p>უზრუნველყოს თითოეული მოქალაქის უფლება შეუფერხებლად მიიღოს საფოსტო მომსახურება“. თუმცა კონკრეტული ჩანაწერები ამ უფლების დასაცავად არ გვხვდება.²¹⁶</p> |
| <p>4.2. საწარმოები, რომლებიც იღებენ მნიშვნელოვან მხარდაჭერას და მომსახურებებს სახელმწიფო უწყებებიდან</p> <p>იყენებს სახელმწიფო სპეციალურ ზომებს იმ საწარმოების ადამიანის უფლებების დაცვის მხარდასაჭერად, რომლებიც იღებენ მნიშვნელოვან მხარდაჭერას და მომსახურებას სახელმწიფო უწყებების მხრიდან (მაგალითად, საექსპორტო საკრედიტო სააგენტოები, სახელმწიფო ბანკები, სახელმწიფო საპენსიო ფონდები, ოფიციალური ინვესტიციების სადაზღვევო ან საგარანტიო სააგენტოები, მეწარმეობის განვითარების და ფინანსური განვითარების დაწესებულებები)?</p> | |
| <p>ინდიკატორები</p> | <p>მიმოხილვითი შეკითხვები</p> |
| <p>მოსაზრებები ადამიანის უფლებების შესახებ</p> | <p><u>მოითხოვს სახელმწიფო იმ საწარმოებისგან, რომლებიც იღებენ მნიშვნელოვან მხარდაჭერას და მომსახურებებს სახელმწიფო უწყებებისგან, გაითვალისწინონ მოსაზრებები ადამიანის უფლებების შესახებ?</u></p> <p>სახელმწიფოს არ აქვს ერთიანი და სპეციფიური მიდგომა მოსთხოვოს კომპანიებს, რომლებიც სახელმწიფოსგან მნიშვნელოვან დახმარებას ან მომსახურებას იღებენ, ადამიანის უფლებათა გათვალისწინება. თუმცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ დააფიქსირა მზადყოფნა, პროექტ „აწარმოე საქართველოში“²¹⁷ გათვალისწინებული იყოს ადამიანის უფლებათა პატივისცემა.</p> |
| <p>ადამიანის უფლებების ჯერვანი დაცვის მოთხოვნები</p> | <p><u>რა ტიპის ზომების მიღებას სთხოვს სახელმწიფო სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილ საწარმოებს ადამიანის უფლებების ჯერვანი დაცვის კუთხით? როგორ უზრუნველყოფენ შესაბამისი სამთავრობო დაწესებულებები ადამიანის უფლებების ჯერვანი დაცვას? რა სახის კონტროლის და ზედამხედველობის მექანიზმები გააჩნია აღნიშნულ სამთავრობო დაწესებულებებს ასეთ საწარმოებზე?</u></p> |

²¹⁶ <https://www.gpost.ge/?site-lang=ka&site-path=company/mission/> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 15 ივლისს].

²¹⁷ პროექტის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია აქ: <http://qartuli.ge/geo/> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 26 მაისს].

| | |
|---------------------------|--|
| | <p>რამდენადაც ადამიანის უფლებები არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამებში, სათანადო დაცვის წახალისებაც არ ხდება.</p> |
| <p>სხვა ზომები</p> | <p><u>განსაზღვრა სახელმწიფომ ნებისმიერი სხვა სპეციალური ზომა სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი საწარმოების ადამიანის უფლებების დაცვის მხარდაჭერის მიზნით?</u></p> <p>სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ბიზნესის მხარდამჭერი პროექტები არ შეიცავს არც სხვა ზომებს სპეციფიურად ადამიანის უფლებათა პატივისცემის უზრუნველსაყოფად.</p> <p>აღსანიშნავია, რომ ცალკეული პროგრამები შეიძლება შეიცავდეს გარკვეული უფლებების პატივისცემის წახალისებას. მაგალითისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ახორციელებს პროექტს „რეკომენდებულია ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ“.²¹⁸ აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს აჭარის ტერიტორიაზე ტურიზმის სფეროში გიდების, განთავსების და კვების ობიექტების შეფასებას და კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში შესაბამისი ცნობის (ე.წ. ხარისხის ნიშნის) გადაცემას, მომხმარებელთა უფლებების, უსაფრთხოების, ხარისხის მინიმალური სტანდარტების წასახალისებლად. პროექტის ფარგლებში შეფასების კრიტერიუმებია შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს ქონა, ცალკეული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვა (სახანძრო უსაფრთხოება, სურსათის უვნებლობა), შრომის ხელშეკრულებათა ქონა დასაქმებულებთან კანონის შესაბამისად და სხვა.²¹⁹ აღნიშნული პროექტი სავალდებულო არაა ტურისტული ობიექტებისათვის, თუმცა რამდენიმე ათეული ობიექტი მასში ჩართულია.</p> |

²¹⁸ პროექტის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია აქ: <http://recommend.ge/> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 26 მაისს].

²¹⁹ კრიტერიუმები ხელმისაწვდომია აქ: <http://recommend.ge/ge/criteria> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 26 მაისს].

სახელმძღვანელო პრინციპი 5

სახელმწიფოებმა უნდა განხორციელონ ადეკვატური კონტროლი იმისათვის, რომ შეასრულონ საერთაშორისო ვალდებულებები ადამიანის უფლებების სფეროში, როდესაც ისინი აფორმებენ კონტრაქტს საწარმოებთან ან იღებენ საკანონმდებლო აქტებს ასეთ საწარმოებთან დაკავშირებით მომსახურებების გაწევის მიზნით, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ადამიანის უფლებების განხორციელებაზე.

კომენტარი სახელმძღვანელო პრინციპზე 5

სახელმწიფოები უარს არ აცხადებენ ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ვალდებულებებზე როდესაც ისინი ახორციელებენ მომსახურების მიწოდების პრივატიზაციას, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ ადამიანის უფლებების განხორციელებაზე. სახელმწიფოების უუნარობამ უზრუნველყონ, რომ ასეთი მომსახურებების შემსრულებელმა საწარმოებმა იმოქმედონ ადამიანის უფლებების სფეროში სახელმწიფოს ვალდებულებების შესაბამისად, შესაძლოა გამოიწვიოს როგორც რეპუტაციული, ასევე სამართლებრივი შედეგები თავად სახელმწიფოსთვის. აუცილებელი ზომის სახით შესაბამისი მომსახურების კონტრაქტები ან უფლებამოსილების მიმნიჭებელი კანონმდებლობა მკაფიოდ უნდა მიუთითებდეს, რომ სახელმწიფო მოელის ადამიანის უფლებების პატივისცემას ასეთი საწარმოების მხრიდან. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათ შეძლონ ეფექტური კონტროლის განხორციელება საწარმოების საქმიანობებზე, მათ შორის შესაბამისი დამოუკიდებელი მონიტორინგის და ანგარიშგების მექანიზმების უზრუნველყოფის გზით.

5.1. სახელმწიფო მომსახურების გაწევა

უზრუნველყოფს სახელმწიფო ადამიანის უფლებების დაცვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც კერძო საწარმოები ასრულებენ სახელმწიფო მომსახურებებს, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ადამიანის უფლებების განხორციელებაზე?

ინდიკატორები

მიმოხილვითი შეკითხვები

| | |
|--|---|
| <p>საკანონმდებლო ან სამართლებრივი დაცვა</p> | <p>მიიღო სახელმწიფომ ადამიანის უფლებების საკანონმდებლო ან სამართლებრივი დაცვის მექანიზმი ცენტრალური ან ადგილობრივი მმართველობითი ორგანოს მიერ პრივატიზებული მომსახურებების მიწოდებაში, მაგალითად, ჯანმრთელობასთან, განათლებასთან, სამედიცინო დახმარებასთან, საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან ან პენიტენციურ სისტემასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევისას? მოიცავს აღნიშნული დაცვის მექანიზმები სახელმწიფო მომსახურებების გაწევის დაგეგმილი პრივატიზაციის პოტენციური შედეგების ადამიანის უფლებებზე ზემოქმედების სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ შეფასებას, ასეთი მომსახურებების გაწევამდე? სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტები განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო მოელის საწარმოების მხრიდან ადამიანის უფლებების პატივისცემას მომსახურებების მიწოდებისას და სტანდარტების დაკმაყოფილებას ადამიანის უფლებების სფეროში?</p> |
| <p>ინფორმირებულობის ამაღლება</p> | <p>რა ზომებს იღებს სახელმწიფო იმ საწარმოების მხრიდან ადამიანის უფლებების პატივისცემის და ადამიანის უფლებების შესახებ ინფორმირებულობის ასამაღლებლად, რომლებთანაც სახელმწიფოს გაფორმებული აქვს კომერციული კონტრაქტები?</p> |
| <p>შემოწმება</p> | <p>შერჩევსას რა სახის შემოწმების პროცესებს ახორციელებს სახელმწიფო ადამიანის უფლებების პატივისცემის ხელშეწყობის მიზნით? მონაწილეობს სახელმწიფო შერჩევით პროცესებში, რითაც პრეფერენციულად ეპყრობა იმ კომპანიებს, რომლებიც ადამიანის უფლებების პატივისცემას გამოავლენენ? ამოიღებს სახელმწიფო ტენდერიდან იმ კომპანიებს, რომლებიც არასათანადოდ სცემენ პატივს ადამიანის უფლებებს (მაგალითად არასათანადო და საშიში სამუშაო პირობები, ასევე ძალის ჭარბი გამოყენება ან ცუდი მოპყრობა იმ პირების მიმართ, რომლებიც ზრუნვის ქვეშ იმყოფებიან)?</p> |

| | |
|---|---|
| <p>მონიტორინგი და მეთვალყურეობა</p> | <p>ახორციელებენ შესაბამისი სახელმწიფო უწყებები იმ საწარმოების ეფექტურ კონტროლს, რომლებიც მომსახურებებს ასრულებენ სახელმწიფოს სახელით? უზრუნველყოფს სახელმწიფო კერძო პროვაიდერების საქმიანობების დამოუკიდებელი მონიტორინგის და ანგარიშგების მექანიზმებს? უზრუნველყოფს სახელმწიფო მაღალი რისკის მომსახურებების სპეციალურ მეთვალყურეობას, როგორცაა ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებები?</p> |
| <p>სხვა ზომები</p> | <p>არის სახელმწიფო მონტრეს დოკუმენტის მხარე, რომელიც ეხება სახელმწიფოებისთვის შესაბამის საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს და მოწინავე პრაქტიკულ მეთოდებს კერძო სამხედრო და უსაფრთხოების კომპანიების ოპერაციებთან დაკავშირებით შეიარაღებული კონფლიქტის დროს? და თუ არის როგორ შეიტანა აღნიშნული ვალდებულებები ეროვნულ კანონმდებლობაში? არის სახელმწიფო უსაფრთხოების კერძო დაცვის პროვაიდერების ქცევის საერთაშორისო კოდექსის მხარე და თუ არის, როგორ შეიტანა აღნიშნული ვალდებულებები ეროვნულ კანონმდებლობაში და შესყიდვის პროცესებში? არის სახელმწიფო ადამიანის უფლებების და უსაფრთხოების სფეროში ნებაყოფლობითი პრინციპების მხარე? და თუ არის, როგორ შეიტანა აღნიშნული ვალდებულებები ეროვნულ კანონმდებლობაში, მათ შორის სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში? მიიღო სახელმწიფომ ნებისმიერი სხვა ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ კერძო საწარმოების მიერ სახელმწიფო მომსახურების მიწოდება უარყოფით გავლენას არ მოახდენს ადამიანის უფლებებზე?</p> |
| <p>სახელმწიფო (საჯარო) მომსახურებების განხორციელებისას სახელმწიფოს თითქმის არ აქვს მოთხოვნილი ბიზნესისგან ადამიანის უფლებათა დაცვის რაიმე სპეციალური ვალდებულება. გარკვეული მიმართულებებით არსებობს მხოლოდ მომხმარებელთა დაცვის და მომსახურების გაწევის ხარისხის სტანდარტები.</p> <p>სახელმწიფო მომსახურებებიდან აღსანიშნავია ენერგეტიკის და ჯანმრთელობის სფეროები, რამდენადაც სწორედ ისინი ექვემდებარებიან სპეციალურ რეგულირებებს.</p> | |

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია წარმოადგენს ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს ელექტროენერჯით, გაზითა და წყლით მომარაგების საკითხებში და ცალკე სამუშაოებს ახორციელებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, თუმცა ამ მიმართულების გარდა სხვა უფლებათა გათვალისწინება არ ხდება. ენერგეტიკის დარგში აღსანიშნავია ასევე გარემოს დაცვის საკითხები - ენერგოეფექტურობა, გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირება და ა.შ. თუმცა საქართველოს კანონმდებლობა ამ მიმართულებით მხოლოდ ზოგად დებულებებს შეიცავს.

რაც შეეხება ჯანდაცვის სფეროს, ეს სექტორი მეტად რეგულირებულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად. მოქმედებს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“,²²⁰ რომლის მიზანია მოქალაქის უფლებების დაცვა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, აგრეთვე მისი პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა. კანონი კრძალავს პაციენტის დისკრიმინაციას, ადგენს სამედიცინო მომსახურების მიღების და შეცვლის უფლებებს, ადგენს, რომ პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს:

ა) კომპენსაცია ქონებრივი და არაქონებრივი ზიანისა, რომლებიც გამოწვეულია:

ა.ა) პაციენტის უფლებების დარღვევით;

ა.ბ) მცდარი სამედიცინო ქმედებით;

ა.გ) სამედიცინო დაწესებულების ფუნქციონირების სხვა ხარვეზებით;

ა.დ) სახელმწიფოს მიერ არასწორად განხორციელებული ზედამხედველობითა და რეგულირებით;

ბ) სამედიცინო პერსონალის საქმიანობის ლიცენზიის შეჩერება ან გაუქმება;

გ) სახელმწიფო სამედიცინო და სანიტარიული სტანდარტების შეცვლა.

საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ ასევე არეგულირებს მოქალაქეთა უფლებებს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, ადგენს დისკრიმინაციის აკრძალვას, პირადი ინფორმაციის მიღების უფლებას, პირადი ცხოვრების დაცვის ვალდებულებას, უფლებას თავისუფლად აირჩიოს მკურნალობის მეთოდები და დაწესებულებები.²²¹

²²⁰ კანონი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16978> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 26 მაისს].

²²¹ კანონი ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980> [უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 26 მაისს].

სახელმწიფო სერვისებიდან ასევე უნდა აღინიშნოს მუნიციპალური სერვისები - დასუფთავება, გამწვანება, განათება და ა.შ. კანონმდებლობა არც ამ მიმართულებით ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებებს ან სათანადო დაცვის რაიმე მოთხოვნებს ადგენს.

საჯარო სერვისების მიწოდება ზოგჯერ სახელმწიფო შესყიდვის გზით ხორციელდება, თუმცა არც ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც ზოგადად, სახელმწიფო შესყიდვის კანონმდებლობა ან შესაბამისი ხელშეკრულებები არ ითვალისწინებს ადამიანის უფლებების პატივისცემის სპეციალურ ვალდებულებას და მხოლოდ ზოგადი მომსახურების ხარისხის ვალდებულებებია დადგენილი.

სახელმძღვანელო პრინციპი 6

სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ადამიანის უფლებების დაცვას იმ საწარმოების მხრიდან, რომლებთანაც ისინი აფორმებენ კომერციულ გარიგებებს.

კომენტარი სახელმძღვანელო პრინციპზე 6

სახელმწიფოები აფორმებენ სხვადასხვა კომერციულ გარიგებებს საწარმოებთან, მინიმუმ შესყიდვის საქმიანობების ფარგლებში. ეს სახელმწიფოებს - ინდივიდუალურად და კოლექტიურად - აძლევს უნიკალურ შესაძლებლობებს ამაღლონ ინფორმირებულობა აღნიშნული საწარმოების მხრიდან ადამიანის უფლებების კატივისციემის შესახებ, მათ შორის კონტრაქტების პირობების მეშვეობით, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის მიხედვით სახელმწიფოს შესაბამისი ვალდებულებების გათვალისწინებით.

6.1. სახელმწიფო შესყიდვები

ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით რა ტიპის მოთხოვნები ან წამახალისებელი ნორმები არის წარმოდგენილი კანონმდებლობაში ან სახელმწიფო შესყიდვების მექანიზმებში?

ინდიკატორები

მიმოხილვითი შეკითხვები

შესყიდვის საჭიროებების და რისკების დაგეგმვა

სახელმწიფო უწყებებმა მიიღეს გადაწყვეტილება იმის შესახებ უნდა შეასრულონ თუ არა მათმა კონტრაქტორებმა კონკრეტული ადამიანის უფლებების სტანდარტები ან დაიცვან კონკრეტული ადამიანის უფლებების დარღვევებისგან ინდივიდები, როგორც კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულება? ასეთ შემთხვევაში მიიღეს ზომები სახელმწიფო უწყებებმა თავიანთი დაცვის ფარგლების გაფართოებისა და ადამიანის უფლებების კონკრეტული განსაზღვრებების განმარტებისთვის, კონტრაქტორების მხრიდან გაურკვევლობების გადაჭრის მიზნით?

| | |
|--|--|
| <p>შეტყობინების სატენდერო წინადადების დროს</p> <p>უზრუნველყოფა მოთხოვნის</p> | <p>ატყობინებენ სახელმწიფო უწყებები პოტენციურ კონტრაქტორებს ადამიანის უფლებების დარღვევის მნიშვნელოვანი რისკის შესახებ, რაც ძირს უთხრის სამართლიან და კეთილსინდისიერ კონკურენციას? იწვევს ასეთი შეტყობინება გამჟღავნების და დაცვის ვალდებულებების წარმოშობას?</p> |
| <p>შემოწმება და შერჩევა</p> | <p>ფასის და შესაძლებლობის შეფასების გარდა, სახელმწიფო უწყებები აფასებენ თუ არა რამდენად პასუხისმგებლიანები არიან პოტენციური კონტრაქტორები, კერძოდ კი ხელმძღვანელობენ თუ არა კეთილსინდისიერების, ბიზნეს ეთიკისა და შიდა კანონმდებლობის სტანდარტებით, რომელიც უზრუნველყოფს მუშახელის და საზოგადოების ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას? მონაწილეობენ სახელმწიფო უწყებები შერჩევით ან მიზნობრივ სახელმწიფო შესყიდვებში, როგორცაა პრეფერენციალური კონტრაქტი დისკრიმინირებული ჯგუფებისთვის (მაგალითად, ეთნიკური უმცირესობები) ან კომპანიებისთვის, რომლებიც მუშაობენ კონკრეტული მიზნების მიღწევისთვის ადამიანის უფლებების სფეროში (მაგალითად, გენდერული თანასწორობის კუთხით)? სთხოვენ სახელმწიფო უწყებები კონტრაქტორებს დაამოწმონ ის ფაქტი, რომ ისინი იცნობენ თავიანთ ქვე-კონტრაქტორებს, მათ შორის იციან წარმოების ან მიწოდების კონკრეტული ადგილები და რომ მათ აქვთ მართვის სისტემები ადამიანის უფლებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით? გამორიცხავენ სახელმწიფო უწყებები სახელმწიფო შესყიდვებიდან იმ კომპანიებს, რომლებსაც გაფორმებული აქვთ კონტრაქტები მაღალი რისკის მქონე ქვეყნებთან ან ცუდი რეპუტაცია აქვთ ადამიანის უფლებების სფეროში?</p> |
| <p>კონტრაქტის მინიჭების ეტაპი</p> | <p>აქვთ სახელმწიფო უწყებებს კრიტერიუმები და ქვე-კრიტერიუმები იმის შესახებ, თუ რას მოიცავს ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე მომგებიანი ტენდერი, მათ შორის კრიტერიუმები ადამიანის უფლებების სფეროში? მიიღო სახელმწიფო უწყებებმა ზომები იმის გასარკვევად, თუ როგორ უნდა იყოს გამოყენებული სტანდარტები და პოლიტიკა ადამიანის უფლებების სფეროში, კონკრეტული კონტრაქტის მინიჭების კრიტერიუმების ფარგლებში? სთხოვენ სახელმწიფო უწყებები კონტრაქტორებს გაამჟღავნონ ინფორმაცია თავიანთი მიწოდების სისტემის, მათ შორის კონკრეტული ქვე-კონტრაქტორების და საწარმოების ან მიწოდების ობიექტების მისამართების შესახებ? ადასტურებენ</p> |

| | |
|--|---|
| | სახელმწიფო უწყებები კონტრაქტორის გარანტიებს და ადამიანის უფლებებთან შესაბამისობის გეგმების შემუშავებას კონტრაქტის მინიჭების ეტაპზე? |
| კონტრაქტის პირობები | უზრუნველსაყოფს თუ არა სახელმწიფო, რომ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მოთხოვნები, რომელიც არსებით კავშირშია შესყიდულ საქონელთან ან მომსახურებასთან, სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ნაწილია? შეიტანეს სახელმწიფო უწყებებმა აღნიშნული მოთხოვნების დაცვის ვალდებულება კონტრაქტის პირობებში? როდესაც სახელმწიფო უწყება დაადგენს ზიანის ან ადამიანის უფლებების დარღვევების რისკს, ამლევს ეს უფლებას კონტრაქტის ხელმძღვანელ პირებს, შეიტანოს კონტრაქტში ვალდებულება მიწოდების ან წარმოების ქვეყნის შიდა კანონმდებლობის დაცვის შესახებ? |
| აუდიტი და მონიტორინგი | გააჩნია სახელმწიფო უწყებებს საინფორმაციო სისტემები, რომელიც ახორციელებს კონტრაქტორების შემოწმებას და მონიტორინგს იმის გარანტიისთვის, რომ კონტრაქტორი ასრულებს შესაბამისობის და შესრულების ვალდებულებებს და უარყოფით გავლენას არ ახდენს ადამიანის უფლებებზე? პასუხობს ასეთი სისტემები საჩივრებთან დაკავშირებულ საკითხებს? დამოუკიდებელია თუ არა და ამასთან ერთად ანგარიშვალდებული ასეთი სისტემები სახელმწიფოსთან? |
| კონტრაქტის პირობების განხორციელება და მაკორექტირებელი მექანიზმები | ნიშნავენ სახელმწიფო უწყებები პერსონალს კონტრაქტის პირობების აღსრულების მიზნით და აწვდიან მათ დეტალურ მითითებებს სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ? მიიღეს სახელმწიფო უწყებებმა პროცედურები ადამიანის უფლებებზე დადგენილი უარყოფითი ზემოქმედების გამოსწორებისათვის, როგორცაა ფინანსური ან სხვა საშუალებები, იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი არღვევს ადამიანის უფლებებს? ხელს უწყობს აღნიშნული პროცედურები კონტრაქტორის ქცევის ცვლილებებს ადამიანის უფლებების სფეროში, გაუმჯობესების მიმართულებით და არა მარტივად ურთიერთობის შეწყვეტით? უზრუნველყოფს სახელმწიფო უწყებები სათანადო შემოწმებას როგორც დაცვის, ასევე გამოსწორების სახით შესაბამისობის სტანდარტების დარღვევისთვის? |
| სხვა ზომები | მიიღეს სახელმწიფო უწყებებმა ნებისმიერი სხვა ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ სახელმწიფო შესყიდვები შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებების დაცვის მოთხოვნებს? |

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხების გათვალისწინება არც პოლიტიკის და არც პრაქტიკის დონეზე არ გვხვდება. რამდენიმე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება (ძირითადად ასეთები შეგვხვდა 2011-2013 წლებში) შეიცავდა ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ვალდებულებას მიმწოდებლისათვის,²²² თუმცა ეს არ იყო არსებითად სისტემური მიდგომა და შემდგომ პერიოდში არც გაგრძელებულა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს არც ერთ რეკომენდაციაში თუ სახელმძღვანელოში არ არის მოცემული შესყიდვის დაგეგმვის, განხორციელების, მიმწოდებლის შერჩევის, გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენის, ხელშეკრულების გაფორმების, საქონლის თუ მომსახურების მიწოდების, შესრულების მონიტორინგის თუ ნებისმიერ სხვა ეტაპზე ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხების გათვალისწინების ვალდებულება ან რეკომენდაცია. პრაქტიკაშიც, ფაქტობრივად არც ერთი სახელმწიფო შესყიდვა ზემოთ ხსენებულ არც ერთ ეტაპზე არ ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა დაცვის ან პატივისცემის საკითხებს.

6.2. სხვა კომერციული საქმიანობები

მიიღო სახელმწიფომ ზომები ადამიანის უფლებების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლების და იმ საწარმოების მხრიდან ადამიანის უფლებების პატივისცემის ხელშეწყობის მიზნით, რომელთანაც სახელმწიფო აწარმოებს კომერციულ საქმიანობებს?

| ინდიკატორები | მიმოხილვითი შეკითხვები |
|----------------------|--|
| ბიზნეს პარტნიორობები | იღებს სახელმწიფო ზომებს იმისათვის, რომ წაახალისოს ადამიანის უფლებების მიმართ პატივისცემა, იმ საწარმოებს შორის, რომლებთანაც მას კომერციული ურთიერთობა აქვს, კერძოდ ბიზნეს პარტნიორობის მეშვეობით ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციისთვის (მაგალითად, განვითარების ფონდი, ან ინოვაციების სტრატეგიული მხარდაჭერა კონკრეტულ სექტორებში, როგორცაა ეკოლოგიურად სუფთა ენერჯია ან სამედიცინო ტექნოლოგია)? |

²²² იხ. რამდენიმე შესყიდვის ხელშეკრულება, მხარეთა ვალდებულებების მუხლი:

<https://tenders.procurement.gov.ge/public/lib/contract.php?go=56508>, <https://tenders.procurement.gov.ge/public/lib/contract.php?go=15596>,
<https://tenders.procurement.gov.ge/public/lib/contract.php?go=37742>

სახელმწიფოს სხვა კომერციულ აქტივობებში (მაგალითად, კერძო და საჯარო სექტორის თანამშრომლობის ფარგლებში) არ ხდება ადამიანის უფლებების დაცვის საკითხების გათვალისწინება. თუმცა ცალკეულ შემთხვევაში მომსახურების ხარისხის სტანდარტები ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ზოგადი სახით სტანდარტული კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი სახით.

სახელმძღვანელო პრინციპი 7

ვინაიდან ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის რისკი იზრდება კონფლიქტით ზემოქმედებულ რაიონებში, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყოს, რომ საწარმოები, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ ასეთ რთულ პირობებში, მონაწილეობა არ მიიღონ აღნიშნულ დარღვევებში, მათ შორის:

- (a) მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე კონტაქტის დამყარებით საწარმოებთან, მათი საქმიანობების და ბიზნეს ურთიერთობების საფუძველზე ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული რისკების დადგენაში, პრევენციასა და შერბილებაში დახმარების გაწევის მიზნით;
- (b) საწარმოებისთვის ადეკვატური დახმარების გაწევით, დარღვევების გაზრდილი რისკის შეფასებაში და აღმოფხვრაში, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით როგორც სექსუალურ, ასევე გენდერულ დარღვევებზე.
- (c) სახელმწიფო მხარდაჭერაზე და მომსახურებებზე წვდომაზე უარის გაცხადებით იმ საწარმოებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ ადამიანის უფლებების უხეში დარღვევებში და უარს აცხადებენ თანამშრომლობაზე სიტუაციის გამოსასწორებლად.
- (d) იმის უზრუნველყოფით, რომ მათი მოქმედი პრაქტიკა, კანონმდებლობა, რეგულაცია და იმულებითი ზომები იყოს ეფექტური ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის რისკის აღმოფხვრისთვის.

კომენტარი სახელმძღვანელო პრინციპზე 7

ადამიანის უფლებების ზოგიერთი ყველა უხეში დარღვევა საწარმოს მონაწილეობით ხდება კონფლიქტის დროს, როდესაც წარმოებს ბრძოლა კონტროლის მოსაპოვებლად ტერიტორიაზე, რესურსებზე ან თავად მთავრობაზე - როდესაც შეუძლებელია ადამიანის უფლებების რეჟიმის სათანადოდ ფუნქციონირების მოლოდინი. პასუხისმგებლობის მქონე საწარმოები უფროდაუფრო ხშირად მიმართავენ სახელმწიფოებს სახელმძღვანელო მითითებებისა და რეკომენდაციებისთვის იმასთან დაკავშირებით, თუ რა ფორმით აიცილონ მონაწილეობა ადამიანის უფლებების დარღვევებში ასეთ რთულ პირობებში. საჭიროა ინოვაციური და პრაქტიკული მიდგომების გამოყენება. კერძოდ მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს სექსუალური ან გენდერული ძალადობის საფრთხეს, რასაც ყველაზე ხშირად აქვს ადგილი კონფლიქტის დროს.

მნიშვნელოვანია, რომ ყველა სახელმწიფომ წინასწარ განჭვრიტოს ასეთი პრობლემების წარმოქმნის შესაძლებლობა სიტუაციის გაუარესებამდე. კონფლიქტით დაზარალებულ რაიონებში, „მასპინძელმა“ სახელმწიფომ შესაძლოა დაკარგოს ადამიანის უფლებების სათანადოდ დაცვის შესაძლებლობა ეფექტური კონტროლის დაკარგვის გამო. ტრანსნაციონალური კორპორაციების მონაწილეობის შემთხვევაში, მათმა „მშობლიურმა“ ქვეყნებმა უნდა შეასრულონ თავიანთი როლი, კერძოდ დაეხმარონ როგორც აღნიშნულ კორპორაციებს, ასევე მასპინძელ ქვეყნებს იმის უზრუნველყოფისთვის, რომ საწარმოები არ აღმოჩნდნენ ადამიანის უფლებების დარღვევების მონაწილე, ამისათვის მნიშვნელოვანი დამატებითი დახმარების გაწევა ასევე შეუძლიათ მეზობელ სახელმწიფოებს.

პოლიტიკაში უფრო მეტი შეთანხმებულობის მიღწევის და ასეთ სიტუაციაში საწარმოს სათანადო დახმარების მიზნით, „მშობლიურმა“ ქვეყნებმა ხელი უნდა შეუწყონ უფრო მჭიდრო თანამშრომლობას განვითარების ხელშეწყობის სააგენტოებს, საგარეო საქმეთა და ვაჭრობის სამინისტროებს და საექსპორტო საფინანსო ინსტიტუტებს შორის დედაქალაქებში და საელჩოებში, ასევე აღნიშნულ უწყებებსა და მიმღები ქვეყნის სტრუქტურებს შორის; ასევე შეიმუშაოს წინასწარი გაფრთხილების ინდიკატორები სამთავრობო უწყებების და საწარმოების პრობლემების შესახებ გაფრთხილების მიზნით; და დაურთოს შესაბამისი შედეგები, რომელიც მოყვება ასეთ პირობებში საწარმოების მხრიდან თანამშრომლობაზე უარს, მათ შორის სახელმწიფოს არსებულ მხარდაჭერასა და მომსახურებაზე უარს და მხარდაჭერის დაკარგვას, ან თუ ეს შეუძლებელია მათ მომავალში უზრუნველყოფაზე უარს.

სახელმწიფოებმა უნდა გააფრთხილონ საწარმოები კონფლიქტით ზემოქმედებულ რაიონებში ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევაში მონაწილეობის გაზრდილი საშიშროების შესახებ. მათ უნდა გაანალიზონ საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად ეფექტურად იძლევა მათი პოლიტიკა, კანონმდებლობა, რეგულაციები და იძულებითი ზომები, ასეთი გაზრდილი რისკის აღმოფხვრის საშუალებას, მათ შორის დებულებების მიღებით, რომელიც ეხება სათანადო ზრუნვის გამოჩენას ადამიანის უფლებების სფეროში საწარმოების მხრიდან. ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, სახელმწიფოებმა სათანადო ზომები უნდა მიიღონ მათ აღმოსაფხვრელად. ეს შესაძლოა მოითხოვდეს მათ ტერიტორიაზე დომიცილირებული და/ან იურისდიქციის ქვეშ მყოფი და მოქმედი იმ საწარმოების სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხების შესწავლას, რომლებმაც

ჩაიდინეს ან ხელი შეუწყვეს ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებს. გარდა ამისა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ მრავალმხრივი მიდგომები ასეთი აქტების პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით, ასევე კოლექტიური ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით.

ყველა ეს ზომა ემატება სახელმწიფოების ვალდებულებებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით შეიარაღებული კონფლიქტური სიტუაციების დროს და ასევე საერთაშორისო სისხლის სამართლის თანახმად.

7.1. სახელმძღვანელო მითითება

ასრულებს წარმოშობის სახელმწიფო როლს, რომელიც გულისხმობს დახმარების გაწევას როგორც კორპორაციებისთვის, ასევე მასპინძელი ქვეყნებისთვის იმის უზრუნველყოფისთვის, რომ საწარმოები არ აღმოჩნდნენ ადამიანის უფლებების დარღვევების მონაწილე, კონფლიქტით დაზარალებულ რაიონებში?

| ინდიკატორები | მიმოხილვითი შეკითხვები |
|-------------------------------|--|
| მასპინძელი ქვეყნის ურთიერთობა | <p><u>მოითხოვს სახელმწიფო რომ ინფორმირებული იყოს იმ კორპორაციების საქმიანობის შესახებ, რომელთა სათაო ოფისი მდებარეობს მისი იურისდიქციის ფარგლებში ხოლო მოქმედებენ ეს საწარმოები კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში? თანამშრომლობს წარმოშობის სახელმწიფო მასპინძელ ქვეყანასთან იმის უზრუნველყოფისთვის, რომ საწარმოებმა პატივი სცენ ადამიანის უფლებებს?</u></p> |

| | |
|----------------------------------|--|
| საწარმოს სახელმძღვანელო მითითება | <p>აძლევს სახელმწიფო სახელმძღვანელო მითითებას კომპანიებს, რომლებიც ახორციელებენ საქმიანობას კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში, იმის შესახებ, თუ ადამიანის უფლებების სფეროში რა კონკრეტული სახის პრობლემების შესახებ უნდა იყვნენ ინფორმირებულნი კომპანიები და რომელ პრობლემებზე გაამახვილონ ყურადღება ადამიანის უფლებების ჯეროვანი დაცვის პროცესში (როგორცაა გენდერული და სექსუალური ძალადობა, დისკრიმინაცია, და კონფლიქტის ხელშეწყობა დაფინანსების მეშვეობით)?</p> |
|----------------------------------|--|

საქართველოს გააჩნია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიები, რომელთა მიმართ 2008 წლის ბოლოდან სახელმწიფოს მხრიდან დაწესებული არის აბსოლუტურად განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც რეგულირდება ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონით.

ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი აწესებს ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვას, რომლის თანახმად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალულია: ნებისმიერი ეკონომიკური (სამეწარმეო ან არასამეწარმეო) საქმიანობა, საერთაშორისო საჰაერო და საზღვაო მიმოსვლა, სარკინიგზო მიმოსვლა და საერთაშორისო საგზაო სატრანსპორტო გადაზიდვა, ასევე სახელმწიფო რესურსებით სარგებლობა და ფულადი გადარიცხვების ორგანიზება. ამასთან, ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება დაშვებულია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, სპეციალური თანხმობით, რომელიც გაიცემა საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით და ასეთი საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფო ინტერესებს, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების, დეოკუპაციის, ომით დაზარალებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენის და ჰუმანიტარულ მიზნებს;

აქვე, გასათვალისწინებელია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო, თავისი დიპლომატიური წარმომადგენლობების მეშვეობით, მუდმივად ახდენს უცხო ქვეყნების სახელმწიფო და კერძო კომპანიების ინფორმირებას ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის თაობაზე და მოუწოდებს მათ თავი შეიკავონ, როგორც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე გადაადგილებისგან, ისე ბიზნეს საქმიანობისგან, რადგან საქართველო ვერ ახორციელებს იურისდიქციას შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს ამ ტერიტორიებზე უსაფრთხოებასა და ადამიანის უფლებათა დაცვას.

7.2. საერთაშორისო სტრუქტურები და ინიციატივები

| | |
|--|---|
| <p>ოფიციალურად მხარი დაუჭერია ან განუხორციელებია სახელმწიფოს საერთაშორისო ჩარჩო სტანდარტები და ინიციატივები კერძო სექტორის როლთან დაკავშირებით კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში?</p> | |
| ინდიკატორები | მიმოხილვითი შეკითხვები |
| ინიციატივების ხელშეწყობა | <p><u>მონაწილეობს სახელმწიფო ინიციატივებში და/ან უწყობს ხელს მათ განხორციელებას (მაგალითად, ნებაყოფლობითი პრინციპები ან კერძო უსაფრთხოების სამსახურის პროვაიდერთა ასოციაციის ქცევის საერთაშორისო კოდექსი)?</u></p> <p>ინფორმაცია მოცემულია 1.4 პრინციპის ნაწილში.</p> |
| <p>7.3. ხელშეწყობის ზომები</p> <p>იკვლევს სახელმწიფო კომპანიის საქმიანობას კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში, მოქმედებს ასეთი კვლევების საფუძველზე და უზრუნველყოფს ზიანის ანაზღაურებას?</p> | |
| ინდიკატორები | მიმოხილვითი შეკითხვები |
| საგამოძიებო ზომები | <p><u>გააჩნია სახელმწიფოს კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში კომპანიის საქმიანობის გამოძიების პროცედურა (მაგალითად დანიშნოს მისია, რომელიც ანგარიშს წარდუგენს პარლამენტს ან სთხოვს საელჩოს გამოძიების ჩატარებას მასპინძელ ქვეყანაში და ანგარიშს წარუდგენს წარმოშობის ქვეყნის შესაბამის ორგანოებს)?</u></p> <p>საქართველოს მთავრობა განუხრელად ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებებით სარგებლობის უზრუნველყოფას სახელმწიფოს მთელი მოსახლეობისათვის. მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით განსაკუთრებული სირთულეები შეიქმნა საქართველოს აფხაზეთის და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონებში, რომლებიც იმყოფება რუსეთის სამხედრო ოკუპაციის ქვეშ.</p> <p>აღნიშნული ტერიტორიები საქართველოს განუყოფელი ნაწილებია და მათზე ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია, რომლის სრულყოფილად განხორციელება, მათ შორის, ამ</p> |

| | |
|--|--|
| | <p>ტერიტორიულ დანაყოფებში საგამომიებო ორგანოების საქმიანობა შეზღუდულია ოკუპაციის გამო. სწორედ ოკუპაციის გამო, 2008 წლის 19 დეკემბერის კანონით სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა XXXVII თავი, რომელიც ადგენს პასუხისმგებლობას ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევისათვის, მათ შორის ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის (მუხლი 322²).</p> <p>ამდენად, მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობს სხვა სახის საგამომიებო ზომებს.</p> |
| <p>შემდგომი კონტროლი და სამართლებრივი დაცვის ზომები</p> | <p><u>გააჩნია სახელმწიფოს შემდგომი კონტროლის პროცედურა საგამომიებო პროცესში გამოვლენილ საკითხებზე (მაგალითად, არსებულ სახელმწიფო მხარდაჭერაზე ან მომსახურებაზე უარის გაცხადებით იმ საწარმოებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ ადამიანის უფლებების დარღვევებში ან სხვა დანაშაულებში)? შეიმუშავა სახელმწიფომ ექსტრატერიტორიული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მექანიზმები? შეუძლია სახელმწიფოს დააკისროს სანქციები პირებს და ორგანიზაციებს, კერძოდ მოწყობილობების ჩამორთმევის ან აქტივების გაყიდვის გზით?</u></p> <p>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ასევე საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ჩადენილ დანაშაულებზე. კერძოდ, კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად, თუ საქართველოს მოქალაქეს და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებმაც საზღვარგარეთ ჩაიდინეს სსკ-ით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულად ითვლება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ის ჩადენილია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ ქმედება დანაშაულად არ ითვლება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ის ჩადენილია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მოხდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, თუ ეს არის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან/და თუ ამ დანაშაულისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით, აგრეთვე თუ ჩადენილ იქნა კომერციული მოსყიდვა, ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა და ზეგავლენით ვაჭრობა.</p> |

| | |
|--|--|
| | <p>რაც შეეხება უცხო ქვეყნის მოქალაქის და მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საზღვარგარეთ ჩადენილ დანაშაულს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით პასუხისმგებლობის დაკისრება მოხდება თუ ეს არის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ანდა თ ამ დანაშაულისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით. აგრეთვე, იმ შემთხვევაში თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი საქართველოსთვის ახორციელებენ საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას და მათ მიერ ჩადენილ იქნა კომერციული მოსყიდვა, ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა და ზეგავლენით ვაჭრობა, მათზე გავრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.</p> |
|--|--|

7.4. ადამიანის უფლებების უხეში დარღვევები
 იღებს სახელმწიფო ზომებს ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებში საწარმოების მონაწილეობის რისკის აღმოსაფხვრელად?

| ინდიკატორები | მიმოხილვითი შეკითხვები |
|------------------------------------|---|
| წინასწარი გაფრთხილების პროცედურები | <p><u>მიიღო სახელმწიფომ პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს საწარმოების გაფრთხილებას კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებში მონაწილეობის გაზრდილი რისკის შესახებ?</u></p> |
| უწყებებს შორის თანამშრომლობა | <p><u>იღებს ზომებს სახელმწიფო უფრო მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით განვითარების ხელშეწყობის სააგენტოებს, საგარეო საქმეთა და ვაჭრობის სამინისტროებს და საექსპორტო საფინანსო ინსტიტუტებს შორის დედაქალაქებში და საელჩოებში, ასევე აღნიშნულ უწყებებსა და მიმღები ქვეყნის სტრუქტურებს შორის;</u></p> |

| | |
|---|---|
| <p>სამოქალაქო და/ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა</p> | <p><u>შემოიღო სახელმწიფომ მათ ტერიტორიაზე განთავსებული და/ან იურისდიქციის ქვეშ მყოფი და მოქმედი იმ საწარმოების სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, რომლებმაც ჩადინეს ან ხელი შეუწყო ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებს, მათ შორის დარღვევებს, სახელმწიფოს ტერიტორიული იურისდიქციის ფარგლებს გარეთ, რასაც ითვალისწინებს გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი?</u></p> <p>აღნიშნული საკითხი განხილულია 1 პრინციპში.</p> |
| <p>მრავალმხრივი მიდგომა</p> | <p><u>იყენებს სახელმწიფო მრავალმხრივ მიდგომებს ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევების აქტების პრევენციის და აღმოფხვრის მიზნით? აღიარებს სახელმწიფო საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს (ICC) იურისდიქციას?</u></p> |
| <p>7.9. საექსპორტო საკრედიტო სააგენტოების და სადაზღვევო სააგენტოების როლი</p> <p>უზრუნველყოფს სახელმწიფო, რომ საექსპორტო საკრედიტო სააგენტოებმა და სადაზღვევო სააგენტოებმა მონაწილეობა არ მიიღონ ადამიანის უფლებების დარღვევაში ან მათზე უარყოფით ზემოქმედებაში ან ფინანსურად ისარგებლონ ამით?</p> | |
| <p>ინდიკატორები</p> | <p>მიმოხილვითი შეკითხვები</p> |
| <p>სპეციალური ზომები</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ სპეციალური ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ საექსპორტო საკრედიტო სააგენტოებმა და სადაზღვევო კომპანიებმა მონაწილეობა არ მიიღონ ან ფინანსურად არ ისარგებლონ ადამიანის უფლებების დარღვევებით ან მათზე ზემოქმედებით? არსებობს წესები და წამახალისებელი ნორმები ასეთი ინსტიტუტებისთვის, რომელიც მოითხოვს ადამიანის უფლებებზე ზემოქმედების გათვალისწინებას დაფინანსების და საინვესტიციო პროცედურების შესრულების დროს?</u></p> <p>აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა.</p> |

სახელმძღვანელო პრინციპი 8

სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სახელმწიფო დეპარტამენტები, სააგენტოები და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას, ინფორმირებულნი იყვნენ და დაიცვან სახელმწიფოს ვალდებულება ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში თავიანთი მანდატების შესრულების დროს, მათ შორის მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების, მომზადების და მხარდაჭერის გზით

კომენტარი სახელმძღვანელო პრინციპზე 8

არ არსებობს გარდაუვალი დამაბულობა ადამიანის უფლებების სფეროში სახელმწიფოს ვალდებულებებსა და მათ მიერ მიღებულ კანონებსა და პოლიტიკას შორის, რომელიც არეგულირებს საწარმოების საქმიანობას. თუმცა, ზოგჯერ სახელმწიფოები იძულებულნი არიან მიიღონ რთული გადაწყვეტილებები სხვადასხვა სოციალური საჭიროებების შეთანხმების მიზნით. სათანადო ბალანსის მიღწევის მიზნით, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ფართო მიდგომა დღის წესრიგის მართვის მიზნით სამეწარმეო და ადამიანის უფლებების სფეროში, რომლის მიზანია ეროვნული პოლიტიკის როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური შეთანხმება.

პოლიტიკის ვერტიკალური შეთანხმებულობა საშუალებას აძლევს სახელმწიფოებს, რომლებსაც აქვთ საჭირო პოლიტიკა, კანონმდებლობა და პროცესები, განახორციელონ საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებები. პოლიტიკის ჰორიზონტალური შეთანხმებულობა ნიშნავს დეპარტამენტების და სააგენტოების მხარდაჭერას და აღჭურვას, როგორც ეროვნულ, ასევე სუბ-ეროვნულ დონეზე, რომლებიც განსაზღვრავენ საწარმოების საქმიანობის პრაქტიკას - მათ შორის რომლებიც პასუხისმგებელია კორპორატიულ სამართალზე და ფასიანი ქაღალდების რეგულაციაზე, ინვესტიციაზე, საექსპორტო საკრედიტო და სადაზღვევო, სავაჭრო და შრომით საკითხებზე - ინფორმირებულნი იყვნენ ადამიანის უფლებების სფეროში მთავრობის ვალდებულებების შესახებ და იმოქმედონ მის შესაბამისად.

8.1. პოლიტიკის შეთანხმებულობა

მიიღება ზომები სახელმწიფოს ფარგლებში ადამიანის უფლებების და ბიზნესის და სახელმწიფოს მოვალეობის შესახებ ინფორმაციის და ცოდნის მიღების ხელშეწყობის მიზნით?

ინდიკატორები

მიმოხილვითი შეკითხვები

| | |
|--|---|
| <p>მკაფიო ვალდებულება</p> | <p>შეიმუშავა სახელმწიფომ მყარი წერილობითი ვალდებულება ბიზნესის და ადამიანის უფლებების მიმართულებით, და ეცნობა თუ არა ეს ვალდებულება სახელმწიფო დეპარტამენტებს? გარდა ამისა, უწყობს ეს ვალდებულება ხელს სხვადასხვა დეპარტამენტის როლის გარკვევას (მაგალითად, შრომის, ვაჭრობის, საგარეო საქმეთა, ფინანსთა ან იუსტიციის სამინისტროები/დეპარტამენტები)?</p> |
| <p>ფუნქციები და პასუხისმგებლობები</p> | <p>შეიმუშავა სახელმწიფომ პასუხისმგებლობების დაყოფის მკაფიო წესი, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის უფლებების და ბიზნესის საკითხების კოორდინაციას სხვადასხვა სამთავრობო უწყებებსა და დეპარტამენტებს შორის?</p> |
| <p>რესურსები</p> | <p>უზრუნველყოფს სახელმწიფო პასუხისმგებელ ორგანოს ან ოფისს ადეკვატური რესურსებით ეკონომიკური დაფინანსების და პოლიტიკური მხარდაჭერის თვალსაზრისით, იმისათვის, რომ აქტიურად იმუშაოს სახელმწიფოს მოვალეობის შესრულებაში წვლილის შეტანის საკითხებზე, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის უფლებების დაცვას პასუხისმგებლობის და პროფესიული ინტერესების ინდივიდუალურ სფეროებში.</p> |
| <p>სახელმძღვანელო მომზადება მითითება და</p> | <p>შეიმუშავა სახელმწიფომ სახელმძღვანელო მასალა და ტრენინგი, რომელიც ხელშეუწყობს სხვადასხვა დეპარტამენტის როლების გარკვევას ადამიანის უფლებების დაცვის და ხელშეწყობის სფეროში საწარმოს როლთან დაკავშირებით? მოიცავს ეს სახელმძღვანელო მასალა კონკრეტულ ინფორმაციას ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ და როგორ უკავშირდება ეს საერთაშორისო და რეგიონულ ვალდებულებებს (მაგალითად, UN, OECD, და რეგიონული ვალდებულებები და მოვალეობები)? მოიცავს აღნიშნული სახელმძღვანელო კონკრეტულ ინფორმაციას ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ ვაჭრობაში, ყურადღების გამახვილებით რეგიონული ორგანოების და საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგალითად WTO, IFIs (WB, IFC, და სხვა.), და რეგიონულ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციების (IFIs) (EBRD, EIB, და სხვა.)) როლზე? გარდა ამისა, მოიცავს აღნიშნული სახელმძღვანელო ინფორმაციას სამინისტროების ან უწყებების როლების და პასუხისმგებლობების შესახებ (მაგალითად, სამეწარმეო, შრომის, განვითარების, საგარეო საქმეების, სასოფლო-სამეურნეო, გარემოსდაცვითი და კლიმატის</p> |

| | |
|--|---|
| | <p>ცვლილების, ფინანსური სექტორის, ჯანდაცვის, ინფორმაციული საზოგადოების პოლიტიკის და ეროვნული ფინანსური ინსტიტუტები და ფონდები)?</p> |
|--|---|

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის წახალისების შესახებ ვალდებულება აღებულია მთავრობის პოლიტიკის დოკუმენტებითა და ასოცირების ხელშეკრულებით. როგორც მე-3 პრინციპშია ვრცლად მოცემული ინფორმაცია, ბიზნესი და ადამიანის უფლებები წარმოადგენს მთავრობის ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმის ნაწილს.

სამოქმედო გეგმის შემუშავებას, კოორდინაციასა და მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის N551 დადგენილებით შექმნილი ადამიანის უფლებების უწყებათაშორისი საბჭო, რომლის წევრებიც არიან ყველა სამინისტროს მინისტრი, ხოლო თავმჯდომარე პრემიერ-მინისტრი. საბჭოში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას იღებენ, როგორც საპარლამენტო და სასამართლოს ხელისუფლების წარმომადგენლები ისევე საქართველოში მოქმედი ადამიანის უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები. შესაბამისად, ნებისმიერი აქტივობა, რომელიც სამოქმედო გეგმაშია მოცემული შემუშავებულია ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით. საბჭოს სამდივნოს ფუნქციას ასრულებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში შექმნილი ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო, რომელიც ამ დროისათვის შედგება სამი თანამშრომლისგან (სამსახურის უფროსი და ორი მრჩეველი). სამდივნოსთვის დაკისრებული უფლებამოსილების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნება თუ მისი ადამიანური რესურსი გაიზრდება. ამასთანავე, სამდივნო გეგმავს ფორმალური სამუშაო ჯგუფის შექმნას ბიზნესი და ადამიანის უფლებების საკითხებზე სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების ეფექტიანად აღსრულებისა და კოორდინაციის მიზნით, რაც უპირობოდ დადებითად აისახება საქართველოში ბიზნესი და ადამიანის უფლებების განვითარებაზე.

2016 წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა სამდივნოსა და პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით ჩატარდა შემდეგი სახის აქტივობები:

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და სამოქალაქო განვითარების სააგენტოს ორგანიზებით 2016 წლის 22-23 აპრილს გაიმართა კონფერენცია თემაზე „საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება“. კონფერენციის

პარტნიორები იყვნენ გაეროს გლობალური შეთანხმების სათაო ოფისი და ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში. კონფერენციის ფარგლებში გაიმართა პრეზენტაციები და დისკუსიები კორპორაციული პასუხისმგებლობის სხვადასხვა თემატურ საკითხზე.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში (სამსახური), სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა), კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კლუბისა და გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის პარტნიორობით 2016 წლის 8 ივლისს სასტუმრო “თბილისი რუმსში” ჩატარდა კონფერენცია “კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დღის წესრიგი საქართველოში”. ღონისძიება გაიმართა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კლუბის მიერ ორგანიზებული კორპორაციული პასუხისმგებლობის კვირეულის ფარგლებში.

2016 წლის 29 ივლისს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში (სამსახური) ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დასაქმების თემაზე. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ შემდეგი უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა) და ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში. შეხვედრის მიზანი იყო კონკრეტულ სამოქმედო გეგმაზე შეთანხმება რომელიც ხელს შეუწყობს შშმ პირების დასაქმებას ბიზნეს სექტორის მიერ. აღნიშნული ინიციატივა ხორციელდება მთავრობის, სამოქალაქო სექტორისა და ბიზნეს სექტორის თანამშრომლობით.

სახელმძღვანელო პრინციპი 9

სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან შიდა პოლიტიკის სფეროში თავისუფალი მანევრირების სივრცე ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებების შესრულების მიზნით სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული მიზნების მიღწევის პროცესში სხვა სახელმწიფოებთან ან საწარმოებთან, კერძოდ, საინვესტიციო შეთანხმებების და კონტრაქტების ფარგლებში.

კომენტარი სახელმძღვანელო პრინციპზე 9

სახელმწიფოების მიერ სხვა სახელმწიფოებთან ან საწარმოებთან გაფორმებული ეკონომიკური ხელშეკრულებები - როგორცაა ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმებები, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებები ან კონტრაქტები საინვესტიციო პროექტებთან დაკავშირებით - სახელმწიფოებისთვის ქმნის ახალ ეკონომიკურ შესაძლებლობებს. თუმცა ასეთმა ხელშეკრულებებმა შესაძლოა გავლენა მოახდინონ მთავრობების თავისუფალი მანევრირების სივრცეზე შიდა პოლიტიკაში. მაგალითად, საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებების პირობებმა შესაძლოა შეზღუდოს სახელმწიფოების შესაძლებლობები ადამიანის უფლებების დაცვის ახალი კანონმდებლობის სრულად შესრულების საკითხში, ან შესრულების შემთხვევაში, შეუქმნას მათ საერთაშორისო არბიტრაჟის სავალდებულო მიღების რისკი. აქედან გამომდინარე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შეინარჩუნონ ადეკვატური პოლიტიკა და რეგლამენტური შესაძლებლობა ადამიანის უფლებების დასაცავად ასეთი ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, ინვესტორების აუცილებელი დაცვის უზრუნველყოფით.

9.1. ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები და დავების არბიტრაჟით გადაწყვეტა

გააჩნია სახელმწიფოს პოლიტიკა, სახელმძღვანელო, მონიტორინგის და ანგარიშგების პროცედურა შესაბამისი სამინისტროების ან უწყებებისთვის ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების გაფორმებასთან და დავების არბიტრაჟით გადაწყვეტასთან დაკავშირებით?

| ინდიკატორები | მიმოხილვითი შეკითხვები |
|--|--|
| ადამიანის უფლებების დებულებები საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებში (IIEs) და ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებში (BITs) | <u>მუშაობს სახელმწიფო ადამიანის უფლებების კონკრეტული დებულებების შეტანის საკითხზე საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებში (IIEs) და ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებში (BITs)?</u> |

| | |
|---|---|
| <p>სოციალური საკითხების შეტანა საინვესტიციო ხელშეკრულებებში (IIEs) და ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებში (BITs)</p> | <p><u>მუშაობს სახელმწიფო სოციალური საკითხების, როგორცაა გარემოს დაცვა, შრომის ან სოციალური უფლებები, შეტანის საკითხზე საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებში (IIEs) და ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებში (BITs)?</u></p> |
| <p>სტაბილურობის მუხლები</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტაბილურობის მუხლებმა არ შეზღუდონ მიმღები სახელმწიფოს შესაძლებლობა - შეასრულოს თავისი ვალდებულებების ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში?</u></p> |
| <p>განხორციელების სტატუსი</p> | <p>ხარვეზები</p> |
| <p><u>ჩამოთვალეთ ყველა რელევანტური პოლიტიკა, კანონმდებლობა და რეგულაცია, რომელიც უკვე მიღებულია ან რომელიც განხილვის პროცესშია, მათი მიღების ან განხორციელების შესაბამისი სტატუსი.</u></p> <p>ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები იდება ორ სახელმწიფოს შორის, ქვეყანაში ინვესტიციებისათვის შესაბამისი გარემოს შესაქმნელად. საქართველოს 33 ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება აქვს დადებული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან, რომელთაგან 22, 90-იან წლებში არის დადებული.</p> <p>ძირითადად, აღნიშნულ საინვესტიციო ხელშეკრულებებში განსაზღვრულია მხოლოდ ინვესტორთა უფლება-მოვალეობები და არსებობს სტანდარტული ჩანაწერი, რომელიც ავალდებულებს ხელშეკრულების ხელმოწერ მხარეებს წახალისონ ისეთი ინვესტიციები, რომლებიც შესაბამისობაშია</p> | <p><u>წარმოადგინეთ კომენტარები ხარისხზე, რომლითაც განხორციელების სტატუსის შედეგები ასახავს ან არ ასახავს სახელმძღვანელო პრინციპების (GP) შესრულებას, როგორც ეს განმარტებულია ინდიკატორებში და მიმოხილვით შეკითხვებში, კონსულტაციის პროცესში დაინტერესებული მხარეების მიერ გაკეთებული ნებისმიერი კომენტარის გათვალისწინებით.</u></p> <p>იშვიათი გამონაკლისის გარდა, სახელმწიფო არ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების, ან სხვა სოციალური საკითხების ინტეგრირებას საინვესტიციო ხელშეკრულებებში. სტაბილურობის მუხლები არსებობს რამდენიმე საინვესტიციო ხელშეკრულებაში, და ინვესტორებს აძლევს საშუალებას უფლებელყონ ხელშეკრულებით დადგენილი სტანდარტები და გამოიყენონ მათთვის უფრო შეღავათიანი პირობები, რაც თავის მხრივ ქმნის ადამიანის უფლებების, შრომის უფლებების და გარემოსდაცვითი სტანდარტების დარღვევის რისკს ინვესტორის მხრიდან.</p> |

ადგილობრივ კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან. აღნიშნული ხელშეკრულებები არ შეიცავენ ადამიანის უფლებების დებულებებს, თუმცა არის რამდენიმე გამონაკლისი:

საქართველოსა და ფინეთს შორის ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება ადგენს რომ ინვესტიციების მიზანი არის ეკონომიკური რესურსების ეფექტური გამოყენების ხელშეწყობა და ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესება ადგილობრივი მოსახლეობისთვის. აქვე აღნიშნავს, რომ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური და ბიზნესთა შორისი თანამშრომლობა საერთაშორისო შრომის უფლებების სტანდარტების შესაბამისად უნდა ხორციელდებოდეს და არ არღვევდეს ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვით სტანდარტებს.

საქართველოსა და ლატვიას შორის საინვესტიციო ხელშეკრულება ახალისებს ინვესტორთა ქცევას რომელიც მიმართულია საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად, ასევე მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების, ცხოველთა უფლებებისა და მცენარეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად.

საინვესტიციო ხელშეკრულებების დებულებების დარღვევის დროს, ძირითად შემთხვევებში, საქმის გადაწყვეტა საერთაშორისო არბიტრაჟის საშუალებით ხდება, სადაც განაცხადის შეტანა შეუძლია როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიულ პირს.

არის შემთხვევები, მაგალითად საქართველოსა და ლიტვას შორის გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულება, როდესაც მხარეები განსაზღვრავენ დავების მოგვარების ორ სხვადასხვა

მექანიზმს: ადგილობრივი კომპეტენტური სასამართლოს მიერ ან საერთაშორისო არბიტრაჟის მიერ.

ამერიკის შეერთებულ შტატებთან გაფორმებული ხელშეკრულება განსაზღვრავს, რომ ხელშეკრულების მთავარი მიზანია ინვესტიციების დაცვა, თუმცა აქვე განმარტავს სხვა მიზნებსაც: ეკონომიკური განვითარება, მაღალი ცხოვრების სტანდარტების შექმნა, საერთაშორისო შრომითი სტანდარტების დაცვა, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი სტანდარტების უზრუნველყოფა.

საქართველოს მიერ დადებული რამდენიმე ორმხრივი სავაჭრო ხელშეკრულება შეიცავს ყოვლისმომცველ დათქმას (Umbrella clause), რომლის მიხედვითაც ხელშეკრულებაზე ხელმოწერი მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ დაიცვან ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც სახელმწიფომ აიღო ინვესტორთან დადებული კონტრაქტის ფარგლებში. აღნიშნული დათქმა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ინვესტორმა ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები გამოიყენოს მის მიერ სახელმწიფოსთან დადებული საინვესტიციო კონტრაქტის პირობების შესასრულებლად. საშუალო და დიდი საინვესტიციო პროექტების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ მოახდინოს საინვესტიციო პროექტების ადამიანის უფლებებზე ზემოქმედების წინასწარი შეფასება და ადამიანის უფლებების საკითხების კონტრაქტებში მაქსიმალური გათვალისწინება. ამავე დროს, სახელმწიფომ უნდა აირიდოს საინვესტიციო კონტრაქტებში ისეთი სტაბილურობის მუხლების ჩადება, რომლებიც ხელს უშლის სახელმწიფოს საერთაშორისო ადამიანის უფლებების კუთხით არსებული ვალდებულებების შესრულებაში.

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი ხელშეკრულებების უმეტესობა შეიცავს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დათქმას (Most-favoured-nation (MFN) treatment), რაც გულისხმობს იმას, რომ ინვესტორს რომელიც წარმოადგენს იმ ადგილსამყოფელ ქვეყანას, რომელთანაც საქართველოს დადებული აქვს ორმხრივი ხელშეკრულება უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დათქმის (Most-favoured-nation (MFN) treatment) პირობებში, აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს საქართველოს მიერ სხვა ქვეყნებთან დადებული ორმხრივი ხელშეკრულებებიდან ამოღებული ყველაზე ხელშემწყობი რეჟიმები. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში ინვესტიციის განმახორციელებელი კომპანიის ადგილსამყოფელ ქვეყანასა და საქართველოს შორის დადებულ ორმხრივი ხელშეკრულება არ შეიცავს ყოვლისმომცველ დათქმას (Umbrella clause), მაგრამ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი, ინვესტორ კომპანიას შეუძლია გამოიყენოს სხვა ქვეყნის მიერ საქართველოსთან დადებული ორმხრივი ხელშეკრულებაში ნახსენები ყოვლისმომცველ დათქმის (Umbrella clause) პრინციპი და გაავრცელოს აღნიშნული პრინციპის მოქმედება მის მიერ სახელმწიფოსთან დადებულ საინვესტიციო კონტრაქტებთან დაკავშირებით.

9.2. სამთავრობო ხელშეკრულებები

გააჩნია სახელმწიფოს პოლიტიკა და სახელმძღვანელო პრინციპი შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებებისთვის სამთავრობო ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებით?

| | |
|--------------|------------------------|
| ინდიკატორები | მიმოხილვითი შეკითხვები |
|--------------|------------------------|

| | |
|---|---|
| <p>ადამიანის უფლებები</p> <p>სამთავრობო ხელშეკრულებებში</p> | <p>მიიღო სახელმწიფომ ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ადამიანის უფლებების შესახებ მოსაზრებები შეტანილი იყოს ხელშეკრულებებში სახელმწიფოს და კორპორაციებს შორის? შეესაბამება ასეთი ხელშეკრულებები გაეროს პრინციპებს პასუხისმგებლიან კონტრაქტებთან დაკავშირებით?²²³</p> |
|---|---|

²²³ გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ანგარიში ადამიანის უფლებების და ტრანსნაციონალური კორპორაციების და სხვა საწარმოების საკითხების შესახებ, ჯონ რაგი, გაერთიანებული ერები (2011), პასუხისმგებლიანი კონტრაქტების პრინციპები: ადამიანის უფლებების რისკების მართვის ინტეგრირება სახელმწიფო - ინვესტორის კონტრაქტის პირობებში: სახელმძღვანელო მოლაპარაკების მწარმოებელი პირებისთვის (A/HRC/17/31/Add.3).

გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები პასუხისმგებელ კონტრაქტებთან დაკავშირებით:

- მოლაპარაკებების მომზადება და დაგეგმვა პროექტთან დაკავშირებით: მხარეები ადეკვატურად უნდა მომზადდნენ და უნდა ჰქონდეთ მოლაპარაკებების დროს პროექტების შედეგების განხილვის პოტენციური ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით.
- ადამიანის უფლებებზე პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების მართვა: კონტრაქტის გაფორმებამდე უნდა გაირკვეს და შეთანხმდეს ადამიანის უფლებებისთვის პროექტთან და პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობებთან დაკავშირებული რისკების პრევენციისა და შერბილების პასუხისმგებლობები.
- პროექტის მოქმედი სტანდარტები: კანონები, რეგულაციები და სტანდარტები, რომლებიც არეგულირებენ პროექტის განხორციელებას, ხელს უნდა უწყობდეს ადამიანის უფლებებზე ნებისმიერი უარყოფითი ზემოქმედების პრევენციას, შერბილებას და აღმოფხვრას, პროექტის მთლიანი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში.
- სტაბილიზაციის მუხლები: კონტრაქტში გათვალისწინებული სტაბილიზაციის მუხლები, გამოყენების შემთხვევაში, ყურადღებით უნდა შემუშავდეს იმისათვის, რომ კანონმდებლობაში მომავალი ცვლილებებისგან ინვესტორთა დაცვის ნებისმიერი ზომა არ ეწინააღმდეგებოდეს სახელმწიფოს კეთილსინდისიერ ძალისხმევებს კანონის, რეგულაციების ან პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით არადისკრიმინაციულ საფუძველზე, ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებების შესრულების მიზნით.
- „დამატებითი საქონლის ან მომსახურების უზრუნველყოფა“: თუ კონტრაქტი ითვალისწინებს, რომ ინვესტორები უზრუნველყოფენ დამატებით მომსახურებებს, რომელიც არ შედის პროექტის ფარგლებში, ეს უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებების და ინვესტორის ადამიანის უფლებების დაცვის პასუხისმგებლობის შესაბამისი ფორმით.
- პროექტის ფიზიკური უსაფრთხოება: ფიზიკური უსაფრთხოება საპროექტო მოწყობილობებისთვის, დანადგარების ან პერსონალისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებისა და სტანდარტების შესაბამისი ფორმით.
- საზოგადოების ჩართულობა: პროექტისთვის უნდა განისაზღვროს საზოგადოების ჩართულობის ეფექტური გეგმა მისი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე, საწყისი ეტაპებიდანვე.
- პროექტით გათვალისწინებული მოთხოვნების მონიტორინგი და დაცვა: სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა განახორციელონ მონიტორინგი რელევანტურ სტანდარტებთან პროექტის შესაბამისობის საკითხზე ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით, და ამავდროულად ბიზნეს ინვესტორებისთვის საჭირო გარანტიების უზრუნველყოფისთვის პროექტის განხორციელების პროცესში თვითნებური ჩარევისგან.

| | |
|--------------------------------------|---|
| | |
| <p>მშობლიური ქვეყნის როლი</p> | <p><u>როგორ უზრუნველყოფს სახელმწიფო, რომ კომპანიებმა, რომელთა სათაო ოფისი მდებარეობს მის იურისდიქციაში, დაიცვან პრინციპი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას კონტრაქტების გაფორმების დროს, როდესაც ასეთი კომპანიები აფორმებენ ხელშეკრულებებს მიმღებ ქვეყნებთან?</u></p> <p>აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია ვერ იქნა მოძიებული.</p> |

სახელმძღვანელო პრინციპი 10

სახელმწიფოებმა, მრავალმხრივი დაწესებულებების წევრად მოქმედების დროს, რომლებიც განიხილავენ საწარმოსთან დაკავშირებულ საკითხებს:

- საჩივრების განხილვის მექანიზმები არასაკონტრაქტო ზიანის მიყენების შემთხვევაში მესამე მხარეებისთვის: ცალკეულ პირებს და თემებს, რომლებზეც გავლენას ახდენს პროექტით გათვალისწინებული საქმიანობები, მაგრამ რომლებიც არ არიან კონტრაქტის მხარეები, უნდა ჰქონდეთ წვდომა საჩივრების განხილვის ეფექტურ არასასამართლო მექანიზმზე.
- ხელშეკრულების პირობების გამჭვირვალობა/გამჟღავნება: ხელშეკრულების პირობები უნდა გამჟღავნდეს, ხოლო ასეთი გამჟღავნების გამონაკლისების ფარგლები და ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს დამაჯერებელ და დასაბუთებულ საფუძველზე.

- (a) უნდა უზრუნველყონ, რომ აღნიშნულმა დაწესებულებებმა არ შეზღუდონ მათი წევრი სახელმწიფოების შესაძლებლობა - შეასრულონ თავიანთი დაცვის მოვალეობები, და ხელი არ შეუშალონ საწარმოებს ადამიანის უფლებების დაცვაში;
- (b) უნდა წახალისონ აღნიშნული დაწესებულებები, თავიანთი მანდატების და უფლებამოსილების ფარგლებში, ხელი შეუწყონ საწარმოებს ადამიანის უფლებების დაცვასა და პატივისცემაში და მოთხოვნის შემთხვევაში, დაეხმარონ სახელმწიფოებს მოვალეობის შესრულებაში, რომელიც გულისხმობს საწარმოების მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევისგან დაცვას, მათ შორის ტექნიკური დახმარების გაწევს, კვალიფიკაციის და ინფორმირებულობის ამაღლების გზით;
- (c) აღნიშნულ სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით, ხელი შეუწყონ საერთო გაგების და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას პრობლემების გადაწყვეტაში, რომელიც ეხება ბიზნესს და ადამიანის უფლებებს.

კომენტარი სახელმძღვანელო პრინციპებზე 10

პოლიტიკის სფეროში მნიშვნელოვანი შეთანხმებულობა ასევე საჭიროა საერთაშორისო დონეზე, მათ შორის როდესაც სახელმწიფოები მონაწილეობენ მრავალმხრივ დაწესებულებებში, რომლებიც განიხილავენ მეწარმეობასთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორცაა საერთაშორისო სავაჭრო და ფინანსური ინსტიტუტები. ასეთი დაწესებულებების მუშაობაში მონაწილეობისას სახელმწიფოები იცავენ ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებას.

პოტენციალის და ინფორმირებულობის ამაღლებამ, ასეთი დაწესებულებების მეშვეობით, შესაძლოა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულოს ყველა სახელმწიფოსთვის დაცვის მოვალეობის შესრულებაში დახმარების გაწევს თვალსაზრისით, მათ შორის გამოწვევებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის გაცვლის პირობების შექმნით, ამ სახით მაქსიმალურად შეთანხმებული მიდგომების მიღების ხელშეწყობით.

კოლექტიურმა ქმედებამ, მრავალმხრივი დაწესებულებების მეშვეობით, შესაძლოა დაეხმაროს სახელმწიფოებს გაათანაბრონ თამაშის წესები საწარმოების მხრიდან ადამიანის უფლებების დაცვის საკითხში, მაგრამ ამის მიღწევა უნდა მოხდეს ჩამორჩენილების დაწინაურების ხარჯზე. თანამშრომლობამ სახელმწიფოებს, მრავალმხრივ დაწესებულებებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს შორის ასევე შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს.

აღნიშნული სახელმძღვანელო პრინციპები განსაზღვრავენ საერთო ორიენტირებს მოცემულ სფეროში, და შესაძლოა წარმოადგენდეს ეფექტურ საფუძველს კუმულაციური პოზიტიური ეფექტის შესაქმნელად, ყველა დაინტერესებული მხარის პასუხისმგებლობების და როლების გათვალისწინებით.

| | |
|---|---|
| <p>10.1. წევრობა მრავამხრივ დაწესებულებებში</p> <p>როგორ უზრუნველყოფს სახელმწიფო, რომ დაწესებულებამ, რომლის წევრიც არის, არ შეზღუდოს მისი დაცვის ვალდებულება და ხელი არ შეუშალოს საწარმოს მხრიდან პატივისცემის პასუხისმგებლობას?</p> | |
| ინდიკატორები | მიმოხილვითი შეკითხვები |
| <p>შიდა პროცედურები და ვალდებულება</p> | <p><u>განსაზღვრა სახელმწიფომ პროცედურები და ზომები საწარმოს და ადამიანის უფლებების სტრუქტურების მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, მათ შორის გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები, საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე დაკავებულ პოზიციებში (მაგალითად, შეფასება ადამიანის უფლებების შესახებ და მოლაპარაკების პოზიციების დოკუმენტირება, ასევე სავაჭრო და განვითარების უწყებების ხელმძღვანელი პირების ტრენინგი ბიზნესის და ადამიანის უფლებების სტრუქტურების საკითხზე)?</u></p> |
| <p>ხელშეწყობის ღონისძიებები</p> | <p><u>უზრუნველყოფს თუ არა სახელმწიფო, “სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების დაცვის მოვალეობისა” და “კორპორაციული პასუხისმგებლობის პატივი სცეს ადამიანის უფლებს” წახალისებას საერთაშორისო ორგანიზაციებში, მათ შორის საერთაშორისო სავაჭრო და ფინანსურ დაწესებულებებში, UN სისტემაში, რეგიონულ ორგანიზაციებში, ბიზნეს ასოციაციებსა და პროფესიულ გაერთიანებებში? მიიღო სახელმწიფომ ზომები გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ, ასევე უფრო ფართოდ - ბიზნესის და ადამიანის უფლებების დღის წესრიგის შესახებ, ცნობიერების ასამაღლებლად?</u></p> |

მე- 10 პრინციპი ყურადღებას ამახვილებს, საერთაშორისო დონეზე, თანმიმდევრული პოლიტიკის წარმოების საჭიროებაზე.

საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2016-2017 წლებისთვის შეიცავს თავს, ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ. რაც მიუთითებს, სახელმწიფოს ნებაზე, ბიზნესისა და ადამიანის უფლებების დღის წესრიგი, ეროვნული პოლიტიკის ნაწილად აქციოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირისა და საქართველოს შორის დადებული ასოცირების შეთანხმების 231- ე მუხლის მიხედვით, მხარეები თანხმდებიან ხელი შეუწყონ კორპორატიულ სოციალურ პასუხისმგებლობას და მიმართავენ შესაბამის საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებსა და სახელმძღვანელოებს. ევროკომისია კი ასეთ სტანდარტებად, სხვა დოკუმენტებთან ერთად, გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო პრინციპებსაც მიიჩნევს.²²⁴ ასე, რომ ასოცირების ხელშეკრულებით, ამ სფეროში აღებული ვალდებულება შეგვიძლია, ბიზნესისა და ადამიანის უფლებების წახალისებისკენ მიმართულ პოზიციად მივიჩნიოთ.

საქართველო არის სხვადასხვა საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციის წევრი ან თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციასთან. ზოგიერთი მათგანის საქმიანობა პირდაპირ უკავშირდება ადამიანის უფლებებს, სხვების საქმიანობა კი შეიძლება ეხებოდეს ბიზნესის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს. საქართველოს სხვადასხვა ინიციატივაში მონაწილეობისა და საერთაშორისო დონეზე, ბიზნესისა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების მხარდაჭერასთან დაკავშირებით აღსანიშნავია რომ:

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის(შემდგომში “გაერო”) ფარგლებში, 2011 წელს, საქართველო იყო, ნორვეგიის მიერ ინიცირებული რეზოლუციის სამუშაო ვერსიის ე.წ. “თანასპონსორი” - ხელმომწერი, რომელიც მიზნად ისახავდა გაეროში, 2011 წელს შექმნილი ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სამუშაო ჯგუფის მანდატის განახლებას. ადამიანის უფლებების საბჭომ 2011 წლის 27 ივნისს მიიღო აღნიშნული რეზოლუცია.²²⁵

²²⁴ ასოცირების შეთანხმებით, აღნიშნულ სფეროში აღებულ ვალდებულებების შესახებ იხილეთ 1-ლი პრინციპი

²²⁵ რეზოლუცია 26/22 ხელმისაწვდომია აქ: <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G14/083/82/pdf/G1408382.pdf?OpenElement>

2017 წლის ივნისში, გაეროს ადამიანის უფლებების საბჭომ განაახლა ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სამუშაო ჯგუფის მანდატი. საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო კენჭისყრის გარეშე, ანუ კონსენსუსით, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველომ, როგორც საბჭოს წევრმა²²⁶, მხარი დაუჭირა აღნიშნულ რეზოლუციას.²²⁷

ზემოთ ჩამოთვლილი რეზოლუციები, კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას, ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების მნიშვნელობაზე და მოუწოდებს სახელმწიფოებს მიიღონ ზომები, პრინციპების ეფექტური იმპლემენტაციისათვის.

- საქართველო არის ევროპის საბჭო წევრი 1999 წლიდან. აღნიშნული ორგანიზაცია აღიარებს და მხარს უჭერს ბიზნესის ვალდებულებას, პატივი სცეს ადამიანის უფლებებს. 2016 წელს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ, სადაც წევრ სახელმწიფოებს, ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების იმპლემენტაციისკენ მოუწოდებს.²²⁸

-საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD). ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო საწარმოებისთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადამიანის უფლებებს. ამ მხრივ, სახელმძღვანელოს შინაარსი შეესაბამება გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ. (საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებით აღებული აქვს აღნიშნული სახელმძღვანელოს პრინციპების წახალისება).აღსანიშნავია, რომ საქართველო მონაწილეობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ანტიკორუფციული ქსელის სტამბულის ანტიკორუფციულ სამოქმედო გეგმაში. საქართველო ასევე მიუერთდა ორგანიზაციის « მწვანე ზრდის » დეკლარაციას.²²⁹

-საქართველო არის მსოფლიო ბანკის ჯგუფის ერთ-ერთი ინსტიტუციის, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) (შემდგომში « კორპორაცია ») წევრი და მიერთებულია კორპორაციის სადამფუძნებლო შეთანხმების დებულებებს, რაც ქვეყნისათვის სავალდებულო ხასიათისაა. კორპორაციას შემუშავებული აქვს მდგრადობის ჩარჩო, რომელიც 2012 წელს განაახლა. აღნიშნული სტანდარტები მოიცავს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების საკითხსაც, ის პირდაპირ მიუთითებს ბიზნესის ვალდებულებაზე,

²²⁶ ადამიანის უფლებების საბჭო შედგება 47 წევრისგან, რომელთაც ირჩევენ გენერალური ასამბლეის შემადგენლობიდან 3 წლის ვადით. საქართველო საბჭოს წევრად 2015 წელს აირჩიეს

²²⁷ რეზოლუცია 35/7 ხელმისაწვდომია აქ: http://ap.ohchr.org/documents/dpage_e.aspx?si=A/HRC/35/L.11

²²⁸ ევროპის საბჭოს რეკომენდაცია CM /REC(2016) 3 ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ ხელმისაწვდომია აქ: file:///Users/mmm/Downloads/131616GBR_HR%20and%20business.pdf

²²⁹ დეკლარაცია ხელმისაწვდომია აქ: <http://www.oecd.org/env/44077822.pdf>

პატივი სცენ ადამიანის უფლებებს. სტანდარტები ეხება კორპორაციის ყველა ინვესტიციას, რაც იმას გულისხმობს, რომ კორპორაციის მიერ საქართველოში გაცემული ინვესტიციები უნდა აკმაყოფილებდეს ხარისხის სტანდარტებს - გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზეგავლენის შეფასებისა და მართვასთან, შრომითი პირობებთან, რესურსების ეფექტურობისა და დაბინძურების პრევენციასთან, თემის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებასთან, მიწის შეძენასთან, ბიომრავალფეროვნებასთან, მკვიდრ მოსახლეობასთან და კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

- საქართველო თანამშრომლობს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD), 1992 წლიდან. ბანკს შემუშავებული აქვს გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა, ბიზნესის მიერ ადამიანის უფლებების პატივისცემა აღნიშნული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია²³⁰.

საქართველო მხარს უჭერს მდგრადი განვითარების მიზნებს(SDGs) და ზოგადად 2030 წლის დღის წესრიგს.²³¹ მიზნები ერთმანეთს ავსებს და აბალანსებს მდგრადი განვითარების სამივე მიმართულებას - ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა. აღნიშნული მიზნების შესრულებაში ბიზნესს განსაკუთრებული როლი ენიჭება. ბიზნესს სექტორზე საუბრისას, დღის წესრიგი პირდაპირ მიუთითებს, ბიზნესის მიერ გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპებისა და საერთაშორისო შრომითი სტანდარტების დაცვაზე. ასე რომ, 2030 წლის დღის წესრიგის მხარდაჭერა, ბიზნესისა და ადამიანის უფლებების წასახალისებლად მიღებულ ერთ-ერთ ზომადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

საქართველო არის წევრი სხვადასხვა ინსტიტუციისა , რომელთა საქმიანობაც შეიძლება ეხებოდეს ბიზნესის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს. სხვადასხვა რეგიონული თუ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობა, ხელს არ უშლის სახელმწიფოს ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულების შესრულებაში და არ აფერხებს ბიზნესის მიერ ადამიანის უფლებების პატივისცემას. ეს ინსტიტუციები, სხვადასხვა ხარისხით, იღებენ გარკვეულ ზომებს, რათა მხარი დაუჭირონ, საწარმოების მიერ ადამიანის უფლებების პატივისცემის მოვალეობას. თუმცა, არ იკვეთება ინფორმაცია, რომელიც მიგვანიშნებდა, რომ საქართველოს არის აღნიშნული ზომების ინიციატორი ან განსაზღვრული აქვს განსაკუთრებული წესები ან ზომები, რათა უზრუნველყოს ან/და წახალისოს ბიზნესის მიერ ადამიანის უფლებების პატივისცემა, საერთაშორისო დონეზე.

საქართველოს შეუძლია გამოიჩინოს მეტი ძალისხმევა, საგარეო ურთიერთობებსა და საერთაშორისო ინსტიტუციებში მონაწილეობისას ბიზნესისა და ადამიანის უფლებების მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

²³⁰ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა ხელმისაწვდომია აქ:

<http://www.ebrd.com/downloads/research/policies/esp-final.pdf>

²³¹ 2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, სათაურით - „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“. ეს დღის წესრიგი მოიცავს 17 მიზანსა და 169 ამოცანას.

მაგალითად, სასურველია, გაეროს ადამიანის უფლებების საბჭოს ფარგლებში წარდგენილი უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ანგარიში ყურადღებას ამახვილებდეს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების საკითხზეც, ამ სფეროში განხორციელებული საქმიანობისა და არსებული გამოწვევების წარმოსაჩენად.

ასევე, სასურველია, განისაზღვროს ზომები და პროცედურები, რომლითაც სახელმწიფოს ნება, მხარი დაუჭიროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების დღის წესრიგს, გავრცელდება მის ყველა შესაბამის პოლიტიკაზე და აისახება იმ სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობაში, რომელთაც შეუძლიათ აღნიშნული საკითხის წახალისება საერთაშორისო დონეზე, სხვადასხვა ორგანიზაციის ფარგლებში, რეგულარული საქმიანობის განხორციელების ან მოლაპარაკებების წარმოებისას.

სახელმძღვანელო პრინციპი 25

სამეწარმეო საქმიანობის შედეგად ადამიანის უფლებების დარღვევისგან დაცვის მოვალეობის ფარგლებში, სახელმწიფოებმა, სასამართლო, საკანონმდებლო ან სხვა შესაბამისი საშუალებებით, უნდა მიიღონ სათანადო ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ასეთი დარღვევების შემთხვევაში თავიანთი ტერიტორიის და/ან იურისდიქციის ფარგლებში, დაზარალებულ პირებს ჰქონდეთ წვდომა ეფექტურ სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე.

კომენტარი სახელმძღვანელო პრინციპზე 25

თუ სახელმწიფოები არ მიიღებენ სათანადო ზომებს გამოძიების, დასჯის და ზიანის ანაზღაურების მიზნით სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების დარღვევისთვის, სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება შესაძლოა ჩაითვალოს არაეფექტურად ან მთლიანად დაკარგავს აზრს.

ეფექტურ სამართლებრივ დაცვის საშუალებებზე წვდომას როგორც პროცედურული ასევე მატერიალურ-სამართლებრივი ასპექტები გააჩნია. სამართლებრივი დაცვის საშუალებებმა, რომელიც წარმოდგენილია ამ ნაწილში მითითებული საჩივრების განხილვის მექანიზმების ფარგლებში, შესაძლოა მიიღოს სხვადასხვა მატერიალურ-სამართლებრივი ფორმები, რომლის მიზანი ზოგადად იქნება ანაზღაურება ან კონტრზომების მიღება ადამიანის უფლებების დარღვევისთვის. სამართლებრივი დაცვის საშუალებები შესაძლოა მოიცავდეს ბოდიშის მოხდას, ანაზღაურებას, უფლებების აღდგენას, ფინანსურ ან არა ფინანსურ კომპენსაციას და სადამსჯელო სანქციებს (სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული, ჯარიმების სახით), ასევე ზიანის პრევენციას, მაგალითად სასამართლო აკრძალვების ან არ გამეორების გარანტიების დახმარებით. სამართლებრივი დაცვის საშუალებების წარდგენის პროცედურები უნდა იყოს მიუკერძოებელი, დაცული კორუფციისგან ან პოლიტიკური ან სხვა მცდელობებისგან შედეგებზე ზემოქმედების თვალსაზრისით.

აღნიშნული სახელმძღვანელო პრინციპების მიზნებისთვის, საჩივარი გაგებულია, როგორც სუბიექტურად აღქმული უსამართლობა, ცალკეული პირის ან პირთა ჯგუფის წარმოდგენის თვალსაზრისი თავიანთი უფლებების შესახებ, რომლის საფუძველი შესაძლოა იყოს კანონი, კონტრაქტი, პირდაპირი ან ირიბი დაპირებები, ჩვეულებრივი პრაქტიკა ან დაზარალებული საზოგადოების საერთო წარმოდგენა სამართლიანობის შესახებ. ტერმინი საჩივრების განხილვის მექანიზმი გამოიყენება ნებისმიერი რუტინული, სახელმწიფო ან არასახელმწიფო, სასამართლო ან არა სასამართლო პროცესების მისათითებლად, რომლის მეშვეობით შესაძლებელია საჩივრების წარდგენა და სამართლებრივი დაცვის საშუალებების მოთხოვნა სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ.

საჩივრების განხილვის სახელმწიფო მექანიზმები შესაძლოა წარმოებულ იქნას სახელმწიფო უწყების, დაწესებულების ან დამოუკიდებელი ორგანოს მიერ კანონიერი ან კონსტიტუციური უფლებამოსილების საფუძველზე. ისინი შესაძლოა იყოს სასამართლო ან არა სასამართლო. ზოგ მექანიზმში გათვალისწინებულია, რომ დაზარალებული მხარეები პირდაპირ მიმართავენ სამართლებრივი დაცვის საშუალებების თხოვნით; სხვა მექანიზმებში შუამავალი მოითხოვს სამართლებრივი დაცვის საშუალებებს მათი სახელით. მაგალითად გამოდგება სასამართლოები (როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო საქმეების), შრომითი დავების სასამართლო, ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული ინსტიტუტები, ეროვნული საკოორდინაციო ბიუროები, რომლებიც მოქმედებენ სახელმძღვანელო პრინციპების ფარგლებში ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის მრავალეროვნული საწარმოებისთვის, ომბუდსმენის მრავალრიცხოვანი ოფისები და საჩივრების განხილვის სახელმწიფო სამსახურები.

სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დარღვევებისთვის სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე წვდომის უზრუნველყოფა ასევე მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა ხელი შეუწყონ აღნიშნული მექანიზმების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობას, ასევე მათზე წვდომის წესებს და მხარდაჭერას (ფინანსური ან საკონსულტაციო).

საჩივრების განხილვის სახელმწიფო სასამართლო და არა სასამართლო მექანიზმებმა უნდა შექმნან საფუძველი სამართლებრივი დაცვის უფრო ფართო სისტემისთვის. ასეთი სისტემის ფარგლებში, საჩივრების განხილვის მექანიზმებმა ოპერატიულ დონეზე შესაძლოა უზრუნველყოს საჩივრების წარდგენა და დავის გადაწყვეტა ადრეულ ეტაპზე. თავის მხრივ, საჩივრების განხილვის მექანიზმები სახელმწიფო და ოპერატიულ დონეზე, შესაძლოა შეივსოს ან გაძლიერდეს ერთობლივი ინიციატივებით მიღებული დაცვის ზომების დახმარებით, ასევე საერთაშორისო და რეგიონული მექანიზმებით ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში. შემდგომი საჩივარი აღნიშნულ მექანიზმებთან დაკავშირებით მითითებულია სახელმძღვანელო პრინციპებში 26 – 31.

25.1. ზიანის ანაზღაურება და უფლებების აღდგენა სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დარღვევისთვის.

მიიღო სახელმწიფომ ზომები ანაზღაურების უზრუნველყოფისთვის სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დარღვევებისთვის?

| ინდიკატორები | მიმოხილვითი შეკითხვები |
|--------------|--|
| საჩივრები | გააჩნია სახელმწიფოს მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს სამოქალაქო პასუხისმგებლობას, სისხლის სამართლის საჩივრებს და ადმინისტრაციულ საჩივრებს. |

როგორცაა ჯარიმები ან შეზღუდული წვდომა სახელმწიფო დაფინანსებაზე, ადამიანის უფლებების დარღვევისთვის?

ნებისმიერ პირს შეუძლია სამოქალაქო დავის წარმოება ბიზნესის მიერ ცალკეული უფლების დარღვევისათვის, თუკი ამ დარღვევით პირს მიადგა ზიანი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მესამე კარი ეხება დელიქტურ ვალდებულებებს. კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.“ კოდექსი ადგენს ზოგად წესებს ზიანის ანაზღაურების საკითხებთან დაკავშირებით (მაგალითად, ზიანის მიმყენებლის ქმედუნარიანობის შესახებ, წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის შესახებ და ა.შ.).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს სპეციალურ საპროცესო დებულებებს ცალკეული დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების თაობაზე (სარჩელი დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ) და დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელის განხილვის თაობაზე.²³²

რაც შეეხება ადმინისტრაციულ სანქციებს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, ასეთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ცალკეული სამართალდარღვევები არის კიდევ მიზანმიმართული ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში სანქციებისაკენ (კოდექსის მე-5 თავი ეხება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში; მე-6 თავი საკუთრების ხელმყოფ სამართალდარღვევებს; კოდექსის მე-7 თავი ეხება

²³² იხ. კოდექსის თავი XXXIV³ ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი და კარი მეშვიდე³ სამართალწარმოება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეზე. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>

| | |
|---|---|
| | <p>ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და აღზრდის სფეროში; მე-8 თავი მოიცავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს მრეწველობის, ელექტრო- და თბოენერჯის გამოყენებისა და წყალმომარაგების დარგებში; მე-9 თავი სოფლის მეურნეობაში ვეტერინარულ-სანიტარიული წესების დარღვევას, მე-11 თავი კი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს მოქალაქეთა საბინაო უფლებების, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის დარგში).</p> <p>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ცალკე თავს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შესახებ, ასევე ცალკე თავი ეთმობა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს.²³³ აღნიშნული თავი დანაშაულად მიიჩნევს ისეთ ქმედებებს, როგორცაა დისკრიმინაცია, წამება, თავისუფლების შეზღუდვა, პირადი ცხოვრების შეზღუდვა და სხვა. დანაშაულთა ნაწილი, შინაარსის გათვალისწინებით შეიცავს იურიდიული პირების სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობასაც.</p> <p>იურიდიული პირების სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე დამატებით იხილეთ 1.6 კითხვის ინდიკატორ „საჩივრების განხილვის სასამართლო მექანიზმები“ პასუხი.</p> |
| <p>ფინანსური ან არაფინანსური კომპენსაცია</p> | <p><u>გააჩნია სახელმწიფოს მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს კომპენსაციას, როგორცაა ჯარიმები ან საცხოვრებელი გარემოს აღდგენას, ადამიანის უფლებების დარღვევისთვის?</u></p> <p>სამოქალაქო დავის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება ხდება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის სახით. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის</p> |

²³³ იხ, კოდექსის XXIII თავი და მე-10 კარი. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>

| | |
|--------------------------------|---|
| | <p>მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. კოდექსი ასევე განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, როდესაც განსხვავებული სახით ხდება ზიანის ანაზღაურება (მათ შორის, ფულადი ანაზღაურების სახით).</p> <p>ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის სანქციები ადამიანის უფლებათა დარღვევების შემთხვევაში დამოკიდებულია სამართალდარღვევის და დანაშაულის ტიპებზე. დადგენილია როგორც ფინანსური სანქციები, ასევე თავისუფლების აღკვეთის სახით სანქციები. თუმცა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა მხოლოდ სამოქალაქო დავის შემთხვევაში ხდება.</p> |
| <p>ზიანის პრევენცია</p> | <p><u>გააჩნია სახელმწიფოს მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს ზიანის პრევენციის პროცესებს, როგორცაა ამკრძალავი ნორმები ან არგანმეორების გარანტიები, ადამიანის უფლებების დარღვევებისთვის?</u></p> <p>სპეციალური წესი ბიზნესის მხრიდან ადამიანის უფლების დარღვევის თავიდან ასაცილებლად არ არსებობს კანონმდებლობაში, თუმცა საპროცესო უზრუნველყოფის საშუალებები კანონმდებლობაში ამ მიზნით შეიძლება გამოყენებული იყოს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავი არეგულირებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს, მათ შორის, ქონებაზე ყადაღის დადება, მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა, სხვა პირებისათვის აკრძალვა იმისა, რომ მოპასუხეს გადასცენ ქონება ან შეასრულონ მის მიმართ რაიმე ვალდებულება და სხვა.</p> <p>სამოქალაქო საპროცესო სამართლით განსაზღვრული უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალებაა ასევე დროებითი მმართველის დანიშვნის შესაძლებლობა, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იქნას საწარმოს მართვის შესაცვლელად, მათ შორის, ადამიანის უფლებების დარღვევის პრევენციისათვის საჭირო მოქმედებების განხორციელების მიზნით.</p> |

| | |
|--------------------------------------|---|
| <p>ბოდიშის მოხდა</p> | <p><u>გააჩნია სახელმწიფოს მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს მოზოდიშების ხელშეწყობას ადამიანის უფლებების დარღვევებისთვის?</u></p> <p>საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს სპეციალურ მექანიზმს ადამიანის უფლებების დარღვევისათვის ბოდიშის მოხდის ვალდებულებისათვის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს გარკვეული ინფორმაციის უარყოფას. კერძოდ, თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით. თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს.²³⁴</p> |
| <p>სახელმწიფო მექანიზმები</p> | <p><u>გააჩნია სახელმწიფოს სასამართლო და არასამართლო, სისხლის სამართლის და სამოქალაქო მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოს საჩივრების წარდგენას და დავის გადაწყვეტას? დაადგინა და აღმოფხვრა სახელმწიფომ ასეთ მექანიზმებზე წვდომის ბარიერები (ფინანსური, სამართლებრივი, პრაქტიკული და მტკიცებულებითი)? ხელმისაწვდომია ასეთი მექანიზმები ექსტრატერიტორიული ზიანის აღმოფხვრისთვის, როგორც ითვალისწინებს გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი?</u></p> <p>ბიზნესის მხრიდან ადამიანის უფლებათა დარღვევისათვის სპეციალური სახელმწიფო მექანიზმი არ არსებობს. თუმცა ზემოთ მოცემულ სამოქალაქო დავების წარმოება შესაძლებელია ამ მიმართულებითაც. სამოქალაქო დავის წამოსაწყებად ბარიერებს რაც შეეხება, აქ უნდა განვიხილოთ საქმის წარმოების სირთულე და ფინანსური წინაპირობები. სამოქალაქო დავების წარმოებისათვის საკმაოდ ვრცელი ხანდაზმულობის ვადები მოქმედებს (სახელმეკრულებო დავებზე 3 წელი, უძრავ ნივთებთან დაკავშირებით 6 წელი, ზოგადი ხანდაზმულობა - 10 წელი).²³⁵ გარდა ამისა, სამოქალაქო სარჩელის აღძვრისათვის</p> |

²³⁴ იხ. კოდექსის მე-18 მუხლი. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>

²³⁵ იხ. სამოქალაქო კოდექსის თავი მეორე.

| | |
|---|---|
| | <p>საჭიროა საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიერ დადგენილი შესაბამისი ფორმის შევსება (რომელიც შეიცავს შენიშვნებს, სარჩელის შევსებაში დახმარებისათვის), ამასთან, არსებობს სახელმწიფოს მიერ შექმნილი იურიდიული დახმარების სხვადასხვა სამსახური, რომლებიც სამართლებრივ დახმარებას პირებს უსასყიდლოდ უწევენ.</p> <p>მეორეს მხრივ, კანონმდებლობა ადგენს სახელმწიფო ბაჟს, რომელიც განსხვავდება სარჩელის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ცალკეული დავები და ცალკეული პირები სარგებლობენ შეღავათით სახელმწიფო ბაჟში (სოციალურად დაუცველი პირები, ფიზიკური პირები – სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან; მოსარჩელები სარჩელებზე ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მიყენებულია დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით; შშმ პირები და მათი გაერთიანებები).²³⁶ აღსანიშნავია, რომ „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონი ითვალისწინებს ბაჟის შემცირების, ბაჟის გადავადების და ბაჟისაგან სრულად განთავისუფლების შესაძლებლობასაც.</p> <p>სახელმწიფო მექანიზმებზე საუბრისას აღსანიშნავია მედიაცია. საქართველოს კანონმდებლობა იცნობს სასამართლო მედიაციის ინსტიტუტს, რომელსაც ეხება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXI¹ თავი. სასამართლო მედიაცია მხარეთა შეთანხმებით ნებისმიერ დავაზეა შესაძლებელი.</p> |
| <p>არასახელმწიფო მექანიზმები</p> | <p><u>მხარს უჭერს სახელმწიფო არასახელმწიფო მექანიზმებს?</u></p> <p>საქართველოში მოქმედებს არბიტრაჟის სისტემა და მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია სამოქალაქო დავების წარმოება ამ მექანიზმის მეშვეობით.²³⁷ კანონით განსაზღვრულია არბიტრაჟის შექმნის და მოქმედების წესები, საარბიტრაჟო წარმოების, საარბიტრაჟო</p> |

²³⁶ იხ. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/93718#>

²³⁷ იხ. საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/89284>

| | |
|--|--|
| | <p>გადაწყვეტილების, აგრეთვე საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების წესებიც.</p> <p>საარბიტრაჟო კანონმდებლობა არ შეიცავს დათქმას არბიტრაჟის შრომითი ან სხვა დავისთვის შეზღუდვის თაობაზე, თუმცა კანონში არბიტრაჟის შესახებ, მითითებულია, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილება არ აღსრულდება, თუ დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი.</p> |
| <p>სხვა ზომები</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ სხვა ზომები კომპენსაციის უზრუნველსაყოფად სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დარღვევებისთვის?</u></p> <p>სახელმწიფოს მიერ შექმნილ სხვა მექანიზმები კონკრეტულად ადამიანის უფლებების ბიზნესის მიერ დარღვევის შემთხვევებისათვის არ არსებობს. თუმცა, ასეთ მექანიზმებს შეიძლება მივაკუთვნოთ „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ კანონით განსაზღვრული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის ინსტიტუტი. მოქმედებს ენერგომბუდსმენის (http://pdci.ge/geo) და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან მოქმედი მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის (http://momkhmarebeli.gncc.ge/) ინსტიტუტები, რომლებიც შესაბამის სექტორებში მოქმედებენ და უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფენ მომხმარებელთა უფლებების დაცვას. ამ საკითხზე კანონმდებლობა მიმოხილულია პირველი პრინციპის 1.5 პუნქტის „სხვა კანონმდებლობის“ საკითხში.</p> |
| <p>25.2. როლები და პასუხისმგებლობები სახელმწიფოს ფარგლებში</p> <p>განსაზღვრავს სახელმწიფო მკაფიო როლებს და პასუხისმგებლობებს სახელმწიფოს ფარგლებში ეფექტურ სამართლებრივ დაცვის საშუალებებზე წვდომის საკითხზე?</p> | |
| <p>ინდიკატორები</p> | <p>მიმოხილვითი შეკითხვები</p> |

| | |
|--------------------------------------|--|
| <p>კომპეტენტური ორგანოები</p> | <p><u>განსაზღვრა სახელმწიფომ კომპეტენტური ორგანოები, რომლებიც გამოიძიებენ განცხადებებს სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დარღვევების შესახებ? და თუ განსაზღვრა, არის თუ არა ასეთი ორგანოები ალჭურვილი სათანადო ცოდნით, რომელიც საჭიროა დარღვევების მითითებისთვის კომპენსაციის მექანიზმებში?</u></p> <p>სახელმწიფოს არ აქვს ცალკე გამოყოფილი უფლებამოსილი ორგანო ბიზნესის მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოძიებისათვის/გამოკვლევისათვის. ნებისმიერ პირს შეუძლია მიმართოს საგამოძიებო ორგანოებს თუ სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებია, იმის გათვალისწინებით, რომ იურიდიული პირის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია.</p> <p>ცალკე უნდა აღინიშნოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტიც, რომელიც შრომის უსაფრთხოების მონიტორინგს ახორციელებს განცხადების საფუძველზე. დამატებით იხილეთ პასუხი ინდიკატორზე „ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ ამავე პრინციპში კითხვაზე 1.5.</p> |
|--------------------------------------|--|

25.3. საზოგადოებისთვის ინფორმაციის გაზიარება და ხელმისაწვდომობა

შეიმუშავა სახელმწიფომ ზომები, რომელთა მეშვეობით გაავრცელებს ინფორმაციას საჩივრების განხილვის მექანიზმების ხელმისაწვდომობის, მიღებული საჩივრების და რელევანტური პროცესების შესახებ?

| ინდიკატორები | მიმოხილვითი შეკითხვები |
|---|--|
| <p>საზოგადოების ინფორმირება მექანიზმის შესახებ</p> | <p><u>მიიღო ზომები სახელმწიფომ საზოგადოების ინფორმირების ხელშეწყობისთვის დაცვის მექანიზმების შესახებ, მათ შორის ასეთ მექანიზმებზე წვდომის წესის და მათი ხელმისაწვდომობის შესახებ? უზრუნველყოფს სახელმწიფო ინფორმაციას საჩივრების შედეგების და შემდგომი ქმედებების შესახებ სისტემური საკითხების დადგენისას?</u></p> |

| | |
|-------------------------------|--|
| | <p>სახელმწიფოს არ აქვს ცალკე გამოყოფილი ბიზნესის მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის გაზიარების ან ხელმისაწვდომობის სპეციალური წესები.</p> |
| <p>ხელმისაწვდომობა</p> | <p><u>უზრუნველყოფს სახელმწიფო, რომ აღნიშნული მექანიზმები ხელმისაწვდომი იყოს დაზარალებული მხარეებისთვის (მაგალითად, ქალები, შეზღუდული შესაძლებლობის პირები, ბავშვები და მკვიდრი მოსახლეობა)? ეს მოიცავს მომსახურებების გაწევას, როგორცაა სამართლებრივი დახმარება და იურიდიული კონსულტაცია, ასევე მხარდაჭერას NHRI, CSOs, ან პროფკავშირებისთვის, რომლებიც მუშაობენ საჩივრების განხილვის მექანიზმების მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის.</u></p> <p>ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც საჯაროდ მიიჩნევა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით (ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში [ადმინისტრაციული ორგანო, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში] დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია) ექვემდებარება მოთხოვნის საფუძველზე განმცხადებლისათვის მიწოდებას, ცალკეულ შემთხვევაში კი პროაქტიულ გამოქვეყნებას.</p> <p>მართალია, ბიზნესის მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევებში უფლების დაცვის მექანიზმების შესახებ საზოგადოების ინფორმირების სპეციალური წესი არ არსებობს, თუმცა ზოგადი წესების შეფასება შესაძლებელია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილებები საჯაროობის პრინციპით ხელმისაწვდომია მოთხოვნის შედეგად, თუ საქმე დახურული არ იყო (სარეზოლუციო ნაწილი მაინც საჯარო ხდება), ხოლო უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა სპეციალური</p> |

| | |
|--|--|
| | <p>საძიებო სისტემის მეშვეობით სრულად ხელმისაწვდომია.²³⁸ თუმცა, საძიებო სისტემის თუ სხვა გზით მიღებულ გადაწყვეტილებებში მხარეთა ვინაობა (გარდა ადმინისტრაციული ორგანოსი) დაშტრიხულია. შესაბამისად, კონკრეტულ დავაში მონაწილე ბიზნეს სუბიექტის თუ სხვა პირთა სახელები სასამართლოს გადაწყვეტილების გაცნობისას უცნობია.</p> |
|--|--|

²³⁸ prg.supremecourt.ge

სახელმძღვანელო პრინციპი 26

სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები ეროვნული სასამართლო მექანიზმების ეფექტურობის უზრუნველყოფისთვის, სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დარღვევების აღმოფხვრისას, მათ შორის სამართლებრივი, პრაქტიკული და სხვა რელევანტური ბარიერების შემცირების საშუალებების გათვალისწინებით, რომლებიც შესაძლოა გახდეს სამართლებრივი დაცვის საშუალებების წვდომაზე უარის მიზეზი.

კომენტარი სახელმძღვანელო პრინციპზე 26

ეფექტური სასამართლო მექანიზმები სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე წვდომის უზრუნველყოფის საფუძველია. სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დარღვევების აღმოფხვრის შესაძლებლობა დამოკიდებულია მათ მიუკერძოებლობაზე, სამართლიანობასა და სათანადო სასამართლო განხილვის წარმოების შესაძლებლობაზე.

სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები ბარიერების წარმოქმნის დაუშვებლობისთვის, რომელიც ხელს უშლის სასამართლოებში კანონიერი საჩივრების წარდგენას იმ შემთხვევებში, როდესაც სასამართლოსადმი მიმართვა სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე წვდომის მიღების არსებითი ელემენტია ან როდესაც არ არსებობს ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალებების ალტერნატიული წყაროები. მათ ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ მართლმსაჯულების აღსრულებას ხელი არ შეუშალოს კორუფციამ სასამართლო პროცესის ფარგლებში, რომ სასამართლოები დამოუკიდებელი იყოს ეკონომიკური და პოლიტიკური ზეწოლისგან სხვა სახელმწიფო აგენტების და ასევე სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტების მხრიდან, და რომ ადამიანის უფლებების დამცველთა კანონიერ და მშვიდობიან საქმიანობას დაბრკოლებები არ შეექმნას.

კანონიერი ბარიერები, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დარღვევების შესახებ ლეგიტიმური საჩივრების განხილვას, შესაძლოა წარმოიქმნას მაგალითად შემდეგ შემთხვევებში:

- კორპორატიული ჯგუფის წევრებს შორის სამართლებრივი პასუხისმგებლობის განაწილების საშუალება, ეროვნული სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის შესაბამისად, ხელს უწყობს სათანადო ანგარიშვალდებულების პრინციპის შესრულებისგან თავის არიდებას;
- მოსარჩელებისთვის მართლმსაჯულების აღსრულებაზე უარის შემთხვევაში მიმღებ ქვეყანაში და როდესაც არ აქვთ წვდომა „მშობლიური“ ქვეყნის სასამართლოზე სარჩელის არსის მიუხედავად;

- როდესაც კონკრეტული ჯგუფები, როგორცაა მკვიდრი მოსახლეობა და მიგრანტები, ამოღებულია ადამიანის უფლებების სამართლებრივი დაცვის იმ სისტემიდან, რომელიც გამოიყენება დანარჩენი მოსახლეობისთვის.

სასამართლო დაცვის საშუალებებზე წვდომის პრაქტიკული და პროცედურული ბარიერები შესაძლოა წარმოიშვას შემდეგ შემთხვევებში:

- სარჩელების წარდგენის ხარჯები, რომელიც სცილდება ფარგლებს, არის არასათანადო საქმეების შემაკავებელი ფაქტორი და/ან შეუძლებელია შემცირდეს გონივრულ დონემდე სახელმწიფოს მხარდაჭერით, „საბაზრო“ მექანიზმებით (როგორცაა სასამართლო წარმოება დაზღვევის და სასამართლო ხარჯები) ან სხვა საშუალებებით;
- მოსარჩელები აწყდებიან სირთულეებს იურიდიული წარმომადგენლობის უზრუნველყოფის საკითხში, რადგან არ აქვთ რესურსები ან ადვოკატის სხვაგვარი წახალისების საშუალება, რათა მან თავის მხრივ დაიცვას მოსარჩელების ინტერესები;
- სარჩელების გაერთიანების ან წარმომადგენლობის მონაწილეობით სასამართლო წარმოების შესაძლებლობის არაადეკვატური ოფციონები არსებობს (როგორცაა ჯგუფური სარჩელი და სხვა კოლექტიური სარჩელები) და ეს ხელს უშლის ეფექტურ სამართლებრივ დაცვას ცალკეული მოსარჩელებისთვის;
- სახელმწიფო პროკურორებს არ აქვთ ადეკვატური რესურსები, საექსპერტო ცოდნა და მხარდაჭერა სახელმწიფოს ვალდებულებების შესასრულებლად, რომელიც ითვალისწინებს ცალკე პირების და საწარმოების მონაწილეობის გამოძიებას ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ დანაშაულებში.

ბევრი ასეთი ბარიერი წარმოიქმნება ან ღრმავდება ხშირი უთანასწორობის შედეგად სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დარღვევების სარჩელების განხილვის პროცესის მხარეებს შორის, მაგალითად მათი ფინანსური რესურსების, ინფორმაციაზე წვდომის და საექსპერტო გამოცდილების თვალსაზრისით. გარდა ამისა, აქტიური დისკრიმინაციის შედეგად ან სასამართლო მექანიზმების მუშაობის გაუთვალისწინებელი შედეგები, ცალკეული პირებს ჯგუფებიდან ან მოსახლეობიდან, რომელთაც ემუქრებათ მოწყვლადობის ან მარგინალიზაციის გაზრდილი რისკი, ხშირად ექმნებათ დამატებითი კულტურული, სოციალური, მატერიალური და ფინანსური დაბრკოლებები ასეთ მექანიზმებზე წვდომის, მათი გამოყენების და მათი მხრიდან დაცვის კუთხით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ასეთი ჯგუფების და კატეგორიის მოსახლეობის უფლებებსა და კონკრეტულ საჭიროებებს სამართლებრივი დაცვის ყველა ეტაპზე, რომელიც ეხება წვდომას, პროცედურებს და შედეგს.

26.1. სასამართლო მექანიზმები

გააჩნია სახელმწიფოს სასამართლო მექანიზმი, რომლის კომპეტენციაა სამეწარმეო საქმესთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დარღვევების განხილვა/გადაწყვეტა სახელმწიფოს ეროვნული იურისდიქციის ფარგლებში? ასეთ შემთხვევაში, შეესაბამება თუ არა აღნიშნული მექანიზმები მიუკერძოებლობის, სამართლიანობის და სათანადო სასამართლო განხილვის წარმოების შესაძლებლობის კრიტერიუმებს?

| ინდიკატორები | მიმოხილვითი შეკითხვები |
|---|---|
| <p>ეროვნული და რეგიონული სასამართლოები</p> | <p><u>გააჩნიათ ეროვნულ და რეგიონულ სასამართლოებს კომპეტენცია გადაწყვიტონ ბიზნესის და ადამიანის უფლებების დარღვევის საქმეები, მათ შორის დარღვევები მათი ტერიტორიული იურისდიქციის ფარგლებს გარეთ, როგორც ითვალისწინებს გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი? დადებითი პასუხის შემთხვევაში, ახორციელებენ თუ არა ისინი ასეთ საქმეებს მიუკერძოებლად და სამართლიანად და აქვთ თუ არა სათანადო სასამართლო განხილვის წარმოების შესაძლებლობა?</u></p> <p>საქართველოს სასამართლო სისტემა სამი ინსტანციისაგან შედგება: პირველ ინსტანციას ქმნის რაიონული და საქალაქო სასამართლოები; მეორე ინსტანცია მოიცავს თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებს, სადაც პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები საჩივრდება; მესამე და საბოლოო ინსტანცია კი არის საქართველოს უზენაესი სასამართლო, სადაც საჩივრდება სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები. საქართველოს კონსტიტუცია გამორიცხავს საგანგებო ან სპეციალური სასამართლოების შექმნას. საერთო სასამართლოებში საქმეები ნაფიცი მსაჯულების მიერ განიხილება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.</p> <p>საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებს საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად იღებს გადაწყვეტილებებს კონსტიტუციასთან, კონსტიტუციური შეთანხმების, კანონის, პრეზიდენტის, მთავრობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების</p> |

შესაბამისობის საკითხებზე; პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში არ არსებობს შრომის სასამართლო. შრომასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო იურისდიქციის სასამართლოების მიერ. საქართველოში არ არის შექმნილი სპეციალური სასამართლო მექანიზმი, რომლის კომპეტენცია იქნებოდა უშუალოდ ბიზნესისა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტა. მიუხედავად ამისა, საქართველოს სასამართლოები ბიზნესსა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ დავებს განიხილავენ კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი ნორმებისა და რეგულაციების ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედი სასამართლოები იურიდიულ პირებთან დაკავშირებული საქმეების გადაწყვეტისას არ იყენებენ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებს. აღნიშნულის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები. კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების შესახებ ინფორმაცია იხილეთ: სახელმძღვანელო პრინციპი 1 საჩივრების განხილვის სასამართლო მექანიზმები (ხარვეზები).

უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR)-ის ფარგლებში საქართველომ სხვადასხვა სახელწმიფოებიდან მიიღო რეკომენდაციები, რომელიც შეეხება სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მოსამართლეების უფლებამოსილების გაძლიერებას.

რეკომენდაციების რაღაც ნაწილი შეეხებოდა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის, გამჭირვალობისა და დაცვის უფლების გაძლიერებას.

ორლანდიათ საქართველოს მოსამართლეთა დანიშვნის, ტრენინგებისა და ოფიციალური ვიზიტების სისტემის სრულად განახლების რეკომენდაცია მისცა.

ჩეხეთის რესპუბლიკამ საქართველოს მისცა რეკომენდაცია, რათა განხორციელდეს სასამართლო სისტემის წარმომადგენელთა ანტი-დისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება.

საქართველოს ჯერჯერობით არ მიუღია ნორვეგიის მიერ გაცემულ რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა ვენეციის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციის იმპლემენტაციას მოსამართლეთა დანიშვნასა და პრობაციას. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გაცემული სხვა რეკომენდაციები შეიცავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთან დაკავშირებით არსებული ხარვეზების აღმოფხვრას, გამჭირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებას, ასევე სამართლიანი სასამართლოს პრინციპების განმტკიცებას, მათ შორის საქმის განაწილების უფრო გამჭვირვალე პროცედურების დანერგვას.

აშშ-სა და კანადის მიერ გაიცა რეკომენდაცია, რომელიც შეეხება მართლმსაჯულების სისტემისა და სამართალდამცავი ორგანოების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფასა და მათ დეპოლიტიზირებას.²³⁹

სასამართლოების მიერ კომპანიებთან დაკავშირებულ დავებში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების არგამოყენებაზე მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. კონკრეტულად კი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ საქმეში ჯუღელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ საქართველოს დააკისრა პასუხისმგებლობა თბილისის თბოელექტროსადგურის დაბინძურების შედეგად გამოწვეულ ჯანმრთელობის პრობლემებზე. კონკრეტულად კი, გადაწყვეტილებაში ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მერიამ და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ეროვნული სასამართლოების წინაშე დაადასტურეს, რომ შენობის მაცხოვრებელთა ჯანმრთელობის პრობლემები, შესაძლოა, თბოელექტროსადგურის მიერ გარემოს დაბინძურებით ყოფილიყო გამოწვეული,

²³⁹ გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, საქართველოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მეორე ეტაპი, 2015 წელი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://undocs.org/A/HRC/31/15> [ბოლოს ნანახია: 22.09.2017].

| | |
|--|---|
| | <p>ეროვნულმა სასამართლოებმა არ მიიჩნიეს, რომ მომჩივნების ჯანმრთელობას გარემოს დაბინძურების შედეგად ზიანი მიადგა.</p> <p>“მომჩივნების მოთხოვნის მიუხედავად, ეროვნულმა სასამართლოებმა არ დააკისრეს ქარხანას ზიანის შესამცირებლად კონკრეტული ზომების მიღება. ამგვარი ზომები შეიძლებოდა ყოფილიყო თბოელექტროსადგურის დავალდებულება, ღუმელებზე დაემონტაჟებინა სპეციალური ფილტრები, ან დაევალებინა ზიანის გამომწვევი ქმედებების საცხოვრებლისგან მოშორებით განხორციელება”.</p> <p>ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველომ დაარღვია მომჩივნების პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება მათ საცხოვრებელ ადგილას არსებული გარემოს დაბინძურების გამო (ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი).</p> <p>ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი კრძალავს არა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ უფლების თვითნებურ შეზღუდვას, არამედ აწესებს პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობა.</p> <p>ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ დაიცვა ბალანსი თბოელექტროსადგურის ფუნქციონირების, საზოგადოებრივ საჭიროებასა და მომჩივნების პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებას შორის. სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში მიუთითებს საქართველოში გარემოსდაცვითი მიმართულებით საკანონმდებლო ჩარჩოსა და დაზარალებულების დარღვეული უფლების აღდგენის მექანიზმის ხარვეზიანობაზე.</p> <p>ევროპულმა სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ სახელმწიფომ არ გამოიჩინა სათანადო მზრუნველობის მოვალეობა (due diligence), რისი დასტურიც იყო ის, რომ სახელმწიფოს ელექტროსადგურთან დაკავშირებით არ ჰქონდა ჩატარებული/შემუშავებული გარემოზე ზემოქმედების კვლევა და რეაგირების სამოქმედო დოკუმენტი.²⁴⁰</p> |
|--|---|

²⁴⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ჯუღელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ CASE OF JUGHELI AND OTHERS v. GEORGIA (Application no. 38342/05), 13 ივლისი 2017 წელი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: [http://hudoc.echr.coe.int/eng#{"itemid":\["001-175153"\]}](http://hudoc.echr.coe.int/eng#{) [ბოლოს ნანახია:15.07.2015].

| | |
|---|--|
| <p>შრომითი დავების ტრიბუნალი</p> | <p><u>გააჩნია შრომითი დავების ეროვნულ ტრიბუნალს კომპეტენცია გადაწყვიტოს ბიზნესის და ადამიანის უფლებების დარღვევის საქმეები? დადებითი პასუხის შემთხვევაში, ახორციელებენ თუ არა ისინი ასეთ საქმეებს მიუკერძოებლად და სამართლიანად და აქვთ თუ არა სათანადო სასამართლო განხილვის წარმოების შესაძლებლობა?</u></p> <p>საქართველოში შრომითი ტრიბუნალი არ არსებობს.</p> |
| <p>სხვა მექანიზმები</p> | <p><u>გააჩნიათ სხვა მექანიზმებს კომპეტენცია გადაწყვიტოს ბიზნესის და ადამიანის უფლებების დარღვევის საქმეები? დადებითი პასუხის შემთხვევაში, ახორციელებენ თუ არა ისინი ასეთ საქმეებს მიუკერძოებლად და სამართლიანად და აქვთ თუ არა სათანადო სასამართლო განხილვის წარმოების შესაძლებლობა?</u></p> <p>საქართველოში ეროვნულ დონეზე არ არის სხვა სასამართლო მექანიზმები ბიზნესისა და ადამიანის უფლებების დავების გადასაწყვეტად.</p> |
| <p>26.2. ბარიერები სასამართლო დაცვის საშუალებების წვდომაზე</p> <p>მიიღო სახელმწიფომ ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ არ არსებობდეს ბარიერები სასამართლო დაცვის საშუალებების წვდომაზე სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დარღვევების საქმეებზე?</p> | |
| <p>ინდიკატორები</p> | <p>მიმოხილვითი შეკითხვები</p> |
| <p>სამართლებრივი ბარიერები</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ არ არსებობდეს სამართლებრივი ბარიერები, რომელიც ხელს უშლის ლეგიტიმური საქმეების სასამართლოში წარდგენას? ეს მოიცავს (1) იმის უზრუნველყოფას, რომ შესაძლებელია კორპორაციები იყვნენ პასუხისმგებელი ადგილობრივი სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის მიხედვით, რაც ნიშნავს პასუხისმგებლობის არსებობას კანონის შესაბამისად; (2) იმის უზრუნველყოფას, რომ საზოგადოების ყველა წევრს შეუძლია საჩივრების წარდგენა, მათ შორის მკვიდრ მოსახლეობას, მიგრანტებს, ქალებს და ბავშვებს და ჰქონდეთ ისეთივე სამართლებრივი დაცვის საშუალება, როგორც დანარჩენ მოსახლეობას; (3) იმის უზრუნველყოფას, რომ შესაძლებელია ექსტრატერიტორიული</u></p> |

დარღვევების განხილვა აღნიშნული სასამართლოების ფარგლებში, როგორც გათვალისწინებულია გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებში და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალში, და (4) იმის უზრუნველყოფას, რომ ისეთი საკითხები, როგორცაა სამართლებრივი კოლიზია, კანონი სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ, მშობელი კომპანიის პასუხისმგებლობა და პასუხისმგებლობის სტანდარტები არ შეუქმნის ბარიერებს სასამართლოებზე წვდომაში სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დარღვევების მსხვერპლებს?

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებული კომპანიების პასუხისმგებლობა შესაძლებელია ადგილობრივი სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად, არსებობს სამართლებრივი ბარიერები, რომლებიც პირდაპირი/არაპირდაპირი შემაფერხებელი ფაქტორები შეიძლება გახდნენ საქმეების სასამართლოში წარსადგენად.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ კომპანიების სამართლებრივი პასუხისმგებლობის მოცულობა დამოკიდებულია კომპანიის იურიდიულ სამართლებრივ ფორმაზე. კონკრეტულად კი, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებში ყველაზე გავრცელებული სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მხოლოდ თავისი ქონებით. აღნიშნული რეგულაცია აძლევს შესაძლებლობას საერთაშორისო კორპორაციას, რათა მისი პასუხისმგებლობა შემოიფარგლოს მხოლოდ საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალით.

საკანონმდებლო დონეზე არსებულ ბარიერებთან დაკავშირებით ინფორმაცი იხილეთ: სახელმძღვანელო პრინციპი 1 საჩივრების განხილვის სასამართლო მექანიზმები (ხარვეზების ნაწილი);

აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები თანაბრად ხელმისაწვდომია საქართველოში მყოფი ყველა პირისათვის ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

| | |
|---|---|
| | <p>ექსტრატერიტორიული დარღვევების განხილვა საქართველოში არსებული სასამართლოების ფარგლებში რეგულირდება საქართველოს კანონით „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, რომელიც არეგულირებს ექსტრატერიტორიული სამოქალაქო დავების შემთხვევაში ქართული სამართლის გამოყენების წინაპირობებს. აღნიშნულის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ თავში: სახელმძღვანელო პრინციპები 2.1 (სისხლის სამართლებრივი ან სამოქალაქო პასუხისმგებლობის რეჟიმები).</p> |
| <p>პრაქტიკული და პროცედურული ბარიერები</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ არ არსებობდეს პრაქტიკული ან პროცედურული ბარიერები, რომელიც ხელს უშლის ლეგიტიმური საქმეების სასამართლოში წარდგენას? ეს მოიცავს: (1) ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფას, (2) იურიდიული წარმომადგენლობის ან რეკომენდაციების უზრუნველყოფას; (3) კოლექტიური სარჩელების და მრავალ-მხრიანი სასამართლო პროცესების შესაძლებლობების უზრუნველყოფას; (4) ადვოკატის მომსახურების საფასურის ანაზღაურების შესაძლებლობას; (5) საპასუხო ქმედებების პრევენციას მოსარჩელების წინააღმდეგ; (6) მტკიცებულებაზე წვდომის რეფორმირებას და (7) პროკურორებისა და მოსამართლეებისათვის ტრენინგის უზრუნველყოფას.</u></p> <p>სახელმწიფოში უფასო სამართლებრივ დახმარებასთან დაკავშირებით არსებულ სამართლებრივ რეგულაციებზე ინფორმაცია იხილეთ შემდეგ თავში: სახელმძღვანელო პრინციპი 1 (სამართლებრივი დახმარება და მხარდაჭერა);</p> <p>აღსანიშნავია, რომ ასევე საქართველოში მოქმედებენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც გასცემენ უფასო სამართლებრივ დახმარებას მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის. მიუხედავად ამისა, პრობლემურია ამ კუთხით საქართველოს რეგიონებში არსებული ვითარება, სადაც შეიმჩნევა ასეთი ორგანიზაციების ნაკლებობა.</p> <p>სახელმწიფო პროკურორებსა და მოსამართლეებს არ აქვთ ადეკვატური რესურსები, საექსპერტო ცოდნა და მხარდაჭერა სახელმწიფოს ვალდებულებების შესასრულებლად, რომელიც ითვალისწინებს ცალკე პირების და საწარმოების ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ დანაშაულებში მონაწილეობის გამოძიებას.</p> |

| | |
|---|---|
| <p>სოციალური ბარიერები</p> | <p>მიიღო სახელმწიფომ ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ არ არსებობდეს სოციალური ბარიერები, რომელიც ხელს უშლის ლეგიტიმური საქმეების სასამართლოში წარდგენას? ეს მოიცავს: (1) უთანასწორობის აღმოფხვრას მხარეებს შორის (2) მიზნობრივი ინფორმირებულობის ამაღლებას მოწყვლად ჯგუფებს შორის (როგორცაა ქალები, მკვიდრი მოსახლეობა და ბავშვები) (3) ბავშვებისა და მათი წარმომადგენლებისთვის პროცედურების ხელმისაწვდომობას, რომელიც ითვალისწინებს ბავშვის ინტერესებს; (4) იურიდიული და სხვა ტიპის დახმარებას, (5) კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ძალისხმევებს, და (6) ადამიანის უფლებების დამცველთა დაცვას.</p> <p>მოსახლეობისათვის არ ხდება ინფორმაციის მიწოდება ბიზნესისა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე და ამ კუთხით საჩივრების წარდგენის შესაძლებლობებზე.</p> |
| <p>26.3. სასამართლო დაცვის საშუალება იმ დარღვევებისთვის, რომელსაც ადგილი აქვს მიმღებ სახელმწიფოებში</p> <p>მიიღო სახელმწიფომ ზომები სასამართლო დაცვის საშუალებაზე მსხვერპლთა წვდომის საკითხის მოსაგვარებლად, დარღვევებისთვის მიმღებ ქვეყნებში განთავსებული კომპანიების მიერ?</p> | |
| <p>ინდიკატორები</p> | <p>მიმოხილვითი შეკითხვები</p> |
| <p>სამართლებრივი დაცვის ექსტრატერიტორიული შემთხვევაში საშუალება ქმედების</p> | <p>მიიღო სახელმწიფომ ზომები იმ მოსარჩელების სამართლებრივი დაცვის საშუალებაზე წვდომის ხელშეწყობისთვის (მათ შორის მოწყვლადი ჯგუფები, როგორცაა მკვიდრი მოსახლეობა, ქალები და ბავშვები), რომელთაც უარი ეთქვათ მართლმსაჯულების აღსრულებაზე მიმღებ ქვეყანაში, მათთვის წარმოშობის ქვეყნის სასამართლოებზე წვდომის შესაძლებლობის მიცემისთვის?</p> <p>ინფორმაცია იხილეთ თავში: სახელმძღვანელო პრინციპები 2.1 (სისხლის სამართლებრივი ან სამოქალაქო პასუხისმგებლობის რეჟიმები).</p> |

| | |
|--|---|
| <p>საქმის განხილვის შეუსაბამო ფორუმი</p> | <p><u>აძლევს სახელმწიფო სასამართლოს შესაძლებლობას, როდესაც ის იხილავს საქმის განხილვისთვის მოუხერხებელი ფორუმის შუამდგომლობას (არსებობს უკეთესი განმხილველი ორგანო), გაითვალისწინოს საქმის განხილვაზე უარის თქმის დადებითი და უარყოფითი ფაქტორები.</u></p> <p>აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს საქმის განხილვის შეუსაბამო ფორუმის (Forum non Convenience) ცნებას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის ერთი-ერთი საფუძველია, როდესაც სარჩელი არ ექვემდებარება სასამართლო უწყებას,²⁴¹ ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც სარჩელით წამოყენებული მოთხოვნა სხვა ორგანოს განსახილველია და არა სასამართლოსი. აგრეთვე, სასამართლოს უფლება აქვს უარი თქვას სარჩელის მიღებაზე თუ საქმე არ არის მისი განსჯადი.²⁴² სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლე გამოიტანს დასაბუთებულ განჩინებას. თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმა მოტივირებულია იმით, რომ ეს სარჩელი ამ სასამართლოს განსჯადი არ არის, მოსამართლე ვალდებულია მიუთითოს თავის განჩინებაში, თუ რომელ სასამართლოს მიმართოს მოსარჩელემ. განჩინებაში უნდა მიეთითოს აგრეთვე, თუ როგორ უნდა იქნეს აცილებული საქმის აღძვრის დამაბრკოლებელი გარემოებანი.²⁴³</p> |
|--|---|

სახელმძღვანელო პრინციპი 27

სასამართლო მექანიზმებთან ერთად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საჩივრების განხილვის ეფექტური და სათანადო არასასამართლო მექანიზმები, რომელიც შეადგენს სამართლებრივი დაცვის საერთო სახელმწიფო სისტემის ნაწილს სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დარღვევებისთვის.

²⁴¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 186, პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.
²⁴² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 186, პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.
²⁴³ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 187, პირველი პუნქტი.

კომენტარი სახელმძღვანელო პრინციპზე 27

ადმინისტრაციული, საკანონმდებლო და სხვა არასასამართლო მექანიზმები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ სასამართლო მექანიზმების შევსების და გაფართოების თვალსაზრისით. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სასამართლო სისტემები ეფექტურია და სათანადოდ აღჭურვილი რესურსებით, მათ არ შეუძლიათ თავის თავზე აიღონ ყველა ნაგულავების დარღვევის განხილვის ტვირთი; სასამართლო დაცვა ყოველთვის არ მოითხოვება; გარდა ამისა, ყოველთვის არ არის ხელსაყრელი ყველა მოსარჩელისთვის.

სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დარღვევისთვის სასამართლო დაცვის უზრუნველყოფაში არსებული ხარვეზები შესაძლოა აღმოიფხვრას (საჭიროების შემთხვევაში) არსებული არასასამართლო მექანიზმების მანდატების გაფართოების და/ან ახალი მექანიზმების შექმნის გზით. ასეთი მექანიზმები შესაძლოა წარმოდგენილი იყოს შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს სახით ან განხორციელდეს კულტურული თვალსაზრისით სხვა მისაღები ფორმით და უფლებების დაცვის პრინციპის შესაბამისად - ან მათი კომბინაციის სახით - მოცემული საკითხებიდან, საზოგადოებრივი ინტერესებიდან და მხარეთა პოტენციური მოთხოვნებიდან გამომდინარე. ეფექტურობის უზრუნველყოფისთვის ასეთი მექანიზმები უნდა აკმაყოფილებდეს 31 პრინციპში მითითებულ კრიტერიუმებს.

ამ კუთხით განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულონ ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნულმა ინსტიტუტებმა.

როგორც სასამართლო მექანიზმების შემთხვევაში, სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ მხარეთა შორის ნებისმიერი უთანასწორობის აღმოფხვრის საშუალებები, რომლებიც მონაწილეობენ სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დარღვევებზე სარჩელების განხილვის პროცესში და განიხილონ დამატებითი ბარიერების აღმოფხვრის საშუალებები, რომელიც ექმნებათ ცალკეულ პირებს ჯგუფებიდან ან მოწყვლადობის ან მარგინალიზაციის გაზრდილი რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის კატეგორიას.

27.1. არასასამართლო მექანიზმების ტიპები

უზრუნველყოფს სახელმწიფო საჩივრების განხილვის ეფექტურ და სათანადო არასასამართლო მექანიზმებს?

ინდიკატორები

მიმოხილვითი შეკითხვები

| | |
|---|---|
| <p>მედიაციაზე დაფუძნებული მექანიზმები</p> | <p><u>უზრუნველყოფს სახელმწიფო მოსარჩელებების წვდომას მედიაციაზე დაფუძნებულ არასასამართლო მექანიზმებზე, როგორცაა ეროვნული საკოორდინაციო ბიუროები, OECD სახელმძღვანელო პრინციპების საფუძველზე? შეიძლება ეს მექანიზმები გამოყენებულ იქნას სამართლებრივი დაცვის საშუალებად სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დარღვევების შემთხვევისთვის? აკმაყოფილებს ეს მექანიზმები UNGP 31-ში მითითებულ ეფექტურობის კრიტერიუმებს?</u></p> <p>საქართველოს კანონმდებლობა ან სახელმწიფო პოლიტიკა არ ითვალისწინებს ისეთი ტიპის არასასამართლო მედიაციას, როგორცაა OECD სახელმძღვანელო პრინციპების საფუძველზე ეროვნული საკოორდინაციო ბიუროები.</p> <p>აღსანიშნავია, რომ კოლექტიური შრომითი დავების (კოლექტიური შრომითი ურთიერთობის დროს წარმოშობილი დავა ან დავა დამსაქმებელსა და დასაქმებულთა ჯგუფს (სულ მცირე, 20 დასაქმებული) შორის) შემთხვევაში, საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ საფუძველზე დავის გადაწყვეტის მიზნით მოქმედებს მედიაციის ინსტიტუტი. კერძოდ, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის ან დავის ერთ-ერთი მხარის წერილობითი მოთხოვნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნიშნავს დავის მედიატორს.²⁴⁴</p> <p>UNGP 31-ის ეფექტურობის კრიტერიუმების გათვალისწინებით:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მედიაციის ეს ინსტიტუტი მაღალი ლეგიტიმაციისა, რამდენადაც საქართველოს მთავრობის დადგენილება, რომელიც განსაზღვრავს მედიაციის პროცედურებს, ითვალისწინებს მედიატორის მიუკერძოებლობის და მისდამი მაღალი ნდობის შექმნის წინაპირობებს. 2. მედიაცია მხარეებისათვის ფინანსურად ხელმისაწვდომია, რამდენადაც უსასყიდლოა და სამინისტროს ხარჯებით მიმდინარეობს, მედიატორი შეიძლება |
|---|---|

²⁴⁴ იხ. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 25 ნოემბრის N301 დადგენილება „კოლექტიური დავის შემათანხმებელი პროცედურებით განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“.

მივლინებული იყოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულშიც სახელმწიფო ხარჯზე. თუმცა კანონმდებლობა ენობრივი ბარიერის ან მოწყვლადობის საკითხებს არ ითვალისწინებს.

3. დავის განხილვის პროცედურები გაწერილია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 ივლისის №180 დადგენილებაში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობისა და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. მაგ დადგენილების მე-10 პუნქტი.

4. საქართველოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა ინსპექტორის საქმიანობის ერთ-ერთი პრინციპია.

5. მედიაციის და დავის შემათანხმებელი პროცედურები მაქსიმალურად მხარეთა თანასწორობაზეა დაფუძნებული, რითაც მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა ხდება.

6. მედიაცია გამჭვირვალეა დავის შინაარსიდან გამომდინარე (კომერციული თუ პირადი საიდუმლოების დაცვით). კერძოდ, თუ დავაში ფიგურირებს პერსონალური მონაცემები, იგი უნდა დამუშავდეს შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით. კომერციული საიდუმლოება კი თუკი ასეთად განცხადების საფუძველზეა მიჩნეული, უნდა იქნას დაცული და ინფორმაციის გაცემისას უნდა დაიფაროს.

7. შრომითი დავების მედიაციის თუ შემათანხმებელი პროცედურები არ ითვალისწინებს შრომითი უფლებების სპეციფიურ შესაბამისობას ან გათვალისწინებას.

8. მედიაციის დასრულებისას, ასევე მინისტრის მოთხოვნის შემთხვევაში, მედიატორი ვალდებულია, საორგანიზაციო სამსახურში წარმოადგინოს ანგარიში კოლექტიურ დავასთან დაკავშირებით, რომელიც, მათ შორის, უნდა მოიცავდეს მედიატორის მიერ შესრულებული სამუშაოს ანგარიშს. ამ გზით, სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა ამ მექანიზმის გაძლიერების მიზნით მიიღოს ინფორმაცია და გაანალიზოს იგი.

| | |
|--|--|
| | |
| <p>საქმის განმხილველი მექანიზმები</p> | <p><u>უზრუნველყოფს სახელმწიფო მოსარჩელის წვდომას განმსჯელ (საქმის განმხილველ) მექანიზმებზე, როგორცაა საჩივრების განხილვის სახელმწიფო სამსახურები? შეიძლება ეს მექანიზმები გამოყენებულ იქნას სამართლებრივი დაცვის საშუალებად სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დარღვევების შემთხვევისთვის? აკმაყოფილებს ეს მექანიზმები UNGP 31-ში მითითებულ ეფექტურობის კრიტერიუმებს?</u></p> <p>საქართველოში მოქმედებს რამდენიმე ინსტიტუტი, სადაც მართალია, პირდაპირ და სპეციფიურად ბიზნესის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე არ ხდება მსჯელობა, თუმცა დავის საგანი შესაძლოა სწორედ ამ ტიპის ფაქტები გახდეს.</p> <p>ასეთია, მაგალითად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონიდან გამომდინარე), რომელიც იხილავს კანონით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის ფაქტებს შესაბამისი მიმართვის შემთხვევაში, როგორც სასამართლოს ალტერნატიული მექანიზმი (კანონის მუხლი 26).</p> <p>UNGP 31-ის ეფექტურობის კრიტერიუმების გათვალისწინებით:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ინსპექტორი მაღალი ლეგიტიმაციისა, რამდენადაც კანონით დადგენილია მისი მყარი მანდატი, აქვს დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის გარანტიები, და მისდამი მაღალი ნდობის შექმნის წინაპირობებსაც ითვალისწინებს. 2. ინსპექტორის ინსტიტუტი მხარეებისათვის ფინანსურად ხელმისაწვდომია, რამდენადაც უსასყიდლოა და სახელმწიფო ხარჯებით მიმდინარეობს, თუმცა კანონმდებლობა ენობრივი ბარიერის ან მოწყვლადობის საკითხებს არ ითვალისწინებს. |

ამასთან, საკმაოდ დეტალური ვებ-გვერდი აქვს და მიმართვის საშუალებებიც მარტივია და ვებ-გვერდზე განმარტებულია.

3. ინსპექტორის მიერ დავის განხილვის პროცედურები თითქმის არ არის გაწერილი, რაც ბოლომდე ვერ უზრუნველყოფს მის განსაზღვრულობას (პროგნოზირებადობას). თუმცა ინსპექტორის უფლებამოსილებები და მოქმედების ფარგლები მკაცრად რეგლამენტირებულია.

4. ინსპექტორის მიერ საქმის განხილვის პროცედურების დროს მიუკერძოებლობის სტანდარტი არ არის გაწერილი პროცედურულად, თუმცა თავად ინსტიტუტი ამ გარანტიებით სარგებლობს. მხარეებს აქვთ თანაბარი უფლებები მიმართონ ინსპექტორს.

5. ინსპექტორის მიერ საქმის განხილვა გამჭვირვალეა საქმის შინაარსიდან გამომდინარე (კომერციული თუ პირადი საიდუმლოების დაცვით). კერძოდ, თუ დავაში ფიგურირებს პერსონალური მონაცემები ან კომერციული საიდუმლოება, ისინი უნდა დამუშავდეს შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით.

6. მექანიზმი ადამიანის უფლებათა დაცვისკენაა მიმართული და საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში სრულად ინფორმირებულია პირადი ცხოვრების უფლებების შესახებ.

7. ინსპექტორი საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს წელიწადში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და ინსპექტორის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ. ინსპექტორის ანგარიში საჯაროა და უნდა შეიცავდეს ქვეყანაში მონაცემთა დაცვის მდგომარეობის ზოგად შეფასებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, აგრეთვე ინფორმაციას წლის განმავლობაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი დარღვევებისა და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ (მუხლი 38). თუმცა რამდენად ითვალისწინებს სახელმწიფო ინსპექტორის მითითებს, რთული სათქმელია.

საქმის განმხილველ მექანიზმად შეიძლება მივიჩნიოთ „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური, რომელიც იხილავს მომხმარებელთა საჩივრებს.

UNGP 31-ის ეფექტურობის კრიტერიუმების გათვალისწინებით:

1. საზოგადოებრივი დამცველის ინსტიტუტს აქვს ლეგიტიმაცია, რამდენადაც კანონით დადგენილია მისი მყარი მანდატი, აქვს დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის გარკვეული გარანტიები, თუმცა პრობლემურია მისი არჩევის წესი და ფინანსური დამოუკიდებლობა კომისიისაგან (დამატებით იხილეთ პასუხი კითხვა 1.5-ზე ინდიკატორში „სხვა კანონები და რეგულაციები“).

2. საზოგადოებრივი დამცველის ინსტიტუტი მხარეებისათვის ფინანსურად ხელმისაწვდომია, რამდენადაც უსასყიდლოა და სახელმწიფო ხარჯებით მიმდინარეობს, თუმცა კანონმდებლობა ენობრივი ბარიერის ან მოწყვლადობის საკითხებს არ ითვალისწინებს. ამასთან, მომხმარებლებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია დამცველის საქმიანობის შესახებ ვებ-გვერდების მეშვეობით, ასევე, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სფეროში დამცველის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია მომხმარებლისათვის გადაცემულ ქვითარში, მათ შორის, ცხელი ხაზის მითითებით.

3. საზოგადოებრივი დამცველის მიერ დავის განხილვის პროცედურები დეტალურად არ არის გაწერილი, რაც ბოლომდე ვერ უზრუნველყოფს მის განსაზღვრულობას (პროგნოზირებადობას).

4. საზოგადოებრივი დამცველის მიერ საქმის განხილვის პროცედურების დროს მიუკერძოებლობის სტანდარტი არ არის გაწერილი პროცედურულად, თუმცა თავად ინსტიტუტი ამ გარანტიებით სარგებლობს. მხარეებს აქვთ თანაბარი უფლებები მიმართონ ინსპექტორს.

| | |
|--|---|
| | <p>5. საზოგადოებრივი დამცველის მიერ საქმის განხილვის გამჭვირვალობა არ არის დადგენილი ნორმატიულად და არ ჩანს შესაბამისი მექანიზმები. საჯაროდ ქვეყნდება საჩივრების შესახებ სტატისტიკა.</p> <p>6. საზოგადოებრივი დამცველი მომხმარებელთა უფლებათა დაცვისკენაა მიმართული და საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში სრულად ინფორმირებულია შესაბამისი უფლებების შესახებ.</p> <p>7. არ ჩანს რამდენად ხდება სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი დამცველების მიერ მიწოდებული ინფორმაციის სისტემური ანალიზი და პრაქტიკაში სამომავლოდ გათვალისწინება.</p> |
| <p>სხვა მექანიზმები</p> | <p><u>უზრუნველყოფს სახელმწიფო მოსარჩელის წვდომას სხვა ტიპის არასასამართლო მექანიზმებზე? შეიძლება ეს მექანიზმები გამოყენებულ იქნას სამართლებრივი დაცვის საშუალებად სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დარღვევების შემთხვევისთვის? აკმაყოფილებს ეს მექანიზმები UNGP 31-ში მითითებულ ეფექტურობის კრიტერიუმებს?</u></p> |
| <p>27.2. NHRI-ს როლი</p> <p>ანიჭებს სახელმწიფო კონკრეტულ კომპეტენციას ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნულ ინსტიტუტებს (NHRI) შეასრულონ საჩივრების განხილვის არასასამართლო მექანიზმის როლი?</p> | |
| <p>ინდიკატორები</p> | <p>მიმოხილვითი შეკითხვები</p> |
| <p>საჩივრების განხილვის როლი</p> | <p><u>აძლევს სახელმწიფო ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნულ ინსტიტუტებს (NHRI) მანდატს, რომელიც საშუალებას აძლევს მათ მიიღოს და განიხილოს საჩივრები ადამიანის უფლებების კორპორაციულ დარღვევებთან დაკავშირებით?</u></p> <p>საქართველოს სახალხო დამცველი</p> |

| | |
|--|---|
| | <p>UNGP 31-ის ეფექტურობის კრიტერიუმების გათვალისწინებით:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სახალხო დამცველი მაღალი ლეგიტიმაციისაა, რამდენადაც წარმოადგენს კონსტიტუციურ ინსტიტუტს, რომლის უფლებამოსილებები განსაზღვრულია ორგანული კანონით. <i>საქართველოს სახალხო დამცველი მის საქმიანობაში დამოუკიდებელია. იგი ხელისუფლების არც ერთ შტოს არ მიეკუთვნება.</i> სახალხო დამცველის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტიები დადგენილია საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონით; 2. სახალხო დამცველის ინსტიტუტი მხარებისათვის ფინანსურად ხელმისაწვდომია, რამდენადაც საქართველოს სახალხო დამცველთან გაგზავნილი განცხადება და საჩივარი არ იბეგრება სახელმწიფო გადასახადით. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ დაინტერესებული პირისათვის გაწეული სამსახური უფასოა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში არსებული პრაქტიკით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში დასაშვებია განცხადების შეტანა სხვადასხვა ენებზე. საქართველოს სახალხო დამცველის ვებ-გვერდი ხელმისაწვდომია ქართულ, ინგლისურ და აზერბაიჯანულ ენებზე. საქართველოს სახალხო დამცველს ოფისები წარმოდგენილი აქვს საქართველოს 10 ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, გორი, თელავი, ზუგდიდი, ოზურგეთი, მარნეული, ახალქალაქი და მესტია); 3. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში კორესპონდენციის, მათ შორის განცხადებისა და საჩივრის რეგისტრაციის, დასაშვებობის ვადები და პროცედურები გაწერილია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმისწარმოების ერთიანი წესში,²⁴⁵ რაც უზრუნველყოფს მის განსაზღვრულობას (პროგროზირებადობას); 4. სახალხო დამცველის მიერ განცხადების/საჩივრის განხილვის დროს მიუკერძოებლობის სტანდარტი არ არის გაწერილი პროცედურულად, თუმცა მხარეებს აქვთ თანაბარი შესაძლებლობა განცხადების/საჩივრის განხილვის პროცესში სახალხო დამცველს მიაწოდონ ყველა მათ ხელთ არსებული ინფორმაცია; |
|--|---|

²⁴⁵ საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმისწარმოების ერთიანი წესი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3983.pdf> [ბოლოს ნანახია: 02.07.2017].

| | |
|-----------------------------|---|
| | <p>5. სახალხო დამცველის მიერ საქმის შესწავლა გამჭვირვალეა. დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ მოითხოვონ ინფორმაცია თუ რა ეტაპზე მათ მიერ შესასწავლად შემოტანილი განცხადება ან საჩივარი;</p> <p>6. საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობს საქართველოს ტერიტორიისა და მისი იურისდიქციის ფარგლებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას. იგი ავლენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენას. შესაბამისად, მექანიზმი ადამიანის უფლებათა დაცვისკენაა მიმართული.</p> <p>7. საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტს წელიწადში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. სახალხო დამცველის ანგარიში საჯაროა და შეიცავს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების კუთხით ქვეყანაში არსებული მდგომარეობის აღწერას, სახალხო დამცველის შეფასებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს. საქართველოს პარლამენტი ყოველწლიურად იღებს დადგენილებას საქართველოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის ანგარიშზე, სადაც წარმოდგენილია პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის ანგარიშიდან გაზიარებული რეკომენდაციები, რომელთა შესრულებაზეც პარლამენტი დამატებით ახორციელებს საპარლამენტო კონტროლს.</p> |
| <p>დამხმარე როლი</p> | <p><u>აძლევს სახელმწიფო ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნულ ინსტიტუტებს (NHRI) მანდატს, რომელიც საშუალებას აძლევს NHRI-ს იყოს დამხმარე როლში მოსარჩელებისთვის, მაგალითად შუამდგომლობის, მორიგების, ექსპერტის მხარდაჭერის ან იურიდიული დახმარების სახით?</u></p> <p>ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველი:</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს პარლამენტს ან სხვა შესაბამის ორგანოს წარუდგენს წინადადებებს, შენიშვნებსა და რეკომენდაციებსა და წინადადებებს საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონპროექტებთან დაკავშირებით; |

| | |
|---|---|
| | <ul style="list-style-type: none"> • ასრულებს სასამართლოს მეგობრის (<i>Amicus Curiae</i>) ფუნქციას საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში; • კონსტიტუციური სარჩელით მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს; • წერილობით მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, თუ მიიჩნევს, რომ სახალხო დამცველის განკარგულებაში არსებული რეაგირების საშუალებები არასაკმარისია; • განსაკუთრებულ შემთხვევაში მიმართავს საქართველოს პარლამენტს დროებითი საგამომიებო კომისიის შექმნისა და პარლამენტის მიერ საკითხის განხილვის მოთხოვნით.²⁴⁶ |
| <p>ინფორმირებულობის ამაღლება</p> | <p><u>ამლევს სახელმწიფო ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნულ ინსტიტუტს (NHRI) მანდატს ხელი შეუწყოს ინფორმირებულობის გაზრდას სამართლებრივი დაცვის და კომპენსაციის შესახებ ადამიანის უფლებების კორპორაციულ დარღვევებთან დაკავშირებით?</u></p> <p>საქართველოს სახალხო დამცველი თავისი ინიციატივითა და სხვადასხვა ღონისძიების ფარგლებში ახორციელებს მოქალაქეთა ინფორმირებას ზოგადად ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სამართლებრივ დაცვის საშუალებებზე. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველს არ აქვს სახელმწიფოსგან გადაცემული სპეციალური მანდატი, რათა მოახდინოს მოსახლეობის ინფორმირება ადამიანის უფლებების კორპორაციულ დარღვევებთან დაკავშირებით არსებულ სამართლებრივი დაცვისა და კომპენსაციის მექანიზმებზე.</p> |
| <p>ტრენინგი</p> | <p><u>ამლევს სახელმწიფო ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნულ ინსტიტუტს (NHRI) მანდატს უზრუნველყოს დაინტერესებულ პირთა ტრენინგი სამართლებრივი დაცვის</u></p> |

²⁴⁶საქართველოს სახალხო დამცველი, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/ge/public-defender/mandati> [ბოლოს ნანახია:05.07.2015].

| | |
|---|---|
| | <p><u>საშუალებებზე წვდომის საკითხზე ადამიანის უფლებების კორპორაციულ დარღვევებთან დაკავშირებით?</u></p> <p>საქართველოს სახალხო დამცველი თავისი ინიციატივითა და სხვადასხვა ღონისძიების ფარგლებში ახორციელებს მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაზრდას ზოგადად ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სამართლებრივ დაცვის საშუალებებზე. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველს არ აქვს სახელმწიფოსგან მიცემული სპეციალური მანდატი, რათა უზრუნველყოს დაინტერესებულ პირთა ტრენინგი კორპორაციულ დარღვევების შემთხვევაში არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე.</p> |
| <p>კონსულტაცია</p> | <p><u>ამლევს სახელმწიფო ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნულ ინსტიტუტს (NHRI) მანდატს უზრუნველყოს კონსულტაცია სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე წვდომის საკითხზე?</u></p> <p>საქართველოს სახალხო დამცველს თავისი მანდატიდან გამომდინარე უფლება აქვს მოახდინოს მოქალაქეთა კონსულტირება სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე წვდომის საკითხზე.</p> |
| <p>განხორციელების სტატუსი</p> | <p>ხარვეზები</p> |
| <p>ჩამოთვალეთ სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული ინსტიტუტებისთვის მინიჭებული ყველა კომპეტენცია</p> | <p>წარმოადგინეთ კომენტარები ხარისხზე, რომლითაც განხორციელების სტატუსის შედეგები ასახავს ან არ ასახავს სახელმძღვანელო პრინციპების (GP) შესრულებას, როგორც ეს განმარტებულია ინდიკატორებში და მიმოხილვით შეკითხვებში, კონსულტაციის პროცესში დაინტერესებული მხარეების მიერ გაკეთებული ნებისმიერი კომენტარის გათვალისწინებით.</p> |
| <p>27.3. ბარიერები არასასამართლო დაცვის საშუალებებზე წვდომაზე</p> <p>მიიღო სახელმწიფომ ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ არ არსებობდეს ბარიერები არასასამართლო დაცვის საშუალებების წვდომაზე სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დარღვევების საქმეებზე?</p> | |

| ინდიკატორები | მიმოხილვითი შეკითხვები |
|--|---|
| <p>პრაქტიკული და პროცედურული ბარიერები</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ არ არსებობს პრაქტიკული ან პროცედურული ბარიერები, რომელიც ხელს უშლის კანონიერი საქმეების არასასამართლო მექანიზმების მიერ განხილვას? პროცედურული ბარიერების პრევენციის ზომებში შედის:</u></p> <ol style="list-style-type: none"> 1. <u>ფინანსური მხარდაჭერა;</u> 2. <u>იურიდიული წარმომადგენლობის ან რეკომენდაციების უზრუნველყოფა;</u> 3. <u>მექანიზმის შესახებ ინფორმაციის წარდგენა პოტენციური მოსარჩელეებისთვის გასაგებ ენაზე;</u> 4. <u>წვდომის უზრუნველყოფა გეოგრაფიული საკითხების ან სირთულეების მიუხედავად (მაგალითად შორი დისტანცია);</u> <p>ინფორმაცია იხილეთ თავში: სახელმძღვანელო პრინციპები 2.7.2 (NHRI-ს როლი)</p> |
| <p>სხვა ბარიერები</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ არ არსებობს სხვა ბარიერები, რომელიც ხელს უშლის ლეგიტიმური საქმეების არასასამართლო მექანიზმების მიერ განხილვას? სხვა ბარიერების პრევენციის ზომებში შედის:</u></p> <ol style="list-style-type: none"> 1. <u>უთანასწორობის აღმოფხვრა მხარეებს შორის;</u> 2. <u>მიზნობრივი ინფორმირებულობის ამაღლება მოწყვლად ჯგუფებს შორის (როგორცაა ქალები, მკვიდრი მოსახლეობა და ბავშვები);</u> 3. <u>იურიდიული და სხვა ტიპის დახმარება;</u> 4. <u>კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ძალისხმევები;</u> 5. <u>ადამიანის უფლებების დამცველთა დაცვა.</u> <p>ინფორმაცია იხილეთ თავში: სახელმძღვანელო პრინციპები 2.7.2 (NHRI-ს როლი)</p> |

სახელმძღვანელო პრინციპი 28

სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ საჩივრების განხილვის ეფექტურ არასახელმწიფო მექანიზმებზე წვდომის ხელშეწყობის შესაძლებლობები, რომლებიც განიხილავენ სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დარღვევებს

კომენტარი სახელმძღვანელო პრინციპზე 28

საჩივრების განხილვის არასახელმწიფო მექანიზმის ერთ-ერთი კატეგორია წარმოადგენს მექანიზმს, რომელიც შექმნილია თავად საწარმოს მიერ ან დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, დარგობრივი ასოციაციის, ან სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის მიერ. ასეთ მექანიზმებს აქვთ არასასამართლო ხასიათი, თუმცა შესაძლოა წარმოდგენილი იყოს სასამართლო მექანიზმის ფორმით, დიალოგზე დაფუძნებული ან კულტურული თვალსაზრისით სხვა მისაღები ფორმით და უფლებების დაცვის პრინციპის შესაბამისად. აღნიშნული მექანიზმების განსაკუთრებული უპირატესობა გამოიხატება წვდომის და სამართლებრივი დაცვის მიწოდების ოპერატიულობით, შემცირებულ ხარჯებით და/ან ტრანსპარენტული ფარგლებით.

ანალოგიური მექანიზმების სხვა კატეგორიას წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის რეგიონული და საერთაშორისო ორგანოები, რომლებიც ყველაზე ხშირად განიხილავენ სახელმწიფოების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ნაგულვებ დარღვევებს ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. თუმცა ზოგი მათგანი ასევე განიხილავს სახელმწიფოს მიერ ვალდებულების შეუსრულებლობას, რომელიც ეხება საწარმოების მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევისგან დაცვას.

სახელმწიფოებს შეუძლიათ სასარგებლო როლი შეასრულონ აღნიშნული შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლებაში, ან სხვაგვარად ხელი შეუწყონ ასეთ მექანიზმებზე წვდომას, სახელმწიფოების მხრიდან უზრუნველყოფილ მექანიზმებთან ერთად.

28.1. მექანიზმებზე წვდომის ხელშეწყობა

ხელს უწყობს სახელმწიფო საჩივრების განხილვის ეფექტურ არასახელმწიფო მექანიზმებზე წვდომას, რომლებიც განიხილავენ სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დარღვევების საქმეებს?

ინდიკატორები

მიმოხილვითი შეკითხვები

| | |
|--|---|
| <p>საჩივრების განხილვის მექანიზმი კომპანიის დონეზე</p> | <p><u>უზრუნველყოფს სახელმწიფო კომპანიის დონეზე საჩივრების განხილვის მექანიზმზე წვდომას (როგორცაა მამხილებლის მექანიზმები ან საჩივრების განხილვის მექანიზმები პროექტის დონეზე) ისეთი ძალისხმევებით, როგორცაა ინფორმაციის გავრცელება და წვდომის მხარდაჭერა (მაგალითად, სახელმძღვანელო დოკუმენტების და ინსტრუმენტების მეშვეობით)?</u></p> <p>საჩივრების განხილვის მექანიზმი კომპანიის დონეზე, არასახელმწიფო მექანიზმების ერთ-ერთი სახეა. საწარმოში საჩივრის მექანიზმის დანერგვა, მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკაა. ბევრი საწარმო ქმნის ან აუმჯობესებს უკვე დანერგილ საჩივრის განხილვის მექანიზმებს, რომლებიც საშუალებას აძლევს საზოგადოებას, რომელთა უფლებებზეც კომპანია უარყოფით ზეგავლენას ახდენს, წარადგინონ საჩივარი კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებით. ამგვარ მექანიზმებს შესაძლოა ორმაგი დატვირთვა ჰქონდეთ, ერთი მხრივ ისინი უზრუნველყოფენ დარღვეული უფლების აღდგენას, ხოლო მეორე მხრივ, აძლიერებენ დიალოგს კომპანიასა და თემს შორის და ხელს უშლიან კონფლიქტის გაღვივებას. როგორც წესი, სასურველია, არსებობდეს საჩივრის სხვადასხვა მექანიზმი საწარმოს თანამშრომლებისთვისა და კომპანიის საქმიანობის შედეგად დაზარალებული საზოგადოებისთვის. ამგვარი მექანიზმი შესაძლოა დანერგილი იყოს საოპერაციო დონეზე (საწარმოს ყველა მიმდინარე საქმიანობისთვის) ან უკავშირდებოდეს საწარმოს კონკრეტულ პროექტს.</p> <p>სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს საწარმოს დონეზე არსებული საჩივრის განხილვის მექანიზმების შექმნას და გაამარტივოს მათზე წვდომა, საკანონმდებლო ან სხვა სახის ინიციატივებით.</p> <p>საქართველოში, ამჟამად, არ გამოიკვეთა კანონი, რეგულაცია, პოლიტიკა ან/და ინიციატივა, რომელიც მოითხოვს ან ხელს შეუწყობს კომპანიის დონეზე საჩივრების განხილვის მექანიზმის დანერგვას. ამის მიუხედავად, სხვადასხვა კომპანიაში შექმნილია ამგვარი მექანიზმები.</p> |
|--|---|

| | |
|--|---|
| <p>საჩივრების განხილვის მექანიზმი მრავალი დაინტერესებული მხარის მონაწილეობით</p> | <p><u>უზრუნველყოფს სახელმწიფო საჩივრების განხილვის მრავალი დაინტერესებული მხარის მონაწილეობით მექანიზმზე წვდომას ისეთი ძალისხმევებით, როგორცაა ინფორმაციის გავრცელება და წვდომის მხარდაჭერა?</u></p> <p>მსოფლიოში არსებობს სხვადასხვა მრავალმხრივი ინიციატივა, რომელიც საჩივრებს განიხილავს. ისინი შექმნილია ინდუსტრიულ ან მულტიინდუსტრიულ დონეზე და საწარმოთა ნებაყოფლობით წევრობას ეფუძნება. ასეთი ინიციატივებია, მაგალითად:</p> <p>სამართლიანი შრომის ასოციაცია (Fair Labour Association) ორგანიზაცია აერთიანებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, უნივერსიტეტებსა და საფეიქრო მრეწველობის კომპანიებს, შრომის საერთაშორისო სტანდარტების დაცვის მიზნით, მათ შორის კონტრაქტორ საწარმოებში. ნებისმიერ პირს, ორგანიზაციას და ჯგუფს შეუძლია წარადგინოს კონფიდენციალური საჩივარი, დასაქმებულთა უფლებების დარღვევების შესახებ იმ საწარმოებში, რომლებიც შეუერთდნენ ორგანიზაციის პრინციპებს.</p> <p>უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების ნებაყოფლობითი პრინციპები (Voluntary Principles Security and Human Rights)- აერთიანებს მთავრობებს, მოპოვებით მრეწველობის კომპანიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს. პრინციპები ძირითადად ეხება საწარმოების მიერ, სიცოცხლის, გამოხატვის თავისუფლებას, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებას, შეკრების თავისუფლებასა და კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების უფლებას. ორგანიზაციის წევრებს შეუძლიათ წარადგინონ საჩივარი, სხვა წევრის მიერ პრინციპების დარღვევის შესახებ.</p> <p>სათამაშოების ინდუსტრიების საერთაშორისო საბჭო (International Council of Toy Industries)- აერთიანებს სათამაშოების ინდუსტრიის ეროვნულ ასოციაციებს. საბჭოს საქმიანობა ეფუძნება ბიზნეს საქმიანობის კოდექსს, რომელიც ადგენს ე.წ CARE (მზრუნველობა, ინფორმირებულობა, პასუხისმგებლობა, ეთიკურობა) პროცესს. დასაქმებულებს შეუძლიათ გამოიყენონ ცხელი ხაზი და წარადგინონ საჩივარი, საწარმოს მიერ პროცესის დარღვევის შესახებ.</p> |
|--|---|

| | |
|---|--|
| | <p>გლობალური ქსელის ინიციატივა (Global Network Initiative)- აერთიანებს ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორის კომპანიებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ინვესტორებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ინიციატივის პრინციპები ეხება გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.</p> <p>ეთიკური ვაჭრობის ინიციატივა (Ethical Trading Initiative) - აერთიანებს საწარმოებს(სხვადასხვა სექტორიდან), არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პროფესიულ კავშირებს. ინიციატივის მთავარი კოდექსი, რომლის მიღებაც ევალებათ წევრებს, მოიცავს შრომითი უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს. ორგანიზაციის წევრებს შეუძლიათ წარადგინონ საჩივარი, წევრი საწარმოს, ან მისი კონტრაქტორის მიერ, კოდექსის დარღვევის შესახებ.</p> <p>საერთაშორისო სოციალური ანგარიშვალდებულება (Social Accountability International) - ორგანიზაცია მოიცავს 71 ინდუსტრიას და ანიჭებს სერთიფიკატს საწარმოებს, რომლების აკმაყოფილებენ SA8000 სტანდარტს. სტანდარტი ეხება შრომით უფლებებსა და მათთან დაკავშირებულ მართვის სისტემებს. ნებისმიერ პირს შეუძლია წარადგინოს საჩივარი, სერთიფიკატის მქონე საწარმოს მიერ, სტანდარტის ან ეროვნული შრომითი კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში.</p> <p>საქართველოში, ამჟამად, არ გამოიკვეთა ინიციატივა, რომელიც ხელს შეუწყობს მრავალმხრივი ინიციატივების მიერ დანერგილი საჩივრების განხილვის მექანიზმებზე წვდომას.</p> |
| <p>საჩივრების განხილვის მექანიზმი ორგანიზაციულ დონეზე</p> | <p><u>უზრუნველყოფს სახელმწიფო საჩივრების განხილვის მექანიზმზე წვდომას ორგანიზაციულ დონეზე (მათ შორის საკავშირო სისტემები) ისეთი ძალისხმევებით, როგორცაა ინფორმაციის გავრცელება და წვდომის მხარდაჭერა?</u></p> <p>ორგანიზაციულ დონეზე, შეიძლება არსებობდეს საჩივრის განხილვის მექანიზმები, პროფესიული კავშირების, დარგობრივი გაერთიანებების, ბიზნეს ასოციაციების ბაზაზე. ზოგიერთი მათგანი შესაძლოა მიზნად ისახავდეს მომხმარებელთა უფლებების დაცვას კონკრეტულ სექტორში, მაგალითად, საქართველოში, მიკროსაფინანსო ასოციაციას აქვს</p> |

| | |
|--|---|
| | <p>საჩივრის განხილვის მექანიზმი. მომხმარებელს შეუძლია მიმართოს ასოციაციას, წევრი ორგანიზაციების მიერ, ასოციაციის ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში. ასევე, საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციაში არსებობს დაზღვევის მედიაციის მექანიზმი, რომელსაც მომხმარებლები მიმართავენ ასოციაციის წევრ კომპანიასთან, სადაზღვევო ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების შემთხვევაში. ამგვარი მექანიზმები შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა ასოციაციასა თუ გაერთიანებაში.</p> <p>საქართველოში, ამჟამად, არ გამოიკვეთა ინიციატივა, რომელიც ხელს შეუწყობს ორგანიზაციულ დონეზე დანერგილი საჩივრების განხილვის მექანიზმებზე წვდომას.</p> |
| <p>საჩივრების განხილვის საერთაშორისო მექანიზმი</p> | <p><u>უზრუნველყოფს სახელმწიფო საჩივრების განხილვის საერთაშორისო მექანიზმებზე წვდომას ისეთი ძალისხმევებით, როგორცაა ინფორმაციის გავრცელება და წვდომის მხარდაჭერა (მაგალითად, იურიდიული დახმარების გზით) ასევე კონტაქტის დამყარების მხარდაჭერას მოსარჩელებს შორის საერთაშორისო სისტემაში?</u></p> <p>შესაძლოა, საჩივრის განხილვის არასახელმწიფო მექანიზმები, დანერგილი იყოს საერთაშორისო დონეზე. ამგვარი მექანიზმებია მაგალითად, მსოფლიო ბანკის საინსპექციო პანელი, ბანკის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც იღებს საჩივრებს დაზარალებული პირებისგან, რომელთაც მიაჩნიათ რომ ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტის შედეგად ზიანი მიადგათ;</p> <p>ასევე, მრჩეველი /ომბუდსმენის ოფისი (CAO), რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) და მრავალმხრივი ინვესტიციების საგარანტიო სააგენტოს (MIGA) დამოუკიდებელ დამხმარე მექანიზმს. ომბუდსმენის მოვალეობაა საერთაშორისო ფინანსური კორპორაციისა (IFC) და მრავალმხრივი ინვესტიციების საგარანტიო სააგენტოს (MIGA) ხელშეწყობით განხორციელებული პროექტების შედეგად დაზარალებული ნებისმიერი პირის, თემის ან სხვა მხარის საჩივრის განხილვა. საჩივარი უნდა ეხებოდეს პროექტის გარემოსდაცვით ან სოციალურ ზემოქმედებას.</p> |

| | |
|---|---|
| | <p>საქართველოში, არ გამოიკვეთა ინიციატივა ან აქტივობები, რომელიც ხელს შეუწყობს საერთაშორისო დონეზე დანერგილი საჩივრების განხილვის მექანიზმების შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და მათზე წვდომის მხარდაჭერას.</p> |
| <p>საჩივრების განხილვის რეგიონული მექანიზმი</p> | <p><u>უზრუნველყოფს სახელმწიფო საჩივრების განხილვის რეგიონულ მექანიზმებზე წვდომას ისეთი ძალისხმევებით, როგორცაა ინფორმაციის გავრცელება და წვდომის მხარდაჭერა (მაგალითად, იურიდიული დახმარების გზით)?</u></p> <p>შესაძლოა, საჩივრის განხილვის არასახელმწიფო მექანიზმები დანერგილი იყოს რეგიონულ დონეზე. ამგვარი მექანიზმები, ძირითადად, ფინანსურ ორგანიზაციებს უკავშირდება. მაგალითად, რეგიონული ბანკები, როგორცაა, აზიის განვითარების ბანკი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აფრიკის განვითარების ბანკი, ინტერამერიკული განვითარების ბანკი, უზრუნველყოფენ საჩივრის მექანიზმებს. ამგვარი მექანიზმები საშუალებას აძლევს პირს, ან პირთა ჯგუფს, საჩივრით მიმართონ აღნიშნული ფინანსური ინსტიტუტების შესაბამის ორგანოს, მათ მიერ დაფინანსებულ იმ პროექტთან დაკავშირებით, რომელმაც გამოიწვია, ან სავარაუდოდ გამოიწვია ზიანი.</p> <p>საქართველოში, არ გამოიკვეთა ინიციატივა ან აქტივობები, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონულ დონეზე დანერგილი საჩივრების განხილვის მექანიზმების შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და მათზე წვდომის მხარდაჭერას.</p> |
| <p>სხვა მექანიზმები</p> | <p><u>უზრუნველყოფს სახელმწიფო საჩივრების განხილვის სხვა მექანიზმებზე წვდომას ისეთი ძალისხმევებით, როგორცაა ინფორმაციის გავრცელება და წვდომის მხარდაჭერა?</u></p> <p>ინფორმაცია არ მოიპოვება</p> |
| <p>განხორციელების სტატუსი</p> | <p>ხარვეზები</p> |

| | |
|---|---|
| <p>არ გამოიკვეთა კანონი/რეგულაცია/ პოლიტიკა/ ინიციატივა, რომლითაც სახელმწიფო მხარს უჭერს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სფეროში, საჩივრის განხილვის ეფექტური არასახელმწიფო მექანიზმების განვითარებასა და მათზე წვდომას.</p> | <p>განხორციელების სტატუსის შედეგები არ ასახავს 28-ე პრინციპში მოცემული მოთხოვნების სრულად შესრულებას. 28-ე პრინციპი, სახელმწიფოებს, საჩივრის განხილვის ეფექტური არასახელმწიფო მექანიზმების წახალისების ფუნქციას ანიჭებს. ამგვარ მექანიზმებს შესაძლოა ადმინისტრირებას უწევდეს თავად კომპანია, მარტო, ან დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფთან, ან დარგობრივ ასოციაციებთან ერთად, ან რეგიონული და საერთაშორისო ინსტიტუტები.</p> <p>სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს როგორც კომპანიის, ისე რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე არსებულ საჩივრის მექანიზმებზე წვდომას. ამ მიზნის მისაღწევად, მთავრობას შეუძლია დაეხმაროს კომპანიებს საჩივრის განხილვის ეფექტური მექანიზმების დანერგვაში, წახალისოს ბიზნეს ასოციაციები საჩივრის მექანიზმების შესაქმნელად, ხელი შეუწყოს კომპანიის დონეზე დანერგილ მექანიზმებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და პროფესიული გაერთიანებების ჩართულობას, რათა მათ შეასრულონ წარმომადგენლობითი ან მედიატორის როლი. სახელმწიფომ უნდა შექმნას შესაფერისი გარემო შრომითი ურთიერთობების მომწესრიგებელი სისტემების განსავითარებლად.</p> <p>რაც შეეხება რეგიონულ და საერთაშორისო მექანიზმებს, მთავრობებს შეუძლიათ შექმნან უფლებათა მატარებლებისათვის, რეგიონულ და საერთაშორისო ინსტიტუტებისათვის მიმართვის მეტი შესაძლებლობა, აამაღლონ ცნობიერება ამგვარი მექანიზმების შესახებ და ხელი შეუწყონ პროცედურული და პრაქტიკული ბარიერების აღმოფხვრას, მაგალითად, უფლებათა მატარებლების საერთაშორისო და რეგიონულ ინსტიტუციებთან დაკავშირებაში</p> |
|---|---|

| | |
|--|--|
| | დახმარებითა და იურიდიული კონსულტაციის უზრუნველყოფით. |
|--|--|

სახელმძღვანელო პრინციპი 31

ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, საჩივრების განხილვის არასასამართლო მექანიზმები, მათ შორის როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო საფუძველზე, უნდა იყოს:

- (a) ლეგიტიმური: რაც გულისხმობს ნდობის შექმნას დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების მხრიდან, ვისთვისაც არის განკუთვნილი აღნიშნული მექანიზმები, და ანგარიშვალდებულებას საჩივრების განხილვის პროცესების სამართლიანობის თვალსაზრისით;
- (b) ხელმისაწვდომი: რაც გულისხმობს დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების ინფორმირებულობას, ვისთვისაც არის განკუთვნილი აღნიშნული მექანიზმები, და სათანადო დახმარების გაწევას მათთვის, ვისაც შესაძლოა შეექმნას კონკრეტული ბარიერები წვდომაზე.
- (c) პროგნოზირებადი: რაც გულისხმობს მკაფიო და გასაგები პროცედურის უზრუნველყოფას თითოეული ეტაპის საორიენტაციო ვადების მითითებით, და პროცესის ტიპების და გადაწყვეტილების შესრულების მონიტორინგის საშუალებების და არსებული შედეგების შესახებ მეტი გარკვეულობის შეტანას;
- (d) სამართლიანი: რაც გულისხმობს იმის უზრუნველყოფისკენ სწრაფვას, რომ დაზარალებულ მხარეებს ჰქონდეთ სათანადო წვდომა ინფორმაციის წყაროზე, კონსულტაციაზე და საექსპერტო კვალიფიკაციაზე, რომელიც საჭიროა საჩივრების წარდგენის პროცესში მონაწილეობისთვის სამართლიანობის, ინფორმირებულობის და პატივისცემის პრინციპების საფუძველზე.
- (e) გამჭვირვალე: რაც გულისხმობს საჩივრის განხილვის პროცესის მხარეების ინფორმირებას მისი მიმდინარეობის შესახებ და სათანადო ინფორმაციის მიწოდებას მექანიზმის შედეგალობის შესახებ ნდობის გასამყარებლად მისი ეფექტურობის მიმართ და საჯარო ინტერესების დაკმაყოფილებისთვის.
- (f) ნორმების შესაბამისი ადამიანის უფლებების სფეროში: რაც გულისხმობს შედეგების და სამართლებრივი დაცვის საშუალებების შესაბამისობას საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებთან.
- (g) უწყვეტი სწავლის წყარო, რაც გულისხმობს შესაბამისი ზომების ანალიზს იმ გაკვეთილების განსაზღვრისთვის, რომლებიც აუცილებელია მექანიზმების გაუმჯობესებისა და მომავალი საჩივრებისა და ზიანის მიყენების პრევენციისთვის მომავალში.

მექანიზმები ოპერატიულ დონეზე ასევე უნდა:

- (h) დაეფუძნოს ურთიერთქმედებას და დიალოგს: დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებთან კონსულტაციების ჩატარებას, ვისთვისაც არის განკუთვნილი ეს მექანიზმები, მათი შექმნის და ეფექტურობის საკითხებზე და დიალოგზე, როგორც საჩივრების განხილვის და გადაწყვეტილების მიღების საშუალებაზე, ორიენტირებას.

კომენტარი სახელმძღვანელო პრინციპზე 31

საჩივრების განხილვის მექანიზმი პასუხობს თავის მიზნებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირები, ვისთვისაც არის განკუთვნილი ეს მექანიზმი, ინფორმირებულნი არიან მის შესახებ, ენდობიან და შეუძლიათ მისი გამოყენება. აღნიშნული კრიტერიუმები იძლევა საკონტროლო პარამეტრებს საჩივრების განხილვის არასასამართლო მექანიზმების შექმნის, გადახედვის ან შეფასებისთვის პრაქტიკაში მისი ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფისთვის. საჩივრების განხილვის არასათანადოდ შემუშავებულმა ან ცუდად მომუშავე მექანიზმებმა შესაძლოა გააღრმავოს დაზარალებული მხარეების დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, და გაუმძაფროს საკუთარი უძლურების და მათდამი უპატივცემულობის შეგრძნება.

პირველი შვიდი კრიტერიუმი გამოიყენება ნებისმიერ სახელმწიფო ან არასახელმწიფო, სასამართლო ან დიალოგზე დაფუძნებულ მექანიზმთან დაკავშირებით. მერვე კრიტერიუმი ეხება მექანიზმებს ოპერატიულ დონეზე, რომელთა ფუნქციონირება ხელს უწყობს საწარმოს.

ტერმინი „საჩივრების განხილვის მექანიზმი“ ამ დოკუმენტში გამოიყენება, როგორც სამართლებრივი ტერმინი. თავად ეს ტერმინი გამოყენებისას კონკრეტულ მექანიზმთან მიმართებით, ყოველთვის არ შეიძლება იყოს სწორი ან მართებული, მაგრამ ეფექტურობის კრიტერიუმები ყველა შემთხვევაში უცვლელი რჩება.

კომენტარი კონკრეტულ კრიტერიუმთან დაკავშირებით:

- (a) დაინტერესებულ მხარეებს, ვისთვისაც არის განკუთვნილი აღნიშნული მექანიზმი, თუ გადაწყვეტენ აღნიშნული მექანიზმის გამოყენებას უნდა ენდობოდნენ მას. ანგარიშვალდებულება იმის უზრუნველსაყოფად, რომ საჩივრების განხილვის პროცესის მხარეებმა ვერ შეძლონ მის სამართლიან წარმოებაში ჩარევა, ტიპიურად წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს დაინტერესებული მხარეების ნდობის გამყარებაში.
- (b) წვდომაზე ბარიერები შესაძლოა წარმოადგენდეს არასაკმარის ინფორმირებულობას აღნიშნული მექანიზმის, ენის, წიგნიერების დონის, ხარჯების მოცულობის, ფიზიკური ადგილმდებარეობის ან რეპრესიების საშიშროების შესახებ.
- (c) მექანიზმის მიმართ ნდობის და გამოყენების უზრუნველყოფისათვის, საჭიროა საჯარო ინფორმაციის გავრცელება მათ მიერ შეთავაზებული პროცედურების შესახებ. შესაძლებლობის ფარგლებში დაცული უნდა იყოს თითოეული ეტაპისთვის გამოყოფილი ვადები, ხოლო ზოგ შემთხვევაში შესაძლოა დადგეს მოქნილობის გამოყენების საჭიროება.
- (d) საჩივრების ან დავების არსებობისას საწარმოებს და დაზარალებულ მხარეებს შორის, ხშირ შემთხვევაში ამ უკანასკნელთ ინფორმაციაზე და საექსპორტო რესურსებზე წვდომის მნიშვნელოვნად ნაკლები შესაძლებლობა აქვთ და ხშირად არ არსებობს მათთვის გადასახდელი ფინანსური რესურსები. იმ შემთხვევებში, როდესაც ასეთი უთანასწორობა არ აღმოიფხვრება,

მცირდება სამართლიანი პროცესის წარმოების და მისი ამ სახით აღქმის შანსები, და ასევე ართულებს მდგრადი გადაწყვეტების მოძიებას.

- (e) მხარეებთან ინფორმაციის რეგულარული გაცვლას ინდივიდუალური საჩივრების განხილვის მიმდინარეობის საკითხზე შესაძლოა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს პროცესის მიმართ ნდობის შენარჩუნებაში. გამჭვირვალობის უზრუნველყოფას მექანიზმის შედეგიანობის საკითხზე ფართო დაინტერესებული მხარეებისთვის, სტატისტიკური მონაცემების გავრცელებით, დაგროვილი გამოცდილების მაგალითების ან უფრო დეტალური ინფორმაციის მიწოდებით კონკრეტული საქმეების განხილვის შესახებ, შესაძლოა ჰქონდეს დიდი მნიშვნელობა მისი ლეგიტიმურობის დადასტურებისა და მის მიმართ დიდი ნდობის შენარჩუნებისათვის. ამავდროულად, მხარეებს შორის დიალოგის და ცალკეული პირების ვინაობის კონფიდენციალობა საჭიროების შემთხვევაში დაცული უნდა იყოს.
- (f) ხშირად საჩივრები არ ფორმულირდება ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით და ბევრი ასეთი საჩივარი დასაწყისში არ გამოყოფს ადამიანის უფლებების საკითხებს. მიუხედავად ისეთი შემთხვევებისა, როდესაც განხილვის შედეგები მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებებისთვის, საჭიროა იმის უზრუნველყოფა, რომ ისინი შეესაბამებოდეს საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებს.
- (g) საჩივრების პერიოდულობის, ხასიათის და მიზეზების რეგულარული ანალიზი შესაძლებლობას აძლევს დაწესებულებებს, რომლებიც მართავენ აღნიშნულ მექანიზმებს, განსაზღვრონ და გავლენა მოახდინონ პოლიტიკაზე, პროცედურებზე ან პრაქტიკაზე, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცვალოს მომავალში ზიანის პრევენციის მიზნით.
- (h) ოპერატიულ დონეზე საჩივრების განხილვის მექანიზმთან დაკავშირებით, დაზარალებული დაინტერესებული მხარეების მონაწილეობამ მის შექმნასთან და ეფექტურობასთან დაკავშირებით, შესაძლოა ხელი შეუწყოს იმის უზრუნველყოფას, რომ მექანიზმი დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს, რომ ისინი აღნიშნულ მექანიზმს გამოიყენებენ პრაქტიკაში და რომ გაჩნდება მისი წარმატების უზრუნველყოფის საერთო ინტერესი. რადგან საწარმოს ლეგიტიმურად არ შეუძლია იყოს როგორც საჩივრების საგანი, ასევე ცალმხრივად განსაზღვროს მათი შედეგი, აღნიშნულმა მექანიზმებმა ფოკუსირება უნდა მოახდინონ შეთანხმებული გადაწყვეტების მოძიებაზე დიალოგის მეშვეობით. სასამართლო გადაწყვეტილების საჭიროების შემთხვევაში, ეს უზრუნველყოფილ უნდა იქნას ლეგიტიმური, დამოუკიდებელი მესამე მხარის მექანიზმის მეშვეობით.

31.1. ეფექტურობის კრიტერიუმთან შესაბამისობა

უზრუნველყოფს სახელმწიფო, რომ საჩივრების განხილვის სახელმწიფო არასასამართლო მექანიზმები აკმაყოფილებდეს ეფექტურობის კრიტერიუმებს?

| | |
|---------------------|-------------------------------|
| ინდიკატორები | მიმოხილვითი შეკითხვები |
|---------------------|-------------------------------|

| | |
|--------------------------|--|
| <p>1. ლეგიტიმური</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ ზომები აღნიშნული მექანიზმების მიმართ ნდობის შექმნის უზრუნველსაყოფად დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების მხრიდან, ვისთვისაც არის განკუთვნილი ისინი (მათ შორის ასეთი მექანიზმების მყარი მანდატი, დამოუკიდებლობა და გამჭვირვალობა, რაც მოიცავს სამართლიან წარმოებაში ჩაურევლობის უზრუნველყოფას და უკუკავშირის მექანიზმებს „არაპატიოსანი თამაშის“ გამოვლენის შემთხვევაში)?</u></p> <p>ინფორმაცია იხილეთ: პრინციპი 27.2 NHRI-ს როლი (საჩივრების განხილვის როლი).</p> |
| <p>2. ხელმისაწვდომი</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ ზომები აღნიშნული მექანიზმების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით (მათ შორის ენის და წიგნიერების საკითხები, საჩივრების წარდგენასთან დაკავშირებული ხარჯები, გეოგრაფიული საკითხები, რეპრესიის საშიშროებები და მოსარჩელის მოწყვლადობა, მაგალითად, სქესის, ასაკის, მრწამსის ან უმცირესობის სტატუსის თვალსაზრისით)?</u></p> <p>ინფორმაცია იხილეთ: პრინციპი 27.2 NHRI-ს როლი (საჩივრების განხილვის როლი).</p> |
| <p>3. პროგნოზირებადი</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ ზომები აღნიშნული მექანიზმების პროგნოზირებადობის უზრუნველყოფის მიზნით (მათ შორის მკაფიო და საჯარო ინფორმაცია პროცედურის, პროცედურის ვადების შესახებ და ინფორმაცია პროცესის და მექანიზმის შედეგების შესახებ)?</u></p> <p>ინფორმაცია იხილეთ: პრინციპი 27.2 NHRI-ს როლი (საჩივრების განხილვის როლი).</p> |
| <p>4. მიუკერძოებელი</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ ზომები აღნიშნული მექანიზმების მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის მიზნით (მათ შორის ყველა მხარის წვდომა ინფორმაციაზე, კონსულტაციაზე და ექსპერტის რესურსებზე)?</u></p> <p>ინფორმაცია იხილეთ: პრინციპი 27.2 NHRI-ს როლი (საჩივრების განხილვის როლი).</p> |

| | |
|--|---|
| <p>5. გამჭვირვალე</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ ზომები აღნიშნული მექანიზმების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით (მათ შორის საჩივრის განხილვის პროცესის მხარეების რეგულარული ინფორმირება მისი მიმდინარეობის შესახებ, ასევე ფართო საჯარო ინფორმაცია მიღებული და მიმდინარე საქმეების შესახებ სოციალური ტენდენციების დადგენის და დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მიზნით)?</u></p> <p>ინფორმაცია იხილეთ: პრინციპი 27.2 NHRI-ს როლი (საჩივრების განხილვის როლი).</p> |
| <p>6. ადამიანის უფლებების შესაბამისი</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ ზომები იმის უზრუნველყოფისთვის, რომ აღნიშნული მექანიზმები შესაბამისობაში იყოს ადამიანის უფლებებთან (მათ შორის რომ აღნიშნული მექანიზმები ფორმულირებული იყოს ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, როდესაც ისინი დააყენებენ საკითხს ადამიანის უფლებების შესახებ და რომ ის ინსტიტუტები და ორგანოები, რომლებიც მართავენ ასეთ მექანიზმებს, ინფორმირებულნი იყვნენ ადამიანის უფლებების შესახებ და ასეთი საქმეების განხილვის წესის შესახებ)?</u></p> <p>ინფორმაცია იხილეთ: პრინციპი 27.2 NHRI-ს როლი (საჩივრების განხილვის როლი).</p> |
| <p>7. უწყვეტი სწავლის წყარო</p> | <p><u>მიიღო სახელმწიფომ ზომები იმის უზრუნველყოფისთვის, რომ აღნიშნული მექანიზმები იყოს უწყვეტი სწავლის წყარო (მათ შორის სახელმწიფოს მიერ საჩივრების პერიოდულობის, ხასიათის და მიზეზების რეგულარული ანალიზის მხარდაჭერა, აღნიშნული მექანიზმის გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით)? შეიტანა სახელმწიფომ მექანიზმების ფუნქციონირების პროცესში მიღებული გაკვეთილები მექანიზმების ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით?</u></p> <p>ინფორმაცია იხილეთ: პრინციპი 27.2 NHRI-ს როლი (საჩივრების განხილვის როლი).</p> |

ერთოვანული საბაზისო კვლევა
ბიზნესი და ადამიანის უფლებების
შესახებ